



IV. JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
ARN. CHIKOBAVA INSTITUTE OF LINGUISTICS

ТБИЛИССКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ
ИМ. ИВ. ДЖАВАХИШВИЛИ
ИНСТИТУТ ЯЗЫКОЗНАНИЯ ИМ. АРН. ЧИКОБАВА

IBERO-CAUCASIAN LINGUISTICS

XLIII

Иберийско-кавказское языкознание

XLIII

Tbilisi 2015 Тбилиси

ივ. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება

XLIII

თბილისი
2015

მთავარი რედაქტორი

ვაჟა შენგელია

Editor-in-chief

Vazha Shengelia

სარედაქციო კოლეგია

ავთანდილ არაბული
მარინე ბერიძე
გიორგი გოგოლაშვილი
თამარ ვაშაკიძე
გუჩა კვარაცხელია
ნანა მაჭავარიანი
მურმან სუხიშვილი
ლია კაროსანიძე
მედეა ლლონტი
მერაბ ჩუხუა

Editorial Board

Avtandil Arabuli
Marine Beridze
Giorgi Gogolashvili
Tamar Vashakidze
Gucha Kvaratskhelia
Nana Machavariani
Murman Sukhishvili
Lia Karosanidze
Medea Glonti
Merab Chukhua

მ ი ს ა მ ა რ თ ი:

0108 თბილისი, ინგოროყვას ქ. 8
არნ. ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

A d d r e s s:

0108 Tbilisi, Ingorokva str. 8
Arn. Chikobava Institute
of Linguistics

E-mail: kontakt@ice.ge

© არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
Arn. Chikobava Institute of Linguistics

ISBN

შინაარსი – Contents

I

- ლ. ა ზ მ ა ი ფ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ხუნძური ენის დიალექტური ლექსიკის
სემანტიკური თავისებურებანი9
L. A z m a i p a r a s h v i l i, Semantic Features of Dialectal Vocabulary of Avar29
- ნ. ა რ დ ო ტ ე ლ ი, მეორე გრამატიკული კლასის წარმომავლობისათვის
ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში 30
N. A r d o t e l i, On the Origin of the Second Grammatical Class in the Avar-
Andi-Dido Languages 40
- მ. ბ უ კ ი ა, ქართველურ-აფხაზური ლინგვოკულტურული ურთიერთობის
ისტორიიდან. X. მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვები 41
M. B u k i a, From History of Georgian-Abkhazian Linguistic and Cultural
Relations – X Words Denoting Action 51
- თ. ბ უ რ ქ უ ლ ა ძ ე, სინტაგმის გამოყოფისათვის რთულ ქვეწყობილ
წინადადებაში 52
T. B u r c h u l a d z e, On Separation of Syntagms in Compound Subordinate
Clauses 60
- ე. გ ა ზ დ ე ლ ი ა ნ ი, ხმოვნის სიგრძე სვანური ენის ბალზემოურ დიალექტში
ბოლოხმოვნიან და თავკიდურხმოვნიან სიტყვათა შეხვედრისას61
E. G a z d e l i a n i, Vowel Length in Upper Balian Dialect of Svan when
Meeting a Word with a Final and a Word with an Initial Vowels65
- ლ. გ ი გ ლ ე მ ი ა ნ ი, ვითარებითი ბრუნვის ფორმით ნაწარმოები
ზმნისართი სვანურში66
L. G i g l e m i a n i, Verbal Affix Derived from Equative Case Marker70

გ. გოგოლაშვილი, -ავ და -ამ თემისნიშნის ზმნათა ზოგი თავისებურება ქართული ენის დიალექტებში (თემის ნიშანთა მონაცვლეობა) ..	71
G. G o g o l a s h v i l i, Some Features of Verbs with Stem Markers -av and -am in Georgian Dialects (Alternation of Stem Markers)	79
თ. ვაშაკიძე, მუხრან მაჭავარიანი – „მზეს ალბათ ჩემთან მგზავრობა უნდა“ (წელიწადის დრონი).....	81
T. V a s h a k i d z e, Mukhran Machavariani – „ <i>Perhaps the sun wants to travel with me</i> “ (Seasons).....	87
მ. ლაბარტყავა, ერთი ტიპის კომპოზიტა დაწერილობისათვის თანამედროვე ქართულში	88
M. L a b a r t k a v a, On Spelling One Type of Compound Words in Modern Georgian.....	90
რ. ლოლუა, კლასის გრამატიკული კატეგორიის ისტორიისათვის ლეზგიურ ენებში	91
R. L o l u a, On History of Grammatical Category of Class in Lezgian Languages	103
თ. ლომთაძე, კასტილიურის სტატუსისათვის	105
T. L o m t a d z e, On Status of Castilian	115
თ. მახარობლიძე, ქართული ჟესტური ენის ლექსიკის შესახებ	116
T. M a k h a r o b l i d z e, On Georgian Sign Language Lexical Level	143
კ. მითაგვარია, ადამიანის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი სახელების შემცველი გვარები სხვადასხვა სისტემის ენებში	144
K. M i t a g v a r i a, Last Names Containing Words Denoting Human Body Parts in Different Languages.....	146
ს. ომიძე, არნოლდ ჩიკობავას სამეცნიერო დისკურსის პრაგმატიკული თავისებურებანი	147
S. O m i a d z e, Pragmatic Features of Arnold Chikobava's Scientific Discourse.....	151
ნ. სააკაძე, ლექსიკური სინონიმია ქვემოქართლურში	152
N. S a a k a d z e, Lexical Synonymy in Lower Kartlian Dialect.....	157

მ. ს ა ლ ლ ი ა ნ ი, სუფიქსაციისათვის სვანურ ფონოსემანტიკურ ლექსიკაში	158
M. S a g h l i a n i, On Suffixation in Svan Phonosemantic Vocabulary	184
რ. ფ ა რ ე უ ლ ი ძ ე, არსებით სახელთა სტრუქტურა ნახურ ენებში	185
R. P a r e u l i d z e, Structure of Nouns in Nakhian Languages	190
ბ. შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი, შ. შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი, პირობითდამოკიდებულნი წინადადებისათვის სვანურში	192
N. S h a v r e s h i a n i, Sh. S h a v r e s h i a n i, On Conditional Subordinate Clause in Svan	200
ე. შ ე ნ გ ე ლ ი ა, ორი მეგრული სიტყვა (და „აღე“ და სერი „ღამე“) იდიომებში.....	201
E. S h e n g e l i a, Two Megrelian Words (dya „a day“ and seri „a night“) in Idioms	208
ვ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, ადამიანის აღმნიშვნელი სიტყვები მეგრულ იდიომატურ გამოთქმებში	209
V. S h e n g e l i a, Words Denoting a Human in Megrelian Idiomatic Expressions ..	212
ო. ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე, „კალანდა“ ლექსემის ეთნოლინგვისტიკური და სემიოტიკუ- რი განზომილებანი.....	213
I. C h a c h a n i d z e, Ethnolinguistic and Semiotic Dimensions of the Lexeme kalanda	221
ბ. ც ი ხ ი შ ვ ი ლ ი, ე-სუფიქსიანი წყვეტილი საშუალო ქართულში	222
N. T s i k h i s h v i l i l, Discontinuous Verbs with the Suffix -e in Middle Georgian	231
რ. ჭ კ ა დ უ ა, მოძრაობის მანერის გამომხატველ ზმნათა ერთი ტიპის მორფო-სემანტიკური ანალიზი სვანურში	232
R. C h k a d u a, One Type Morpho-Semantic Analysis of Verbs Denoting Manner of Movement in Svan	237

ბ. ხ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი, ყურ- (ყურება) ძირთან დაკავშირებული ხატოვანი სიტყვა-თქმანი	238
N. K h a k h i a s h v i l i, Colorific Expressions Related to the Root qur- (qureba)	247
ც. ჯ ა ნ ჯ ღ ა ვ ა, თოლი „თვალი“ და ყუჯი „ყური“ ლაზურ ფრაზეოლოგიზ- მებში (მცირე ანალიზი)	248
T. J a n j g a v a, toli (an eye) and quji (an ear) in Laz Phraseologisms	250
ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ენობრივი ეკონომია და მისი სახეები (ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების მაგალითზე)	251
N. J o r b e n a d z e, Language Economy and Its Types (Based on the examples of the Georgian South-West dialects)	256
მ. ჯ ღ ა რ კ ა ვ ა, პრედიკატული განსაზღვრება თუ ვითარების გარემოება ლაზურში (საკითხის დასმის წესით)	257
M. J g a r k a v a, Predicative Attribute or Adverbial Modifier of Manner in Laz	263

II

თ. ბ ე რ ო ზ ა შ ვ ი ლ ი, აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა და „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეული (1950-1964 წ.)	264
--	-----

ნოდარ არდოტელი

**მეორე გრამატიკული კლასის წარმომავლობისათვის
ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში¹**

კლასის უნივერსალური გრამატიკული კატეგორია გამოიყენება სუბსტანტივთა საკლასიფიკაციოდ, გამსჭვალავს საკვლევ ენათა მორფოლოგიის მთელ სტრუქტურას და ძველისძველ კატეგორიას წარმოადგენს. სინქრონიულ დონეზე ეს კატეგორია ფლექსიური ტიპის ენათათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებსაც ავლენს, ვინაიდან კლას-ნიშნები, საკუთრივ სახელთა კლასიფიკაციის გარდა, რიცხვისა და ბრუნვის, აგრეთვე, ზოგჯერ სხვა გრამატიკული კატეგორიის საწარმოებელ აფიქსებადაც გამოიყენება. იგულისხმება, რომ თავდაპირველად კლასის კატეგორია ყველა სახის არსებით სახელთა სოციალური ღირებულების მიხედვით დასაჯგუფებლად წარმოიქმნა, რადგანაც „გრამატიკული კლასები ღირებულებათა იერარქიას წარმოადგენენ საზოგადოებრივი მნიშვნელობის თვალსაზრისით“ [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 86]. სუბსტანტივთა კლასებად დაყოფა-დაჯგუფების პრინციპში უკუფენილი ჩანს პირველყოფილი ადამიანის თავისებური აზროვნება, რომელშიც ყალიბდებოდა გარესამყაროს ხატის სუბიექტური აღქმა და მისი ენობრივი ასახვა.

მხოლოდობითი რიცხვის მიხედვით², ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა სინამდვილეში სამ- და ოთხკლასიანი სისტემები დასტურდება. რეგრესულ (resp. უნიფიცირებულ) სამკლასიან სისტემაში³ ბინარული ოპოზიციის ადამიანის კლასი დიფერენცირებულია ზრდასრული მამაკაცისა (I) და ქალის (II) კლასებად, ხოლო ყველა დანარჩენი თავს იყრის ნივთის (III) კლასში. ასეთი სისტემები ნიშანდობლივია ხუნძური ენისა და ანდიურ ენათა (ბოთლიხური, ღოდობერიული, ტინდიური, ბავგალური, კარატაული, ახვახური) მეტი ნაწილისთვის. რაც შეეხება სხვა ანდიურ (ანდიური, ჭამალური) ენებსა და დიდოურ ენათა წყებას, ამ ენებში ფუნქციონირებს ოთხკლასიანი სისტემები. მართალია, ჭამალურსა და ხვარშიულ ენებში ზოგჯერ ხუთ კლასსაც გამოყოფენ, რაც

¹ ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი №31/45).

² კლასთა რაოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმად აღებულია მხოლოდობითი რიცხვი, რისი დასაბუთებაც გვაქვს ადრე [არდოტელი 2014 : 90].

³ რეგრესული სისტემა გულისხმობს კლასთა რაოდენობის შემცირების საფეხურებზე (ორკლასიანი → სამკლასიანი → ოთხკლასიანი → სამკლასიანი → ორკლასიანი: [ჩიქობავა 1978 : 18-20] არსებულ სისტემებს).

მხოლოდობითი რიცხვის მიხედვით არაკორექტულია [ბოკარევი 1949 : 22-26; შრ. იმნაიშვილი 1963 : 45; ანდლულაძე 1968 : 24...]. სქემატურად¹:

ენები	I კლ.	II კლ.	III კლ.	IV კლ.
ხუნძური	ჭ	ფ	ბ	*რ
ანდიური	ჭ	ფ	ბ	რ
ბოთლიხური	ჭ	ფ	ბ	*რ
ლოდობერიული	ჭ	ფ	ბ	*რ
ჭამალური	ჭ	ფ	ბ	ფ-/-ლ
ტინდიური	ჭ	ფ	ბ	*რ
ბაგვალური	ჭ	ფ	ბ	*რ
კარატაული	ჭ	ფ	ბ	*რ
ახვახური	ჭ	ფ	ბ	*რ
დიდოური	∅ (<ჭ)	ფ	ბ	რ
ჰინუხური	∅ (<ჭ)	ფ	ბ	რ
ხვარშიული	∅ (<ჭ)	ფ	ბ	ლ-/-რ, ფ
ბეჟიტური	∅ (<ჭ)	ფ	ბ	რ/>ფ

სპეციალურ ლიტერატურაში წარმოდგენილი მოსაზრებების მაქსიმალური გათვალსწინებითა და დამატებითი ენობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე, ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ერთობის ხანისათვის რეკო

ნსტრუირდება გრამატიკული კლასის კატეგორიის ოთხკლასოვანი სისტემა:

	მხ. რ.	მრ. რ.
I კლ.	*ჭ	*რ
II კლ.	*ფ	*ფ
III კლ.	*ბ	*ბ
IV კლ.	*რ	*რ ²

მხოლოდობითი რიცხვის მიხედვით, ზემომოყვანილი სისტემა ახლოს დგას ჟ. დიუმეზილისა და ნ. ტრუბეცკოის მიერ დადესტნური (resp. აღმოსავლურ-კავკასიური) ფუძეენისთვის აღდგენილ კლასოვან სისტემასთან [დიუმეზილი 1933 : 29; 2015 : 45; ტრუბეცკოი 1987 : 340]. ნ. ტრუბეცკოის მიერ აღმოსავლურ-კავკასიური პრაენისათვის ნაგულვები სისტემისაგან განსხვავდება IV კლასის ნიშნით, რომლისთვისაც აღდგენილია ფ³, ხოლო

¹ ცხრილში წარმოდგენილია კლას-ნიშნთა ძირითადი ვარიანტები.

² სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციები არის წარმოდგენილი [იხ. დიუმეზილი 2015 : 45; შდრ. ჩიქობავა 2013 : 351].

³ ფ-ს რეკონსტრუქცია მართებულია ნახურ-დადესტნური ქრონოლოგიური დონისათვის, ხოლო ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ერთობის ხანისათვის აღდგება რ.

ჟ. დიუმეზილის სისტემა მხოლოდით რიცხვში თანხვედბა, მრავლობითი კი ნაკლებია – III და IV კლასის ნიშნებია განზოგადებული¹.

ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ერთობის ხანის მიწურულისათვის IV კლასის ნიშნად **დ**-ს რეკონსტრუქცია არარეალური ჩანს, რადგანაც საყოველთაოდ გაზიარებული **დ > რ** [ანდლულაძე 1968 : 45; თოფურია 2003 : 20...] შეიძლება მომხდარიყო იმ ენობრივ ერთეულში, რომელიც საფუძვლად დაედო საკვლევ ფუძეენას. **დ**-ს აღსადგენად ამ ენებში რელიქტური კვალი, მართალია, შეინიშნება [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 92-96; გუდავა 1959 : 9, 18-19...], თუმცა **რ** (<***დ**)² IV კლასის ექსპონენტად ფუძეენის დაშლისას გაბატონებული უნდა ყოფილიყო და საერთო-დადესტნურ ***რ**-ს დამთხვევდა. სხვა შემთხვევაში **დ**, რომელიც საკვლევ ენებში ფონემათიგივეობით არის წარმოდგენილი, დიფერენცირებულ ფონემათშესატყვისობას მოგვეცემა³ [არდოტელი 2009 : 89, 140]. **რ** (<***დ**) კლას-ნიშნისა და საერთო-დადესტნური ***რ**-ს ფუძეენის დროინდელი თანხვედნით ჩანს გამოწვეული ანლაუტში **რ**-ს შესატყვისობის მწყობრი, კანონზომიერი და რეგულარული პარადიგმა, რომელშიც „... ყოველგვარი გამონაკლისი ეჭვს იწვევს“ [გუდავა 1979 : 58].

ბუნებრივია, ისმის კითხვა: გენეზისურად II კლასი IV კლასს უკავშირდება თუ არა?

თავდაპირველად არნ. ჩიქობავამ წამოაყენა დებულება II გრამატიკული კლასის IV კლასისაგან წარმომავლობის შესახებ: „მეორე გრამატიკული კლასი გამოყოფილია (IV კლასისაგან – ნ. ა.) მაშინ, როცა პირველი და მესამე უკვე მოიპოვებოდა“ [ჩიქობავა 1942 : 41]. შემდგომ ამ მოსაზრებამ ფართო გავრცელება ჰპოვა ლინგვისტურ კავკასიოლოგიაში [მაჰომეტოვი 1980 : 70-75; იმნაიშვილი 1963 : 50; ანდლულაძე 1968 : 42...].

ზემოთ დამოწმებულ თვალსაზრისზე გაცილებით ადრე იყო წამოყენებული საპირისპირო მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ივ. ჯავახიშვილი II კლასისთვის იმთავითვე არსებულ ექსპონენტად **ა**-ს მიიჩნევდა: „...**დიდური და ლეგური ენების მდებარე. სქესის ერთად-ერთ ნიშნად ა ნახევარზომიანი რჩება, დანარჩენი ბ, დ და რ თანხმონებები-კი შემდეგში უნდა იყოს ამ სქესის ნიშნად ქცეული**“ [ჯავახიშვილი 1992 : 255].

II კლასის დამოუკიდებელ ნიშნად **ა** სონანტის აღიარების ასპექტით ყურადღებას იქცევს გ. კლიმოვის გამონათქვამიც: „w и j ... соблазнительно генетически увязать с довольно широко распространенной в языках мира оппозицией звукотипов w и j как символов мужского и женского начал“ [კლიმოვი

¹ მრავლობით რიცხვში I-II კლ. აღინიშნებოდა III კლ. ნიშნით (ბ), ხოლო III, IV კლ. გამოიხატებოდა IV კლ. ნიშნით (რ), რაც იწვევდა IV კლასში მარკერთა თანხვედენას და კლასთა მოშლას.

² ვ. თოფურიას რ მიაჩნია არქექტიპად: ***რ > დ** [თოფურია 1942 : 178-179; შდრ. ჯავახიშვილი 1992 : 256; ჩიქობავა 1942 : 376-377; ანდლულაძე 1968 : 43...]. ეს საკითხი დაზუსტებას მოითხოვს, ვინაიდან **რ** და **დ** კლასის ნიშნები შეიძლება გენეზისურად არც უკავშირდებოდნენ ერთმანეთს.

³ თუ, რა თქმა უნდა, არ გავიზიარებთ „დიუმეზილის ფენომენს“, რაც გრამატიკულ ინვენტარში შესატყვისობათა განსხვავებულ კანონზომიერებებს გულისხმობს [დიუმეზილი 2015 : 38-39].

1986 : 94].

ბოლო დროს კლასიფიკატორთა გენეზისის შესახებ გამოითქვა ორიგინალური აზრი, რომლის დედაარსი ლაკონიურად ასე წარმოდგინება: ამოსავალი ბინარული ოპოზიცია აერთიანებდა ადამიანის კლასს (დ) და არაადამიანის კლასს (ზ). კლას-კატეგორიის ევოლუციის მე-2 საფეხურზე ადამიანის კლასი გაიყო ორ ჯგუფად: მამაკაცის (I კლ.) და ქალის (II კლ.), რომელთაც მარკერებად იმთავითვე მოეპოვებოდა ჟ და ა (სათანადოდ). ადამიანის კლასის გამოხატვისაგან თავისუფალი ნიშანი დ გადავიდა არაადამიანის (ნივთის) კლასში, რამაც შეაპირობა ნივთის კლასის სახელთა დამატებითი დიფერენცია [თოფურია 2003 : 22].

ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა მონაცემების საფუძველზე ძალიან რთული და პრობლემურია ამოსავალი ბინარული ოპოზიციის რეკონსტრუქცია, მაგრამ მამაკაცისა (ჟ) და ქალის (ა) კლასთა ექსპონენტებად იმთავითვე შემომოყვანილი სონანტების ფუნქციონირება – გასაზიარებელი.

აღსანიშნავია, რომ არნ. ჩიქობავას და მის თვალსაზრისზე მყოფ მკვლევრებს ძირითად არგუმენტად მოჰყავთ სამი გარემოება:

1. II და IV კლასის ნიშანთა ფორმოზრივი სიახლოვე ან თანხვედენა;
2. ბრუნების გარკვეული ფაქტები ხუნძურში;
3. ქართველურ ენათა მონაცემები.

ამ სამი საბუთიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ჩანს კლასიფიკატორთა თანხვედენა [ჩიქობავა 2013 : 375-378; 1979 : 109-113; იმნაიშვილი 1963 : 50; ცერცვაძე 1965 : 95; ანდლულაძე 1968 : 40...]. კერძოდ, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, ნახურ და დიდოურ ენათა II კლასში ერთიანდება ნივთის სახელებიც, რაც ცხადყოფს ქალის კლასის წარმომავლობას IV კლასისაგან [ჩიქობავა 1979 : 110-113]. არნ. ჩიქობავა წერს: "Показатели IV класса (вещей) и II касса (женщин) совпадают не случайно: они идентичны по происхождению" [ჩიქობავა 1978 : 17].

მომდევნო წელს გამოცემულ მონოგრაფიაში არნ. ჩიქობავა კითხვას სვამს: „იქნებ მეორე გრამატიკული კლასის ნიშანი (ა) და მეოთხე კლასის ნიშანი (ა ← რ ← დ) სხვადასხვა წარმოშობისაა... იმდენად მოულოდნელია ქალის აღნიშვნა ნივთის ისეთი კლასის ფორმანტით, რომელსაც კლასიფიკაციაში სულ ბოლო ადგილი უკავია“ [ჩიქობავა 1979 : 110].

ავტორი ამ კითხვას უარყოფითად უპასუხებს.

ჩვენი დაკვირვებით, ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა მონაცემები (გარკვეულწილად ნახურისაც) ამგვარ ინტერპრეტაციას მხარს არ უჭერს. კერძოდ, დიდოურ ენათა სინამდვილეში II კლასი მართლაც აერთიანებს უგონო ცოცხალ არსებათა, ნივთთა და მოვლენათა ერთი რიგის სახელებს: დიდ. კენაჟ „კვერცხი“, იზუ „ყველი“, ოწ „მრავალი“, კიცუ „კბილი“, ეშუ „ფაფარი“, იძუ „სადგისი“, ცაც „კარი“, ნშოლ'უ „ნაცარი“, ისი „თოვლი“, ზიგოლუ „სეტყვა“...; ბეჟ. ზოკო „სოკო“, ეზუ „მდინარე“, ლ'იბუ „ფოთოლი“, გენი „მსხალი“, ანც „კა-

რი“, ო^წზ „თოვლი“, ტალო „ქვა“...; ხვარშ. ექ^წსო „თოვლი“, ბათახუ „პური“, ლ'ილე „ბატკანი“, ცა^წც „კარი“, ზებუ „დღე“, ღილ'უ „შარვალი“, ცაბიკ „კოვზი“ და მისთ.

თუ ზემომოყვანილ მაგალითებს შევუდარებთ ერთ-ერთი ოთხკლასიანი ანდიური ენის – ჭამალურის მონაცემებს, თვალნათლივ დავინახავთ, რომ ამ ლექსემათა თანხვედნას სათანადო კლასების მიხედვით ყოველთვის არ ექნება ადგილი:

ბეჟ.	ჭამ.	ლექსიკური მნიშვნელობა
ზოკო (II კლ.)	სეკუტ (III კლ.)	„საჭმელი სოკო“
გენი (II კლ.)	ჰინტ (III კლ.)	„მსხალი“
უოდო (II კლ.)	მილ (III კლ.)	„დღე“
მიც (IV კლ.)	მიწუტ (III კლ.)	„ჭინჭარი“
ღა ^წ ჟუ (II კლ.)	ინახუტ (III კლ.)	„ჩექმის ყელი“
ჭუმალ (II კლ.)	ბეცუტ (III კლ.)	„წვივი“...

ანალოგიური ვითარება იჩენს თავს სხვა დიდოურ ენებთან შედარებისას. გრამატიკულ კლასთა მიხედვით, სპორადულად თვით დიდოურ ენათა შიგნითაც შეიმჩნევა სახელთა აღრევის შემთხვევები. კერძოდ, ცხოველთა ნაშიერები (ბატკანი, თიკანი, ვაცუნი, დათვის ბელი და მისთ.) ხვარშიულ ენაში II კლასს განეკუთვნებიან, ხოლო სხვა დიდოურ ენებში III კლასში არიან მოქცეული.

გარდა ამისა, ინტერესს აღძრავს ჩეჩნური ენის ჩვენება, რომელშიც ოთხკლასიანი სისტემის ენათა III და IV კლასის სახელები II კლასს განეკუთვნებიან, მაგ.: გოჭრ „ცხენი“, ჩა „დათვი“, ბჭორზ „მგელი“, ვირ „ვირი“, ქტოთამი „ქათამი“, ბაგა „პირი“, სთიგალ „ცა“, ხა^წ „დრო“, ძურთ „სოფელი“ და ა. შ.

თუ ჩეჩნურისა და ინგუშურის მონაცემებს ბაცბური ენისას შევუდარებთ, დაახლოებით ანალოგიური სურათი დაიხატება. როგორც ჟ. დიუმეზილი წერს: ბაცბურში „...კლასების მოქმედება იქ არასაიმედოა“ [დიუმეზილი 2015 : 45].

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ცხოველთა სახელები, რომლებიც ჩვეულებრივ ენათა მეტ ნაწილში III კლასის კუთვნილებას შეადგენენ.

ცხადია, დაისმის კითხვები: რით არის გამოწვეული ნივთის კლასის (კლასების) სახელთა მოქცევა II კლასში? რა ქრონოლოგიურ დონეს უნდა მივაკუთვნოთ სახელთა ამგვარი გადაჯგუფება?

თავად ის ფაქტი, რომ II კლასში არის გაერთიანებული უგონო ცოცხალ არსებათა, ნივთთა და მოვლენათა არა მარტო IV კლასის, არამედ III კლასის სახელებიც, არნ. ჩიქობავას მოსაზრების ვერიფიცირებასა და დაზუსტებას მოითხოვს.

არათანმიმდევრული ჩანს კლასის ექსპონენტთა ურთიერთმიმართების საკითხიც. კერძოდ, ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ კლასთა სისტემაში **რ** ძირითადი ნიშნით (თუ არ ჩავთვლით ბეჟიტურსა და ჭამალურს) გამოიხატება IV

კლასი, ხოლო II კლასის ნიშნად ოდენ **ღ** დასტურდება. საკითხავია: თუ **რ** (< **ღ**) > **ღ** ერთიანი პროცესია, მაშინ, ერთი მხრივ, ლატენტური **რ**, ხოლო, მეორე მხრივ, ფინალური **ღ** როგორ იქცნენ სხვადასხვა კლასის გამომხატველ აფიქსებად?

ჩვენ იმ აზრისკენ ვიხრებით, რომელსაც **ღ**-სგან მომდინარე **ღ** (**ღ** > **რ** > **ღ**) და საერთო-დადესტურული **ღ** სხვადასხვა ოდენობად მიაჩნია [თოფურია 2003 : 22]. ამ მოსაზრების სისწორეს ერთგვარად განამტკიცებს ჭამალური და ბეჭიტური ენების მონცემები, რომელთა გათვალისწინებით ცალკეული დიალექტები (resp. თქმები) სონანტს (**რ** > **ღ**) გვიჩვენებენ. ეს, ცხადია, არის შედარებით გვიანდელი პროცესი ისევე, როგორც ხვარშიულში **რ** > **ლ** [არდოტელი 1999 : 85-86].

ჩვენი შეხედულებით, ნივთის კლასის სახელთა გადაჯგუფება II კლასში აშკარად მეორეული მოვლენაა, რაც ამ კლასში შემავალ გონიერ (ქალი და მისთ.) არსებათა საზოგადოებრივი ღირებულებისა და როლის მკვეთრ გაუარესებას უნდა მოჰყოლოდა. როგორც ჩანს, ამ მოვლენებს უნდა მოეხდინა ქალისა და ნივთის კლასებში თავმოყრილ სახელთა ერთგვარი სემანტიკური ნივთიერება. ამ პროცესების მასტიმულირებელი უნდა ყოფილიყო აბსტრაქტული აზროვნების განვითარებაც, რაც საბოლოო ჯამში კლასთა შემცირებისა და მოშლის წინაპირობაა.

რაც შეეხება მეორე არგუმენტს, რომელიც ხუნძურში სახელთა ბრუნებისას ერგატისა და ირიბ ბრუნვათა ფორმებში კლასთა კორელაციას ემყარება, ეს გვიანდელი მოვლენაა. მართალია, სახელთა ბრუნებაში გრამატიკულ კლასთა გარჩევა ხელშესახებია არა მარტო ხუნძურში, არამედ ანდიურ-დიდოურ ენებშიც, მაგრამ ატრიბუტული ბრუნების ჩამოყალიბება ქრონოლოგიურად უფრო გვიანდელი პროცესია II კლასის ფორმირების ხანასთან შედარებით.

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ხუნძურ და ანდიურ ენებში გამოიყოფა „არქაული“ (resp. სუბსტანტიური) და „ცოცხალი“ (resp. ატრიბუტული) ბრუნების ორი ძირითადი ტიპი [ჟირკოვი 1936 : 166; გუდავა 1962 : 267-274...]. ხუნძურში I და II კლასის სახელებში ატრიბუტულმა ბრუნებამ მთლიანად გამოდევნა სუბსტანტიური ბრუნება, რომელიც ერგატივში -ცა (←*-**ღ**+სა) ნიშანს აჩენს, ხოლო ანდიურ ენაში – **დი** ნიშანს:

ხუნძური		ანდიური
სახ.	რაც	„გული“ იმა „მამა“
ერგ.	რეკ-ე-ცა(←*რეკ-ე-ღ+სა)	იმ-უ-დი
მიც.	რეკ-ე-ღ-ე	იმ-უ-ღ
ნათ.	რეკ-ე-ლ	იმ-უ-ბ

რაც შეეხება ატრიბუტულ ბრუნებას, ამგვარი ბრუნების დროს ერგატივის ფორმას აწარმოებს შემდეგი ნიშნები: ხუნძ. -ა-სა (I კლ.), -ა-ლ (II- III კლ.),

ანდ. -შ, (resp. -ს) (I კლ.), -ლ (II-III-IV კლ.)¹.

სიმპტომატურია, რომ დიდოურმა ენებმა ინსტრუმენტალისის ფუნქციით ერგატივის (resp. პალეოერგატივის) -დ-ს შემცველი არქაული ნიშანი შემოინახეს. დ-ს კვალი რელიქტურად შეიმჩნევა ჩრდილოური ხუნძურის სახელთა ირიბ ბრუნვებში და ხალხური სიმღერის ტექსტებში [გუდავა 1962 : 271].

ნათელი ხდება, რომ ანდიურმა ენებმა სახელთა ბრუნებაში არქაული ვითარება უფრო მეტად დაიცვეს. ტ. გუდავა წერს: „ატრიბუტულ ბრუნებაში ერგატივის ნიშანი იყო ს || შ და ლ (პირველი მათგანი ისტორიულად ადამიანთა კლასისთვის იყო გამოყენებული, მეორე -ლ კი – ნივთთა კლასისათვის. ასე რომ, ლ-ს გამოყენება II გრამატიკული კლასის სახელთა ერგატივის ნიშნად – მეორეული მოვლენაა)“ [გუდავა 1962 : 271].

მეორე გრამატიკული კლასის გენეზისის გასარკვევად ქართველურ ენათა ჩვენების გათვალისწინება მნიშვნელოვანია, მაგრამ ამ ენათა მონაცემების მიხედვით კლასთა დიფერენციაციის (resp. უნიფიკაციის) დადგენა ძალიან ძნელია. მართალია, ქართველურ ენათა სინამდვილეში II კლასის ეკვივალენტური ნიშანი (ა) არ ჩანს, თუმცა არც ნივთთა კლასის გაყოფა რეალიზებული. იმ შორეულ წარსულში, როცა ივარაუდება იბერიულ-კავკასიური ფუძემდებლისაგან ქართველური ფუძემდების ჩამოცილება, შესაძლოა პროგრესული ორკლასოვანი სისტემა არსებობდა და გონიერ სულიერ არსებათა კლასი არც კი იყო გაყოფილი, ე. ი. ასაკრული მამაკაცისა და ასაკრული ქალის კლასი ჯერ კიდევ არ იყო დიფერენცირებული.

სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ ლაკური და დარგული ენების კლასთა სისტემაზე [ჩიქოზავა 2013 : 376; თოფურია 2003 : 22...]. განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ ლაკური ენის კლასთა სისტემის თავისებურებაზე, რომელშიც II და IV კლასის ნიშანთა თანხვედენა სინქრონიულ დონეზე ფაქტია. მართალია, ყუმუხურ და ბალხარულ დიალექტებში II და IV კლასის ნიშნებად დ, რ დასტურდება, მაგრამ არაკულურ დიალექტში ბ, ჟ გვხვდება [აბდულაევი 2010 : 35]. II კლასის ნიშნად ბ, ჟ კლასიფიკატორების პოვნის ნოვაციაა ლაკურისათვის ისევე, როგორც ბევრი ლეზგიური ენისთვის და, როგორც გ. თოფურია წერს: „Наличие d, r, l, n в II классе (класс женщины) в лезгинских (а также лакском и даргинском) языках, как уже говорилось, следует рассматривать как результат реинтерпретации расшатанных первичных систем, и так же нужно квалифицировать как системы поздней формации“ [თოფურია 2003 : 22].

ამრიგად, ამ და სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან ჩვენებათა გათვალისწინებით, II და IV კლასის ექსპონენტებად თავჩენილი ა სონანტი სხვადასხვაგვარი გენეზისისა ჩანს, ამიტომ IV კლასის ბიფურკაციით (დ > რ > ა) II კლასის (ქალის კლასის) წარმოქმნის მოსაზრების გაზიარება ჭირს.

ცნობილია, რომ თავდაპირველად სახელთა მთელი სიმრავლე ორ კლას-

¹ აღსანიშნავია, რომ ანდიურში ეს ელემენტები უფრო ფუძის ფორმანტებია, ვინემ ბრუნვის ნიშნები.

ში იყო განაწილებული: I ადამიანის კატეგორია – ვინ? II ნივთის კატეგორია – რა? [ჩიქობავა 1979 : 89].

ჩვენი ვარაუდით, საწყის ეტაპზე ორკლასიან სისტემაში ადამიანის (ღვთაებათა) კლასი (განურჩევლად სქესისა) ფორმდებოდა **ჟ**- კლასის ექსპონენტით, ხოლო ნივთის კლასი (დანარჩენი ყველაფერი + ბავშვი და მისთ., რომლებიც ნივთებთან იყვნენ გათანაბრებული) – **ხ**- ექსპონენტით. პროგრესულ სამკლასოვან სისტემაში: I კლასი: **ჟ**- (ღვთაებანი, ასაკსრული მამაკაცები და მათთან გათანაბრებული არსებანი), II კლასი: **ა**- (ასაკსრული ქალები და მათთან გათანაბრებული არსებანი), III კლასი: **ხ**- (ნივთები და მათთან გათანაბრებული გონიერი თუ არაგონიერი არსებანი).

პროგრესულ ოთხკლასიან სისტემაში ნივთთა კლასი „მექანიკური განვითარებით“ (ჟ. დიუმეზილი) გაიყო და IV კლასის ნიშნად გამოყენებულ იქნა **დ**, რომელსაც სპონტანური ფონეტიკური ტრანსფორმაციით¹ განსხვავებული რეფლექსები ჩამოუყალიბდა: **რ, ა, ლ, ნ, მ**.

ისმის კითხვა: რა უნდა ყოფილიყო ცხოველ-ფრინველთა, მწერთა, ქვეწარმავალთა, საგანთა და მოვლენათა ორ კლასად გაყოფის მიზეზი და ამ კლასებში სახელთა განაწილების კრიტერიუმი?

თანამედროვე ადამიანის თვალთახედვით, უცნაურია, ნახურ და დიდოურ ენათა ჩვენებს თუ გავითვალისწინებთ, „წვერი“, „იატაკი“, „ჯოხი“... შედიოდეს მეორე კლასში, ხოლო „წყალი“, „პურეული“, „ენა“, „ცეცხლი“... IV კლასში იყოს გაერთიანებული. ასევე, ამჟამად ძნელად გასაგებია, რომ II კლ.: საკ. დიდ. იმუ „სადგისი“, ისი „თოვლი“, ზიგოლუ „სეტყვა“, ცამ „ნაცარი“, ქემ „ნაპრალი“, ჰიტუ „ფსკერი“, „ძირი“ და მისთ. უფრო ღირებული იყოს, ვიდრე IV კლასში შემავალი შემდეგი სახელები: რელ' „ხორცი“, ნუცი „თაფლი“, როკუ „გული“, ბეტუ „ცხვის ფრა“, ბირუს „სახნისი“, ღუთქუ „სახლი“, ოზური „თვალი“ და მრ. სხვ.

მეტად საინტერესოა იმდროინდელი ადამიანის აზროვნება გარემომცველ ბუნებასთან მიმართებითაც, თუ ყურადღებას გავამახვილებთ III-IV კლასების დიქოტომიისას ნივთთა სოციალური ღირებულების (რამდენად მნიშვნელოვანი და საჭირო იყო ესა თუ ის საგანი, ცხოველი თუ მოვლენა) ნიშნით სახელთა კლასიფიკაციაზე. საკვლევ ენათა მიხედვით, III კლასში ცხოველები, ფრინველები, მწერები, ქვეწარმავლები და მათი ნაშიერები, აგრეთვე, მცენარეთა, მშენებლობის, კვების პროდუქტების და ბუნების მოვლენების გამომხატველი ლექსიკა ერთიანდება. ამავე კლასში ექცევა ზოგი სომატური სახელი: საკ. დიდ. მეცუ „მკლავი“, მჭალი „ცხვირი“, რორი „ფეხის ტერფი“, ბჭადა „ყელი“, ბაშა „თითი“ და მისთ.

სომატური სახელების ნაწილი IV კლასში არის გადანაწილებული: ჰუტ „ბაგე“, აპ.იდა „ყური“, ახ „მუცელი“, ოზური „თვალი“, როკუ „გული“...

¹ საგულისხმოა, რომ **დ > რ > ა** პროცესი ფონემათმესატყვისობის დადგენილ წესებში არ ჯდება, ვინაიდან **დ** და **ა** იძლევიან ფონემათიგიეობას, ხოლო **რ** მცირეოდენი სახეცვლილებით (**რ > ხ** ვარშ. ლ...) რეალიზდება. ამიტომ **დ > რ** პროცესის კანონზომიერება ექვს ბადებს და დამატებით კვლევას მოითხოვს (ამაზე სხვა დროს).

თუ საკუთრივ დიდოურის მონაცემებს ანდიური ენის სათანადო სომატურ ტერმინებს შევუდარებთ, სხვაობა ნიშანდობლივი იქნება – ის, რაც ანდიურში III კლასისად გაიგება, საკუთრივ დიდოურში IV კლასის კუთვნილებას და პირიქით:

ანდიური ენა	დიდოური ენა	
III კლ.	IV კლ.	
ჰანტიკა	აჰიდა	„ყური“
ჰარკუ	ოზური	„თვალი“
სიმ	ჰუტ	„ბაგე“
მიწი	მეც	„ენა“
IV კლ.	III კლ.	
სოლ	კიცუ	„კბილი“
ლაჟუ	მეცუ	„მკლავი“, „ხელი“
რელილი	ჟუბი	„ღვიძლი“...

როგორც ზემომოყვანილი მაგალითები მოწმობენ, მონათესავე ენათა შორის სახელთა კლასიფიკაციაში თვალსაჩინო სხვაობანი იჩენენ თავს. განსხვავება შეიმჩნევა ერთი ენის დიალექტურ მონაცემებს შორისაც. ამიტომ უნდა დავასკვნათ: III-IV კლასთა დიფერენციაციის დროს თავდაპირველად სახელთა კლასიფიკაცია შეიძლება მოტივირებული იყო (ხდებოდა III გრ. კლასისთვის ცხოველ-ფრინველთა, მწერთა და მისთ. შერჩევა, IV კლასისთვის კი – დანრჩენი საგნებისა), ხოლო მოგვიანებით კი ამგვარი მოტივაციის¹ დაცვა აღარ ხერხდებოდა და კლასიფიკაცია, ჩანს, მეტ-ნაკლებად ნებისმიერად მიმდინარეობდა. სხვა შემთხვევაში ახლომონათესავე ენებში ერთნაირი შედეგი უნდა მიგველო, რაც ფაქტობრივ არ დასტურდება.

ლიტერატურა

აბდულაევი 2010 – И. Х. Абдуллаев, Лакский язык в историко-сравнительном освещении. Морфология. Махачкала.

ანდულაძე 1968 – ნ. ანდულაძე, კლასოვანი და პიროვანი უღვლილების ისტორიის ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში. თბილისი.

არდოტელი 1999 – ნ. არდოტელი, რ სონორის შესატყვისობანი დიდოურ ენებში. – საენათმეცნიერო ძიებანი, VIII. თბილისი.

არდოტელი 2009 – ნ. არდოტელი, ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ისტორიულ-შედარებითი ფონეტიკა. თბილისი.

¹ კლასიფიკატორების მიხედვით სახელთა განაწილების მოტივაცია ასოციაციებსა და ანალოგიებს დაემყარებოდა.

არდოტელი 2014 – ნ. არდოტელი, ბეჟიტური ენა. თბილისი.

ბოკარევი 1959 – Е. А. Бокарев, Цезские (дидойские) языки Дагестана. Москва.

გუდავა 1959 – Т. Е. Гудава, Сравнительный анализ глагольных основ в аварском и андийских языках. Махачкала.

გუდავა 1962 – ტ. გუდავა, ბრუნების ორი ტიპის ისტორიული ურთიერთიმარტებისათვის ხუნძურ-ანდიურ ენებში. – იკე, ტ. XIII. თბილისი.

გუდავა 1979 – Т. Е. Гудава, Историко-сравнительный анализ консонантизма дидойских языков. Тбилиси.

დიუმეზილი 2015 – ჟ. დიუმეზილი, შესავალი ჩრდილო-კავკასიურ ენათა შედარებით გრამატიკაში. თბილისი.

თოფურია 2003 – Г. В. Топуриа, К истории грамматических классов в восточнокавказских языках. – ЕИКЯ, XXII. Тбилиси.

თოფურია 1942 – ვ. თოფურია, გრამატიკული კლასები და მათი ექსპონენტები ლაკურ ენაში. – ენიმკი-ს მოამბე, XII. თბილისი.

იმნაიშვილი 1963 – Д. С. Имнайшвили, Дидойский язык в сравнении с гинухским и хваршийским языками. Тбилиси.

კლიმოვი 1986 – Г. А. Климов, Введение в кавказское языкознание. Москва.

მაჰომეტოვი 1980 – А. А. Магометов, К эволюции классной системы в дагестанских языках. – ВЯ, №1. Москва.

ჟირკოვი 1936 – Л. И. Жирков, Аварско-русский словарь. Москва.

ტრუბეცკოი 1987 – Н. С. Трубецкой, Избранные труды по филологии. Москва.

ჩიქობავა 1942^ა – არნ. ჩიქობავა, ნაცვალსახელთა ბრუნება ხუნძურში. – ენიმკი-ს მოამბე, ტ. XII. თბილისი.

ჩიქობავა 1942^ბ – არნ. ჩიქობავა, მეორე გრამატიკული კლასის (მდედრობითი სქესის) გენეზისისათვის მთის კავკასიურ ენებში. – საქ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, III, №4. თბილისი.

ჩიქობავა 2013 – არნ. ჩიქობავა, გრამატიკული კლასების ისტორიისათვის ხუნძურში. – შრომები, VII. თბილისი.

ჩიქობავა 1978 – А. С. Чикобава, Грамматические классы имен в иберийско-кавказских языках: общие вопросы системы и истории. – ЕИКЯ, V. Тбилиси.

ჩიქობავა 1979 – არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი. თბილისი.

ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 – არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე, ხუნძური ენა. თბილისი.

ჯავახიშვილი 1992 – ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. X. ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა. თბილისი.

NODAR ARDOTELI

On the Origin of the Second Grammatical Class in the Avar-Andi-Dido Languages

S u m m a r y

In the special literature the two contradictory attitudes about the genesis of II grammatical class are presented: 1) some scientists consider **j** as an initial sign of II grammatical class and disregard its historical connection to IV class (Iv. Javakhishvili, G. Topuria); 2) others explain the genesis of II class by means of the bifurcation of IV class and give reasons: a) the form proximity or coincidence of II and IV class-signs; b) the certain facts of the Avar declension; c) the data of Kartvelian languages (Arn. Chikobava, N. Andguladze). In the Linguistic Caucasology the second point of view is widely accepted.

The fact that II class of the Avar-Andi-Dido and Nakhian languages contain the words denoting unconscious living beings, things or phenomena not only of IV class but also of III class (Bez. **zoḵo** (a mushroom), **geni** (a pear); Chechn. **govr** (a house), **ča** (a bear) requires the verification of the second point of view.

It seems inconsistent to solve this question even according to the declension of languages to be studied. It is true that distinguishing the grammatical classes in the declension of nominals is tangible not only in the Avar but also in Andi-Dido languages but in Avar forming the attributive declension, compared to the period of the forms of II class, is a later phenomenon. As for considering the facts of the Kartvelian languages in order to find out the genesis of II class the equivalent sign (**j**) of II class does not appear in these languages neither the data distinguishing the classes of things (III, IV).

According to the author **j** (**j**<**r**<**d**) originating from the class-sign **ḡ** and Proto-Daghestanian **ḡ** should be of a different origin. Therefore, the genetic connection between II and IV classes should be neglected. The correctness of such interpretations, except the regularity of the form accordance, empowers the data of Chamal and Bezhta. If **we take them into account the individual dialects show the sonant j (r>j)**. This is obviously the result of the later phenomena as well as the transformation of the class-sign **r** (**r**>**l**) in Khvarshin.

მანანა ბუკია

**ქართველურ-აფხაზური ლინგვოკულტურული
ურთიერთობის ისტორიიდან. X. მოქმედების
აღმნიშვნელი სიტყვები**

ქართველურ-აფხაზური ხანგრძლივი და მჭიდრო ურთიერთობის კვალი ლექსიკის ყველა სფეროში შეინიშნება. გამონაკლისი არც მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვები აღმოჩნდა.

სტატიაში ძირითადად განხილულია საერთო წარმოშობისა და ქართველური ენობრივი სამყაროდან აფხაზურში შეთვისებული ფორმები.

ძირითადი ნაწილი ამ სიტყვებისა საერთოქართველური, ან ქართულ-ზანური ენობრივი ერთობის დროინდელია, ნაწილი სალიტერატურო ქართულის კუთვნილებაა, ნაწილი კი უშუალო მეზობლობის გამო მეგრულიდან უსესხებია აფხაზურს. მცირე ნაწილი ამ სიტყვებისა ორსავე ენაში შეთვისებულია, ძირითადად თურქულიდან.

1. საერთოქართველური და აფხაზური სიტყვები

გაზომვა (ქართ.) „ზომის აღება, ზომის გარკვევა, რისამე მოცულობის გარკვევა“ (ქეგლ II: 510), **ზიმუა** (მეგრ.) „გაზომვა“ (ჭარაია 1997: 67), **ლიზმი** (სვან.) „ზომვა“ (თოფურია 2000: 432) – **ა-ზარა** „გაზომვა“ (ჯანაშია 1954: 108); საერთო წარმოშობისად მიიჩნევს პ. ჭარაია (ჭარაია 1912: 24).

დაკავება „დაკავება, გაკავება, გაჩერება; დაჭერა, დაპატიმრება“ (ქეგლ III: 442), **დაკება** (მეგრ.) „დაკავება“ (ჭარაია 1997: 56), **ლიკუტენი** (სვან.) „დაჭერა, დაკავება“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 260) – **ა-კრა** „დაჭერა“ (უსლარი 1887: 142), **ა-კვრა** „id“ (ჭარაია 1912: 26); პ. ჭარაიას თვალსაზრისით ქართ. **კა**, მეგრ. **კვ**, აფხ. **კვ** ნათესაობას ამჟღავნებს (ჭარაია 1912: 27). ხ. ზღაპბაც იმეორებს შეხედულებას **კავება** და **ა-კრა** ძირთა საერთო წარმოშობის შესახებ (ზღაპბა 1948: 42)

კაკანი „1. ქათმის ხმიანობა. 2. კაკანის მსგავსი წვრილი ხმით სიმღერა; კაკანივით გაბმული ლაპარაკი. 3. გადატ. გაბმული სროლის ხმა“ (ქეგლ IV: 1025), **კაკანი** „ქათმისა და კაკბის ჯმიანობა“ (საბა 1991: 347), **კარკალი** (მეგრ.) „კაკანი“ (ციფშიძე 1914: 252); **კარკაც** (სვან.) „კაკანი ქათმისა“ (კლიმოვი 1964: 105) – **ა-კაკარა** „კაკანი“ (ჯანაშია 1954: 140);

ა-კარკარა „id“ (შაყრილი 1986: 300); ხმაბამვითი სიტყვებია და ნათესაობის დასამტკიცებლად ნაკლებად გამოდგება (ჭარაია 1912: 27), თუმცა აფხაზურ სიტყვათა ვარიანტები გვაგვარაუდებინებს, ქართველურ ენათა გავლენა იგრძნობა, პირველი ფორმა ქართულიდანაა შეთვისებული, მეორე კი – მეგრულიდან (სხვა ხმაბამვით სიტყვებზე იხ. ქვემოთ).

ტება „რაიმე მაგარი საგნის ნაწილებად ქცევა ძალის მიყენებით, და-რტყვით“ (ქეგლ VI: 1284), **ტახუა** (მეგრ.) „ტება“ (ჭარაია 1997: 128), **ოტახუ** (ლაზ.) „ტება; სიმინდის ალება“, **ლატხი** (სვან.) „სატეხი, წერაქვი“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 432) – **ა-ტებრა** (ზზ.) „მეორედ გათოხნა“ (ბლაჟბა 1964: 209). აბჟურში ამ სემანტიკით გვხვდება საკუთრივ აფხაზური **ა-გენცალა** (გვანცელაძე 1997: 224). შესაბამისად, ბზიფურში წარმოდგენილი ფორმა ქართულიდანაა ნასესხები.

2. ქართულ-ზანური და აფხაზური სიტყვები

ამ მონაკვეთში განიხილება არა მხოლოდ დიაქრონიულად წარმოდგენილი ქართულ-ზანური ფუძე-ფორმები, არამედ ის სიტყვებიც, რომლებიც პოვნირია ორსავე ენაში (ზანურში ნასესხებია ქართულიდან):

ადგომა „სახელი ადგება ზმნის მოქმედებისა“ (ქეგლ I: 116), **ედგინა** (მეგრ.) „id“ (ჭარაია 1997: 63), **დოდგინუ** (ლაზ.) „დადგომა“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 168) – **ა-გელარა** „id“ (უსლარი 1887: 128); ფორმები შეაპირისპირა პ. ჭარაიამ (ჭარაია 1912: 22). მკვლევარი მიიჩნევს, რომ საერთო წარმომავლობის სიტყვებია.

ზანდალი „კუთხ. (იმერ.) უილაჯოდ სიარული ღონემიხდილის სიარული, – ლასლასი, ბარბაცი“ (ქეგლ I: 968), **ზანდალი** (მეგრ.), **ზანდალი** (ლაზ.) „ბარბაცი“ (ჩიქობავა 2008: 251) – **ა-ზანდაღიერა** „სიარული, ზანდალი“ (გენკო 1998: 49); სიტყვა აფხაზურში ქართულიდანაა შეთვისებული (შაგიროვი 1989: 151).

ბაქიაობა / ბაქიობა „ტყუილ-უბრალო ქადილი, – კვებნა, ტრაბახი“ (ქეგლ I: 997) **ბაქინი** (მეგრ.) „ბაქიაობა“ (ქაჯაია 2001: 226) – **ა-ბაქრა** „ბაქიობა“ (კასლანძია 2005: 218). ვფიქრობთ, სიტყვა აფხაზურში ქართულიდანაა შეთვისებული.

გაკეთება „1. შრომით რისამე შექმნა. 2. გამდიდრება“ (ქეგლ II: 616), **კეთება** (მეგრ.) „კარგად ყოფნა, გამდიდრება“ (ქაჯაია 2002: 115) – **ა-რკათარა** „გაბედნიერება“ (ჯანაშია 1954: 238); სიტყვა აფხაზურში ქართულიდანაა შესული (ლომთათიძე 1999: 25).

გამოკოპიტება „კუთხ. (გურ. იმერ. რაჭ.) შავად გამოთლა, გამოჭრა, გამოჩორკნა“ (ქეგლ II: 781), **გოკოპიტუა** (მეგრ.) „გაკოპიტება“ (ჭარაია 1997: 52) – **ა-კოპტიერა** „გამოკოპიტება“ (ჯანაშია 1954: 149); სიტყვა აფხაზურში ქართულიდანაა შესული (ლომთათიძე 1976: 149).

დავა „1. კამათი, პაექრობა; 2. საჩივარი“ (ქეგლ III: 296), **დავა** (მეგრ.) „დავა“ (ქაჯაია, 2001, 426) – **ა-დაურა** (აბჟ.) „კამათი“ (კასლანძია 2005: 335). სიტყვა მეგრულსა და აფხაზურში ქართულიდანაა შესული.

დახვეწა „სახელი დახვეწს ზმნის მოქმედებისა. 1. ხვეწით დასუფთავება, გაწმენდა. ძაფის დახვეწა. 2. გადატ. გამართვა, გამალაშინება, გაწმენდა, გაფაქიზება“ (ქეგლ III: 1075) **ხვეწა** (მეგრ.) „ხვეწა“ (ჭარაია 1997: 178) – **ა-ხაწრა** „დახვეწა (ქსოვის ელემენტი)“ (ჯანაშია 1968: 171). სიტყვის როგორც ფონეტიკური, ისე სემანტიკური („ძაფის დახვეწა“) მნიშვნელობა გვაგვარაუდებინებს, რომ აფხაზურში ქართულიდანაა შესული.

დახმარება „შემწეობის აღმოჩენა, მიშველება, შველა; ხელის გამართვა“ (ქეგლ III: 1080), **მოხმარება** „1. რისამე გამოყენება, რამეთი სარგებლობა; 2. დახმარების გაწევა, შემწეობის აღმოჩენა“ (ქეგლ V: 1104), **მოხვარა** (მეგრ.) „მოხმარება“ (ყიფშიძე 1914: 402) – **ა-ხარა** „დახმარება“ (უსლარი 1887: 168); 3. ჭარაია მიიჩნევს, რომ სიტყვა აფხაზურში ქართველურიდანაა შესული (ჭარაია 1912: 41).

პატივისცემა „1. პატივით მოპყრობა, – თავაზიანი, მოწიწებული დამოკიდებულება. 2. გადატ. პურ-მარილით გამასპინძლება“ (ქეგლ VI: 150), **პატივისცემა** (მვ. ქ.) „პატივის მიგება“ (აბულაძე 1973: 338), **პატიცემა** / **პატიმიცემა** / **პატიმიშეცემა** (მეგრ.) „პატივისცემა“ (ქაჯაია 2002: 478) – **ა-პატეჟეწარა** „პატივისცემა“ (შაყრილი 1987: 15). აფხაზურში ქართულიდანაა შესული.

სიცილი „სიხარულის, მხიარულების, კმაყოფილების გამოხატვა სპეციფიკური წყვეტილი ხმებით, რომელთაც თან ახლავს ხშირი და ძლიერი ამოსუნთქვა“ (ქეგლ VI: 1099), **სიცილი** „კისკასი, ხარხარი, თქართქარი“ (ჩუბინაშვილი 1887: 1183); **ძიცა** (მეგრ.) „სიცილი“ (ყიფშიძე 1914: 375); **ოძიცინუ** (ლაზ.) „სიცილი“ (მარი 1910: 217) **სიცნალ** (სვან.) „id“ – **ა-ჩჩა-რა** „სიცილი“ (ჯანაშია 1954: 345); ივარაუდება, რომ სიტყვები საერთო წარმომავლობისაა (ჭარაია 1912: 48; ბლაჟბა 1948: 41)

ფართხალი 1. მთელი სხეულით უნებული და უმწეო მოძრაობა; 2. ძაგმაგი“ (ქეგლ VII: 27) **ფართხალი** (მეგრ.) „ფართხალი, მიწაზე დაგდებული სულდგმულის მოძრაობა“ (ჭარაია 1997: 133); **ოფურთხუ** / **ოფუთხინუ** (ლაზ.) „აფრენა“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 458) – **ა-ფართხალიერა** „ძნელად გადაადგილება“ (შაყრილი 1987: 31); აფხაზურში შესულია ქართულიდან (შაგიროვი 1989: 151).

ფრენა „1. ფრთების მოძრაობა, სვლა ჰაერში; 2. გადატ. მეტისმეტად სწრაფად სირბილი, – ქროლა“ (ქეგლ VII: 169), **ფურინუა** (მეგრ.) „ფრენა“ (ყიფშიძე 1914: 339) – **ა-ფგრრა** „ფრენა“ (უსლარი 1887: 153); ხმაბაძვითი სიტყვებია. 3. ჭარაია ამ ფორმებს უკავშირებს მეგრულ **ფარფალ**-ს „პეპელა“ (ჭარაია 1912: 35). შდრ. უდიური **ფურ**-, არჩ. **ფარხ**- (კლიმოვი 1964: 190), ასევე აზაზ. **ფგრრა**, უბიხ. **ფგრ** „ფრენა“ (ჩუხუა 2006: 59)

შეშინება „შიშის მოგვრა, გამოწვევა, განცდა (განცდევილება), შიშისაგან შეკრთომა; დაფრთხობა, დაფეთება“ (ქეგლ VII: 1296), **შქურინი** „შიში“

(ციფშიძე 1914: 360) – **ა-შარა** „შიში“ (უსლარი 1887: 53). ფორმები შეაპირისპირა პ. ჭარაიამ (ჭარაია 1912: 53).

ცლა „1. სახელი ცლის, იცლება ზმნათა მოქმედებისა; 2. იგივეა, რაც განმუხტვა“ (ქეგლ VIII: 639); **ჩოლუა** (მეგრ.) „დაცლა“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 590) – **ა-თა-რ-ც-რა** „დაცლა“; ხ. ბლაჟბა მიიჩნევს საერთო ძირად ორივე (ქართულ-აფხაზური) ენისთვის (ბლაჟბა 1948: 42).

წებვა „წებოს საშუალებით მიკვრა, დაკავშირება“ (ქეგლ VIII: 1041), **ჭაზუა** (მეგრ.) „id“ (ციფშიძე 1914: 385), **მეჭაზუ** (ლაზ.) „მიწებება“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 662) – **ა-ჭაზრა** „id“ (ჯანაშია 1954: 393); **ჭაზგა** „წებვისთვის გამოსაყენებელი ფუნჯი“ (შაყრილი 1987: 425); აფხაზურში შესულია მეგრულიდან (მაჭავარიანი 1966: 165).

ჭამა „1. საკვების, საჭმლის პირში მოქცევა, ღეჭვა და ყლაპვა“ (ქეგლ VIII: 1224), **ჭკომუა** (მეგრ.) „ჭამა“ (ციფშიძე 1914: 391), **ოჭკომუ** (ლაზ.) „ჭამა“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 681) – **ა-ჭამჭამრა** „ჭამა“ (შაყრილი 1987: 426). ჩანს, აფხაზური ფუძეგაორკეცებული ფორმა ქართულიდანაა ნასესხები.

3. საკუთრივ ქართული და აფხაზური სიტყვები

აოშვა „ხელმეორედ არაღრმად მოხვნა, გაფხვიერება“ (ქეგლ I: 517), **აოშვა** „მეორედ ხვნა“ (ჩუბინაშვილი 1887: 41) – **ა-შარა** „მარგვლა“ (ჯანაშია 1954: 336); ფორმები შეაპირისპირა ქ. ლომთათიძემ (ლომთათიძე 2000: 234). მკვლევარი მიიჩნევს, რომ აფხაზური სიტყვა ქართულიდანაა ნასესხები.

გაკოტრება „კრახი“ (ქეგლ II: 625) – **ა-კატრაჰარა** „გაკოტრება“ (შაყრილი, 1986, 339). სიტყვა აფხაზურში ქართულიდანაა შესული.

კამკამი „სინათლის გამოკრთომა, წმინდა შუქის გამოცემა, ელვარება გამჭვირვალე საგნისა, – ციმციმი, კიაფი“ (ქეგლ IV: 1044), **კამკამი** „კამკამება, მჭვირვალე ელვარებით; **ციმციმი** ნაკადულთა“ (ჩუბინაშვილი 1887: 591) – **ა-კამკამრა** „თვალების ბრწყინვა, კამკამი“ (შაყრილი 1986: 296). სესხების მიმართულეაზე საუბარი ძნელია, ფაქტია, რომ საერთო ფუძესთან გვაქვს საქმე.

მოთქმა „ხმამალა ტირილი, ტირილით გლოვა, გოდება, ვაება“ (ქეგლ V: 686) – **ა-მეტკმა** „მოთქმა“ (ჯანაშია 1954: 200); სიტყვა აფხაზურში ქართულიდანაა შესული (შაგიროვი 1989: 142).

სწავლა „1. ცოდნის შეძენა, განათლების მიღება. 2. განათლება, ცოდნა“ (ქეგლ VI: 1209) – **ა-წარა** „სწავლა“ (ჯანაშია 1954: 380); მიიჩნევა საერთო ქართველურ-აფხაზურ ძირად (ჭარაია 1912: 46).

ქვითინი „უსიტყვოდ, მაგრამ ხმით ტირილი, ნაწყვეტ-ნაწყვეტად გულამოსკვნით ტირილი, – ქვითქვითი“ (ქეგლ VII: 318), **ქვითინი** „გულის ამოსკვნით ტირილი“ (ჩუბინაშვილი 1887: 1338) – **ა-ქვით** „ქვითინი“ (გვან-

ცელაძე 2003-ა: 212). შესაძლოა, ქართული და აფხაზური ფორმები საერთოდირს შეიცავდეს.

შრობა „სველის მშრალად ქცევა, სისველის კლება“ (ქეგლ VII: 1438) – **ა-შარგლარა** „ძროხის გაშრობა“ (ჯანაშია 1954: 332); აფხაზური რთული ტერმინის პირველი კომპონენტი ქართულ **შრ**-ობა ძირს უკავშირდება, ხოლო მეორე – **-ლა** აფხაზური ზმნური სუფიქსია იქითა მიმართულებისა (ლომთათიძე 1999: 26). შესაბამისად, სიტყვის ძირი ქართული წარმომავლობისაა.

ჩვენება „დანახვება“ (ქეგლ VIII: 496), **ჩვენება** „მოჩვენება ან სიზმარი“ (ჩუბინაშვილი 1887: 1576) – **ა-ჩანაზა** „ჩვენება“ (ჯანაშია 1954: 343). აფხაზურში შესულია ქართულიდან – აფხაზური ნასესხებ სიტყვებში ვერ ახერხებს სათანადო შიშინა აფრიკატა ლაბიალურ კომპლექსში შენარჩუნებას და ჩამოშორდება ლაბიალური კომპონენტი (ამ შემთხვევაში ვ), ამასთანავე ე > ა (ლომთათიძე 1976: 222).

ციალი „მცირე რამ ელვარება (საბა), – ციმციმი“ (ქეგლ VIII: 613) – **ა-ცეირა** „ბრწყინვა“; ხ. ბლაჟბა მიიჩნევს, რომ **ც-** საერთოდ ქართველურ-აფხაზური ძირია (ბლაჟბა 1948: 42).

4. ზანური და აფხაზური სიტყვები

ზანძლი (მეგრ.) „დავა, დავიდარაბა, აყალმყალი, ალიაქოთი; ჩხუბი“ (ქაჯაია 2001: 217) – **ა-ზანძლ** „სკანდალი“ (კასლანძია 2005: 220). სიტყვა აფხაზურში მეგრულიდანაა შესული (ბუკია 2010: 9)

ზარბალი / **ზარბალუა** (მეგრ.) „ყბედობა“; **ოზარბალუ** (ლაზ.) „ყბედობა, ბოდვა“ (მარი 1910: 129) – **ა-ზარბარა** „ყბედობა, ხმამაღლა ლაპარაკი, ფუჭსიტყვაობა“ (კასლანძია 2005: 221).

გადღანება (მეგრ.) გაკვირვება; დამრახვა, დაწუნება; მოქმედების, საქციელის დაგმობა“ (ქაჯაია 2001: 280) – **ა-გვბდან** „საყვედური“ (გენკო 1998: 69; შდრ. **ვვბდან** „წყენა, უკმაყოფილება“ (აბრლ 1967: 137). გ. კლიმოვი აფხაზურ ფორმას ადილეურიდან შეთვისებულად მიიჩნევს, თუმცა იქვე დასძენს, რომ ადილეურ ნიადაგზეც საკმაოდ ნათელი არაა ფუძის აგებულება (კლიმოვი 1968: 292). შესაძლოა, მეგრული და აფხაზური საერთოდ ძირითაა წარმოდგენილი.

გაჩეჩება (მეგრ.) „გათამამება, განებივრება“, **გაჩეჩებული** „გათამამებული“ (ქაჯაია 2009: 64) – **არჩაჩატრა** „id“ (რალ 1964: 31). მეგრული ფორმა სემანტიკის გადაწვეით ქართულ **ჩეჩეჩე**-ს უკავშირდება. სავსებით დასაშვებია, აფხაზურს მეგრულისგან ესესხებინოს სიტყვა.

დიხაშ ნწალუა (მეგრ.) „მიწის დაქცევა, მიწისძვრა“ (ქაჯაია 2001: 477) – **ა-დგვლწვსრა** „მიწისძვრა“ (ჯანაშია 1954: 94). აფხაზური სიტყვის პირველი ნაწილი **ა-დგვლ** ქართულიდანაა ნასესხები. ვვარაუდობთ, რომ **წვსრა** ფორმასაც კავშირი უნდა ჰქონდეს მეგრულ **ნწალუა**-სთან.

ვარკალი (მეგრ.) „ბრჭყვიალი, ბრწყინვა“ (ქაჯაია 2001: 581); **ვარკალა** „კრიალა“ (ქობალია 2010: 305) – **ა-ტარკალიერა** „ბრჭყვიალი“ (შაყრილი 1987: 186); **ა-ტარკალემ** „ბრწყინვალე“ (რალ 1964: 503). მეგრულსა და აფხაზურში საერთო ფუძეები ჩანს.

კვარკვალი „ტრიალი“ (ქობალია 2010: 359); **კვარკვაში** (მეგრ.) „ტრიალი, ბრუნვა; პატარა გუნდად დახვევა; მატყლის ქულეზად მომზადება“ (ქაჯაია 2002: 125) – **ა-კარკალიერა** „ტრიალი“ (შაყრილი 1986: 338); **ა-კარკაშა** (აბჟ.) „კოჭი“ (კასლანძია 2005: 528). ორივე აფხაზური ფორმა პირველადი და გადაწეული სემანტიკით აფხაზურში მეგრულიდანაა შესული.

პარტყალი (მეგრ.) „ტიკტიკი, პურტყუნ“ (ჭარაია 1997: 112) – **ა-პატყალიერა** „ტიტინი“ (ჯანაშია 1954: 219); სიტყვა აფხაზურში ქართულიდანაა შესული (ლომთათიძე 1976: 149).

ტყვაცი (მეგრ.) „მეხის გავარდნა“ (ყიფშიძე 1914: 331), **ტყვაცუა** (მეგრ.) „ტკაცანი, ტკრციალი“ (ჭარაია 1997: 130), **ტყვაცუნ** (ლაზ.) „ფეთქდება“, **ლი-ტყვანე** (სვან.) „დარტყმა“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 446) – **ა-ტყვაცრა** „სკდომა, ხეთქვა, ქუხილი, აფეთქება“ (გენკო 1998: 230). სიტყვა აფხაზურში მეგრულიდანაა შეთვისებული (გვანცელაძე 1998: 105)

დანჯი (მეგრ.) „ჟანგი“ (ყიფშიძე 1914: 349) **დანჯამ გური** „ბოდმიანი გული“ – **ა-დანჯ** (აბჟ.), **ა-დანჯ** (ზზ.) „გაბრაზება“ (ბლაჟბა 1964: 219), **ანჯ** (ზზ.) „id“ (შაყრილი 1986: 20). ქართულმა **ჟანგ**-მა მეგრულში მნიშვნელობა გაიფართოვა და „ბოდმის“, „მტრობის“, „ბრაზის“ სემანტიკა მიიღო, ასეთივე მნიშვნელობით შეითვისა აფხაზურმა.

დაჭალი (მეგრ.) „ხმამალა ლაპარაკი, ჩხუბი“ (ყიფშიძე 1914: 349) – **ა-დაჭალიერა** „უაზრო ლაპარაკი“ (შაყრილი 1986: 182). სიტყვა აფხაზურში მეგრულიდანაა შეთვისებული.

ჩხარჩხალი (მეგრ.) „წყლის ხმიანობა“ (ქაჯაია 2002-ა: 327) – **ა-ჩაჩხალემ** (აბჟ.), **ა-ლაკარ** (ზზ.) „საწვიმარი ღარი“ (ბლაჟბა 1964: 205), **ა-ჩგჩხალემ** „id“ (კასლანძია 2005-ა: 525). აბჟური ფორმა სემანტიკის გადაწევით მეგრულიდანაა ნასესხები.

წურუა (მეგრ.) „დაკვალვა“; **დიხამ წურუა** „სახნავში ხვნის დროს შორიშორს კვლის გავლება, – კვლების გაკეთება“ (ქაჯაია 2002-ა: 444), **წურუა** (მეგრ.) „მიწის ფართობის საზომი ერთეული“ (ჯავახიშვილი 1987: 240) – **ა-წრუა** (აბჟ.), **ა-ლაზა** (ზზ.) „ნახნავი, ხნული“ (ბლაჟბა 1964: 209); აბჟური ფორმა მეგრულიდანაა ნასესხები, ზიფური კი – ქართულიდან.

ჭაკუა (მეგრ.) „სხმა“ (ჭარაია 1997: 170), „ასხმა“ – **ა-ჭაკრა** (აბჟ.), **ა-რფხრა** (ზზ.) „თამბაქოს, ხახვის, ხილის შეკვრა, კონა“ (ბლაჟბა 1964: 209); აფხაზურში შესულია მეგრულიდან (შაგროვი 1989: 145). შდრ. **ა-ჭაკგა** (აბჟ.) „ფოლადის ნემსი, თამბაქოს ასასხმელი“ (კასლანძია 2005-ა: 528).

ჭყინჭყოლუა (მეგრ.) „ჭმუჭნა, სრესა“ (ქაჯაია 2002-ა: 500) – **ა-ჭკვანჭკვალერა** „ტანსაცმლის ჭმუჭნა“ (შაყრილი 1987: 428).

ხანდა (მეგრ.) „შრომა, გარჯა“ (ციფშიძე 1914: 397) – **ა-ხანდერა** „შრომა“ (შაყრილი 1987: 215); აფხაზურში შესულია მეგრულიდან (შაგიროვი 1989: 151).

ხორუა (მეგრ.) „დასახლება“ (ციფშიძე 1914: 407) – **ა-ნხარა** „დასახლება“ (ჯანაშია 1954: 212); ფორმები შეაპირისპირა პ. ჭარაიამ (ჭარაია 1912: 30); შდრ.: ქართ. სა-ხ-ლი : მეგრ. ო-ხორ-ე „სახლი“ : ლაზ. ო-ხორ-ი : სვან. ქორ „სახლი“.

აქვე წარმოვადგენთ ხმაბაძვით სიტყვებს, რომლებიც გვხვდება ქართველურსა და აფხაზურში. ზოგადად, ასეთ სიტყვათა ურთიერთნასესხობაზე, მითუმეტეს, სესხების მიმართულებაზე მსჯელობა ჭირს, მაგრამ ფაქტი, რომ ეს სიტყვები ერთნაირი ფონეტიკური მასალითაა წარმოდგენილი, გვაპარაუდებინებს საერთო წარმომავლობაზე, ან ენათა ურთიერთგავლენაზე:

პაპაფი (მეგრ.) „მოწევა, მოქაჩვა თამბაქოსი“ (ქაჯაია 2002: 475) – **ა-პაქ** „ხმაბაძვითი სიტყვა, მოწევისას გამოცემული“ (შაყრილი 1987: 8)

პარპალი (მეგრ.) „ყბედობა“ (ციფშიძე 1914: 297) – **ა-პარპარა** „ყბედობა“ (რალ 1964: 57).

ღრენა „გაჯავრებული მხეცის, ძაღლის... შემტევი, მუქარით, წყრომით ხმიანობა“ (ქეგლ VII: 472), **ღრენა** „ბდღვინვა მხეცთა, ძაღლთა“ (ჩუბინაშვილი 1887: 1366), **ღირინი** (მეგრ.) „ღრენა“ (ციფშიძე 1914: 351), **ოდირინუ** (ლაზ.) „ღრენა“ (ქუთელია 2005: 58) – **ა-ღღრა** „ღრენა“ (ჯანაშია 1954: 312), **ა-ღღრა** „id“ (შაყრილი 1986: 183).

ყმუილი „მგლის, ძაღლისა და მისთანათა გაბმული ხმიანობა“ (ქეგლ VII: 558), **ყურაფი** (მეგრ.) „ყმუილი, ყუვილი“ (ჭარაია 1997: 150) – **ა-უურა** „ღმუილი, დაღმუილება“ (ჯანაშია 1954: 272).

ყვირილი „ხმამალა ძახილი ადამიანისა (ქეგლ VII: 539) – **ა-ყარა** „ყვირილი, ღმუილი“ (კასლანძია 2005: 579).

წირწინი (მეგრ.) „წუილი; ხმადაბლა ტირილი, წრუწუნნი, წრიპინი“ (ქაჯაია 2002-ა: 422) – **ა-წერწერა** „წრიპინი“ (ჯანაშია 1954: 389), **ა-წერწერზე** „წრიპინი, ხმადაბალი ტირილი“ (კასლანძია 2005-ა: 498).

ჭარჭალი (მეგრ.) „ჭიკჭიკი“ – **ა-ჭარჭალიერა** „ხმაბაძვითი სიტყვა, რომელიც გამოხატავს ბავშვის ხმიანობას, ზოგადად, ჭრიჭინს“ (შაყრილი 1987: 427).

ჭირჭინი (მეგრ.) „ჭიკჭიკი“ (ჭარაია 1997: 171), **ლიკერკენი / ლიკერეჰი** (სვან.) „ჭიკჭიკი“ (თოფურია 2000: 483) – **ა-კერკერა** „ჭიკჭიკი“ (რალ 1964: 232), **ა-კერკენ** „id“ (შაყრილი 1987: 431).

ჭურჭული (მეგრ.) „ჭიკჭიკი, ჟღურტული“ (ქაჯაია 2002-ა: 492) – **ა-ჭარჭალიერა** „ხმაბაძვითი სიტყვა, გამოხატავს ბავშვების ხმაურს, ზოგადად ჟრიამულს“ (შაყრილი 1987: 427)

ხარჩალი (მეგრ.) „წყლის ჩხრიალით, ჩუხჩუხით დინება; ჩქევა“ (ქაჯაია 2002-ა: 518) – **ა-ნარჩ** „წყლის ხმიანობა“ (შაყრილი 1987: 259).

ხული „ხმაბაძე, მდინარის ან ქარის ხმაური“ (ქეგლ VIII: 1523) –
ა-ხაარა „ბლავილი“ (ჯანაშია 1954: 419).

5. ნასესხები სიტყვები

ამანი (მეგრ.) „ბოდიში, პატიების თხოვნა“ (ქობალია 2010: 35) – **ა-მან**
 „პატიება“ (გენკო 1998: 163). ამანი თურქულად შეწყალებას, შებრალებას
 ნიშნავს „ამანი მისცა“ – მტრის დანებება მიიღო“. „ციხე ამანით დაიპყრო“
 – ციხე უბრძოლველად ჩაიბარა. „ამანი თქვა“ – დამორჩილდა (ფუთური-
 ძე 1973: 131).

ქეიფი [არაბ. ქეიფ] „1. ლხინი, დროსტარება, ნადიმი ღვინის სმით, –
 ღრეობა. 2. გუნებ-განწყობილება, მხიარულ, კარგ გუნებაზე ყოფნა“ (ქეგლ
 VII: 285), **ქეიფი** „(სპ.) შექცევა, განცხრომა“ (ჩუბინაშვილი 1887: 1332), **ქეფი** /
ქეეფი / **ქეიფი** (მეგრ.) „ქეიფი, ლხინი“ (ყიფშიძე 1914: 342), **ქეიფ** (სვან.) „ქე-
 იფი“ (თოფურია 2000: 782) – **ა-ქაჭ** „ქეიფი“ (ჯანაშია 1954: 308).

ღალატი „[არაბ. **ღალატ** „შეცდომა, დანაშაული“] 1. გამცემლობა,
 ვერაგობა, ორგულობა; 2. სხვაზე გაცვლა, ორგულობის გამოჩენა, მოვალე-
 ობის უგულვებელყოფა, – მოტყუება; 3. გადადგომა, ზურგის შექცევა თავი-
 სი რჯულის, წესის და მისთ.“ (ქეგლ VII: 392) – **ა-ღალათრა** (აბჟ.) „ღალა-
 ტი“ (გენკო 1998: 76). ეს უკანასკნელი ქართველურიდანაა ნასესხები აფხა-
 ზურში.

ჯაფა [არაბ. ჯაჰა] „მძიმე შრომა“ (ქეგლ VIII: 1565), **ჯაფა** „(არაბ.)
 ძნელი მუშაობა, სარჯელი“ (ჩუბინაშვილი 1887: 1766) – **ა-ჯაბაა** „ჯაფა“
 (უსლარი 1887: 132), **ა-ჯა** (შაყრილი 1987: 543).

ლიტერატურა

აბრლ 1967 – Абазинско-русский словарь. Москва.

აბულაძე 1973 – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი,
 თბილისი.

ბუკია 2010 – მ. ბუკია, ქართველური ლექსიკა ვ. კასლანძიას „აფხა-
 ზურ-რუსულ ლექსიკონში“, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტი-
 ტუტის 69-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

ბლაქა 1948 – Х. Бгажба, Общие корни (и основы) в абхазском и
 картвельских языках, иберийულ-კავკასიური ენათმეცნიერება, II, თბილისი

ბლაქა 1964 – Х. С. Бгажба, Бзыбский диалект абхазского языка, Тбилиси

გენკო 1998 – Н. А. Генко, Абхазско- русский словарь, Сухуми.

გვანცელაძე 1997 – თ. გვანცელაძე, აფხაზეთის ისტორიოგრაფიის ლინგვისტური საფუძვლები. დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.

გვანცელაძე 1998 – ტაპონიმ „ტყვარჩელისა“ და ყოჩივარდას მეგრული სახელწოდებების ეტიმოლოგიისათვის, ქართველური ონომასტიკა, ტ. I, თბილისი.

გვანცელაძე 2003 – თ. გვანცელაძე, აფხაზური და ქართველური ენების შემსწავლელთათვის, ქართულ-აფხაზური ლექსიკონი, ტ. II, თბილისი.

თოფურია 2000 – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი.

კასლანძია 2005 – В. А. Касландзия, Абхазско- русский словарь, т. I, Сухуми.

კასლანძია 2005-ა – В. А. Касландзия, Абхазско- русский словарь, т. II, Сухуми.

კლიმოვი 1964 – Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва.

კლიმოვი 1968 – Г. А. Климов, Абхазско-адыгские этимологии II (заимствованный фонд). Этимология-1966, Москва.

ლომთათიძე 1976 – ქ. ლომთათიძე, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ – შედარებითი ანალიზი, I, ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები, თბილისი.

ლომთათიძე 1999 – ქ. ლომთათიძე, აფხაზურსა და ქართველურ ენებში არსებული ზოგი საერთო ფუძის ნასესხობის მიმართულებებისათვის, ჩიქობავას საკითხავები – X. თბილისი.

ლომთათიძე 2000 – ქ. ლომთათიძე, მიწათმოქმედების დარგის ერთი საერთო ზმნური ფუძე ქართულსა და აფხაზურში და მისი ეტიმოლოგიის ცდა, ქართველური მემკვიდრეობა, IV, ქუთაისი.

მარი 1910 – Н. Я. Марр. Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматиею и словарем. С.-Пб.

მაჭავარიანი 1966 – გ. მაჭავარიანი, სუბსტრატის საკითხისათვის დასავლურ-ქართველურ (ზანურ-სვანურ) ენობრივ არეალში, იკვ. XV, თბილისი.

რალ 1964 – Русско-абхазский словарь, гл. ред. Х. С. Бгажба, Сухуми

საბა 1991 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბილისი.

უსლარი 1887 – П. К. Услар. Этнография Кавказа. Языкознание. Абхазский язык. Тифлис.

ფენრიხი, სარჯველაძე 2000 – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

ფუთურიძე 1973 – ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიძემ, ნაკვ. II, გამოკვლევა, კომენტარები, თბილისი.

- ქაჯაია 2001** – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბილისი.
- ქაჯაია 2002** – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბილისი.
- ქაჯაია 2002-ა** – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. III, თბილისი.
- ქაჯაია 2009** – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. IV (დამატებული), თბილისი.
- ქეგლ** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი, 1955-1964.
- ქობალია 2010** – ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი.
- ქუთელია 2005** – ნ. ქუთელია, ლაზურის ფონემატური სისტემა, თბილისი.
- ყიფშიძე 1914** – И. А. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем. С.-ПБ.
- შაგიროვი 1989** – А. К. Шагиров, Заимствованная лексика абхазско-адыгских языков. Москва.
- შაყრილი 1986** – К. С. Шакрыл, В. Х. Конджария, Яловарь абхазского языка, т. I, Сухуми.
- შაყრილი 1987** – К. С. Шакрыл, В. Х. Конджария, Л. П. Чкадуа, Яловарь абхазского языка, т. II, Сухуми.
- ჩიქობავა 2008** – არნ. ჩიქობავა, შრომები, ტ. IV, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.
- ჩუბინაშვილი 1887** – დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, ს.-პბ Д. Чубинашвили, Грузино-русский словарь, С.-Пб.
- ჩუხუა 2006** – მ. ჩუხუა, ლაზიალურ თანხმოვანთა შესატყვისობისათვის ქართველურსა და აფხაზურ-ადიღურ ენებში, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 65-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.
- ჭარაია 1912** – П. Чарая, Об отношении абхазского языка к яфетическим, МЯЯ, IV, С.-Пб.
- ჭარაია 1997** – პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.
- ჯავახიშვილი 1987** – მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის. ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით, ტ. IV, ნაწ. II. სოფლის მეურნეობის დარგები, თბილისი.
- ჯანაშია 1954** – ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.
- ჯანაშია 1968** – ს. ჯანაშია, ეთნოგრაფია, შრომები, ტ. IV, თბილისი.

MANANA BUKIA

From History of Georgian-Abkhazian Linguistic and Cultural Relations. X. Words Denoting Action

S u m m a r y

The paper deals with the words denoting an action that are attested in the Georgian and Abkhazian languages. The adoption is discussed.

In Abkhazian a certain part of the words were adopted from the Kartvelian language fund and others from Megrelian. There are a few words that are adopted in both languages and it is often difficult to find out the source of the adoption.

თეა ბურჭულაძე

სინტაგმის გამოყოფისათვის რთულ ქვეწყობილ წინადადებაში

წინადადების წევრები ერთმანეთს ენაში შემუშავებული გრამატიკული წესების მიხედვით უკავშირდება. ხოლო წევრებს შორის ენაში ისტორიულად შემუშავებული გრამატიკული წესების მიხედვით დამყარებულ კავშირს სინტაქსური კავშირი ჰქვია (კვაჭაძე 1996:10).

წინადადება რამდენიმე სიტყვისაგან შედგება. ისინი ქმნიან სიტყვათა შეკავშირებებს. მიჩნეულია, რომ წინადადების ორი წევრი ქმნის ერთ სიტყვათა შეკავშირებას, ანუ ერთ სინტაქსურ ერთეულს. ასეთ ერთეულს წყვილი ჰქვია. მას სხვაგვარად სინტაგმას ეძახიან (კვაჭაძე 1996 :16). არნ. ჩიქობავას შესიტყვებათა შესახებ ასეთი დასკვნა აქვს გამოტანილი: „შესიტყვება გულისხმობს სულ მცირე ორ სიტყვას. შესიტყვება არ არის სიტყვათა უბრალო წყება: შესიტყვება ისეთ სიტყვათა წყებაა, რომელნიც ერთმანეთთან გარკვეულს დამოკიდებულებაში იმყოფებიან; ეს დამოკიდებულებაა, სიტყვათა რიგს რომ შესიტყვებად ხდის“. შესიტყვების შესწავლა გულისხმობს იმის გაანალიზებას, თუ რა ურთიერთდამოკიდებულებაა მათ შორის. საკითხის ამ თვალსაზრისით განხილვა კი ნიშნავს იმის გამორკვევას, თუ რა როლს თამაშობს ესა თუ ის სიტყვა ამ დამოკიდებულებაში (ჩიქობავა 2010: 94). ა. კიზირია კი შენიშნავს, რომ სინტაქსური ჯგუფი არ შეიძლება საფუძვლად დაედოს სინტაგმას. სინტაქსური ჯგუფი უცხოა სინტაქსისათვის: წინადადებაში ერთმანეთთან დაკავშირებულია ორი სიტყვა და არა სიტყვათა მთელი კომპლექსი, რომელიც ასეთ ჯგუფს ედება საფუძვლად. „სინტაქსური ჯგუფი“ არ შეიძლება იყოს წინადადების წევრად (კიზირია: 212). ა. დავითიანი მიუთითებს, რომ უფრო მოზანშეწონილია სინტაქსური წყვილისა და შესიტყვების ერთმანეთისგან გამიჯვნა, რის საფუძვლზეც გვექნება ორი სხვადასხვა ცნება: სიტყვათშეხამება (სინტაქსური წყვილი) და შესიტყვება, სიტყვათშეხამებათა ერთიანობა, რომელიც შუალედურ რგოლს წარმოადგენს სიტყვათშეხამებასა და წინადადებას შორის (დავითიანი 1973 : 365).

მაშასადამე, თითოეული წყვილი სიტყვათა შეკავშირებისაგან წარმომდგარი უმცირესი სინტაქსური ერთეულია. მრავალსიტყვიანი წინადადება ჩვეულებრივ ასეთი ერთეულებისაგან შედგება. წყვილთა რაოდენობა წინადადებაში ყოველთვის ნაკლებია წევრთა რაოდენობაზე. შემუშავებულია დასკვნა, რომ მარტივ წინადადებაში იმდენი წყვილია, რამდენიც – წევრი, ერთის

გამოკლებით (კვაჭაძე 1996: 16). რაც შეეხება შერწყმულ წინადადებას, რაკი მასში რამდენიმე ერთგვარი წევრი გვხვდება, ამიტომ ყოველი ერთგვარი წევრი ცალ-ცალკე კი არა, არამედ ერთად იანგარიშება სინტაგმაში. მაგალითად, ერთგვარი ქვემდებარეები ერთად დაუკავშირდება ზმნა-შემასმენელს, ერთგვარი განსაზღვრებები – მსაზღვრელს ერთ სინტაგმად და ა.შ. რთული წინადადების შესახებ სინტაგმათა გამოყოფის მსჯელობისას შენიშნულია, რომ პარატაქსული წინადადების სინტაგმათა რაოდენობა მასში შემავალ წინადადებებში ცალ-ცალკე იანგარიშება (კვაჭაძე 1996: 17).

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არ გვხვდება ანალიზი საკითხისა, თუ რამდენი ან რა სახის სინტაგმები შეიძლება გამოიყოს რთულ ქვეყნობილ წინადადებაში. ეს საკითხი განსაკუთრებით საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ჰიპოტაქსური წყობის წინადადება აგებულების მიხედვით ყველაზე რთულია და ვრცელიც. ლ. კვაჭაძე მიუთითებდა ჰიპოტაქსური წყობის წინადადებაში შეკავშირების ერთ ტიპზე – იშვიათად გვაქვს ისეთი შემთხვევა, როდესაც სიტყვის ფორმას ორი სხვადასხვა სიტყვა განსაზღვრავს: ერთი ბრუნვის მიხედვით, მეორე – რიცხვისა. ამის ნიმუშია მიმართებითი ნაცვალსახელი **რომელიც** (ასევე როგორც). ეს ნაცვალსახელი ბრუნვაში ანგარიშს უწევს დამოკიდებული წინადადების იმ სიტყვას, რომელთანაც სინტაქსურ კავშირშია, ხოლო რიცხვში – მთავარი წინადადების მისამართ სიტყვას. ასევეა ბრუნვაშიც – მას მოითხოვს გარკვეულ ბრუნვაში ზმნა-შემასმენელი, რომელთანაც ის წყვილში შედის: რომლებსაც გამოარჩევით, რომლებიც გამოარჩიეთ. მაშასადამე, ნაცვალსახელი ეთანხმება რიცხვში მთავარი წინადადების ქვემდებარეს, ხოლო ბრუნვაში მართულია დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენლისაგან (კვაჭაძე 1996: 30).

ჩვენი თვალსაზრისით, რთულ ქვეყნობილ წინადადებაში სხვა კონსტრუქციისათვის დამახასიათებელი შესაძლებელი სიტყვათშეკავშირება ვერ გამოდგება. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ჰიპოტაქსურ წინადადებაში ერთი წინადადების მეორისადმი დაქვემდებარებაა, თანაც, ზოგადად, დაქვემდებარება სხვადასხვა საშუალებითა და ხერხით ხორციელდება – აქვს თავისი ნიშნები, რომელთა უმეტესობაც გარეგნული მახასიათებლებითაა გამოხატული, ზოგი კი შინაგანი ნიშნითაა წარმოდგენილი. როგორც ცნობილია, დამოკიდებული წინადადების მთავრისადმი დაქვემდებარებისას გამოიყენება: მაქვემდებარებელი კავშირები, მიმართებითი ზმნიზედები და მიმართებითი ნაცვალსახელები. ამათგან მაქვემდებარებელი კავშირი დამოკიდებული წინადადების მთავართან გადაბმის, მისი დაქვემდებარების საშუალებაა, რადგან ის არ არის წინადადების წევრი. მიმართებითი სიტყვა კი წინადადების ერთ-ერთი წევრიცაა და ამავე დროს მაქვემდებარებელი კავშირის როლსაც ასრულებს, ე. ი., ის წევრ-კავშირია (კვაჭაძე 1996 : 384): „ამას ამბობდა იგი, **ვისაც** ასეთი ფაქიზი გული დაჰყოლია” (გამს.); „ერთ დღეს კი მოხდა ის, **რასაც** არავინ არ ელოდა ” (ჭილ.); „იმისათვის საკმარისია ეს, **რაც** ახლა უეცრად გაიფიქრა” (იოს.); „**რაც** გაქვთ, ის არ გინდათ” (ჭილ.); „ამიტანე ისეთი, **როგორიცაა** ვარ” (ფანჯ.); „**რამდენიც** უნდათ, იმდენი მიყურონო” (ჭილ.); „მე ის ფერები

მიყვარდა, **რომელთა** შეზავება თვით მეწამლეებსა და მხატვრებსაც გადავიწყნიათ”; „შენ აასრულე, **რასაც** გიბრძანებენ” (აკაკი); „**ვისაც** თვალი დაადგა, ყველანი მოიწონა” (ჯავ.); „შენც ისა ხარ, **ვისიც** მოლოდინი ჩემს სულსა ჰქონია” (ილია);

კვლევის ამ ეტაპზე ჩვენი ინტერესის სფეროა სინტაგმათა გამოყოფის საკითხი ისეთ ქვეწყობილ წინადადებაში, სადაც წინადადებათა დაქვემდებარების საშუალებად წევრ-კავშირები მოგვეპოვება. როგორც აღინიშნა, სინტაგმის გამოყოფას საფუძვლად უდევს ის გრამატიკული შეკავშირების პრინციპი, რომლის თანახმადაც ორი წევრი ქმნის ერთ სიტყვათა შეკავშირებას.

მაქვემდებარებელი კავშირი თუ წევრ-კავშირი დამოკიდებული წინადადების **სტრუქტურულ ნაწილს** წარმოადგენს. ის ამავდროულად დამოკიდებული წინადადების გარეგნული ნიშანია – თუ რთული წინადადების რომელიმე ნაწილში მოიპოვება მაქვემდებარებელი კავშირი ან მიმართებითი სიტყვა, ეს იმის მანიშნებელია, რომ წინადადება მთლიანად რთული ქვეწყობილია, ხოლო თვით ამ სიტყვის შემცველი წინადადება – დამოკიდებული (კვაჭაძე 1996: 384). ჰიპოტაქსური წინადადების მთავარ წინადადებაში ხშირად მოიპოვება ისეთი სიტყვა, რომელიც გვავარაუდებინებს დამოკიდებულ წინადადებას. ასეთი სიტყვები ჩვეულებრივ ჩვენებითი ნაცვალსახელები და ზმნიხედებია, რომელთა ზოგად მნიშვნელობასაც აკონკრეტებს და აზუსტებს დამოკიდებული წინადადება. დამოკიდებული წინადადების მისათითებელ სიტყვებს, რომლებიც მთავარშია, საკორელაციო სიტყვები ჰქვია (კვაჭაძე 1996: 384-385). სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფენ სხვადასხვა სახის კორელატებს: ის, იგი, ყოველი, ეს, რაც, ვინც, რომელიც, იქ, მაშინ, ყველგან, მანამ, ამისათვის, ამიტომ, ასე, იმდენი, ისე, ისეთი...(ძიმიგური 1989: 323-364).

ჩვენი თვალსაზრისით, რთულ ქვეწყობილ წინადადებაში არსებული ნებისმიერი წევრ-კავშირი (მიმართებითი სიტყვები) სინტაქსურ წყვილში შესაბამის წევრთან ერთად მოიაზრება. რთული თანწყობილი წინადადების მსგავსად, აქ სინტაგმები ცალ-ცალკე იანგარიშება: ერთი მხრივ, მთავარი წინადადების, მეორე მხრივ – დამოკიდებულისა. მაგალითად, წინადადებაში „ვისაც ხალხი არ ჰყავს, იმას არც ღმერთი გააჩნია“ (რობ.) სინტაგმები შემდეგნაირად გამოიყოფა:

1. ვისაც არ ჰყავს
2. ხალხი არ ჰყავს
3. იმას გააჩნია
4. არც ღმერთი გააჩნია

დასახელებულ წინადადებაში ზუსტად ისე გამოიყო სინტაგმები, როგორც ცალკე აღებულ მარტივ წინადადებაში – მთავარი წინადადების სინტაგმების მსგავსად, რომელშიც წინადადების სამი წევრიდან (არც ნაწილაკია და, ცხადია, ის წინადადების წევრი არ არის. ამიტომ სახელთან (ღმერთი) ერთად შევა წყვილში) ორი წყვილი გამოიყო, დამოკიდებულ წინადადებაშიც ანალოგიურად დაიყო სინტაქსური წყვილები (მასში წინადადების სამი წევ-

რია და, შესაბამისად, ორი წყვილი გამოვყავით) – ვისაც არ ჰყავს; ხალხი არ ჰყავს.

ან კიდევ, წინადადებაში „ავტორმა ზომით პატარა წერილში მოათავსა ყველაფერი, რაც დღემდე ცნობილია ფიროსმანის ცხოვრების შესახებ“ (იოს.) სინტაგმები ასე გამოიყოფა:

1. ავტორმა მოათავსა
2. წერილში მოათავსა
3. პატარა წერილში
4. ზომით პატარა
5. მოათავსა ყველაფერი
6. რაც ცნობილია
7. დღემდე ცნობილია
8. ფიროსმანის ცხოვრების შესახებ

ამათგან პირველი ხუთი სინტაგმა მთავარი წინადადების მიხედვით გამოიყო, ხოლო წყვილები – რაც ცნობილია, დღემდე ცნობილია და ფიროსმანის ცხოვრების შესახებ – დამოკიდებული წინადადების სინტაგმებია. ბოლო შესიტყვებაში **ცხოვრების შესახებ**, რა თქმა უნდა, ცალკე არ გამოვყავით, რადგან ნაწილაკები და თანდებულები წინადადების ცალკე წევრებად არ გამოიყოფიან, სინტაგმის კომპონენტები არ შეიძლება იყვნენ. ისინი იმ სიტყვებთან ერთად, რომელთაც ერთვიან, უკავშირდებიან სხვა სიტყვას და მთლიანად წარმოადგენენ სინტაგმას (კიზირია 1954 : 213).

რა გვამღვს იმის მყარ საფუძველს, რომ წევრ-კავშირი მივიჩნიოთ სინტაგმის ერთ-ერთ წევრად? **პირველი ფაქტორი** არის ის, რომ ასეთი სიტყვა წინადადების კავშირიცაა და ამავედროულად **წევრიც**. ის ასრულებს გარკვეული წევრის ფუნქციას ჰიპოტაქსურ წინადადებაში – ზოგჯერ ქვემდებარეა, ზოგჯერ – დამატება ან განსაზღვრება და ა.შ. მაგალითად, „ცოდვია ის კაცი, **ვინც** ამ დიდი ნიჭის გარეშე წავა ამ ქვეყნიდან“ (დუმბ.) – აქ წევრ-კავშირი **ვინც** ქვემდებარის ფუნქციას ასრულებს; „**რაც** შენთვის არ გინდა, იმას ნურც სხვას უზამო“ – წევრ-კავშირი **რაც** პირდაპირი დამატების ფუნქციისაა; „ახლა ზაზა სწორედ იმისათვის იყო დაღუპული, **ვისთვისაც** სწადადა თავისი სიცოცხლე“ (გოთ.) – აქ **ვისთვისაც** უბრალო დამატებაა; „ფარნაოზს ეცოდებოდა მეგობარი, **რომელსაც** ყველაფერი ეცადა ამ ქვეყნად და ახლა ცალა დარჩენოდა იმედად“ (ჭილ.) – **რომელსაც** განსაზღვრებაა; „მერე იქ მივიდა, **სადაც** ახალმიღებული ზესადგარები ელაგა“ (ფანჯ.) – **სადაც** ადგილის გარემოების ფუნქციას ასრულებს; „ეს გულები მყისვე უკან ისე იხევდნენ, **როგორც** ეს დღევანდელიობას შეეხებოდა“ (რობ.) – **როგორც** აქ ვითარების გარემოებაა და ა. შ.

როგორც დაკვირვებამ აჩვენა, წევრ-კავშირი სინტაქსურ კავშირს ამყარებს მხოლოდ ზმნა-შემასმენელთან: ვინც წავა, რაც არ გინდა, რომელსაც დარჩენოდა, სადაც ელაგა, როგორც შეეხებოდა... ის წინადადების სხვა წევრთან სინტაქსურ კავშირში არ გვხვდება.

მეორე ფაქტორია მისი შესაბამის წყვილში მყოფი ზმნა-შემასმენლისგან ბრუნვის ფორმით მართვა და რიცხვში შეწყობა: **ვინც** წავა – შდრ. **ვისაც** ეს არ მოუსმენია, **ვისთვისაც** ეს მიუღებელი იყო, **ვისკენაც** გაიქცა; **რომელიც** მოვიდა – შდრ. **რომელსაც** ელაგა, **რომლისკენაც** წავიდა, **რომლისთვისაც** საჭირო გახდა... რიცხვში შეწყობის მაგალითები: რომელსაც – რომელთაც, როგორიც – როგორებიც: „რა იმედი უნდა ჰქონდეს ხალხს ისეთი **ბელადისა, რომელიც** ყველაზე ადრე **გარბის** ბრძოლის ველიდან“ (ჯავ.); „მე ის **ფერები** მიყვარდა, **რომელთა** შეზავება თვით მეწამლეებსა და მხატვრებსაც **გადავიწყნიათ** უკვე“ (გამს.); „არ არის **ადამიანი, რომელსაც** არ **უყვარდეს** თავისი მამული“ (ილია); „მათ წინ მიუძღოდნენ შებორკილი **ტუსალები, რომელთაც** გარს შუბიანი ჯარისკაცები **მისდევდნენ**“ (გრიმ.); „ისეთი უხეში ხაზი გამოჰყავდა მის ხელში საჭრეთელს, როგორიც „მეჯადაგე ოსტატებს“ სჩვეოდა“ (გამს.). სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ არაერთი ცდის მიუხედავად, სალიტერატურო ქართულში **როგორიც** ნაცვალსახელის მრავლობითის ფორმები ვერ მკვიდრდება: ისეთი შორეული ქალაქებიც კი, **როგორებიც** ნიურბერგი და ლუბეკი იყვნენ, მონგოლთა თავდასხმას ახლო მომავლის საქმედ თვლიდნენ; სიყვარულისა და სიჭაბუკის წყვილ ფრთას კიდევ უფრო უმაგრებს და უეშხიანებს უტყუარი სიყვარული ისეთი პოეტებისა, **როგორიც** იყვნენ ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი და გიორგი ლეონიძე (კვანტალიანი 1983: 68). **რომელიც/როგორიც** მიმართებითი ნაცვალსახელების მრავლობით რიცხვში შეწყობა, ცხადია, დამოკიდებულია არა ზმნა-შემასმენელზე, არამედ იმ წევრზე, რომელსაც ის განსაზღვრავს მთავარ წინადადადებაში: ბელადი – რომელიც; ტუსალები – რომელთაც; ხაზი – როგორიც; ქალაქები – როგორებიც; პოეტები – როგორიც...

ის ფაქტი, რომ მოყვანილ მაგალითებში მიმართებითი ნაცვალსახელები და ზმნიზედებია სინტაგმის წევრად, სულაც არ უშლის იმაში ხელს, რომ ჩაითვალოს სინტაგმის წევრად. კოორდინაციულ სისტემაში ცალკე აღებულ ნაცვალსახელზე, როგორც სინტაგმის წევრზე, საუბრისას არნ. ჩიქობავა სამართლიანად აღნიშნავდა, რომ, მიუხედავად ნაცვალსახელის ფორმაუცვალობისა, ის ისევე ჩაითვლება კოორდინატად, როგორც სხვა წევრი წინადადებისა – ე. ი. შედის სინტაქსურ წყვილში. არნ.ჩიქობავა **თქვენ, შენ, ჩვენ, შენ, მე** ნაცვალსახელებს მიიჩნევს მიცემითისა თუ სხვა ბრუნვის როლის აღმასრულებლად. იგი შენიშნავს, რომ **ჩვენ** ნაცვალსახელის გამოყენებისას სახელი მიცემითში თუ არის, ზმნას შეუძლია მისი მხოლოდობითობაც აღნიშნოს და სახელობით ბრუნვაში დასმული სახელისაც: მოწაფეები გვეკითხებიან ჩვენ (კაცებს) (ჩიქობავა 2010: 109). სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ ნაცვალსახელი აღნიშნავს პირს ლექსიკურად, ზმნაში კი პირი გამოხატულია გრამატიკულად, ფორმოზრივ. მაშასადამე, ლექსიკურად გამოხატულ პირს გრამატიკული პირი ეფარდება, გრამატიკულს – ლექსიკური. აქაც მსგავსი ვითარება გვაქვს. რაკი ის წინადადების გარკვეულ წევრს გამოხატავს, სინტაგმაში შევა,

მისი სრულფასოვანი წევრია. პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები ისეთი სიტყვებია, რომელთაც სახელის მორფოლოგიური კატეგორიები (ბრუნვა და რიცხვი) არ გააჩნიათ. ლექსიკური მნიშვნელობის მხრივ **მე** და **შენ** ერთზე მიუთითებენ, **ჩვენ** და **თქვენ** კი – მრავალზე. ეს ნაცვალსახელები მათი მნიშვნელობის (და არა ფორმის) მიხედვით ითანხმებენ ზმნას რიცხვში, ე.ი. შეთანხმება აქ ლექსიკურ-ფორმოზრივია (კვაჭაძე 1996: 21-22).

სინტაქსური კავშირის დასამყარებლად მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ რა მეტყველების ნაწილით არის გადმოცემული წინადადების ესა თუ ის წევრი. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია მათ შორის მიმართებაც. აღნიშნავენ, რომ წინადადებაში შემავალ სიტყვათა მიმართება ძირითადად ორგვარია: დაქვემდებარებითი და არადაქვემდებარებითი. დაქვემდებარებითია ისეთი სიტყვათა შეკავშირება, რომლებიც ერთმანეთის მიმართ არ არიან თანასწორნი: წყვილის ცალთაგან ერთი მთავარი ანუ წამყვანი სიტყვაა, მეორე კი – დაქვემდებარებული, ე.ი. დაქვემდებარება ცალმხრივია (სუბორდინაციული). ასევე გვაქვს საურთიერთო დაქვემდებარებაც – წყვილის წევრთაგან ერთი ნიშნის მიხედვით ერთი იქვემდებარებს მეორეს, სხვა ნიშნის მიხედვით მეორე – პირველს (კოორდინაცია). ასეთი საურთიერთო დაქვემდებარება გვაქვს, მაგალითად, ზმნა-შემასმენელსა და ქვემდებარეს შორის (კვაჭაძე 1996: 17). აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგჯერ დაქვემდებარებული სიტყვა გაბატონებულ სიტყვასთან შეწყობილია ლექსიკური მნიშვნელობის მიხედვით, მაგრამ ამას მორფოლოგიური გამოხატულება არ ახლავს. უფრო ხშირად სიტყვათა შეკავშირებებს ქმნიან ფორმაცვალეზადი სიტყვები, რომლებთაგანაც სინტაქსურად გაბატონებული სიტყვა დაქვემდებარებულს გარკვეული ფორმით შეიწყობს სათანადო შინაარსის გადმოსაცემად (კვაჭაძე 1996: 19).

რა სინტაქსური ურთიერთობა იქნება წევრ-კავშირის შემცველ სინტაქსურ წყვილთა შორის? ვფიქრობთ, აქ შეკავშირების ორი სახე – მართვა და მართვა გვაქვს. ისეთ სინტაგმებში, სადაც წევრ-კავშირი გამოხატავს წინადადების მთავარ წევრს (ქვემდებარეს, პირდაპირ და ირიბ დამატებას) ან უბრალო დამატებას, მაშინ მის ზმნა-შემასმენელთან ურთიერთობა მართვაა. ასეთ შემთხვევაში ზმნა-შემასმენელი მართავს წევრ-კავშირს შესაბამის ბრუნვაში. აქ საურთიერთო მართვა არ გვექნება, მხოლოდ ცალმხრივ მართვასთან გვაქვს საქმე, ანუ სუბორდინაციული მიმართება: ცოდვას ის კაცი, ვინც ამ დიდი ნიჭის გარეშე წავა ამ ქვეყნიდან – **ვინც წავა** – ზმნა-შემასმენელი მართავს წევრ-კავშირის სახელობით ბრუნვაში (ვინც – კაცი წავა); ვისაც ეს არ უნდა, ნუ მოვა – აქაც მართვაა, ზმნა-შემასმენელი მიცემით ბრუნვაში მართავს წევრ-კავშირს (ვისაც არ უნდა – კაცს არ უნდა), რომლისთვისაც საჭიროა – ნათესაობით ბრუნვაში მართავს (რომლისთვისაც საჭიროა – კაცისთვის საჭიროა). თუ წევრ-კავშირი, რომელიც მიმართებითი ზმნიზედითაა გადმოცემული, რომელიმე სახის გარემოებას გამოხატავს, აქ, ცხადია, **მართვა** გვექნება – სადაც მივიდა, როგორც უნდოდა, რისთვისაც დასჭირდა... აქ ვითარება ისეთივე იქნება,

როგორც ნებისმიერი სახის გარემოების გადმოცემისას გვხვდება – **ყველა გარემოება მიერთვის ზმნა-შემასმენელს**. თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრებაც, რომ გარემოება, რომელიც წარმოდგენილია სახელის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმით (უთანდებულო, შერწყმულ-თანდებულებიანი თუ ცალკე მდგომი თანდებულებით), ყოველთვის მართული იქნება ზმნა-შემასმენლის მიერ. ამ ტიპის შემთხვევები განხილულია როგორც მართვის ერთ-ერთი სახეობა - ნულამდე დაყვანილი მართვა, მაგრამ მაინც მართვა (წარვედ წყლისა პირს, შევიდა სახლში, ლამაზად თოვს...) , ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში გარემოება მართული იქნება (გუშინ ჩამოვიდა, შევიდა იქ...) (ვაშაკიძე 2012: 70).

ჩვენთვის ერთი და იგივე სინტაქსური მიმართებაა სინტაგმებში: **აქ მოვიდა და სადაც მოვიდა; გუშინ გავიგე და როდესაც გავიგე; უცხად გამოჩნდა და როგორც გამოჩნდა; იმიტომ მერჩივნა და რადგანაც მერჩივნა; ამისთვის დამჭირდა და რისთვისაც დამჭირდა**.

ცალკეა აღსანიშნავი ისეთი ჰიპოტაქსური წინადადებები, რომლებშიც არის მიმართებითი სიტყვები, მაგრამ დამოკიდებულ წინადადებაში არ არის ზმნა-შემასმენელი (ის მთავარშია და ამიტომ დამოკიდებულ წინადადებაში აღარ მეორდება): „ჭემმარიტად არაფერი ისე არ ნუსხავს ადამიანს, როგორც დამაბული სიჩუმე და მოლოდინი“ (გოთ.); „დამწყაზრებული პატარძალი იდგა, როგორც აღმასცხეებული ყაყაჩო“ (ლეონ.); „როგორც კედელმა ქვა, ისე აისხლიტა მისმა სმენამ“ (ჭილ.); „სიტყვასა და ფიცს კი შაჰ-აბასისათვის ისეთივე ფასი ჰქონდა, როგორც აბანოს ქოშებს“ (გოთ.); „გავქრი, როგორც ბოლი და კვალი ნიავისა“ (ლეონ.); „შერიგებას შეუღლება სჯობს, ვით გაჟეჟილს გატეხილი“ (გოთ.); „ტკბილი სიტყვითა და კეთილი გულით უფრო მეტს გაარბიებ, ვიდრე მუქარით“ (ჯავ.). მოყვანილ შემთხვევებში დამოკიდებულ წინადადებაში ზმნა-შემასმენელი იგულისხმება, ოღონდ ივარაუდება არა სხვა ზმნა-შემასმენელი, არამედ იგივე, რაც მთავრ წინადადებაშია. ამიტომ მოცემულ კონსტრუქციაში მიმართებითი სიტყვა ვეღარ შევა სინტაგმათა გამოყოფისას. მაგალითად, წინადადებაში – ჭემმარიტად არაფერი ისე არ ნუსხავს ადამიანს, როგორც დამაბული სიჩუმე და მოლოდინი სინტაგმეებში ასე გამოიყოფა:

1. ჭემმარიტად არ ნუსხავს
2. ისე არ ნუსხავს
3. არ ნუსხავს ადამიანს
4. არაფერი არ ნისხავს
5. დამაბული სიჩუმე და მოლოდინი

დამოკიდებულ წინადადებაში რომ ყოფილიყო ზმნა-შემასმენელი ნუსხავს, მაშინ სინტაგმად ასევე გამოვყოფდით – როგორც ნუსხავს.

მასასადამე, ჰიპოტაქსური აგებულების წინადადებებში როგორც მთავარი წინადადების კორელატი შედის სინტაქსურ წვილში შესაბამის წევრთან, ასევე დამოკიდებული წინადადების წევრ-კავშირები ქმნიან შესიტყვებას ზმნა-შემასმენელთან. შევადაროთ:

ის/იგი/ყველა მოვიდა	ვინც/რაც/რომელიც მოვიდა
იქ/აქ/ყველგან ჩანდა	სად/სადაც ჩანდა
მაშინ/მანამ, მყის გამოჩნდა	როცა/როდესაც გამოჩნდა
ისე/ასე/ეგრე/იმგვარად/იმნაირად გააკეთა	როგორც გააკეთა
ისეთი/იმნაირი ადამიანი	როგორიც/რანაირიც უნდოდა
იმდენი/მაგდენი ილაპარაკა	რამდენიც/რამდენი ილაპარაკა
ამისთვის/მაგისთვის უნდოდა	ვისთვისაც/რისთვისაც უნდოდა
იმისკენ/ამისკენ წავიდა	ვისკენაც/რისკენაც წავიდა

ნათელია, რომ ორივე სახის მოყვანილ ფორმებში ერთნაირი ვითარებაა – ორივეში სინტაგმის წევრებად წინადადების წევრი გვაქვს და ორივე შემთხვევაშიც სინტაგმის წევრებს შორის გარკვეული გრამატიკული (სინტაქსური) დამოკიდებულება გვაქვს.

ლიტერატურა

დავითიანი 1973 – ა. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, I, თბილისი

ვაშაკიძე 2012 – თ. ვაშაკიძე, მართვა-მართვის ზოგი საკითხისათვის თანამედროვე ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XL, თბილისი.

კვანტალიანი 1983 – ლ. კვანტალიანი, მისამართი სიტყვისა და მიმართებითი ნაცვალსახელის შეთანხმება ქართულში, თბილისი.

კვაჭაძე 1996 – ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.

კიზირია 1954 – ა. კიზირია, სინტაგმის საკითხისათვის, კრ-ში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ.53, თბილისი.

ჩიქობავა 2010 – არნ. ჩიქობავა, შენიშვნები შესიტყვების შესახებ, შრომები, II ტომი, თბილისი.

ჩიქობავა 2010 – არნ. ჩიქობავა, შენიშვნები ქართული შესიტყვების აგებულების შესახებ, შრომები, II ტომი, თბილისი.

ძიძიგური 1989 – შ. ძიძიგური, რთული წინადადების პრობლემა ქართულ ენაში, თბილისი.

TEA BURCHULADZE

On Separation of Syntagms in Compound Subordinate Clauses

S u m m a r y

Any member-conjunction (relative words) in a compound subordinate clause is considered in a syntactic pair together with a relevant member. Like a compound coordinate sentence, in this case a syntagm occurs separately: on the one hand, of a main clause, on the other hand – a subordinate one. Such a word is a conjunction and a member of sentence. It performs the function of a certain member in a hypotactic sentence – sometimes it is a subject and sometimes it is an object and an attribute etc.

We suppose that in this case there are two types of conjunction - **governance and parataxis**. In the syntagms in which a member-conjunction expresses a main member (a subject, a direct and an indirect object) or a simple object we deal with governance. In this case a verb-predicate governs a member-conjunction in a relevant case. It is unilateral governance, i.e. a subordinated relation. If a member-conjunction is expressed by a relative adverb which expresses any kind of an adverbial modifier, of course, it is a parataxis. In this case the situation is going to be like the one expressing any kind of an adverbial modifier - **all adverbial modifiers are related to a verb-predicate.**-

Therefore, in a sentence with a hypotactic structure like a correlate of a main clause occurs as a member of a syntactic pair, member-conjunctions of a subordinate clause form a syntagm with a verb-predicate.

ელოსაბედ გაზდელიანი

**ხმოვნის სიგრძე სვანური ენის ბალსზემოურ დიალექტში
ბოლოხმოვნიან და თავკიდურხმოვნიან სიტყვათა
შეხვედრისას**

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, სვანურის გრძელხმოვნიან დიალექტებში ბალსზემოურსა და ლაშხურში გამოყოფილია ის მორფემათა მიჯნები, სადაც იქმნება გრძელი ხმოვნის წარმომქმნელი ხმოვანთკომპლექსები. დადგენილია, რომ აღნიშნულ პოზიციებში ხდება ხმოვანთა ნაწილობრივი ან სრული შერწყმა ერთ გრძელ ხმოვნად (მ. ქალდანი 1953, 195; შარაძენიძე 1985, 150; გაზდელიანი 2009, 9; საღლიანი 2008, 162).

ლაშხურისაგან განსხვავებით, ბალსზემოურ დიალექტში გრძელი ხმოვნის წარმომქმნელი ხმოვანთკომპლექსები იქმნება ბოლოხმოვნიან და თავკიდურხმოვნიან ლექსემათა შეხვედრის დროს, სადაც კომპლექსის წინა ხმოვანი უმეტესად დაკარგულია, მომდევნო ხმოვანი კი – გრძელი. აღნიშნულ პოზიციასში „ბალსქვემოურ დიალექტში გაბატონებულია ელიზია“ (ქალდანი 1953, 193). აქ კომპლექსის პირველი ხმოვანი უკვალოდ ქრება, ხოლო ლაშხურსა და ლენტეხურ კილოებში ხმოვანთა კომპლექსები, ძირითადად, უცვლელადაა წარმოდგენილი.

ბალსზემოურში ბოლოხმოვნიან და თავკიდურხმოვნიან ფუძეთა შეხვედრის დროს გრძელი ხმოვნების დიდი რაოდენობა მოდის იდენტურ ა+ა და ე+ე ხმოვანთკომპლექსებზე:

ა+ა: მიჩ' ზფხნეგვრ (ქრ., 60) (<* მიჩა აფხნეგვრ) – „მისი ამხანაგები“; სეგდ' ათხჳ (<*სეგდა ათხჳ) (I, 162, 3) – „ხის ვედრო წაიღე“; ლექუ' ად'დე (<*ლექუა ადე) (I, 22, 4) – ქვევით წაიღო“; ლეჟ' ჰჳნდხ (ქრ., 67) – „ზევით წავიდნენ“; ხოლ' ჳნქჳბჳინ (ქრ., 23) – „ცუდი გვაშორე“...

ე+ე კომპლექსშიც მომდევნო -ე იერთებს წინამავალ იდენტურ ხმოვანს და თვითონ გრძელდება: ლატლით' ელმჳჳ (ქრ., 69) (<*ლატლითე ელმჳჳ) – „თურმე ლატალში მიდიოდა“; მეზგ' ერიზუმ (<*მეზგე ერიზუმ) (იქვე, 23) – „ოჯახი იმხელა“; იმდ' ერქას (<*იმდე ერქას) (იქვე, 121) – „იყრის მაშინ“; მარ' ერქად (იქვე, 67) – „მაგრამ მანამდე“... ე+ე კომპლექსი განსაკუთრებით ხშირად იქმნება -ე ბოლოხმოვნიან ფუძეებთან ესნჳრ („თურმე“) და სხვათა სიტყვის ესერ („ო“) ნაწილაკების, აგრეთვე ერე („რომ“) კავშირი და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი „ვიდაც“ ლექსემის შეხვედრის დროს, რაც იწვევს თავკიდური ე ხმოვნის სიგრძეს: იმჳალ' ესერ (I, 251, 10) (< *იმჳალე ესერ)

„რაცაღო“; ფოყთ' ესერ (ქრ., 9) (<*ფოყთე ესერ) – „გვერდზეო“; ხაყლ' ერე (იქვე, 19) (<*ხაყლე ერე) – „ეუბნება ვიდაც“; ხაბხ' ესნარ (იქვე, 68) (<*ხაბხე ესნარ) – „პასუხობს თურმე“; ჩაბდშარდ' ესნარ (იქვე, 68) (<*ჩაბდშარე ესნარ) – „დაამშვიდა თურმე“; ხაყლ' ერე (იქვე, 19) (<*ხაყლე ერე) – „ეუბნება, რომ“; ჩაბდჯ' რაბ' ერე (იქვე, 91) (<*ჩაბდჯ' რაბ' ერე) – „დაიჯერა, რომ“...

აღნიშნულ პოზიციებში იშვიათად გვხვდება იდენტურ ხმოვანთა: ი+ი; ო+ო და უ+უ კომპლექსები -ი, -ო, -უ ხმოვნებზე დაბოლოებულ ფუძეების სიმცირის გამო.

ი+ი კომპლექსი, ძირითადად, ელიზიურია ზემოსვანურ დიალექტებში. ბალსზემოურში შეგვხვდა სამიოდე შემთხვევა, სადაც ამ კომპლექსის პირველი ხმოვანი არ ჩანდა, მომდევნო კი გრძელი იყო: იმჟ' ბტტ (<*იმჟი ბტტ) – „როგორ გარბის“; ამჟ' ბტტოლ (<*ამჟი ბტტოლ) – „ასე ითქმოდა“; იმჟ' ბშგი (<*იმჟი ბშგი) – „როგორ იწველის“. სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, ბტტოლ „ითქმოდა“ ზმნაში ი'ს სიგრძე დაკარგული თ თანხმოვნის კომპენსაციაა (შდრ. ქართ. ითქვა) (ქავთარაძე 1954, 50). ასევე სხვაგვარად იხსნება ბტტ და ბშგი ზმნებში ი ხმოვნის სიგრძე. აღსანიშნავია, რომ ამ ზმნებთან გამოვლენილი ყველა ხმოვნიანი თუ ხმოვან-პრეფიქსი გრძელია. ამიტომ აქ გვაქვს ი+ბ კომპლექსი, სადაც წინამავალი ი'ს ელიზიას აქვს ადგილი და არა ხმოვანთა შერწყმას ერთ გრძელ ხმოვნად.

ო+ო კომპლექსის შერწყმის ორიოდე მაგალითი შეგვხვდა, სადაც წინა ო ერწყმის მომდევნო ო'ს და ვიღებთ გრძელ ო'ს: დ' რხტკიდახ (<*დო ოხტკიდახ) (ქრ., 70) – „რატომ არ მოიტანეს?“, დ' რგხბდე (<*დო ოგხბდე) – „რატომ არ გაგვახარა?“.

ბოლოხმოვნიან და თავკიდურხმოვნიან სიტყვათა შეხვედრის დროს იქმნება აგრეთვე გრძელი ხმოვნის წარმომქმნელი სხვადასხვა ხმოვნიანი კომპლექსები: ა+ბ, ა+ე, ა+ო, ე+ა, ე+ბ, ე+ო, ი+ა, ი+ბ, ი+ე, ი+ო.

აღნიშნულ პოზიციებში შექმნილი ა+ე კომპლექსში ყოველთვის გრძელდება -ე ხმოვანი: იმღ' ესჭონ? (I, 226, 34) (<*იმღა ესჭონ) – „რატომ გაუხვიე?“, ესყ' ეჯჟი (იქვე, 356, 37) (<*ესყა ეჯჟი) – „მიჰყავს ისე“; ლინთჟისგ' უში (ქრ., 23) (<*ლინთჟისგა ეში) – „ზამთარში მაინც“, ეჩქ' ესერ (I, 195, 6) (<*ეჩქა ესერ) – „მაშინო“; ეჟლ' ერე (ქრ., 18) (<*ეჟლა ერე) – „იმიტომ, რომ“; ალ' ესჟოლდა (I, 210, 36) (<*ალა ესჟოლდა) – „ეს გაუძღვა“...

ა+ო ხმოვანთა კომპლექსი შედარებით იშვიათად იქმნება, რადგან ცოტაა ო- ხმოვნით დაწყებული ლექსიკური ერთეულები. მიუხედავად ამისა, როცა ბალსზემოურში -ა ბოლოხმოვნიან სიტყვას მოსდევს ო- თავკიდურხმოვნიანი ლექსემა ო- იერთებს წინამავალ ა'ს და თვითონ გრძლდება: ნომ' რთფრშტდენხ (ქრ., 21) (<*ნომა ოთფრშტდენხ) – „არ გაეშვათ“; ლაზზიგ' რთგახ (<*ლაზზიგა ოთგახ) (იქვე, 94) – „საცხოვრებელი დაუდგამთ (აუშენებიათ)“; ჯ' რხბრდე (<*ჯა ოხბრდე) (I, 250, 27) – „მე მოვუტან“; ლექტ' რნჩადდ (ქრ., 25) (<*ლექტა ონჩადდ) – „ქვევით წამოვედით“; ეჯლ' რთდაგრახ (იქვე, 71) (<*ეჯლა ოთდაგრახ) – „იმიტომ მოუკლავთ“; ეჯლ' რხხტიტახ (<*ეჯლა ოხხტიტახ) – „იმიტომ ამოუწყვეტიათ“.

ა+პ კომპლექსი თავის მოქმედებით არ განირჩევა პრევერბებთან შექმნილ ამავე ხმოვანთა კომპლექსისაგან. აქაც მეორე კომპონენტი პ იერთებს წინამავალ ა'ს და თვითონ გრძელდება: **დეს' ჰნკიდ** (I, 161, 35) (<*დესა ჰნკიდ) – „არ აილო“, **ჰეს' ზდღუჰეს** (<*ჰესა ზდღუჰეს) (იქვე, 236, 33) – „თუ იმშობიაროს“; **ეჯ' ჰრი** (ქრ., 18) (<*ეჯა ჰრი) – „ის არის“; **ოთარშ' ჰმჩედხ** (იქვე, 76) (<*ოთარშა ჰმჩედხ) – „ოთარისანი წასულან“; **ნოს' ჰმშიხად** (I, 156, 32) (<*ნოსა ჰმშიხად) – „არ დამწვათ“...

როცა ე ბოლოხმოვნიან სიტყვას მოსდევს ა-, პ- და ო- თავკიდურხმოვნიანი სიტყვა, წინა ე ხმოვანი ერწყმის მომდევნო ხმოვნებს და აგრძელებს მათ:

ე+ა=პ: აგით' ჰნკიდ (ქრ., 92) (<*აგითე ანკიდ) – „სახლში მოიტანა“; **ათხ' ჰმეჩუნ** (<*ათხე ამეჩუნ) (I, 219, 24) – „ახლა აქ“; **ძულუათ' ჰჯაკუტრ** (<*ძულუათე აჯაკუტრ) (იქვე, 240, 35) – „ზღვაში გადაგაგდე“; **მეზგ' ჰპრაცი** (ქრ., 7) (<*მეზგე აპრაცი) – „ოჯახი არაყს ხდის“; **მზრ' ჰნკად** (იქვე, 65) (<*მზრე ანკად) – „კაცი მოვიდა“...

ე+პ=ზ: ქორთ' ჰაჰსგდახ (ქრ., 47) (<*ქორთე ჰაჰსგადხ) – „სახლში მიჰქონდათ“; **ლირდე-ლიზგ' ჰდვიდხ** (<*ლირდე-ლიზგე ადვიდხ) (I, 241, 29) – „ყოფა-ცხოვრება გაატარეს“; **მერმ' ჰგის** (<*მერმე აგის) (ქრ., 247) – „მეორე ადგილას“; **მზრ' ჰნთიშხ** (იქვე, 64) (<*მზრე ანთიშხ) – „კაცი აირჩიეს“; **მესმ' ჰდგილს** (იქვე, 127) (<*მესმე ადგილს) – „მესამე ადგილას“; **ლეჩხუმთ' ჰმეკედ** (იქვე, 60) (<*ლეჩხუმთე ამეკედ) – „ლეჩხუმში მოსულა“...

ე+ო=რ: ქორთ' ოთაჰ (ქრ., 151) (<* ქორთე ოთაჰ) – „სახლამდე მივალწი“; **ლირდ' ოხუტუხ** (<*ლირდე ოხუტუხ) (იქვე, 80) – „ცხოვრება (ყოფა) დაუბრუნდა“; **მესმ' ონტეხ** (<*მესმე ონტეხ) – „მესამე დავბრუნდი“; **პგით' ოხკიდ** (I, 250, 36) (<*პგითე ოხკიდ) – „სახლში მოუტანა“; **ლენჯართე ოთთონეხ** (ქრ., 62) (<*ლენჯართე ოთთონეხ) – „ლენჯერში გაგზავნეს“; **ჯართ' ოთღეხ** – (<*ჯართე ოთღეხ) „ჯარში წაართვეს“; **ლ'ცთ' ოთზ' ჰზედ** (ქრ., 148) (<*ლ'ცთე ოთზ' ჰზედ) – „წყალზე გავაგზავნეთ“...

ი+ა ხმოვანთა კომპლექსს ყველა სხვა კომპლექსზე მეტად ახასიათებს ელიზია სვანური ენის ყველა დიალექტში. როცა ბალსზემოურში -ი ბოლოხმოვნიან ფუძეს მოსდევს ა- თავკიდურხმოვნიანი ფუძე, საკმაოდ ხშირად ა- ხმოვანი გრძელდება. **ჯრმბუ' ადო** (ქრ., 90) (<*ჯრმბუი ადო) – „გიაშობ, თორემ“; **ბზუ' ჰმეჩუნ** (<*ბზუი ამეჩუნ) – „დღეს აქ“; **მმა ლ' ალან?** (ქრ., 105) (<*მმა ლი ალან?) – „რა არის ეს?“; **ბზუ' ჰნკანდ** (იქვე, 156) (<*ბზუი ანკანდ) – „დღეს საღამოს მოვიდა“; **სემ' ალან** (იქვე, 19) (სემი ალან) – „სამი ალაბი“; **თ'მ' პხკედა** (ქრ., 155) (<*თ'მი ახკედა) – „გასაჭირი დასდგომია“...

შეგვხვდა სამიოდე მაგალითი ი+პ კომპლექსისეული პ'ს სიგრძისა: **იერხ' ჰგის** (ქრ., 14) (<*იერხი აგის) – „ზოგ ადგილას“; **ხუნკუ' ჰდჩუფან** (<*ხუნკუი ადჩუფან) (იქვე, 106) – „ადრე გადნა“; **მშრ' ჰნკიდ** (<*მშრი ანკიდ) – „ფართო აილო“... **ი+ე=ჟ: როცა -ი ბოლოხმოვნიან ფუძეს მოსდევს ე- თავკიდურნიანი ლექსემა თითქმის ყოველთვის ე- ხმოვანი გრძელდება: ხუნკუ' ეჯღან** (ქრ., 105) (<*ხუნკუი ეჯღან) – „პირველად იმიტომაც“; **იმჯერ' ეჩქას** (იქვე, 105) (<*იმჯერი ეჩქას) – „თოვლი (რომ) გამაგრდება, მაშინ“; **ლ' ერე** (იქვე, 117) (<*ლი ერე) –

„არის ვიღაც“; ხოჯდენ' ეჯას (იქვე, 47) (<*ხოჯდენი ეჯას) – „მოუვა იმას“; ად-დაგრ' ეჩქად (იქვე, 91) (<*ადდაგრი ეჩქად) – „მოკვდება მანამდე“; კედნ' ესნწრ (იქვე, 94) (<*კედნი ესნწრ) – „მოდის თურმე“; ლწთ' ესერ (I, 263) (<*ლწთი ესერ) – „წუხელი“; ამეჟ' ესტდახ (ქრ., 90) (<*ამეჟი ესტდახ) – „ამაზე დაუდევთ“; ღ*რ' ეშხუ (იქვე, 120) (<*ღ*რი ეშხუ) – „მიდის ერთი“.

იმვიათია ი+ო ხმოვანთკომპლექსი. ცნობილია, რომ „ეს კომპლექსი ხშირად იქმნება ჯი- პრევერბისა და ო- ხმოვნით დაწყებული ზმნების შეხვედრის დროს. პრევერბებთან ი- ხმოვანი ყველა დიალექტში ელიზიას განიცდის“ (ქალდანი 1953, 193). მაქსიმე ქალდანს აღნიშნული აქვს, რომ ამ კომპლექსის წინა კომპონენტი ხმოვნის დაგრძელებას არ იწვევს არც ბალსზემოურში და არც ლაშხურში. ეს დაკვირვება მართებულია, როცა ი+ო ხმოვანთკომპლექსი იქმნება პრევერბებთან, ხოლო, მაშინ როცა -ი ბოლოხმოვიანი სიტყვას მოსდევს ო- თავკიდურხმოვიანი ლექსემა ბალსზემოურში გრძელდება ო- ხმოვანი: თემ' რხჯად (ქრ., 55) (<*თემი ოხჯად) – „გასაჭირი დაუდგა“; ლირმ' რხზინეხ (იქვე, 62) (<*ლირმი ოხზინეხ) – „დაჭერა დაუწყეს“; აქწნ' რხკიდ (იქვე, 55) (<*აქწნი ოხკიდ) – „ხელი ჩამოართვა“; მუშგტურ' რხჯად – (<*მუშგტური ოხჯად) „სტუმარი მოუვიდა“...

ამრიგად, ბალსზემოურ დიალექტში როცა ბოლოხმოვიანი ლექსემას მოსდევს თავკიდურხმოვიანი ლექსემა, ხდება როგორც ელიზია, ისე ორი ხმოვნის შერწყმა ერთ გრძელ ხმოვნად. აღნიშნულ პოზიციას დასაშვები 49 ხმოვანთკომპლექსიდან დადასტურდა გრძელი ხმოვნის წარმომქმნელი 13 წყვილი (იდენტურ ხმოვანთა: ა+ა, ე+ე, ო+ო და სხვადასხვა ხმოვიანი: ა+პ, ა+ე, ა+ო, ე+ა, ე+პ, ე+ო, ი+ა, ი+პ, ი+ე, ი+ო კომპლექსები), სადაც გავლენა – რეგრესულია მომდევნო ხმოვანი იერთებს წინამავალ ხმოვანს.

ლიტერატურა

გაზდელიანი 2009 – ე. გაზდელიანი, ხმოვნის სიგრძის გენეზისისათვის ზოგ მორფემათა მიჯნაზე სვანურში, იკე, XXXVIII, თბილისი.

საღლიანი 2008 – მ. საღლიანი, რთული ელიზიური კონსტრუქციები სვანურში, იკე, XXXVI, თბილისი.

ქავთარაძე 1954 – ი. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბილისი.

ქალდანი 1953 – მ. ქალდანი, ელიზია სვანურ ენაში, იკე V, თბილისი.

შარაძენიძე 1985 – თ. შარაძენიძე, სვანური ენა, იკეწ, თბილისი.

ELISABED GAZDELIANI

**Vowel Length in Upper Balian Dialect of Svan when Meeting a
Word with a Final and a Word with an Initial Vowels**

S u m m a r y

The paper deals with one of the positions of forming a long vowel in the Upper Balian dialect of Svan, in particular, the situation when a word with a final vowel meets a word with an initial one. The vowel complexes formed in this position are distinguished and shown. It is indicated that the impact is regressive – the following vowel absorbs the preceding one and becomes long.

ლელა გიგლეშიანი

**ვითარებითი ბრუნვის ფორმით ნაწარმოები
ზმნისართი სვანურში**

როგორც ცნობილია, ზმნისართები ორგვარია: პირველადი და ნაწარმოები, ცნობილია ისიც, რომ პირველადი ცოტაა, ვინაიდან ზმნისართთა უმეტესი ნაწილი მიღებულია სახელისაგან (იგულისხმება, არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი სახელი და ნაცვალსახელი) და გაქვავებულია ამა თუ იმ ბრუნვის ფორმით.

სვანურში მეორეულ (ნაწარმოებ) ჯგუფს შეადგენს ის ზმნისართები, რომლებშიც გამოიყოფა აფიქსური ელემენტი. ეს აფიქსები კი მასალობრივ ემთხვევა ბრუნვის ნიშნებს. ნაწარმოებ ზმნისართებში შეიძლება წარმოდგენილი იყოს მიცემითი, ვითარებითი, ნათესაობითი ან მოქმედებითი ბრუნვის ნიშნები.

ამჯერად შევეხებით ვითარებითი ბრუნვის ნიშნით ნაწარმოებ ზმნისართებს, რომელთა რაოდენობა სვანურ ენის კილო-კილოკავებში საკმაოდ დიდია.

ვითარებითი ბრუნვის ნიშნად სვანურში, -დ ფორმანტი გამოიყენება, რომელიც დაერთვის როგორც ბოლოთანხმოვნიან სახელს ისე აღნიშნულ ბოლოხმოვნიანსაც; ფორმანტს შესატყვისები ეძებნება სხვა ქართველურ ენებში (სვან. -დ. ქართ. -დ| -ად, მეგრ. -თ,| -ოთ|-ო). ვითარებით ბრუნვაში შეიძლება გაფორმდეს სხვადასხვა სტრუქტურისა და აგებულების მქონე სახელები: საკუთრივ მარტივი ფუძით წარმოდგენილი არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი, აგრეთვე სახელზმნა და შესაბამისად ვიღებთ ვითარებით ზმნისართებს, თუმცა გვხვდება გაქვავებული ფორმებიც (ლაიდ „მალთან“, შიშდ „ჩქარა“, მერხაღდ „ცოტა, ნაკლებად“, თაგ-თაგდ „მეჩხერად...“) რომლებშიც ვითარებითი ბრუნვის ფორმანტის გამოყოფა მხოლოდ ანალიზის შედეგად ხდება.

ა) ვითარებით ბრუნვაში დასმული არსებითი სახელი ზმნისართად:

ზაუ-დ „გაისად“ (შდრ. ზაუ „წელი“, „ზაფხული“)

ამზაუ ალა ჯაღც ი ზაუდ ბარჯს აჯკუანე (სვ. ქრესტ. ბზ. გვ.9) – წელს ეს გქონდეს და გაისად ბეჰს გადმოგიგდებ.

თხუმა-დ „წვერამდე“ (შდრ. თხუმ „თავის“)

მაჩხვარე თხუმდ ონჯვედი (სვ. პ.24) – მაჩხვარის წვერამდის მოვედი.

დინა-დ (შდრ. დინა „გოგო“)

ლაფარი ხოჩა თვალშ **დენად** ადსიპან (ლენტ. 267.31) – ლაფარი კარგ გოგოდ გადაიქცა.

წეს-დ (შდრ. წეს „წესი“) ალე ჩის **წესდ** ხოზხ (სვ.პრ. ლშ. 236) – ეს ყველას წესად ააქვს.

ზაგარ-დ (შდრ. **ზაგარ** „ქედი“) ბალ **ზაგარდ** ამვედელი (სვ.პრ.212) – ბა-ლის ქედამდე მოსულა.

ბ) ვითარებით ბრუნვაში დასმული ზედსართავი სახელი ზმნისართად: **ბგვი-დ** „მაგრად“ (შდრ. ზედს. **ბგვი** „მაგარი“)

ყორალ ესერ **ბგვიდ** ოთდალე ჯგმილდ (სვ. პროზ.ბზ. 346) – ძმამ კარები მაგრად დაკეტოსო.

მაფშარს **ბგვიდ** ხაგდგდა (სვ.პროზ.ლშხ. 62) – დაღლილს მაგრად ეძინა.

ხოჩამ-დ „კარგად“ (შდრ. ზედს. **ხოჩა** „კარგი“)

ალ დინა ჟანრექუნ **ხოჩამდ** (სვ. პროზ. ბზ. 327) – ეს გოგო კარგად შეი-მოსა.

ხოჩამდ ხახლენა ალ გუმე (სვ. პროზ. ლშხ. 51) – ეს საქმე კარგად სცოდ-ნია.

ხოლამ-დ „ცუდად“ (შდრ. ზედს. **ხოლა** „ცუდი“)

ჭყინტ **ხოლამდ** ლემდაბინ (სვ. პროზ. ლშხ.) – ბიჭი თურმე ცუდად იქ-ცეოდა.

ეზარ-დ, ეზერ-დ „კარგად“ (შდრ. ზედს. **ეზარ** „კარგი“)

შუკუტ **ეზერდ** ოთხუთ (სვ.პროზ. ბზ. 39) – გზას კარგად გავაგენი.

მასარ-დ, მასარ-დ „ბლომად“ (შდრ. ზედს. **მასარ** „ზედმეტი“)

ღერთა ნაპოდ ესერ **მასარდ** ხულუმეხ (სვ.პრ. ბზ. 267) – ღვთის ნაბომები ბევრი გვაქვსო.

ენასდ, ენასდ „სწრაფად, ჩქარა“ (შდრ. **ენას, ენას** „სწრაფი“)

დაუთით **ენასდ** ანვანდ აგითე (სვ. პროზ. ბზ. 270) – დავითი სწრაფად მო-ვიდა შინ.

გ) ვითარებით ბრუნვაში დასმული რიცხვითი სახელი ზმნისართად:

აშხუ-დ ზს. **ემშხუ-დ** ლშხ. **აშხუმდ** ლნტ. „ერთად“ (შდრ. რიცხ. **ემშხუ** „ერთი“)

კესარს ი ტვარალს ჩუასგურეხ **აშხუდ** (სვ. პროზ. ბზ. 14) – კეისარსა და ვაზირებს ერთად დასხამენ.

არტ-დ „ორად“ (შდრ. რიცხ. ორი „ორი“)

ლახმელ ჩუ მეყვლე ლი **არტდ**: ჟაბე ი ჩუაბე ლახმელდ (სვ. ქრესტ. 185) – ლახამულა გაყოფილია ორად: ზემო დ ქვემო

ფიშირ-დ „მრავლად, ბლომად“ (შდრ. **ფიშირ** „მრავალი, ბევრი“)

რანგ **ფიშირდ** ხოგხ – რანგი ბლომად აქვთ“ (სვ. პროზ.)

დ) ვითარებით ბრუნვაში დასმული ნაცვასახელი ზმნისართად:

ერქა-დ (ბზ.) „მანამდე“

ერქად მანდ ანვიდ ნაპუ ე უოდე დინა მიჩაცახან დო ესგურეხ (სვ. პროზ. ბზ. 287) – მანამდე არ აიღო ლუკმა, ვიდრე გოგო მასთან არ დასვეს.

ეჯჷი ლოქ ახსყეხ, იმჷი **ეჩჷად** ლას (სვ. პროზ. ლმზ.74) – ისე გააკეთეთ, როგორც მანამდე იყო.

დემნარ ბზ. **დემნარ[დ]** ბქ. ლნტ. **დემნარ** ლმზ „არაფრად, არარად“

მიჩა სწხელწიფჷ მი **დემნარ** მაწეხ (სვ. პროზ. ბზ. 284) – მისი სახელმწიფო მე არაფრად მჭირდება.

სვანურში დასტურდება **ამნარ-(დ)** და **ეჯნარ-(დ)** ვითარებით ბრუნვაში დასმული ფორმებიც. **დ-** როგორც ბრუნვის ნიშანი, ალბათ დროთა განმავლობაში გაიცივითა.

ე) ვითარებით ბრუნვაში დასმული სახელზმნა ზმნისართად:

ლადრანჯ-დ „სადარაჯოდ“

ლადრანჯდ ოთგ ხოხურა ქოხელდ (სვ.პროზ. ბზ.) – სადარაჯოდ პატარა ქოხი დავდგი.

ლადგან-დ „მოსაკლავად“

მწლს თჷფეხ ესხელ **ლადგანდ** (სვ. პროზ. ბზ. 256) – მელას თოფი დაუმიზნა მოსაკლავად.

ლაზელან-დ „სასიარულოდ“

მამილს გიმ **ლანზელანდ** ესერ ხალა (ანდაზა) – მამალს მიწა სასიარულოდ ეთაკილებაო.

სვანურში არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ვითარებით ბრუნვის დნიშნიან ფორმებს ენაცვლება მიცემითის ბრუნვის ს- ნიშნიანი ფორმები; ისინი ერთმანეთის პარალელურად იხმარება:

ჯტედიას და **ჯრდიად** „შორს“

ფედიას და **ფედიდ** „ახლოს“

ეზარ **ჯრდიად||ჯტედიას** ზმპერელი (ბზ.) – კარგა შორს გაფრენილა

ლამუარ **ფედიდ||ფედიას** ზმჩედლი (ბზ.) – ცოლოურთან ახლოს მოსულა.

მიცემითი და ვითარებითი ბრუნვის ნიშნების მქონე ზმნისართები შეიძლება ერთმანეთს ენაცვლებოდეს ქართულსა და ზანურშიც: (შდრ. ქართ. პირას და პირად, ალაგას და ალაგად... მეგრ. გვალას და გვალო „მთლად“, წყინარას და წყინარო „წყინარად“, წორას და წორო „თანაბრად“ და. ა შ.).

იშვიათად, მაგრამ მაინც **-დ** ფორმანტიანი ვითარებითი ზმნისართების მონაცვლედ შეიძლება შეგვხვდეს მიცემითის უძველესი ნიშნით **-ნ**-თი გაფორმებული ზმნისართებიც: (**მახად||მახან** „ახლად“, **ტედ-დ ||ტედ-ნ** „ძლივს“ ...) (თოფურია, 202, 2002)

ათხე **მახან** ქტერწილ აჩტმინ (სვ. პროზ. ბზ. 344) – ახლა ხელმეორედ გადაიხადა ქორწილი

ეჩქას **მახად** ხწქტე ბესილადდ (სვ. პროზ. ბქ. 200) – მაშინ ხელმეორედ უთხრა ბესილადმა.

ალა ჩუ **ტედდ** გარ ოთჩანდ (სვ. პროზ. ბზ. 235) – ეს ძლივს გაექცა.

ლანაჷ ესერ ლი ი ზგის **ტედნ** პრი (სვ. პროზ. ბზ. 91) – ფეხმძიმედ არის და სახლში ძლივს არისო.

ზმნისართად შეიძლება პარალელურად შეგვხვდეს ვითარებითი ბრუნვის ნიშნით ნაწარმოები და ნიშანმოკვეცილი ფორმები.

დრამ ბზ. **დრამ-დ** ბქ. „ერთიანად“

როსტომ შიშდ ჩუესფიშუდ **დრამ** ზურაბდ (სვ. პროზ. ბზ. 233) – როსტომი მალე ერთიანად წააქცია ზურაბმა.

დრამ-დ იწრწლ (ბქ.) – განუწყვეტლივ, მუდამ იგინება.

დამორ-დ ლშხ. **დამერ** ლნტ. „თანაბრად, ერთნაირად“

დამორ-დ ხწრ ნაყირ ჩაგ (სვ. პროზ. ლშხ 3) – თანაბრად აქვს ნარტყამი ყველგან.

დამერ მწგ ჟანქანჩ (სვ.პროზ. ლნტ) – ერთიანად მოჭრა.

ლაღწლ ზს. **ნაღწლ** ბქ. „მეტწილად“.

მეჟანლს ხოშა **ლაღწლ** მემლწხ იზგე (ვ. პროზ. ბზ. 22) – მუჟალში მეტწილად მულახელები ცხოვრობენ.

ცხეკისგა ხაგ ხოშა **ლაღწლ** ღუმირ, ნენხ ი გგგბ (სვ. პროზ. ბქ. 70) – ტყეში არის მეტწილად ფიჭვი, ნაძვი და სოჭი.

ვითარებითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვა ზოგ სახელში ლახამულურ კილოსაც ახასიათებს (ქალდანი 1965: 169)

აშგ **აღწგ** (**აღწგ-დ**) დემ მეუჟუნით – ერთ ხანს არ მეძინებოდა.

თეურწდ ხწქტე: **ჰედურ** (**ჰედურ-დ**) მიჩ ესერ ესწტენა – ბრმამ უთხრა: სულაც არ ვნახეო.

შესაძლოა ვითარებითი ბრუნვის ფორმას თანდებულებიც დაერთოს:

ისგ[დ]თეჟა ბზ. ბქ. **ისკოქა** ლნტ. „შუამდე“

ისგთეჟა ქა ჰედნის, ეჩქას ჩუ იჩქტეუტის ზურწლწრ (ბზ.) – შუამდე რომ გამოვლენ, მაშინ ქალები დაიჩოქებიან.

ერქადთეჟა „მანამდე“

ჩუადშგურწნე, მარე **ერქადთეჟა**... – დაარიგა, მაგრამ მანამდე...

ლირჰალ[დ] თე || **ლირჰალდ** ბზ. „გათენებამდე“

ლირჰალდ აქწხ კრება – გათენებამდე გასტანა კრებამ.

სგელდ-შალ ლწმწენან – სქლად(სავით) მომეჩვენა...

კომპოზიტიც შეიძლება გაფორმდეს ვითარებითი ბრუნვის ნიშნით და ზმნისართული მნიშვნელობის სიტყვა წარმოიქმნას:

თაგ-თაგდ (ბქ. ლნტ.) „მეჩხერად“, **თწმწშ-თწმწშდ** (ბზ.) თამ-თამწშდ (ბქ.) „ნელ-ნელა“, **ზგგი-ზგგიდ** (ბზ.) „მაგრა-მაგრად“, **ერქად-ერქად** „მანამ-მანამ“...

ამგვარად, როგორც მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, ვითარებითი ბრუნვის ნიშანი დ- დაერთვის სხვადასხვა მეტყველების ნაწილს და ამის შედეგად ვიღებთ ზმნისართს. გვაქვს ბრუნვის ნიშნის დაკარგვის შემთხვევებიც და გაქვავებული ფორმებიც, დიალექტები მრავალფეროვან სურათს წარმოგვიდგენენ.

ლიტერატურა

გაბუნია 1993 – კ. გაბუნია, ზმნისართის წარმოება და ფუნქციები ქართველურ ენებში, თბილისი.

თოფურია 2002 – ვ. თოფურია, შრომები II, თბილისი.

კაჭარავა 1954 – გ. კაჭარავა, ზმნისართები სვანურ ენაში, დისერტაცია, თბილისი.

ონიანი 1998 – ა. ონიანი, სვანური ენა, თბილისი.

ქალდანი 1956 – მ. ქალდანი, სვანური ენის ლაზამულური კილოკავის გრამატიკული თავისებურებანი, იკე, ტ. VIII, თბილისი.

შანიძე 1973 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.

LELA GIGLEMIANI

Verbal Affix Derived from Equative Case Marker

Summary

In the Svan derivative verbal affixes dative, equative, possessive and instrumental case markers can be found.

This time we discuss the verbal affixes derived from the equative case marker the number of which is quite large in the dialects of the Svan language.

As known, in Svan the formant **-d** is used as the equative case marker. It adds to nominals with final consonant as well as with a final vowel. Nominals with different structures such as nouns with a simple base, an adjective, a numeral, a pronoun and also a converb can be in the equative case and as a result we gain verbal affixes.

Sometimes the forms with the suffix **-d** of the equative case and without a marker can be attested. We also have the so called fossilized forms in which the separation of formant of the equative case occurs only as a result of the analysis.

გიორგი გოგოლაშვილი

**-ავ და -ამ თემისნიშნის ნიშანთა ზოგი თავისებურება
ქართული ენის დიალექტებში
(თემის ნიშანთა მონაცვლეობა)**

ქართული ზმნის მორფოლოგიაში თემის ნიშანთა სისტემა უაღრესად საინტერესოა: ამ სისტემაში ცვლილებები ხდება როგორც დროში, ასევე — სივრცეში. ცვლილებათა მიზეზი (საფუძველი) და მიზანი მრავალ კითხვას აღძრავს... ამჯერად ვისაუბრებთ **-ავ** და **-ამ** თემის ნიშნებზე.

-ავ და **-ამ** ფორმანტები თემის ნიშანთა სისტემიდან განცალკევებით დგას. უპირველესად სტრუქტურული თვალსაზრისით: ამ სისტემაში **ა** ხმოვანი მხოლოდ ამ ფორმანტებში გვაქვს. ძველ ქართულში **ა** ხმოვანი ორივე ფორმანტში ნულთან მონაცვლეა. ეს მოქმედი ფონეტიკური პროცესია: ხმოვნის რედუქცია ხდება მომდევნო ხმოვან- ან ხმოვნისშემცველი სუფიქსის დართვისას (ახალ ქართულში მოხდა ამ პროცესის მორფოლოგიზაცია: აწმყოს პარადიგმაში უკუმშველია, სახელზმნებში — კუმშვადი)..

შეგნიშნავთ: რა თავისებურებებსაც ავლენს **-ავ** თემის ნიშანი, იგივე თავისებურებები დასტურდება **-ამ** თემისნიშანთანაც. ამიტომ ჩვეულებრივ ვისაუბრებთ **-ავ** თემის ნიშანზე, იგულისხმება **-ამ** თემისნიშანიც. თუ რაიმე სხვაობასთან გვექნება საქმე, ამას საგანგებოდ მივანიშნებთ (ვთქვათ — **ავ** და **-ამ** თემის ნიშანთა ურთიერთმონაცვლეობის საკითხები და სხვა)...

ა) ძველ ქართულში ამ ტიპის ზმნებში ხმოვნის რედუქცია ხდება აწმყოს სუბიექტური მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ფორმებში:

მალ-ავ-ს — მალ-ვ-ენ,

ა-ბ-ამ-ს — ა-ბ-მ-ენ...

თემის ნიშანი ხმოვანს კარგავს სახელზმნებშიც:

მალ-ავ — მალ-ვ-ა; ბ-ამ — ბ-მ-ა...

მალ-(ვ)ულ-ი, და-ბ-მ-ულ...

ბ) **-ავ/-ამ** თემისნიშნისა ზმნათა ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება ძველ ქართულში არის ის, რომ უწყვეტლის პარადიგმა არის სუპლექტური: I-II პირის ფორმებში აწმყოსეულ **-ავ/-ამ** ფორმანტებს ჩაენაცვლება **-ევ/-ემ** ფორმანტები:

ვ-მალ-ევ-დ	ვ-მალ-ევ-დ-ი-თ
მალ-ევ-დ	მალ-ევ-დ-ი-თ...
ვ-ა-ბ-ემ-დ	ვ-ა-ბ-ემ-დ-ი-თ
ა-ბ-ემ-დ	ა-ბ-ემ-დ-ი-თ

გ) უწყვეტლის III პირის ფორმათა დაბოლოებაა **ვ-იდ**:

მალ-ვ-იდ-ა	მალ-ვ-იდ-ეს
ა-ბ-მ-იდ-ა	ა-ბ-მ-იდ-ეს...

-ვ-იდ/-მ-იდ ფორმანტებიანი ფუძე არის საყრდენი I სერიის სხვა მწკრივთათვისაც. ივარაუდება, რომ **ვ/მ** არის **ავ/ამ** ფორმანტთა შეკუმშული ვარიანტი (გოგოლაშვილი, 2010)...

დ) **ავ/ამ** თემის ნიშნები გადაჰყვება ზმნას ვნებითის ფორმებში:

მალ-ავ-ს	ი-მალ-ვ-ი-ს
ა-ბ-ამ-ს	და-ი-ბ-მ-ი-ს...

ე) I თურმეობითში **-ავ/-ამ** შენარჩუნებულია:

და-უ-მალ-ავ-ს...
და-უ-ბ-ამ-ს...

საგულისხმო თავისებურება: ყველა სხვა ზმნათაგან განსხვავებით **-ავ/-ამ** თემისნიშნისა ზმნები ძველ ქართულში I თურმეობითში არ დაირთავს **-იე**-ს დაბოლოებას.

ყველა ეს თავისებურება ძველი ქართული ენისა გარკვეულ ტრანსფორმაციას განიცდის ახალ ქართულში. ცვლილებათა ტენდენცია თავს იჩენს ძველ ქართულშივე. თუმცა თანამედროვე ქართულის ნაირსახეობებში ცვლილებათა ტენდენციის ყველა საფეხური დასტურდება სხვადასხვა მოდიფიკაციით; არის ისეთი თავისებურებაც, რაც ახალი ქართულის ფაქტია და ძველში არ დასტურდება. უპირველესად თემის ნიშანთა მონაცვლეობას მივაქცევთ ყურადღებას.

ქართული ენის დიალექტებში ფართოდ გავრცელებული პროცესია **-ავ** და **-ამ** თემის ნიშანთა ურთიერთმონაცვლეობა.

ავ → **ამ**: დიალექტთა ერთ ჯგუფში **-ავ** თემის ნიშანს ენაცვლება **-ამ**: მალ-ამ-ს, თეს-ამ-ს, ბარ-ამ-ს, ხატ-ამ-ს...

ეს პროცესი დამახასიათებელია როგორც აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებისათვის, ისე დასავლეთში: **ქართლურში, კახურში, ინგილო-ურში, მესხურ-ჯავახურში, ზემოიმერულში, რაჭულსა და ლეჩხუმურში.** მთის დიალექტთაგან ადასტურებენ მთიულურ-გუდამაყრულში. ესეც, ვფიქრობთ, ბარის დიალექტებთან სიახლოვის შედეგი ჩანს...

ჩამოთვლილ დიალექტთაგან რამდენიმეში (**ქართლურში, კახურში, ზემოიმერულსა და რაჭულში**) მოქმედებს საპირისპირო პროცესიც:

ამ → **ავ**: სვ-ავ-ს, დგ-ავ-ს, წა-ა-სხ-ავ-ს...

ანუ, ამ დიალექტებში გვერდიგვერდ მოქმედებს ურთიერთსაპირისპირო პროცესი:

ავ → **ამ**

ამ → **ავ**...

ძნელი ასახსნელია, რა არის საფუძველი ამგვარი ურთიერთსაპირისპირო პროცესებისა. შედეგი უცნაურია: გვექონდა **ავ** და **ამ** თემისნიშნიანი ზმნები, გვაქვს **ავ** და **ამ** თემისნიშნიანი ზმნები, ოღონდ ავ-იანები ამ-იანები გახდა და პირიქით...

საინტერესოა ისიც, რომ **დგ-ავ-ს, სვ-ავ-ს** ტიპის ფორმები ფეხს იკიდებს ქალაქურ მეტყველებაშიც, რაც საფუძველი ხდება მათი შემოჭრისა მედიის ენაში...

ისეთი მასშტაბური ხასიათისაა **ავ** → **ამ** პროცესი, რომ შეიძლებოდა უნიფიკაციის (გაერთფეროვნების) ტენდენციის გამოვლენად მიგვეჩნია; თუმცა **ამ** → **ავ** პროცესის არსებობა ამ თვალსაზრისისათვის კითხვის ნიშანს დაგვასმევინებს; ყოველი შემთხვევისათვის, უნიფიკაციის ტენდენციის დარღვევის ეს შემთხვევა (**ამ** → **ავ**) სერიოზულ ახსნას მოითხოვს. ჩვენ პრინციპულად არ ვეთანხმებით მსგავსი ფაქტებისათვის გამონაკლისის კვალიფიკაციის მიცემას (ხშირად ვიმეორებთ და ვეთანხმებით ვარლამ თოფურიას მოსწრებულ ნათქვამს: „გამონაკლისი და ანალოგია გაჭირვების ახსნა“)...

ამ მასშტაბურ პროცესთან დაკავშირებით (**ავ** → **ამ**) კიდევ ერთი საკითხი მოითხოვს გარკვევას: ეს პროცესი **ფონეტიკური მონაცვლეობაა ზგერათა** თუ **მორფოლოგიური შენაცვლება**. ჩვეულებრივ, დიალექტოლოგიურ ლიტერატურაში **ავ** → **ამ** და **ამ** → **ავ** პროცესები თანხმოდანთა სუბსტიტუციად განიხილება: **გ > მ** და **მ > გ**. ანალოგიისათვის მოჰყავთ მსგავსი შენაცვლება სხვა სიტყვებშიც (**ვითამ > მითამ** და ა. შ.). ამ თემას დავუბრუნდებით, როცა სხვა ტიპის მონაცვლეობის საკითხს განვიხილავთ. წი-

ნასწარ ვიტყვით, რომ ჩვენ **ავ** > **ამ** მორფოლოგიურ მონაცვლეობად გვესახება...

აკაკი შანიძე როცა თემის ნიშანზე მსჯელობს, შენიშნავს: „თემის ნიშანი საზოგადოდ მკვიდრია: ამა თუ იმ ზმნის ფუძეზე (მარტივ თემაზე) დაერთვის ესა თუ ის თემის ნიშანი: ზოგს **ი**, ზოგს **ავ**, ზოგს **ებ** და სხვა“ (ა. შანიძე, 1973, 408). ეს დასკვნა მისაღებია ძველი ქართულისათვის: ძველ ქართულში თემის ნიშანთა პოზიცია მკვიდრია. ძველ ქართულში არ დასტურდება **ავ/ამ** თემის ნიშანთა მონაცვლეობის შემთხვევები. არის ზმნები მკვიდრად **-ავ**-იანები, არის ზმნები მკვიდრად **ამ**-იანები. როგორც ჩანს, თემის ნიშანთა ზოგადი თუ კონკრეტული ფუნქციები ძველში განსაზღვრულია; ვგულისხმობთ საკითხებს: რა არის ზოგადი ფუნქცია თემის ნიშანთა; ანუ დაპირისპირება რთული და მარტივი თემისა რა მნიშვნელობას იძენს; ეს, ერთი მხრივ... და, მეორე მხრივ, რა არის კონკრეტული ფუნქცია ცალკეული თემის ნიშნისა, რატომ გამოიყენება ერთ შემთხვევაში **ავ** თემის ნიშანი, სხვა შემთხვევაში **ებ** და ა. შ. ამ თემაზე გარკვეული პასუხი გვაქვს, ამის თაობაზე ცალკე გვექნება მსჯელობა...

ფაქტია, ახალ ქართულში ფუნქციური დატვირთვა თემის ნიშნებისა იცვლება როგორც ზოგადად, ისე კონკრეტულად; თემის ნიშანთა შენაცვლებაც ამის შედეგი ჩანს.

თემის ნიშანთა სისტემაში მნიშვნელოვანია ის ცვლილებები, რაც ე. წ. უთემისნიშნო (ერთთემიან) ზმნებთან ხდება.

კერძოდ: ისტორიულად უთემისნიშნო ზმნები ახალ ქართულში თემის ნიშანს დაირთავენ...

ა. შანიძე „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ ოთხ ათეულამდე უთემისნიშნო ზმნას ასახელებს: ვ-**ბან**, ვ-**ბერტყ**, ვ-**თეს**, ვ-**თიბ**, ვ-**ღებ**, ვ-**ღობ** და ა. შ. (ა. შანიძე, 1973, 389). თუმცა იქვე შენიშნავს, რომ „ჩამოთვლილი ზმნების უმეტესობას დაერთო **ავ** და ისინი ორთემიანებში გადავიდნენ: ვ**თიბავ**, ვ**თესავ**, ვ**ბერტყავ**, ვ**ბოცავ**...“. ეს პროცესი, როგორც ჩანს, ძველ ქართულშივე დაიწყო და დღემდე გრძელდება. პროცესი არათანაბრად განვითარდა სხვადასხვა დიალექტში; არაერთგვაროვნად წარიმართა ერთთემიანთა გაორთემიანება: ზოგან შენელებული ტემპით, ზოგან — დაჩქარებულად.

დიალექტებში ზოგი ზმნა, რომლებიც ძველ ქართულში უთემისნიშნონი იყვნენ, ერთთემიანებადვე დარჩნენ; ასეთ ფაქტებს ჩვენ თითქმის ყველა დიალექტში ვადასტურებთ: **თიბ-ს, რეცხ-ს, ჯოც-ს, ნაყ-ს...** (ხევს.), **ჩეჩ-ს, კეკ-ს, კეც-ს, თელ-ს...** (მოხეური), **კეტ-და, ხარჯ-და, ხარშ-და...** (იმერული), **რეცხ-ს, კეპ-ს...** (რაჭული); **ხოც-ს, რეც-ს, ხვეტ-ს...** (გურული); **ლეც-ს, თიბ-ს, ნაყ-ს...** (აჭარული)... თითქმის ყველა დიალექტში დასტურდება უთემისნიშნო ვარიანტი იმ ზმნებისა, რომლებიც სალიტერატურო ენაში **ავ** თემისნიშნიანია. აქ ჩვენ რამდენიმე დიალექტის რამდენიმე ფორმა დავიმოწმეთ. ეს არ გულისხმობს იმას, რომ ამ ზმნათა მსგავსი ფორმები სხვა დიალექტებში არ დასტურდება, ანდა სხვა ზმნები არ შემორჩა უთემისნიშნოდ ამა თუ იმ დიალექტში. ეს ცოცხალი პროცესია. ერთი რამ აშკარაა: უთემისნიშნო ვარიანტები ამ ზმნებისა გაცილებით მრავლადაა აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში, ვიდრე სხვაგან. ფაქტია: მთის დიალექტები არქაიზმებით გამოირჩეოდა... იქ ზოგჯერ ერთადერთი და ჩვეულებრივი ვარიანტია **თიბ-ს** ტიპის ფორმები... სხვა დიალექტებში ასევე ფაქტია ფორმათა პარალელიზმი. **რეცხ-ს** და **რეცხ-ავ-ამ-ს, თეს-ს** და **თეს-ავ-ამ-ს...** ბარის დიალექტებში აშკარაა ტენდენცია ორთემიანობისა. ზოგჯერ ისეთ ზმნებთანაც დადასტურდება, სალიტერატურო ენაში რომ მხოლოდ ერთთემიანი ვარიანტები გვაქვს: **წერ-ს — წერ-ავ-ამ-ს, ტეხ-ს — ტეხ-ავ-ამ-ს...**

საინტერესოა ერთი ფაქტიც: **წერ-ავ-ს, ტეხ-ავ-ს** ვარიანტები ჟარგონულ საუბარში თავიანთ სემანტიკურ დატვირთვას იღებენ...

ასე რომ, ერთთემიან ზმნებზე **-ავ** თემის ნიშნის დართვა ხანგრძლივი პროცესია და დიალექტებსა და სალიტერატურო ენას შორის სხვაობას ისიც ქმნის, თუ რა ტემპით ვითარდება ეს პროცესი.

ერთ საინტერესო ფაქტსაც მივაპყროთ ყურადღება: იმერულში უთემისნიშნო ვარიანტები დავადასტურეთ მხოლოდ უწყვეტლის მწკრივში: **კეტ-დ-ა, ხარშ-დ-ა...** ჩვენ მიერ გაანალიზებულ მასალაში აწმყოს ფორმები **კეტ-ს, ხარჯ-ს, ხარშ-ს** და მისთანანი — ვერ დავადასტურეთ. ეს თავისთავად აჩენს კითხვას: არქაული ვითარება (ერთთემიანობა) აწმყომიც შემოგვრჩა თუ არა... მაგალითად, რაჭულში დადასტურდა აწმყოს ფორმა **კეტ-ავ-ს** და იქვე უწყვეტლის ფორმა **კეტ-დ-ა** მსგავსი ფაქტები მესხურ-ჯავახურშიც დადასტურდა: **თესდა, ინახდა, ყლაპდა, ზიდდა...** აქ საინტერესო ისაა, უთემისნიშნო ვარიანტებს ის ზმნებიც გამოაჩენენ, რომლებიც ისტორიულად თემისნიშნიანია: **ზიდავს, ყლაპავს...** დასმულ კითხვაზე პასუხები დამატებით კვლევას საჭიროებს.

ჩვენ ვსაუბრობთ უთემისნიშნო ზმნებზე -**ავ** თემისნიშნის დართვა-ზე. იმ დიალექტებში, სადაც ავ→ამ პროცესი განხორციელდა, -**ავ**-ის ნაცვლად -**ამ**-ი დასტურდება: **თეს-ამ-ს**, **რეკ-ამ-ს**, **წერ-ამ-ს**, **ტეხ-ამ-ს**...

უთემისნიშნო ზმნათა მიერ **ავ** თემისნიშნის დართვა დაიწყო მას შემდეგ, რაც ძველი ქართულის მკვიდრი საფუძველი თემის ნიშანთა სისტემისა შეირყა და თემის ნიშანთა მონაცვლეობა დაიწყო...

მსგავსი ფაქტები, როგორც ითქვა, თითქმის ყველა დიალექტში შეიძლება დადასტურდეს, თუმცა ქართლურში, კახურში, ინგილოურში, ფერეიდნულში, მესხურ-ჯავახურსა და ქვემოიმერულში ვერ დავადასტურეთ არქაული ფორმები; **ვწერამ**, **ვტეხამ** ტიპის ფორმები — კი. ესეც საინტერესოა ამ ტენდენციის დინამიკის გასააზრებლად...

ავ/ამ თემის ნიშანთან არის ასევე დაკავშირებული ის ფორმობრივი ცვლილებები, რაც ხმოვანმონაცვლე (ფუძედრეკად) ზმნებთან ხდება. ტენდენცია იგივეა, რაც ზემოთ განვიხილეთ: მარტივთემიანი (უთემისნიშნო) ზმნა ხდება რთულთემიანი (თემისნიშნო):

დრეკ-ს — დრეკ-ავ-ს / დრიკ-ავ-ს

გრეხ-ს — გრეხ-ავ-ს / გრიხ-ავ-ს

ეს პროცესი ნაკლებად (ანდა თითქმის არა) შეიმჩნევა იმ დიალექტებში, რომლებშიც უთემისნიშნო ზმნათა მარტივთემიანი ფორმები არის ძირითადად შემორჩენილი: აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებსა და ფერეიდნულში. სხვა დიალექტებში ეს პროცესი მეტ-ნაკლები ინტენსიობით გამოირჩევა, მეტიც, პროცესი იმდენად გავრცელებულია, რომ დიალექტების შთაბეჭდილებას აღარ ტოვებს — იგი ზოგადად სასაუბრო მეტყველების ფაქტად აღიქმება (წერიტი მეტყველების ფაქტის საპირისპიროდ).

აქ უფრო საინტერესოა დიალექტური თვალსაზრისით თემისნიშნიან ფორმათა პარალელიზმი:

დრეკ-ავ-ს // დრიკ-ავ-ს.

სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ფაქტს დიდი ხანია მიექცა ყურადღება. ახსნა ერთმნიშვნელოვანია: ერთი ვარიანტი საყრდენად იყენებს I სერიის ფუძეს, მეორე — მეორე სერიისას... თუმცა პასუხგაუცემელია კი-

თხვა: რატომ დასჭირდა II სერიის ფუძის გამოყენება აწმყოს ფორმისათვის,... აქ ალბათ სხვაგვარი ახსნა უნდა დაიძებნოს:

დრეკ-აგ-ს ტიპის ფორმები იმავე პრინციპით იწარმოება, რაც **თიბ-აგ-ს** ტიპისა.

დრეკ-აგ-ს შემთხვევისათვის ამოქმედდა ის წესი, რასაც ფუძისა და აფიქსთა ურთიერთშეუღლების წესი ჰქვია: როცა ორი ვარიანტია ფუძისა — რედუცირებული (დრიკ) და არარედუცირებული (დრეკ), მარცვლოვან მორფემასთან ხდება რედუცირებულის შეუღლება: **დრიკ-აგ**; მეორე შემთხვევაში ეს წესი ირღვევა: **დრეკ-აგ** — მარცვლოვანი მორფემა შეუღლებულია არარედუცირებულ ვარიანტთან... როგორც ჩანს, ეს წესი აღარ მოქმედებს...

ფაქტი ერთია: ორივე ვარიანტი პარალელურად დასტურდება ერთსა და იმავე დიალექტში; მხოლოდ ერთი ვარიანტი რომ იყოს, ასეთი ფაქტი ჩვენ ვერ დავადასტურებთ. რაოდენობრივი თვალსაზრისით, რომელს ენიჭება უპირატესობა და ერთსა და იმავე პირთან გვხვდება თუ არა ორივე ვარიანტი, ეს დამატებით კვლევას მოითხოვს. თუმცა ესეც ვთქვათ: ამ მხრივ თავისებურია **ფრინ-აგ-ს** ზმნა. **ე** ხმოვნისანი ვარიანტი (ფრენ-აგ-ს) ვერ დავადასტურებთ. **ფრენს** ვარიანტი იმ დიალექტებში შეიძლება შეგვხვდეს, უთემისნიშნო ზმნათა არქაული ვარიანტები რომ შემოგვინახა...

და ისიც უნდა ითქვას: ყველა ფუძედრეკადი ზმნა ამ დიალექტებში ერთგვარი ინტენსიობით არ განიცდის ამ ფორმობრივ ცვლილებას. თითქმის ყველგან დასტურდება როგორც უთემისნიშნო ვარიანტი ამა თუ იმ ზმნისა, ისე თემისნიშნისა. ასე რომ გვერდიგვერდ შეიძლება შეგვხვდეს **დრეკს//დრეკავს//დრიკავს...**

თემის ნიშანთა მონაცვლეობის თვალსაზრისით საინტერესო ვითარებაა მესხურში: **აგ/ამ** თემის ნიშნებს აქ **-ან** ფორმანტი ენაცვლება. ეს შემთხვევა განსხვავებით **აგ→ამ** მონაცვლეობისა, მორფოლოგიურ შენაცვლებად განიხილება.

მალ-**აგ-ს** → მალ-**ან-ს**, დგ-**ამ** → დგ-**ან-ს**...

ეს შენაცვლება უფრო რთული პროცესის ნაწილი ჩანს: **ე** და **ო** ხმოვნისანი თემისნიშნებშიც ხდება **ნ** თანხმოვნის ჩანაცვლება:

აკეთ-**ებ-ს** → აკეთ-**ენ-ს**, ათბ-**ობ-ს** → ათბ-**ონ-ს**, კოჭლ-**ობ-ს** → კოჭლ-**ონ-ს**...

ზოგ შემთხვევაში **ე** ხმოვნის ვარიანტი შუალედური საფეხური ჩანს: აკეთ-**ებ**-ს → აკეთ-**ენ**-ს → აკეთ-**ან**-ს... საბოლოო შედეგი **ა** ხმოვნის ვარიანტის გაჩენაა...

როგორც ჩანს, თემის ნიშანთა ისტორიული მონაცვლეობის საფუძველი და მიზანი უფრო რთული და მნიშვნელოვანი, ვიდრე ერთი მარტივი ფონეტიკური პროცესი (ვ>მ... მ>ვ... ვ>ნ...). ამ საკითხს თემის ნიშანთა სისტემის ანალიზისას კვლავ დავუბრუნდებით...

* * *

-ავ/-ამ თემისნიშნის ზმნებთან დაკავშირებული ერთი თავისებურება ვნებითის ფორმათა წარმოებაა.

-ავ და **-ამ** თემისნიშნის ზმნები ჩვეულებრივ მოქმედებითი გვარის ზმნებია. ძველ ქართულში თემის ნიშნები შესაბამისი ვნებითი გვარის ფორმებშიც გადაჰყვება:

მალ-**ავ**-ს — ი-მალ-**ვ**-ის

აბ-**ამ**-ს — და-ი-ბ-**მ**-ის

ვნებითი გვარის ზმნებმა ახალ ქართულში ორგვარი ცვლილება განიცადა:

იმალ-**ვ-ი-ს** — ი-მალ-**ებ-ი-ს** — ი-მალ-**ებ-ა**

I ეტაპზე მოხდა თემის ნიშანთა შენაცვლება, მეორე ეტაპზე — აწმყოს დაბოლოების შეცვლა (უნიფიცირება ყველა ტიპის ვნებითის წარმოებისა).

თუ პირველი ვარიანტი ნორმა იყო ძველი ქართულისათვის, ბოლო ვარიანტი ნორმა ახალი სალიტერატურო ქართულისათვის. სამივე ეს საფეხური დასტურდება ქართულ სალიტერატურო ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. და რაც არსებითია, სამივე ეს საფეხური დასტურდება თანამედროვე ქართულის დიალექტებში.

დავარქვათ ამ საფეხურებს: ა) არქაული (**იმალ-ვ-ი-ს**), ბ) გარდამავალი (**იმალ-ებ-ი-ს**) და გ) ახალი (**იმალ-ებ-ა**)...

რამდენადაც მოულოდნელი იყო ჩვენთვის, არქაული ვარიანტი შემოგვენახა არა იმ დიალექტებში, რომლებშიც ჩვეულებრივ დასტურდება არქაული ფაქტები და მოვლენები. მხედველობაში გვაქვს ადმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტები. არქაული ვარიანტი დასტურდება იმ დიალექტებში, რომლებშიც უფრო მეტად ზმნურ ფორმაწარმოებაში ინოვაციური პროცესებია განვითარებული: **გურულში**, **აჭარულში**, **იმერხულში**, **რაჭულში**, **ზემოიმერულში**... ადმოსავლური დიალექტებიდან **იმალ-ვ-ის** ტიპის ფორმები მთიულურში დავადასტურეთ.

გარდამავალი საფეხური (იმალ-ებ-ი-ს...) დასტურდება **ხევსურულში, ფშაურში, თუშურში, მოხეურში, მთიულურ-გუდამაყრულში, ინგილოურში, ფერეიდნულსა და რაჭულში**. ამ დიალექტთა უმეტესობაში დასტურდება პარალელური ვარიანტები **-ებ-ა** დაბოლოებით...

-ავ **ჩამ** თემის ნიშნები ამ დიალექტებში ჩაანაცვლა **-ებ** თემის ნიშანმა, თუმცა ფორმათა ტრანსფორმაცია ამით არ დასრულებულა: დიალექტთა ერთ ჯგუფში ახალი (იმალ-ებ-ა...) ვარიანტი დამკვიდრდა. ეს დიალექტებია: **ქართლური, კახური, მესხურ-ჯავახური, ქვემოიმერული, ლეჩხუმური**... სალიტერატურო ენა ამ ვარიანტს ემყარება.

ლიტერატურა

ო. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე – ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1961.

ბ. ჯორბენაძე – ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989.

GIORGI GOGOLASHVILI

Some Features of Verbs with Stem Markers **-av** and **-am** in Georgian Dialects (Alternation of Stem Markers)

S u m m a r y

In Georgian dialects the verbs with the stem markers **-av** and **-am** reveal a number of features. The alternation of stem markers is especially interesting.

In one group of dialects the stem marker **-am** alternates with the stem marker **-av** (Mtiulian-Gudamakrian, Kartlian, Kakhetian, Ingilo, Javakhian, Upper-Imeretian, Lechkhumian and Rachan); In Meskhan **av/am** → **an**. In some dialects the reverse process takes place **am** → **av** (Kartlian, Kakhetian, Upper-Imeretian and Rachan). The motivation of these contradictory processes in the same dialect is unexplainable.

Sometimes different types of alternation occur:

The stem marker **-eb** alternates with **-am**, e. g. aḡet-**am**-s;

The verbs without stem markers add **av/am**, e. g. ḡer-**av/am**-s;

The verbs with the vowel alternation add **av/am**, e. g. *glež/gliž-av/am-s*.

In some cases solely the variant with the formant **-am** is attested, e. g. *aḳet-am-s*, *ḳer-am-s*. It is supposed that in this case an intermediate is the variant with the suffix **av**, e. g. *aḳet-av-s* → *aḳet-am-s*.

In Meskhian there is a variant with the consonant *n*, e. g. *xaṭ-an-s*, *aḳet-an-s*.

We think that the assumption about the issue that *av* → *am* (and vice versa) is a phonetic alternation is arguable as we believe that the alternation of stem markers in this case and in other ones is a morphological process and expressing the tendency of the unification of forms.

In old Georgian **-av/-am** was the elements of a verb even in the passive voice (*imal-v-is*), while in modern Georgian it was alternated with the stem marker **-eb**.

თამარ ვაშაკიძე

**მუხრან მაჭავარიანი – „მზეს ალბათ ჩემთან
მგზავრობა უნდა“ (წელიწადის დრონი)**

მზეს ალბათ ჩემთან მგზავრობა უნდაო, – ამბობს დიდი პოეტი და მკითხველიც თან მიჰყავს ამ საოცარ მოგზაურობაში, რათა უჩვენოს, თუ როგორ „ყაყაჩოვდება ცის კიდე“, როგორ აქრობს „ცაში მზე პაწია ვარსკვლავებს“, როგორ „კურდღლაობს დაპურებული ყანა“, როგორ თამაშობს „ნაჭრის საბანზე ნორჩი მთვარე ჭადრაკს“... მკითხველიც მიაბიჯებს მუხრან მაჭავარიანის უკიდევანო პოეტურ სამყაროში და თვალწინ წარმოუდგება „ყაყაჩოსავით წითელი მზე“, „სველი დილა“, „თეთრონი მთვარე“, „ჩუმიად გაპარული ვარსკვლავები“, ქარის მიერ „ქოჩრით დათრეული ნაძვები“ და „დავარცხნილი ყანა“, „რტო – საკუთარი ნაყოფის წერა“ და მრავალი სხვა.

თითქოს უბადლო ფერმწერის ფუნჯით იხატება მკითხველის თვალწინ მუხრანისეული განთიადი – „დედამიწის მძაფრ წადილად“ ქცეული, ნაცნობი მთვარე – „რძის დიდი წვეთი, თეთრი წერტილი“, მზის ხმაურია-ნი ამოსვლითა და მთვარის ჩუმი გამოჩენით გაკვირვებული ლაშურა („...უკვირს ლაშურას: – მზე რა ხმაურით ამოდის ხოლმე, მთვარე ამოდის ხოლმე რა ჩუმიად“), მწყვრებად ქცეული წნორის ფოთლები („ატყდა ხეთანი ქართან ძგერება, წნორებს ფოთლები ექცნენ მწყერებად“), „დაულვაშებული სიმინდები“, „ბუხრის ყელიდან“ ამოსული „მტრედისფერი კვამლი“ და „წიწილებივით დაფანტული“ „მეწნის ფოთლები“, მზისგან ატაცებული ცვარი („მზემ – როგორც პაწია ლურსმანი მაგნიტმა, ისე აღიტაცა მიწიდან ცვარი“)...

ბუნების ნაირგვარი სურათებითა თუ წელიწადის დროთა მშვენიერებით არაერთი დიდი შემოქმედი გატაცებულა და, ბუნებრივია, დროის ეს მონაკვეთები ყოველთვის უკავშირდებოდა ადამიანთა ამქვეყნიური ყოფის ოთხ ეპიზოდს (ბავშვობას, ახალგაზრდობას, ხანდაზმულობასა და სიბერეს). გავიხსენოთ თუნდაც ანტონიო ვივალდისა თუ პეტრე ჩაიკოვსკის განუმეორებელი მუსიკალური ქმნილებები, რომლებშიც მოთხრობილია წელიწადის დროთა შესახებ... იქ გაზაფხულ-ზაფხულისა და შემოდგომა-

ზამთრის ეპიზოდები ერთმანეთს ენაცვლება მაჟორულ-მინორული ტონალობებით და მსმენელიც შესაფერის შთაბეჭდილება-განწყობილებათა სამოსში ექცევა: წკაპუნა წვიმის წვეთებსა და ახლადშედერებულ მზეს მწიფე და მსუყე ფერები მოსდევს, რასაც მოგვიანებით უკვე ცოტა დაღლილი, სხივდაკარგული მზიანობა და გაცრეცილი, ღრუბლიან-მინორული ნოტები ცვლის... ბოლოს კი მინორი ჭარბობს — ცივი სტატიკურობა შეიგრძნობა ყოველ ტაქტში... მუხრან მაჭავარიანს ამ სახის ჩანახატებისათვის არ უწოდებია „წელიწადის დრონი“, თუმცა დაკვირვებული მკითხველი მაშინვე ამოიცნობს ლექსთა ერთ ციკლს, რომელსაც თავისუფლად შეიძლება ეწოდოს „წელიწადის დრონი“.

გასაოცარი ფერადოვნებითა და მხატვრულ სახეთა ნაირგვარი ხორც-შესხმით იძერწება პოეტის მიერ გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი. გაზაფხული (და — განსაკუთრებით აპრილი) მუხრან მაჭავარიანისათვის გამორჩეული დღესასწაულია — „კვამლივით აღელვებული ატმის ყვავილება“, „აქაფებული ტყემლება“, „გათავხედებული ღელეა“, „ნედლი მიწის სურნელია“, „კვირტიდან თავდაძვრენილი ფოთლებია“.

„ქართლო! —

გახედე ქსანს! —

მდინარემ გაშალა ტოტი...

გზა! —

გაზაფხული მოდის!“

სიცოცხლის განახლებით — გაზაფხულის მოსვლით — გამოწვეულ თავბრუდამხვევ განცდას საოცარი გრადაციული განმეორებით გვიხატავს პოეტი და მკითხველსაც უმაღვე აქცევს ამ შთაბეჭდილებათა თანაზიარად:

„გითხრა! —

რა გითხრა!..

ვით გითხრა!..

არ გითხრა! —

რა ქართულია!

გადაჭარბების გარეშე, —

ისეთი გაზაფხულია...

ისეთი გაზაფხულია...

ისეთი გაზაფხულია...

გინდ მერწმუნე

და

გინდ, — არა!

გამოვიცვალე სრულიად!“

...და ეს სავსებით ბუნებრივია პოეტისათვის, რადგან — „არის აპრილი, დღეა ზღაპრული“... ალიტერაციული წყვილი და აპრილ-ზღაპრულობის ასოციაციური ბმა.

ძალზე საინტერესო ჩანს სტრიქონგამოშვებით მოხმობილი — ალიტერაციული ერთეულებით აგებული — რითმულ-რიტმული კომპოზიციის კიდევ ერთი ტიპი:

„თრთის ფოთოლი
ფაფანაკებრი.
თიმთიმებს ყანა
(ქარში როა ფაფარაყრილი).
სიოა ნელი.
გარშემოა პაპანაქება“.

ზაფხულია უკვე... „თვეა მკათანი“, — ამბობს პოეტი და კალმის ერთი მოსმით აცოცხლებს თავარა ზაფხულის ჩვეულებრივ დღეს, თუმცა — არაჩვეულებრივად დანახულს:

„მოშავო ქვებში მოწანწკარებს ღელე ანკარა
(თვეა მკათანი,
დღეა თავარა) —
ქვას
ხან ერთს პეპლავს,
ხან მეორეს, —
ბოლოქანქალა.
იხვი
მორევში
წარამარა
ყვინთავს
საყვარლად“.

განსხვავებულ ემოციას იწვევს პოეტური მიმართვები (შეიძლება ითქვას, — ერთგვარი გასაუბრება), რაც ხშირად ემყარება გაპიროვნების ორიგინალურ ფორმას: საუბრობენ არა ბუნების ობიექტები, არამედ თავად პოეტი მიმართავს მათ — როგორც დიდი ხნის უნახავ მეგობრებს და კითხვებსაც უსვამს მონატრებულთ საპასუხო შთაბეჭდილების მოლოდინით:

„ნიავო!
რა დროს ხეებთან კამათია!
გახედე!
გახედე —
რა კარგი ველია...“

რამდენი დღე და რამდენი საათია —
 მე და შენ
 ერთად აღარ გვირბენია...
 ვირბინოთ!
 ვირბინოთ!
 ბალახი სველია.
 დედეო, გახსოვარ?!
 მიცანი, ცაო?!
 შენ რაო, ნიაგო?!
 ველარ მცნობ!
 ჰერიჰა!
 მუხრანი არ გახსოვს, შე კაი ქალო?“

ფერდობებზე შეფენილი ნახირი თუ ერთმანეთს ჩაკონებული ჭიგო-ვაზები, მაყვლის ბუჩქებით ამოვსებული ყორეები თუ ტირიფებში მომღერალი წყარო ერთ პატარა ლექსშია გამჟღავნებული განსაკუთრებული ემოციით — აღფრთოვანებით, სილაღით, პოეტური იუმორით:

„ფერდობებზე ნახირი ძოვს, ვაზი ჭიგოს ეკონება.
 ყორე-ყორე მაყვლებია, მაგრამ რაღა მეყორება!
 ტირიფებში წყარო მღერის, — იადონი გეგონება.
 ისეთია, მე შენ გეტყვი, მუშტარი არ ეყოლება“.

„ფოთლებთან ქარის ღლაბუცი“, ალვის ხეების „უკანასკნელი შრიალი“, ღრუბლებით დაფარული „ცის ლურჯი კამარა“, „თავპირისმტვრევით“ ჩამოცვენილი კაკალი... შესაფერის განწყობას უქმნის მკითხველს და ქართული შემოდგომის სურათიც თვალნათლივ ეხატება:

„ღდინი გაართვა წისქვილს ყვირილამ,
 ხეზე ბუსავით დასკუპდა ზვინი.
 საწნახელს სისხლი წასკდა ცხვირიდან,
 ჭურში ორშიმომ ჩატუნტრა ცხვირი“.

სხვა შემთხვევაში შემოდგომის ერთი პატარა ეპიზოდი ლირიკული იუმორით აღიბეჭდება სტრიქონებში და ღიმილს უტოვებს მკითხველს:

„შემოდგომაა გარშემო;
 ქალიშვილს უჩანს მუხლები...
 რამდენი რამე არსებობს
 კარგი და ჩემი ურგები“.

თუმცა შემოდგომაზეც, როცა „თვალეები მხოლოდ ხის ჩონჩხებს ხედავს“, პოეტი გაზაფხულის მოლოდინით ცოცხლობს:

„მე სიხარულმა გული ამინთო, –
ჩემმა ოცნებამ ხენი შემოსა, –
შემოდგომაზე ვხედავ ამიტომ
მე გაზაფხულის ლაღად შემოსვლას“.

მხატვრის მიერ საგანგებოდ შერჩეული საღებავებით იხატება ცეცხლისფერი გაზაფხულის დაუღვაშებულ შემოდგომად გარდაქცევის – ცელქი ბავშვის მოწიფულობა-დავაჟკაცების ასაკში გადასვლის – პერიოდი ერთ პატარა ლექსში „რა განაცხადა გაზაფხულმა შვიდი თვის შემდეგ“:

„შვიდი თვის წინათ ვინც იყო ბავშვი,
ვისაც „გაზაფხულს“ ვეძახდით მამინ,
ძლიერ უყვარდა მხატვრობა ვისაც,
ვინც წამდაუწუმ თხუპნიდა მიწას –
ცეცხლისფრად,
თეთრად,
წითლად და ყვითლად...
დღეს მოწიფული კაცია უკვე, –
სახეს უღვაში უმშვენებს ახლა;
ყრის საწნახელში გოდრიდან ყურძენს,
ქვევრებს ურეცხავს ბადაგის ტალღას...“

უკვე ზამთრისპირულია – შემოდგომის მიწურული... მოლონიერებულ-
ლი ქარი ყვითელ ფოთლებს აფარფატებს:

„არა!
ზამთარი
ახლა არცთუ ისე შორია;
ირგვლივ მთებს უკვე წამოუსხამთ
თეთრი ნაზადი.
ხეებს ქუჩისას
დაემგერა ქარი ღონივრად:
ცვივა
ყვითელი
ფოთოლი
ფარფატით“.

„კარს მომდგარი ზამთრისა“ და ხეების დიალოგში კვლავ გამოკრთის
მუხრანისეული პოეტური ირონია თუ იუმორი:

„კარს მომდგარ ზამთარს
ფეხქვეშ
ფოთლებს

უგებენ

ხენი:

— რა გაგვახარე, — რომ იცოდე!

მობრძანდი! —

გელით.

— გიხარით, — არა?!

ისემც მამა ვაცხოხნე თქვენნი!

კარს მომდგარ ზამთარს

ფეხქვეშ

ფოთლებს

უგებენ

ხენი“.

თუმცა ახალი წელი — ეს ზღაპრული სამყარო — მხოლოდ ზამთრის კუთვნილებაა და პოეტისთვისაც განსაკუთრებით ტკბილი და საყვარელია:

„ახალი წელი, — ლექსია თითქოს,

და უფრო მეტიც, — თითქოს შვილია,

და მერამდენეც არ უნდა იყოს,

მე რამდენადაც ვიცი, — ტკბილია!“

წელიწადის დროთა მონაცვლეობა, გაფრენილი გაზაფხულები, დაუბრუნებელი ეპიზოდები, დღე-ღამისა თუ დრო-ჟამის ბრუნვა ასოცირდება „ვეებერთელა ციციანთელასთან“, რომელიც განუწყვეტლივ „ქრება და ინთება... ქრება და ინთება“... დრო კი მიდის...

„დილა გათენდება, — ვინ იცის რამდენი!

დღე-ღამე დედამიწას ასკდება ზვირთებად;

ვეებერთელა ციციანთელა

ქრება და ინთება...

ქრება და ინთება...“

მოულოდნელი მხატვრული საღებავებით გამოწვეული ეფექტი ადამიანებს ყოველთვის ხიბლავს და აოცებს, მაგრამ მთავარი მაინც სხვა არის — ახალი პოეტური სამკაული არ უნდა იყოს მკითხველისათვის განყენებული, მიუწვდომელი, ძნელად გასაგები... პირიქით, მხატვრული სახეები ისე ბუნებრივად უნდა ერწყმოდეს ენას, არ გაგიჭირდეს მათი აღქმა და გათავისება. სწორედ ასეთია მუხრანის პოეზია — არაორდინარული... და ამავედროულად — საოცრად ბუნებრივი, ლაღი, მზისდარი...

„როცა ხრამიდან მთვარე ამოდგრა, —

ცა დაემგვანა მაშინ ამორძალს“...

ან კიდევ:

„ღრუბლებმა დაფარეს ცის ლურჯი კამარა.
ურმებმა ამოავსეს შარა.
წელზე შემოირტყა სასწრაფოდ ქამარი, —
ყანიდან გაიქცა ჩალა“.

მუხრან მაჭავარიანის ლექსის ნიშან-თვისებებს თავად შემოქმედის ცნობიერებაში დაუნჯებული პოეტური ხედვა განაპირობებს. სწორედ ამიტომ იკვეთება ყველა წინადადებაში ენის შესაძლებლობათა ახალი იმპულსები და აბსოლუტურად ინდივიდუალური მუსიკალურ-ფერწერული სტილი.

თუ არ დახატა პოეზიამ ვირტუოზულად, ვერ აღგაფრთოვანებს; თუ არ დაუკრა სულშიჩამწვდომად, ვერ აგამღერებს; თუ არ მოგწუსხა სათქმელის არსით, ვერ დაგაფიქრებს; თუ შეეშინდა სიმართლის თქმისა, ვერ ეთაყვანები; თუ სიყალბე გაიპარა სტრიქონებში, ვერ გაითავისებ; თუ არ გაგათბო, ვერ შეიყვარებ... მუხრანის უბადლო ლექსი ყველა პირობასთან პირნათელია, ამიტომაც „უნდა მზეს“ მასთან „მგზავრობა“.

ლიტერატურა

მაჭავარიანი 2007 — მ. მაჭავარიანი თხზულებანი ოთხ ტომად; ტომი პირველი; ლექსები, პოემა, გამომცემლობა ინტელექტი, თბ., 2007.

TAMAR VASHAKIDZE

Mukhran Machavariani – „*Perhaps the sun wants to travel with me*“ (Seasons)

S u m m a r y

The article deals with Mukhran Machavariani's one cycle of verses – the seasons of a year. The article singles out those artistic means, by which the author makes a bewitching impact on a reader.

The author's verse properties are conditioned by the poetic vision of the creator's consciousness. That is why the new impulses and the absolutely individual musical and artistic style of the abilities of the language are outlined in all the sentences.

მაკა ლაბარტყავა

**ერთი ტიპის კომპოზიტა დაწერილობისათვის
თანამედროვე ქართულში**

დღევანდელ სალიტერატურო ქართულში ახლად შემოსული კომპოზიტების დაწერილობის საკითხი აშკარად მოსაგვარებელია. ხშირად ერთი და იგივე კომპოზიტი იწერება როგორც ერთად (როგორც ერთი სიტყვა), ისე დეფისით ან — ცალ-ცალკე. რა თქმა უნდა, საჭიროა ამათგან ყველაზე მართებული ვარიანტის შერჩევა და ნორმად მიღება.

თანამედროვე ქართულში, პრესის ენასა თუ სხვადასხვა სახის დოკუმენტში საკმაოდ მრავლად დასტურდება ერთი ტიპის სამშემადგენლიანი კომპოზიტები სხვადასხვაგვარი დაწერილობით.

ამონარიდები ტექსტებიდან: „საინტერესოა, თუ როგორ ტრანსფორმირდება **ტელე-კინო-პროდუქცია** მასობრივი მანიპულაციის საშუალებად“, ან კიდევ: „მთავრობის წარმომადგენლებს შეხვედრა ჰქონდათ **ტელე-რადიო-დეპარტამენტის** თანამშრომლებთან“. ზემოთ მოყვანილ მაგალითებში **ტელე-რადიო-დეპარტამენტი** წარმოდგენილია დეფისებით.

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა აღნიშნული სახის კომპოზიტის ყველა ნაწილი ცალ-ცალკე დაწერილობით წარმოგვიდგება. „კადრირების მეშვეობით არა მხოლოდ რეალობა აისახება, არამედ ის განიმარტება კიდევ, რასაც სიუჟეტის განვითარების დრამატურგია და ტექსტი ემატება, ჯამში კი **ტელე კინო პროდუქტი** მაყურებელზე დიდ გავლენას ახდენს“; „**ტელე რადიო სივრცეზე** ყველამ ერთბაშად მიიტანა იერიში“.

ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში კი დასახელებული ტიპის კომპოზიტები წარმოდგენილია შემდეგნაირად: **ტელე-რადიო** – დეფისით, **დეპარტამენტი** – ცალკე. ასევეა **ტელე-კინო პროდუქცია**: **ტელე-კინო** – დეფისით, **პროდუქცია** – ცალკე: „მან აჭარის **ტელე-რადიო დეპარტამენტის** რეგიონალურ საზოგადოებრივ მაუწყებლად გარდაქმნის კანონპროექტზე ისაუბრა“; „რა შედეგი მოიტანა პროპაგანდისტულმა **ტელე-კინო პროდუქციამ** ახალი საზოგადოებრივი აზროვნების დაკვირვების პროცესში“.

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა **ტელე** დამოუკიდებლად არის

წარმოდგენილი, ხოლო მომდევნო ორი კომპონენტი — დეფისით: „აღსანიშნავი იყო აგრეთვე **ტელე რადიო-კომიტეტის** მუშაობის გააქტიურება“, „**ტელე რადიო-ეთერში** მეცნიერებმა კვლევის შედეგებზე ისაუბრეს“.

არის ისეთი ვარიანტებიც, როცა **ტელე** დეფისით გამოეყოფა მომდევნო ორ კომპონენტს — **რადიოეთერსა** და **რადიოკომიტეტს**. მაგ.: „მასმედია პოლიტიკურ საკითხებზე კომენტირებისათვის რეგულარულად იწვევს ყველას **ტელე-რადიოკომიტეტში**“, ან კიდევ: „ის გახლდათ ეთნომუსიკოლოგი, **ტელე-რადიოკომიტეტის** მუსიკალური პროგრამების მთავარი რედაქციის მთავარი რედაქტორი“.

დადასტურდა ისეთი შემთხვევებიც, როცა სამშემადგენლიანი კომპოზიტის პირველი ორი კომპონენტი დაწერილია ერთად და დეფისით გამოეყოფა ბოლო (მესამე) ნაწილს: „როგორც **ტელერადიო-კომიტეტი**, ისე კინოსტუდია „ქართული ფილმი“ სახელმწიფოს დაქვემდებარებაში იმყოფება“, „შვედეთში საარჩევნო კამპანიის დროს (7 კვირით ადრე არჩევნებამდე) პარტიებს ეძლევა უფასო **ტელერადიო-ეთერი**“, „**ტელერადიო-კომპანია** „ოდში“ ყველასთვის ხელმისაწვდომია“. ზოგჯერ პირველი ნაწილი (მაგ., **კინო**) ცალკეა წარმოდგენილი, ხოლო მეორე და მესამე კომპონენტები (მაგ., **ტელედრამატურგია**) — ერთად: „სასწავლო კურსის ამოცანაა, სტუდენტმა შეისწავლოს **კინო ტელედრამატურგია**“, „დღეს გიორგი ყველაზე პოპულარული **ტელე რადიოწამყვანია**“.

გვაქვს ისეთი შემთხვევაც, როცა აღნიშნული ტიპის კომპოზიტა პირველი და მეორე შემადგენელი ნაწილი ერთადაა წარმოდგენილი, ხოლო მესამე კომპონენტი — ცალკე: „კურსის მსვლელობისას გამოყენებულ იქნა სხვადასხვა სასწავლო ლიტერატურა და **აუდიოვიდეო მასალა**“, „მოგვიტევეთ **აუდიოვიდეო მასალის** დაბალი ხარისხის გამო“.

დაბოლოს, გამოიყოფა აღნიშნული ტიპის კომპოზიტა ერთად დაწერილობის შემთხვევებიც: „მთავრობის წარმომადგენლებს შეხვედრა ჰქონდათ **ტელერადიოდეპარტამენტის** თანამშრომლებთან“, „მეცნიერებმა **ტელერადიოეთერში** კვლევის შედეგებზე ისაუბრეს“, „გვინდა მრავალჯამიერი გუგუნებდეს ჩვენს **ტელერადიოსივრცეში**“.

ყველა სახის მაგალითი საკმაოდ ბევრია.

როგორ უნდა დაიწეროს **ტელეკინოპროდუქცია** ტიპის სამკომპონენტანი კომპოზიტები?

ტელეპროდუქციაცა და **კინოპროდუქციაც**, **ტელეეთერიცა** და **კინოეთერიც**, **ტელედეპარტამენტიცა** და **რადიოდეპარტამენტიც** — ცალ-ცალკე აღებული (ანუ – ორკომპონენტნიანი), რა თქმა უნდა, ერთად დაიწერება.

ტელე-, **კინო-**, **რადიო-** – სამივე ეს ერთეული წარმოადგენს რთული სი-

ტყვის პირველ ნაწილს და იწერება მომდევნო სიტყვასთან ერთად (**კინოთეატრი, კინოსტუდია, ტელეატელიე, ტელეგადამცემა**). სამკომპონენტო ვარიანტის შემთხვევაში, ვფიქრობთ, ყველაზე უპრიანი იქნება შემდეგი ტიპის დაწერილობა: **ტელე- და კინოპროდუქცია, ტელე- და რადიოდეპარტამენტი, ტელე- და რადიოკომიტეტი...**

მაგრამ (მოპოვებული მასალის მიხედვით) აღნიშნული ტიპის კომპოზიტები ყველგან და კავშირის გარეშე გვხვდება, რაც იმას ნიშნავს, რომ საჭიროა რეკომენდაციის დამუშავება სწორედ ამ ტიპის შემთხვევებისათვის.

შესაბამისად, ზემოთ აღნიშნულ პირველ რეკომენდაციას აუცილებლად უნდა დაემატოს შემდეგი ვარიანტიც — როცა სამივე ნაწილი ერთად იწერება: **ტელეკინოპროდუქცია**, რადგან აღნიშნული ტიპის სამშემადგენელი კომპოზიტები გაიაზრება, როგორც ერთი მთლიანი ოდენობა, სახელდობრ, ფორმებს — **ტელე-, კინო-** და **რადიო-** აერთიანებს ერთი სახელი — **პროდუქცია, ეთერი, დეპარტამენტი, კომიტეტი...** მით უფრო, რომ მოპოვებული მასალის დაახლოებით 80 პროცენტი სწორედ ამ სახის დაწერილობას უჭერს მხარს.

მაშასადამე, **ტელეკინოპროდუქცია** ტიპის კომპოზიტთა დაწერილობისთვის წარმოვადგენთ შემდეგ რეკომენდაციებს:

- I. **ტელე- და კინოპროდუქცია**
- II. **ტელეკინოპროდუქცია.**

MAKA LABARTKAVA

On Spelling One Type of Compound Words in Modern Georgian

S u m m a r y

The article deals with the spelling of one type of three-member compound words (or composites): **ᲙᲗᲗᲗᲗᲗᲗᲗᲗ** (TV-film production), **ᲙᲗᲗᲗᲗᲗᲗᲗᲗᲗ** (TV-radio department) etc.

In modern Georgian the spelling of the said type of compound words is different - with a hyphen - **ᲙᲗᲗᲗᲗᲗᲗᲗᲗᲗ** (TV-radio-department), without a hyphen or written separately- **ᲙᲗᲗᲗᲗᲗᲗᲗᲗᲗ** (TV and radio department) and written together- **ᲙᲗᲗᲗᲗᲗᲗᲗᲗᲗ** (TV-film production).

Based on the analyzed material the article presents two recommendations on spelling the compound words of the said type: 1. **ᲙᲗᲗᲗᲗᲗᲗᲗᲗᲗ** (TV and radio department); 2. **ᲙᲗᲗᲗᲗᲗᲗᲗᲗᲗ** (TV-radio department).

რომან ლოლუა

**კლასის გრამატიკული კატეგორიის ისტორიისათვის
ლეზგიურ ენებში¹**

კლასის გრამატიკული კატეგორიის სისტემასა და ისტორიასთან დაკავშირებულ საკითხებს ლეზგიურ ენებში არაერთი სპეციალური გამოკვლევა მიემდგვნა. ეს ძველისძველი კატეგორიაა, რომელიც როგორც ლეზგიურ, ისე სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მთელ მორფოლოგიას გამსჭვალავს (ჩიქობავა 1979); კლასის კატეგორია განიხილება სხვადასხვა აღწერითსა თუ ისტორიულ-შედარებითი ხასიათის ნაშრომებში, თუმცა ზოგიერთი საკითხი მაინც მოითხოვს სიღრმისეულ კვლევას.

გრამატიკული კლას-კატეგორია მოქმედია შვიდ ლეზგიურ ენაში; ესენია: თაბასარანული (ჩრდილოური კილო), წახური, რუთულური, არჩიული, კრიწული, ბუდუხური, ხინალუღური. ამათგან, თაბასარანულში ორკლასიანი სისტემა დასტურდება, რომელიც გონიერისა და არაგონიერის (ადამიანისა და ნივთის) დაპირისპირებას ეფუძნება, ხოლო წახურში, რუთულურში, არჩი-ბულში, კრიწულში, ბუდუხურსა და ხინალუღურში ოთხკლასიანი სისტემებია, რომლებშიც პირველი კლასი – მამაკაცსა და მასთან დაკავშირებულ სახელებს მოიცავს, მეორე – ქალსა და მასთან დაკავშირებულ სახელებს, მესამეში – როგორც წესი, არაგონიერი ცოცხალი არსებები შედის და ზოგიერთი არაცოცხალი (ნივთები, მოვლენები, ცნებები), ხოლო მეოთხეში – ის ნივთები, მოვლენები და ცნებები (იშვიათად – ცოცხალი არსებებიც), რომელიც მესამე კლასში არ შედის.

თუ პირველსა და მეორე კლასში ერთი და იგივე ლექსემები შედის, მესამე და მეოთხე კლასებში შემავალი ლექსემების თვალსაზრისით ლეზგიურ ენათა შორის გარკვეული განსხვავებანი შეინიშნება. ყველაზე დიდ თავისებურებას ამ მხრივ არჩიული ენა ავლენს. არჩიულში ცხოველების (განსაკუთრებით – მცირე ზომის ცხოველთა), ფრინველების, მწერებისა და მათი ნაშიერების აღმნიშვნელი სახელები მიეკუთვნება არა III, არამედ IV კლასს. კრიწულში მარცვლეულთა და ზოგიერთი სხვა მცენარეთა სახელები შედის IV კლასში, მაშინ როდესაც ეს სემანტიკური ჯგუფები დანარჩენ ლეზგიურ ენებში მიეკუთვნება III კლასს. ასევე, აღსანიშნავია, რომ შეინიშნება ბაგისმიერი

¹ ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი № 31/45).

თანხმონით დაწყებული სახელების III კლასში გაერთიანების ტენდენცია, რაც განსაკუთრებით ხელშესახებია არჩიბულში.

მესამესა და მეოთხე კლასებს შორის სახელთა გადანაწილების პრინციპი ბოლომდე არ არის ნათელი: როგორც ბ. თალიბოვი მიიჩნევს, წახურში გრამატიკულ კლასების განაწილების საფუძველს წარმოადგენს სემასიოლოგიური პრინციპი. ბ. თალიბოვის დაკვირვებით, სითხეების, მეტალის, ნალექის აღმნიშვნელი სახელები შედის IV კლასში, თუმცა შეინიშნება რამდენიმე გამონაკლისი (თალიბოვი 1961: 219).

წახურში კლასების მიხედვით სახელთა განაწილების პრინციპის მოძიება სცადეს გ. მელნიკოვმა და ა. ყურბანოვმა. მათ შემოგვთავაზეს ოთხკლასოვანი სისტემის დიფერენციაციის სქემა ორი ნიშნის – გონიერება/არაგონიერებისა და აქტიურობა/პასიურობის მიხედვით (მელნიკოვი, ყურბანოვი 1964: 161):

	გონიერება	აქტიურობა
I კლასი	+	+
II კლასი	+	–
III კლასი	–	+
IV კლასი	–	–

მსგავსი მოსაზრება შემოგვთავაზა დ. სამედოვმაც არჩიბული ენის ანალიზისას. მას მოხმობილი აქვს შემდეგი ნიშნები: ნაწარმოებია თუ არა სახელი, მისი სიდიდე, სემანტიკური ანალოგია და კონკრეტულობა/აბსტრაქტულობა (სამედოვი 1975: 19–21).

მ. ალექსეევი III და IV კლასებს შორის განაწილების პრინციპების გასარკვევად მიმართავს იმ ლეზგიური ენების შედარებით ანალიზს, რომლებიც კლას-კატეგორიას განარჩევენ. მკვლევრის აზრით, III კლასი საერთოლეზგიურში შემდეგ სემანტიკურ ბუდეებს მოიცავდა: ცხოველების, ფრინველებისა და მწერების, მცენარეებისა და მათი ნაყოფის სახელწოდებებს, ციურ სხეულთა სახელებსა და სხვა სემანტიკურ ჯგუფებს. IV კლასში კი შედიოდა ნივთიერებათა, დროის ერთეულთა, ნაგებობათა და მათთან დაკავშირებული სახელები, სამუშაო იარაღების აღმნიშვნელი სახელწოდებანი, აბსტრაქტული სახელები და სხვა ზოგიერთი სემანტიკური ჯგუფი. რაც შეეხება სხეულის ნაწილებისა და საშინაო მოხმარების საგანთა სემანტიკურ ჯგუფებს, ისინი, მ. ალექსეევის მოსაზრებით, უკვე საერთო ლეზგიურ დონეზე გადანაწილებულნი იყვნენ მესამესა და მეოთხე კლასებს შორის: ერთი მხრივ – „თავი“, „თვალი“, „წვერი“... (III კლ.), ხოლო, მეორე მხრივ – „გული“, „ხელი“, „პირი“... (IV კლ.); „ცოცხი“, „ნემსი“... (III კლ.) და „დანა“, „მახათი“, „სავარცხელი“... (IV კლ.) (ალექსეევი 1985: 127–131).

ცნობილია, რომ კლას-ნიშნები დასტურდება თითქმის ყველა ძირითად მეტყველების ნაწილთა სტრუქტურაში – არსებით, ზედსართავ, რიცხვით სა-

ხელებში, ნაცვალსახელებსა და ზმნისართებში. კლასიფიკატორთა ფუნქციონირება უფრო მეტად ხელშესახებია ზმნასა და ნაზმნარ სახელებში.

ლეზიური ენები კლასის ნიშანთა მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რაც ართულებს არქექტიპების გამოვლენას.

არჩიბულში: I კლ. – ჟ (ნაცვალსახელებში, ზედსართავ და რიცხვით სახელებში, ზმნებში), უ (მხოლოდ ზმნებში), **ა, ბ;** II კლ. – **რ, დ** (მხოლოდ ნაცვალსახელებსა და ზედსართავ სახელებში); III კლ. – **ბ** (> მ...); IV კლ. – **თ** (ნაცვალსახელებსა და ზედსართავ სახელებში), **ტ** (რიცხვით სახელებში), **შ** (ზმნებში), **რ, ა;** სხვა ლეზიური ენებისაგან განსხვავებით, არჩიბულში ჯერ თავი არ უჩენია გრამატიკული კლასის ნიშანთა უნიფიკაციის ტენდენციას მხოლოდობითში. მრავლობითში I-II კლასში გამოიყენება III კლასის მაწარმოებლები, ხოლო III-IV კლასში – IV კლასის ფორმანტები, თუმცა ნაცვალსახელებსა და ზედსართავ სახელებში მრავლობითის აღნიშვნა უნიფიცირებულია – მას ოთხივე კლასში მხოლოდ **ბ** კლასიფიკატორი გადმოსცემს. კლასის ნიშნები დასტურდება ფუძის წინ, ფუძის შემდეგ ან ფუძეში. ამათგან, ზმნებში კლასის ნიშანი შეიძლება ან ფუძის წინ, ანდა ფუძეში იყოს. -**თ** და -**ტ** ნიშნები მხოლოდ სუფიქსებად გვხვდება, ხოლო დანარჩენი კლასიფიკატორები – პრეფიქსებად, ინფიქსებად და სუფიქსებად.

რუთულურში პირველი კლასის ფორმანტებია: **ჟ, ა, რ, ჰ, ტ, ბ, შ;** II კლ. – **რ, ა, ლ, შ;** III კლ. – **ბ, ჟ, ა, დ, შ;** IV კლ. – **დ, რ, ა, ბ, ჟ, ჰ, ტ, შ;** მრავლობითში – **დ, ბ** (I-II კლ.); **ა, ჰ, მ, შ** (III-IV); **დ, რ, ა, შ** (I-IV კლ.). გრამატიკული კლასების ექსპონენტები რუთულურში შეიძლება იყოს პრეფიქსების, სუფიქსების ან ინფიქსების სახით წარმოდგენილი.

წახურში: I კლ. – **ჟ, ა, რ, შ;** II კლ. – **ა, რ, შ** (ამ კლასს აღნიშნავს აგრეთვე შესაბამისი მარტივი ხმოვნისაგან მიღებული წინა რიგის გრძელი ხმოვანი); III კლ. – **ბ** (> **მ, ფ, პ**), **ჟ, შ** (ამ კლასს აღნიშნავს აგრეთვე შესაბამისი მარტივი ხმოვნისაგან მიღებული უკანა რიგის გრძელი ხმოვანი); IV კლ. – **დ** (> **თ, ტ, ლ, ნ, ჩ**), **ა, შ;** მრავლობითში I-II კლასში გამოიყენება III კლასის მაწარმოებლები, ხოლო III-IV კლასში – IV კლასის ფორმანტები. კლასის ნიშანი შეიძლება იყოს წარმოდგენილი სუფიქსის (უმთავრესად) და ინფიქსის სახით.

კრიწულში: I კლ. – **რ, ლ, ა, შ;** II კლ. – **ბ, ფ, პ, ჟ, რ, შ;** III კლ. – **ბ, ფ, პ, ჟ, რ, ჯ, შ;** IV კლ. – **დ, თ, ტ, ჯ, ა, შ.** კრიწულისთვის ნიშანდობლივია II და III კლასის ნიშნების თითქმის სრული უნიფიკაცია. მრავლობითში, თუ მცირე სხვაობას არ მივიღებთ მხედველობაში, I-II კლასში გამოიყენებულია III კლასის მაწარმოებლები, ხოლო III-IV კლასში – IV კლასის ფორმანტები. ამას გარდა, მრავლობითში შეიძლება ერთდროულად გამოიყენებოდეს რამდენიმე კლას-ნიშანი (ორი, სამი, ოთხი): **ბ-ბ, რ-ბ, ბ-რ-ბ, ბ-რ-რ, ბ-რ-რ-ბ.** ეს ნიშნები და კიდევ **ბ** და **ფ** კლასიფიკატორები გამოიყენება მრავლობითის მაწარმოებლებად I-IV კლასში. კლასის ნიშანი კრიწულში შეიძლება იყოს პრეფიქსად, ინფიქსად ან სუფიქსად.

ბუდუხურში: I კლ. – **ა, რ;** II კლ. – **რ, ლ, შ;** III კლ. – **ბ, ფ, შ;** IV კლ. – **დ, თ, შ.** მრავლობითში I-II კლასსა და III-IV კლასში ძირითადად III და IV კლასის

ნიშნები გამოიყენება: I-II კლ. – **ბ, ფ**; III-IV კლ. – **დ, ფ, შ**. ამას გარდა, ზმნების ერთ-ერთ ჯგუფში მრავლობითის აღნიშვნა უნიფიცირებულია და იწარმოება შემდეგი ფორმანტების მეშვეობით: **ბ, ფ, შ**. გრამატიკული კლასის ექსპონენტები ბუდუხურში წარმოდგენილია მხოლოდ სუფიქსებისა და ინფიქსების სახით. პრეფიქსებად ოდენ გაქვეავებული კლას-ნიშნებია დამოწმებული.

ხინალულურში: I კლ. – **ა, ჰ, თ**; II კლ. – **რ, ზ, ს, ც, თ**; III კლ. – **ბ, ფ, ჟ, ჭ, შ**; IV კლ. – **ა, ჰ, თ**. ხინალულურისათვის ნიშანდობლივია I და IV კლასში ნიშნების თითქმის სრული უნიფიკაცია. მრავლობითში I-II კლასში გამოიყენება III კლასის მაწარმოებლები (**რ** ნიშნის გარდა), ხოლო III-IV კლასში – IV კლასის ფორმანტები (**თ** კლასიფიკატორის გარდა). ამ ნიშნების გარდა, ხინალულურში დასტურდება ნაცვალსახელოური წარმოშობის კლასიფიკატორთა კიდევ ერთი სერია: I კლ. – **დუ**; II-III კლ. – **და**; IV კლ. – **ჟი**; მრავლობითში – **დურ** (I-II კლ.); **ჟით** (III-IV).

თაბასარანულში: I კლ. – **დ, ტ, თ, რ, შ**; II კლ. – **ბ, პ, ფ, ფა, ჟ, ჭ**; მრ. რ. – **დ, ტ, თ, რ, ა, შ** (I-II კლ.). კლასის ნიშნები გვხვდება პრეფიქსებად, ინფიქსებად და სუფიქსებად. სიტყვაში შეიძლება იყოს ერთზე მეტი კლასიფიკატორი.

ამრიგად, ლეზგიურ ენებში კლასის შემდეგი ძირითადი ნიშნები დასტურდება:

	მხ. რიცხვი				მრ. რიცხვი		
	I კლ.	II კლ.	III კლ.	IV კლ.	I-II კლ.	III-IV კლ.	I-IV კლ.
არბ.	ჟ, უ, ა, თ	რ, დ	ბ	ტ, თ, რ, ა, შ	ბ	ტ, რ, ა, შ	ბ
რუთ.	ჟ, ა, რ, ჰ, ტ, ბ, შ	რ, ა, ლ, შ	ბ, ჟ, ა, დ, შ	დ, ა, რ, ბ, ჟ, ჰ, ტ, შ	დ, ბ	ა, ჰ, მ, შ	დ, რ, ა, შ
წახ.	ჟ, ა, რ, თ	ა, რ, თ, V:¹ (< V)	ბ, ჟ, თ, V: (< V)	დ, ა, შ	ბ, ჟ, V:	დ, ა, შ	
კრიწ.	რ, ლ, ა, შ	ბ, ფ, პ, ჟ, რ, შ	ბ, ფ, პ, ჟ, რ, ჯ, შ	დ, თ, ტ, ჯ, ა, შ	ბ, ფ, პ	დ, თ, ა, - ბ, შ	ბ, ფ, ბ-ბ, რ-ბ, ბ-რ, ბ-რ-ბ
ბუდ.	ა, რ	რ, ლ, შ	ბ, ფ, შ	დ, თ, შ	ბ, ფ	დ, ფ, შ	ბ, ფ, შ
ხინ.	ა, ჰ, თ	რ, ზ, ს, ც, შ	ბ, ფ, ჟ, ჭ, შ	ა, ჰ, თ	ბ, ფ, ჟ, ჭ, რ, შ	თ, ა, ჰ, თ	
თაბ.	დ, ტ, თ, რ, შ		ბ, პ, ფ, ფა, ჟ, ჭ		დ, ტ, თ, რ, ა, შ		

კლასის ფორმანტები ლეზგიურ ენებში სხვადასხვა კომბინაციებს ქმნის. ო. კახაძის მოსაზრებით, არჩიბულში გამოიყოფა კლას-ნიშანთა 13 სერია, რუთულურში – 17, წახურში – 7, კრიწულში – 15, ბუდუხურში – 11, ხინალულურში – 17, ხოლო თაბასარანულში – 15 (კახაძე 1984: 148-149).

კლასის ფორმანტთა მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, კლას-კატეგორიის ამოსავალი სისტემის აღდგენისათვის უპირველეს მნიშვნელობას იძენს არქეტიპების რეკონსტრუქცია თითოეული ლეზგიური ენისათვის. ამ

¹ V: ნიშნით ხმოვნის დაგრძელებას აღვნიშნავთ.

მხრივ, უნდა აღინიშნოს ო. კახაძის სპეციალური გამოკვლევა, რომელშიც წარმოდგენილია ცდა ამოსავალი ვითარების აღდგენისა თითოეული ლეზგიური ენისათვის ცალ-ცალკე, შინაგანი რეკონსტრუქციის გზით (კახაძე 1984). საყურადღებოა, რომ კლას-ნიშნები რეკონსტრუირებულია გრამატიკული კლასების არმქონე ენებისათვისაც (ლეზგიური, აღლულური, უდიური) გაქვავებული ექსპონენტებისა და სხვა ლეზგიური ენების მონაცემთა მიხედვით (კახაძე 1984: 144-147):

	მხ. რიცხვი				მრ. რიცხვი	
	I კლ.	II კლ.	III კლ.	IV კლ.	I-II კლ.	III-IV კლ.
არჩ.	ჟ	დ, რ	ბ...	*დ	ბ	*დ
რუთ.	ჟ	რ, მ	ბ, ჟ	დ, მ	ბ	*დ
წახ.	ჟ	რ, მ	ბ, ჟ	დ, მ	*ბ	დ
კრიწ.	ჟ	რ	ბ, ჟ	დ	ბ	დ
ბუდ.	*ჟ	რ	ბ	დ	ბ	დ
ხინ.	*ჟ	*დ, რ	ბ, ჟ	მ, *დ	ბ	მ
თაბ.	*ჟ	*დ	*ბ	*დ	*ბ	*დ
აღ.	ჟ	დ, რ	ბ...	დ, რ	*ბ	*დ
ლეზგ.	ჟ	რ	ბ	დ	*ბ	*დ
უდ.	ჟ	*მ	ბ	დ, რ	*ბ	*დ

ო. კახაძის მიერ აღდგენილი არქეტიპები, ჩვენი აზრით, რიგ შემთხვევაში დაზუსტებას მოითხოვს. ასე, მაგალითად, ვერ გავიზიარებთ *მ ნიშნის რეკონსტრუქციას II კლასისთვის უდიურში, რომელიც ერთადერთ საექვო რეკონსტრუქციას ეფუძნება: ხუნ-ჩი „და“ < *ხუნ-მ-ჩი (კახაძე 1984: 146-147). უდიურში აგრეთვე არ გვხვდება რ როგორც IV კლასის გაქვავებული ნიშანი, ხოლო ერთადერთი მაგალითი, რომლითაც მკვლევარი ცდილობს ამ ნიშნის აღდგენას (რესუნ „თქმა“) საერთოდ ვერ დავადასტურებთ უდიურ ენაში¹ (საფიქრებელია, უნდა იყოს ფესუნ „თქმა“).

სხვა ენებს რაც შეეხება: I კლასში ჟ ნიშანი, სხვა ლეზგიური ენების მსგავსად, უნდა აღდგეს თაბასარანულშიც. II კლასში ეჭვი გვეპარება დ ნიშნის რეკონსტრუქციის მართებულობაში აღლულურში,² თაბასარანულსა და ხინალულურში. როგორც თაბასარანული ადამიანის კლასის -დ ნიშანი, ისე ხინალულური II (ქალის) კლასი ზ (< *დ) ნიშანი ისტორიულად IV კლასის კუთვნი-

¹ უნდა აღინიშნოს, რომ რ ბგერა უდიურში საერთოდ არ დასტურდება ანლაუტში. ვ. გუკასიანის ლექსიკონში ამ ბგერით სულ სამად-სამი ნასესხები სიტყვა იწყება, თან თითოეულ მათგანს პარალელური ფორმაც მოეპოვება: რადიო (= გრადიო) „რადიო“, რუს (= ურუს) „რუსი“, რუმკა (= ურუმკა) „არყის ჭიქა“ (გუკასიანი 1974: 196).

² დ ნიშანს როგორც II კლასის გაქვავებულ ფორმანტს აღლულურში ვარაუდობს ა. მაჰომეტოვი (მაჰომეტოვი 1970: 68), თუმცა მკვლევრის მიერ მოყვანილ დ-პრეფიქსის შემცლელ სიტყვებს შორის („ფეტვი“, „მაფი“, „ცელი“, „ხერხი“, „ჩრდილი“, „ტბა“, „ტყე“ და სხვ.) არსად არ ჩანს II კლასის სახელები.

ლებას უნდა წარმოადგენდეს. III კლასში ჟ ნიშანი, სხვა სამურული ენების მსგავსად, უნდა აღდგეს ბუდუხურში, ლეზგიურში, თაბასარანულსა და ალულურში. ამას გარდა, ვფიქრობთ, რომ IV კლასში ყველა სამურულ ენაში სამსამი ნიშანი უნდა გვექონოდა: -დ (სუფიქსი), -რ, -მ (პრეფიქსი), ხოლო მრავლობითში I-II და III-IV კლასი უცვლელად უნდა იმეორებდეს III და IV კლასს მხოლოდობითში. ამრიგად, შენიშვნების გათვალისწინებით ვიღებთ შემდეგ სქემას:

	მხ. რიცხვი				მრ. რიცხვი	
	I კლ.	II კლ.	III კლ.	IV კლ.	I-II კლ.	III-IV კლ.
არჩ.	ჟ	დ, რ	ბ	*დ	ბ	*დ
რუთ.	ჟ	რ, მ	ბ, ჟ	დ, რ, მ	ბ, *ჟ	*დ, *რ, მ
წახ.	ჟ	რ, მ	ბ, ჟ	დ, რ, მ	ბ, ჟ	დ, *რ, მ
კრიწ.	ჟ	რ	ბ, ჟ	დ, რ, მ	ბ, *ჟ	დ, *რ, მ
ბუდ.	*ჟ	რ	ბ, ჟ	დ, რ, მ	ბ, *ჟ	დ, *რ, *მ
ხინ.	*ჟ	რ	ბ, ჟ	*დ, მ	ბ, ჟ	*დ, მ
თაბ.	*ჟ	რ	ბ, ჟ	*დ, რ, მ	*ბ, *ჟ	*დ, *რ, *მ
ალ.	*ჟ	რ	ბ, ჟ	დ, რ, მ	*ბ, *ჟ	*დ, *რ, *მ
ლეზგ.	*ჟ	რ	ბ, ჟ	დ, რ, მ	*ბ, *ჟ	*დ, *რ, *მ
უდ.	ვ (< ჟ)	*რ	ბ	დ	*ბ	*დ
კ.-ალბ.	ვ (< ჟ)	*რ	ბ	დ	*ბ	*დ

საერთო ლეზგიურ დონეზე უეჭველად აღდგება ოთხკლასიანი სისტემა, რასაც მხარს უჭერს ის, რომ ექვს ლეზგიურ ენაში, როგორც უკვე აღინიშნა, ოთხ-ოთხი გრამატიკული კლასი გვაქვს. ორკლასიანი სისტემა თაბასარანულში, ისევე როგორც გრამატიკული კლასების მოშლა ლეზგიურში, ალულურსა და უდიურში – ინოვაციას წარმოადგენს. საყურადღებოა, რომ გრამატიკული კლას-კატეგორია მოქმედია სამ ერთეულში იმ ოთხიდან, რომელიც საერთო-ლეზგიური წინარე ენის დაშლის შედეგად წარმოიქმნა (სამურული ენები, არჩიზული, ხინალულური). კლას-კატეგორიის არსებობა სავარაუდებელია მეოთხე ერთეულისათვის (უდიური და კავკასიის ალბანური), მით უფრო, რომ კავკასიის ალბანურში ზოგიერთი ნაცვალსახელი კიდევ იცვლებოდა კლასების მიხედვით (გიპერტი და სხვ. 2008: II-38; 40).

ამრიგად, საერთო ლეზგიურისათვის ვვარაუდობთ შემდეგ სისტემას:

I კლასი: *ჟ – რუთ. ჟ > მ/რ; წახ. ჟ > მ/რ; კრიწ. მ/მ (< *ჟ); ბუდ. მ (< *ჟ); ხინ. მ/მ (< *ჟ); არჩ. ჟ > უ. მ, მ. ამას გარდა, ვ- პრეფიქსი გაქვავებული სახით უდიურსა და კავკასიის ალბანურშიც გამოიყოფა: კავკ.-ალბ. ვიჩი; უდ. ვიჩი „მმა“¹ –

¹ უნდა აღინიშნოს, რომ სუმსტანტივების სტრუქტურაში კლასიფიკატორების არსებობის ვარაუდი ამჟამად საკამათოა (ჯავახიშვილი 1937 : 135-257; ჩიქობავა 1942 : 272-280; ჩიქობავა 1979 : 13-16; ტრუბეცკო 1987 : 340; თოფურია 2003 : 16...).

თაბ. ჩ^o, -ჩა^o; ად. ჩუ, -ჩუ || ჩ^oუდ, ქჷდ; რუთ. შუ; წახ. ჩოჟ // ჩოჯ; არჩ. უ-შ-დუ; კრიწ. შიდ; ბუდ. შიდ, შიდ-; სხვ. დად.: ხუნძ. ჭ-აცჷ, დარგ. უ-ზი და სხვ. „id“; შდრ. უდ. ხუნ-ჩი „და“ (ხუნი „დედალი“). არჩიზულისა და უდიური/კავკასიის ალბანურის განცალკევების შემდეგ დარჩენილ ერთობაში განვითარდა შემდეგი ფონეტიკური პროცესები: *ჭ > *შ; *ჭ > *ძ. უნდა აღინიშნოს, რომ ლეზგიურ ენებში ჭ კლასიფიკატორი შეიძლება სამგვარი წარმოშობისა იყოს: პირველადი ანუ I კლასის ფორმანტი; ზ კლასიფიკატორისაგან მიღებული (III კლ.); ა-საგან მიღებული (IV კლ.). სხვა ფორმანტებს რაც შეეხება: რუთულურში (რ), წახურში (რ), კრიწულსა (რ, ლ) და ბუდუხურში (რ) შეინიშნება II კლასის ფორმანტთა ექსპანსია, ხოლო რუთულურში (ტ) – IV კლასის. ასევე, აღსანიშნავია, რომ ხინალუღურში I და IV კლასის ნიშანთა აღნიშვნა პრაქტიკულად უნიფიცირებულია.

II კლასი: *რ – რუთ. რ > ა/ლ/შ; წახ. რ > ა/შ; კრიწ. რ > შ; ბუდ. რ > ლ/შ; ხინ. რ; არჩ. რ. გაქვავებული სახით რ- პრეფიქსი ლეზგიურში, თაბასარანულში, ალულურსა და სხვა ლეზგიურ ენებშიც დასტურდება: ლეზგ. რუმ; თაბ. რიმ; ად. რუმ; რუთ. რემ; წახ. იმ; კრიწ. რიმ; ბუდ. რიჟ; ხინ. რიში; კავკ.-ალბ. შა; სხვ. დად.: ხუნძ. ა-ას „ქალიშვილი“ და სხვ.

თაბ. ჩი, ჩუჩაუ; ად. ჩი; რუთ. რიში; წახ. ჩჩი; არჩ. დომ-დურ; კრიწ. შიდგრ; ბუდ. შიდგრ; ხინ. რგცგ; უდ. ხუნ-ჩი (ხუნი „ქალი“, „დედალი“); სხვ. დად.: ხუნძ. ა-აცჷ, დარგ. რუზი, რურსი, ლაკ. დუმ „და“ და სხვ.

კავკასიის ალბანურსა და უდიურში *რ > შ (უდიურში რ ბგერა თითქმის არ გვხვდება ანლაუტში). არჩიზულში დ- პრეფიქსი როგორც მეორე კლასის ნიშანი ინოვაციას უნდა წარმოადგენდეს.¹ ეს იმით დასტურდება, რომ IV

არსებით სახელებში კლას-კატეგორიის ფორმანტთა გამოყოფის საფუძველს წარმოადგენს, ერთი მხრივ, სხვადასხვა თანხმოვნების არსებობა საერთო ძირების თავკიდურ ან ბოლოკიდურ პოზიციებში, რომელთა ურთიერთდაკავშირება ოდენ ფონეტიკური თვალსაზრისით შეუძლებელია (მაგ., ლეზგ. ა-უჟ; დარგ. დ-ეჟ; ლაკ. ნ-აჟ... „იდაყვი“, „არშინი“ და სხვ.), ხოლო, მეორე მხრივ, ეს თანხმოვნები იმავე ან ახლო მონათესავე ენებში ფუნქციონირებენ როგორც გრამატიკული კლას-კატეგორიის მოქმედი ფორმანტები.

საყურადღებო დაკვირვება ეკუთვნის ჯ. ნიკოლს. მკვლევრის გამოთვლით, ნახურ ენებში დ თავკიდურიანი სახელების 67 % ეკუთვნის დ კლასს (მოსალოდნელი რიცხვი – 36 %), ა თავკიდურიანი სახელების 72 % – ა კლასს (მოსალოდნელი 44 %), ხოლო ზ თავკიდურიანი სახელების 33 % – ზ კლასს (მოსალოდნელია 20 %) (ნიკოლსი 1989: 166). დ. სამედოვიც შენიშნავს, რომ არჩიზულ ენაში სახელები, რომელიც ზ ან მ ზაგისმიერი თანხმოვნებით იწყება, როგორც წესი, მიეკუთვნება III კლასს (სამედოვი 1975: 22).

მ. ალექსეევს კი ეჭვი ეპარება, რომ საერთო ლეზგიურ დონეზე არსებითი სახელი ჩვეულებრივ კლასის ფორმანტით იყო მარკირებული. მკვლევრის აზრით, კლასის ექსპონენტი სუბსტანტივებში დასტურდება მხოლოდ ნაზმნარი წარმოშობის არსებით სახელებში, მათ შორის, ისეთ სიტყვებში, რომელიც ქმნის ოპოზიციას კლას-ნიშნის მიხედვით: „ვაჟიშვილი“ – „ქალიშვილი“; „მმა“ – „და“ (ეს სახელები მკვლევარს „შობა“ და „მმა/დად ყოფნა“ ზმნებისაგან წარმოქმნილებად მიაჩნია), ანდა კლასის ნიშანს პოსესიური ფუნქცია ჰქონდა (ალექსეევი 1985: 61-62).

¹ ჩვენ არ გამოვრიცხავთ *დ > *რ უფრო ადრინდელ პროცესს, რომელმაც შეცვალა II კლასის ნიშანი ჯერ კიდევ საერთო დადესტურ ან უფრო ადრინდელ ქრონოლოგიურ დონეზე (ჩიქობავა 1979: 122; ანდელუაძე 1968: 38).

კლასში **დ**-ს ნაცვლად არჩიბულში დასტურდება ოდენ მისი ფონეტიკური ვარიანტები (**თ**, **ტ**). ეს, როგორც ჩანს, გამოწვეულია იმით, რომ **დ** კლასიფიკატორის ქალის კლასზე გავრცობის შემდეგ, IV კლასში, II და IV კლასის ფორმათა დიფერენციაციის აღსადგენად, განვითარდა **დ** > **თ/ტ** პროცესი. შესაძლებელია, რომ ეს ლაკურის გავლენით მოხდა. ამას გარდა, წარმოშობით IV კლასის კუთვნილებას უნდა წარმოადგენდეს ხინალულური **ზ/ც** (< ***დ**) ნიშნები და თაბასარანული I (გონიერის) კლასის **დ** ფორმანტი. კრიწულში კი განხორციელდა II და III კლასის ნიშნების შერწყმა მხოლოობითში.

III კლასი: ***ზ** – რუთ. **ზ/ჟ** (> **ძ/შ**): წახ. **ზ/ჟ** (> **შ**): კრიწ. **ზ** (> **ფ**, **პ**)/**ჟ** (> **შ**): ბუდ. **ზ** (> **ფ/შ**): ხინ. **ზ** (> **ფ**)/**ჟ** (> **ჭ**, **შ**): არჩ. **ზ**. წარმოშობით III კლასის ფორმანტებს მიეკუთვნება თაბასარანულში II (არაგონიერის) კლასის ნიშნები (**ზ**, **პ**, **ფ**, **ფა**, **ჟ**, **ჭ**); **ზ**- პრეფიქსი გაქვავებული სახით არჩიბულსა, კავკასიის ალბანურსა და უდიურში დასტურდება, ხოლო სხვა ლეზგიურ ენებში მას, როგორც წესი, **ჟ**- პრეფიქსი შეესატყვისება: კავკ.-ალბ. **ზე**^ლ: უდ. **ზე**^ლ „მზე“; შდრ. ლეზგ. რალ: რაჯინი: თაბ. რილ: აღ. რალ: რუთ. **ჟირილ** III: წახ. **ჟირგლ** // **ჟერგლ** III: არჩ. **ზარჯ**, **ბერჯე** III: კრიწ. **ჟირალ** III: სხვ. დად.: ხუნძ. **ზაყ** და სხვ.

კავკ.-ალბ. **ზულ**: უდ. **ზულ** (< ***ზუყულ**) „თავი“; შდრ. ლეზგ. ყილ: თაბ. კულ: აღ. კილ: რუთ. **ჰუყულ** III (< ***ჰუყ-ულ**): წახ. **ჰუკულ** III: კრიწ. ყელ, ყლი III: ბუდ. ყელ III; სხვ. დად.: ხუნძ. **ბეტერ**: ლაკ. **ზაკ** და სხვ.

ბ კლასის გაქვავებული ნიშანი სუფიქსის სახით თაბასარანულ და (ზოგჯერ) ბუდუზურ ენებში გამოიყოფა (1-10, 20 რიცხვით სახელებში): ლეზგ. **კაჟე**-დ: თაბ. **ყ^ლ-ბ**: ტივაქ. **ყ^ლ-ჟ**: აღ. **ყ^ლ-დ**; ბურშ. **ყ^ლ-რ**: რუთ. **კა^ლ-ა**-დ: წახ. **ყ^ლ-ლლა**: არჩ. **კა^ლ-ჟე**: კრიწ. **კა^ლ-ა**-დ: ბუდ. **ყა-ბ**: კავკ.-ალბ. **პა^ლ**: უდ. **ფა^ლ** (< ***ყ^ლ-ა**); სხვ. დად.: ხუნძ. **კი-გო** „ორი“ და სხვ.

„ოთხი“ – ლეზგ. **ყუ-დ**: თაბ. **აყუყუ-ბ**: აღ. **აყუ-დ**: რუთ. **აყუყუ-დ**: წახ. **აოყუ-ლლა**: არჩ. **ებყ**: კრიწ. **აყუყუ-დ**: ბუდ. **აყუყუ-ბ**: კავკ.-ალბ. **ბიპ**: უდ. **ბიფა** (< ***ბიყ^ლ**); სხვ. დად.: ლაკ. **მუყ** და სხვ.

როგორც აღინიშნა, III კლასის ნიშანი ლეზგიურ ენებში ორი ძირითადი ფორმანტითაა წარმოდგენილი: **ზ** და **ჟ**. ეს იმითაა გამოწვეული, რომ ლეზგიურ ენებში საერთო დადესტნური ***ზ** სიტყვის ანლაუტში და უკანა რიგის უმახვილო ხმოვნების წინ რეგულარულად გვამლევს **ჟ** ბგერას. ეს გადასვლა არ დასტურდება კავკასიის ალბანურ, უდიურსა და არჩიბულ ენებში, რაც იმაზე მეტყველებს, რომ აღნიშნული პროცესი განვითარდა ამ ენების საერთოლეზგიური ერთობიდან გასვლის შემდეგ (გიგინეიშვილი 1977: 75-76). რაც შეეხება სხვა ფორმანტებს: რუთულურში შეინიშნება წარმოშობით IV კლასის ნიშანი (**დ**), ხოლო კრიწულში, როგორც უკვე აღინიშნა, მხოლოობითში ერთმანეთს შერწყა II და III კლასის ნიშნები, თუმცა ერთ-ერთ სერიაში IV კლასის ნიშანიც დასტურდება (**ჯ**).

IV კლასი: ***დ** – რუთ. **დ** (> **ტ/შ**): წახ. **დ** (> **შ**): კრიწ. **დ** (> **თ/ტ/ჯ/შ**): ბუდ. **დ** (> **თ/შ**): ხინ. **შ** (< ***დ**): არჩ. **თ/ტ/შ** (< ***დ**). წარმოშობით IV კლასის ფორმანტებს უნდა მიეკუთვნებოდეს თაბასარანულში I (გონიერის) კლასის ნიშნები (**დ**, **თ**,

ტ, რ, ღ; -დ როგორც გაქვავებული კლასის სუფიქსი დასტურდება ლეზგიურ, აღულურ და სხვა ზოგიერთ ლეზგიურ ენაში (1-10, 20 რიცხვით სახელებში): ლეზგ. ფაუ-დ: თაბ. შუბუ-ბ: აღ. წიბუ-დ: ბურშ. შიბუ-რ: რუთ. წიბგ-დ: წაბ. წებგ-ლლა: არჩ. ლ'ებ: კრიწ. შიბი-დ: ბუდ. შუბუ-დ: კავკ.-ალბ. ხიბ: უდ. ხიბ: სხვ. დალ.: ხუნდ. ლ'აბ-გო „სამი“ და სხვ.

„ხუთი“ – ლეზგ. ჟა-დ: თაბ. ს'უ-ბ: დიუბ. ს'უ-ჟ: აღ. შა-ჟუ-დ: რუთ. ს'უ-დ: წაბ. ს'ო-ლლა: არჩ. ლ'ო, ლ'ჟე-ტუ: კრიწ. ჟგ-დ: ბუდ. ჟგ-დ: ხინ. ფხ'უ (< *ფქუ): კავკ.-ალბ. ჯო: უდ. ჯო; სხვ. დალ.: დიდ. ლ'ე-ნო და სხვ.

საყურადღებოა არჩიბულში დადასტურებული IV კლასის ნიშნები **თ** და **ტ**. მათი წარმოშობა *დ მაწარმოებლისგან, როგორც უკვე აღინიშნა, არ უნდა შემოიფარგლებოდეს ოდენ ფონეტიკური პროცესებით და მორფოლოგიურ ფაქტორსაც უნდა ეთამაშა როლი. საფიქრებელია, რომ *დ > თ/ტ-ში გადავიდა მხოლოდ იმის შემდეგ, რაც -დ არჩიბულში II კლასის ნიშნად მოგვევლინა.


დ კლასიფიკატორის გარდა, ლეზგიურ ენებში IV კლასის ნიშნებად ხშირად დასტურდება **რ** და **ღ**, მათ შორის, გაქვავებული ექსპონენტების სახით. ამის მიუხედავად, ჩვენ მხარს არ ვუჭერთ ამ ნიშნების, როგორც IV კლასის ფორმანტების რეკონსტრუქციას საერთოლეზგიურ ქრონოლოგიურ დონეზე. აღსანიშნავია, რომ გაქვავებული ექსპონენტების სახით ეს ნიშნები დასტურდება მხოლოდ სამურულ ენებში. ამასთან, სამურულ ენებშიც კი **რ** ან **ღ** გვხვდება მხოლოდ თავკიდურ პოზიციაში, ხოლო ბოლოკიდურად **დ** ფორმანტი შემონახულია; მაგ., „ექვსი“ – ლეზგ. რუგუ-დ; თაბ. მირს'უ-ბ; აღ. მერს'ი-დ; რუთ. რინ'გ-დ; წაბ. მის'გ-ლლა; არჩ. დილ', დილ'ი-ტუ; კრიწ. რგხ'გ-დ; ბუდ. რგხ'გ-დ; ხინ. ზექ; კავკ.-ალბ. უ'ჯ; უდ. უჯ'; სხვ. დალ.: ლაკ. რაზ-, ხუნდ. ანლ' და სხვ. (ამ ლექსემაში სამურულ ენებში ორ-ორი გაქვავებული კლასიფიკატორი გამოიყოფა). ამასთან, **რ**- პრეფიქსს, როგორც წესი, არჩიბულში შეესატყვისება **დ**-, ხინალულურში – **ზ**-,¹ უდიურსა და კავკასიის ალბანურში – ნულოვანი მორფემა, ხოლო **ღ** პრეფიქსი ოთხივე ენაში ჩვეულებრივ ნულოვანი მორფემით არის წარმოდგენილი.

რაც შეეხება IV კლასის სხვა „ანომალიურ“ ნიშნებს ლეზგიურ ენებში, ამ მხრივ უნდა აღინიშნოს მხოლოდ რუთულური და ხინალულური ენის ვითარება. რუთულურში IV კლასის ფორმანტებს შორის შეინიშნება წარმოშობით III კლასის ნიშნები (**ზ**, **ჟ**), ხოლო ხინალულურში, როგორც უკვე აღინიშნა, I და IV კლასის აღნიშვნა მხოლოდობითში თითქმის უნიფიცირებულია (მხოლოდ ერთ სერიაშია განსხვავება).

კლასის ნიშნებით მრავლობითობა გამოიხატება ატრიბუტულ სახელებში, ზმნასა და ნაზმნარ სახელებში. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში ივარაუდება, ოთხკლასიან სისტემებში თავდაპირველად უნდა მომხდარიყო ნივთთა (III, IV) კლასის ნიშანთა განზოგადება და გამოყენება მრავლობითო-

¹ ეს და სხვა მაგალითები („ნაცარი“, „წისკელი“, „ნახარში“) ამყარებს მოსაზრებას, რომ II კლასის ფორმანტი **ზ** ხინალულურში წარმოშობით IV კლასის ნიშანი უნდა იყოს.

ბის აღსანიშნავად (დიუმეზილი 2015: 45; ჩიქობავა 1937: 97-106). სავარაუდო სისტემა შეიძლება ასეთი სქემის სახით წარმოვადგინოთ:



ეს სისტემა დღეს მეტ-ნაკლებად ყველა ლეზგიურ ენას დაუცავს. თუ წა-ხური და ხინალულური ენები სრულად მისდევს ამ სისტემას, არჩიზულ, რუ-თულურ, კრიწულ და ბუდუხურ ენებში დაწყებულია მრავლობითის აღნიშვნის უნიფიკაცია, თუმცა ეს პროცესი არც ერთ ენაში არ არის შორს წასული.

თაბასარანულში მრავლობითის ნიშნებად I-სა და II კლასში გვევლინება I კლასის ფორმანტები **დ, რ, ღ, თ**, რომლებიც ისტორიულად IV კლასის ფორმანტსა (***დ**) და მის ფონეტიკურ სახესხვაობებს (> **რ** > **ღ** > **თ**) უნდა წარმოადგენდეს.

ამრიგად, ლეზგიურ ენებში, თუ რამდენიმე გამონაკლისს არ ჩავთვლით, კლასის მაწარმოებლებად მრავლობითში გვევლინება იგივე ნიშნები, რაც მხოლოობითში გვაქვს. IV კლასის ნიშნები არ განსხვავდება მხოლოობითსა და მრავლობითში.¹ თაბასარანულში კი ასეთი ვითარება დასტურდება I (გონიერის) კლასში.

აქედან გამომდინარე, უპირატესობას ვანიჭებთ საერთო ლეზგიურისათვის სწორედ ასეთი სისტემის რეკონსტრუქციას, რომელიც მრავლობითის გადმოსაცემად იყენებს III და IV კლასის ფორმანტებს. შესაბამისად, კლასის ნიშნებად მრავლობითში გვესახება ***ბ** – I და II კლასისთვის, ***დ** – III და IV კლასისთვის.

სამეცნიერო ლიტერატურაში იყო ცდა საერთო ლეზგიურისათვის კლასის ნიშანთა არა ერთი, არამედ ორი სერიის პოსტულირებისა. მ. ალექსეევის აზრით, საერთო ლეზგიურში აღდგება კლასის ფორმანტთა „ძლიერი“ და „სუსტი“ სერიები: (ალექსეევი 1985: 90–95). მკლევარი შემდეგ ფორმანტებს ვარაუდობს თითოეული სერიისთვის:

¹ ჟ. დიუმეზილიამ ამ ვითარების ასახსნელად საყურადღებო ჰიპოთეზა წამოაყენა. მკვლევრის დაკვირვებით, ჩეჩნურსა და ინგუშურში ყველა სახელი, რომელიც შეიცავს საგანთა ფარულ, ნაგულისხმევ მრავლობითს (ისეთი სახელები, როგორებიცაა: „ბალახი“, „ფქვილი“, „ხორბალი“, „წყალი“, „ნისლი“, „წვიმა“ და მისთ., აბსტრაქტული სახელები, მაგ., „მეგობრობა“ და მისთ.) მიეკუთვნება **დ-დ** კლასს. როგორც ჟ. დიუმეზილი ვარაუდობს, ეს ფაქტი გვიჩვენებს, რომ არაგონიერ სახელთა განაწილება III და IV კლასებს შორის ეფუძნებოდა შემდეგ პრინციპებს: III კლასში შედიოდა არაგონიერი არაკრებითი სახელები, რომელთა ინდივიდუალურობა, ერთობა, ძალა თუ სხვ. უფრო საგრძნობია, ვიდრე მათი ნაწილების მრავლობითობა და აბსტრაქტული სახელები, რომელიც არ გულისხმობს მიმართებას მრავალ ინდივიდთა შორის... IV კლასში კი შედიოდა არაგონიერი III კლასისთვის მოცემულ განსაზღვრებათა საპირისპირო კრებითი ან მიმართებითი სახელები. III და IV კლასის ფორმანტებით მრავლობითობის აღნიშვნას კი საფუძვლად უდევს ის, რომ არაგონიერთა მრავლობითობა აღიქმებოდა როგორც „კრებითობა“, ხოლო გონიერთა – როგორც ინდივიდუალურობა, ძალა. ეს ვითარება დადგენილი ენებისათვისაც უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი, რასაც, როგორც ჟ. დიუმეზილი მიიჩნევს, დარგული ენის მონაცემები უჭერს მხარს (დიუმეზილი 2015: 44-46).

	„ძლიერი“ სერია	„სუსტი“ სერია
I	*რ	*ჟ
II	*რ	*რ
III	*ფ	*ვ
IV	*თ	*მ

კლასის ნიშანთა „ძლიერი“ სერია პოსტულირებულია რუთულურ, წახურ, კრიწულსა და ბუდუხურ ენათა ჩვენების მიხედვით.¹

	რუთ.	წახ.	კრიწ.	ბუდ.
*რ (I-II კლ.)	რ	რ	რ (ფ – I; ზ – II)	რ (ფ – I)
*ფ (III კლ.)	ზ	ზ	ზ	ზ
*თ (IV კლ.)	დ/ფ	დ	დ/ჯ/ფ	დ/ფ

„სუსტი“ სერიის რეკონსტრუქცია კი, თავის მხრივ, ეყრდნობა რუთულურის, წახურის, კრიწულის, ბუდუხურისა და არჩიბულის ჩვენებას:

	რუთ.	წახ.	კრიწ.	ბუდ.	არჩ.
*ჟ (I კლ.)	ჰ/ფ/ფ	ფ	ფ/ფ	ფ	ჟ
*რ (II კლ.)	რ	ფ/ფ	–	რ	დ/რ
*ვ (III კლ.)	ვ	ვ/ფ	ვ (ფ)	ვ (ფ)	ზ
*მ (IV კლ.)	ჰ/ფ/ფ	ფ	ფ/ფ	ფ	ფ

როგორც უკვე აღინიშნა, სამეცნიერო ლიტერატურაში განხილულია ზ : ჟ შესატყვისობა ლეზგიურ ენებში და ამოსავალად ზ ბგერაა მიჩნეული, რასაც უეჭველად ცხადყოფს სხვა დადესტური ენების მონაცემები (გიგინიევილი 1977: 75-76). ეს არ გვაძლევს III კლასისთვის ორი სერიის პოსტულირების საშუალებას. IV კლასის შემთხვევაში, გაუგებარია, ერთნაირი ფორმულის პირობებში, რომელშიც განსხვავებულია მხოლოდ არჩიბული ენის მონაცემები, თუ რატომ ვარაუდობს მკვლევარი I კლასისთვის *ჟ ნიშანს, ხოლო IV კლასისთვის – *მ-ს. არჩიბულში კი მკვლევარს „გამორჩა“ IV კლასის ფორმანტები თ და ტ, რომლებიც ამ კლასის ფორმანტად დ-ს პოსტულირებას უჭერს მხარს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ *დ ფორმანტი გაქვავებული სახითაც გვხვდება არჩიბულსა და სხვა ლეზგიურ ენებში. ამასთან, ვერ გავიზიარებთ რუთ. ზ : წახ. ზ : კრიწ. ზ : ბუდ. ზ და რუთ. დ : წახ. დ : კრიწ. დ/ჯ : ბუდ. დ შესატყვისობათა მიხედვით *ფ და *თ ფორმანტების აღდგენას. III და IV კლასში მ. ალექსევის მიერ შემოთავაზებული ორგვარი შესატყვისობების მიხედვით აღდგე-

¹ ეს უკვე აღძრავს ეჭვს ამ რეკონსტრუქციის მართებულობაში. ის არ ეყრდნობა არც არჩიბულის, არც ხინალულურის და არც უდიურის მონაცემებს. სარწმუნოდ ვერ მივიჩნებთ ისეთ საერთო ლეზგიურ რეკონსტრუქციას, რომელიც მხოლოდ სამურული ენების ჩვენებას ეყრდნობა და, ამასთან, არ მიმართავს გარე რეკონსტრუქციის მეთოდს.

ბა ერთი და იგივე ნიშნები: *ბ – III კლასისთვის და *დ – IV კლასისთვის. რაც შეეხება I და II კლასის ნიშნებს, მათი უნიფიკაცია სამურულ ენებში აშკარა ინოვაციას წარმოადგენს – იგი გამოწვეულია II კლასის ნიშანთა ექსპანსიით და არ დასტურდება არათუ დადესტურ ენათა სხვა ჯგუფებში, არამედ არჩი-ბულსა და ხინალულურშიც.

ამას გარდა, უნდა აღინიშნოს, რომ ხშირია მაგალითები, რომლებშიც ამა თუ იმ ენის ე.წ. ძლიერი სერიის ნიშნები სხვა ენებში შეესატყვისება „სუსტი“ სერიის ნიშნებს, ან პირიქით; მაგ.:

წახ. ა-ჭ-ტელ – რუთ. სი-ბ-ტას: არჩ. ე-ბ-ტმუს: კრიწ. ფუ-ბ-ტულიჯ: ბუდ. ვე-ბ-ტილ „შეკვრა“;

რუთ. სი-ჭ-ჩეს: წახ. წ^ვგ-ჭ-ჩგ – სპ-ბ-ჩაჯ: ბუდ. სე-ბ-ჩე „ლპობა“;

რუთ. ა-ჭ-ღჟას – ბუდ. ყა-ბ-ღუ- „დასმა“;

რუთ. სა-ჭ-ხას: კრიწ. ახრიჯ: ბუდ. ოხურ- – არჩ. ა-ბ-ხას „დაწოლა“...

ამრიგად, ვერ ვხედავთ ვერანაირ საფუძველს, რომ საერთო ლეზგიურში კლასის ნიშანთა ორი სერია აღვადგინოთ.

ლიტერატურა

ალექსეევი 1985 – Алексеев М. Е. Вопросы сравнительно-исторической грамматики лезгинских языков, Морфология, Синтаксис. Москва.

ანდლულაძე 1968 – ნ. ანდლულაძე. კლასოვანი და პიროვანი უღვლი-ლების ისტორიის ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში. თბილისი.

გიგინეიშვილი 1977 – Гигинейшвили Б. К. Сравнительная фонетика дагестанских языков. Тбилиси.

გიპერტი და სხვ. 2008 – J. Gippert, W. Schulze, Z. Aleksidze, J.-P. Mahé. The Caucasian Albanian Palimpsests of Mt. Sinai, 2 vols. Brepols.

გუკასიანი 1974 – Гукасян В. Л. Удинско-азербайджанско-русский словарь. Баку.

დიუმეზილი 2015 – ჟ. დიუმეზილი. შესავალი ჩრდილო-კავკასიურ ენათა შედარებით გრამატიკაში. თბილისი.

თალიბოვი 1961 – Талибов Б. Б., Система грамматических классов в цахурском языке – в кн. Вопросы изучения иберийско-кавказских языков. Москва.

თოფურია 2003 – Топуриа Г. В. К истории грамматических классов в восточнокавказских языках. – იკეწ, XXII. თბილისი.

კახაძე 1984 – ო. კახაძე. გრამატიკული კლასები ლეზგიურ ენებში. თბი-ლისი.

მაჰომეტოვი 1970 – Магомедов А. А. Агульский язык. Тбилиси.

მელნიკოვი, ყურბანოვი 1964 – Мельников Г. П., Курбанов А. И. Логические основы именной классификации в цахурском языке. – Вопросы структуры языка. Москва.

ნიკოლსი 1989 – Nichols J. The Nakh evidence for the history of gender in NakhDaghestanian. – Non-Slavic languages of the USSR. Ed. By Howard Aronson. University of Chicago.

სამედოვი 1975 – Самедов Д. С. Некоторые вопросы лексики арчинского языка, Автореферат кандидатской диссиртеции. Москва.

ტრუბეცკოი 1987 – Трубецкой Н. С. Избранные труды по филологии. Москва.

ჩიქობავა 1937 – არნ. ჩიქობავა. გრამატიკული კლასების ისტორიისათვის ხუნძურში. – ენიმკი-ს მოამბე, ტ. I. თბილისი, გვ. 89-96.

ჩიქობავა 1942 – არნ. ჩიქობავა. მეორე გრამატიკული კლასის (მდედრობითი სქესის) გენეზისისათვის მთის კავკასიურ ენებში. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. III, №4. თბილისი.

ჩიქობავა 1979 – არნ. ჩიქობავა. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი. თბილისი.

ჯავახიშვილი 1937 – ი. ჯავახიშვილი. ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა. ტფილისი.

ROMAN LOLUA

On History of Grammatical Category of Class in Lezgian Languages

S u m m a r y

The system consisting of four classes will be reconstructed in Proto-Lezgian with the following formants:

Sg.				Pl.	
I	II	III	IV	I-II	III-IV
*w	*r	*b	*d	*b	*d

As for the initial situation for each language, in our view it was represented in this way:

	Sg.				Pl.	
	I	II	III	IV	I-II	III-IV
Arch.	w	d, r	b	*d	b	*d
Rut.	w	r, j	b, w	d, r, j	b, *w	*d, *r, j
Tsakh.	w	r, j	b, w	d, r, j	b, w	d, *r, j

Kriz.	w	r	b, w	d, r, j	b, *w	d, *r, j
Bud.	*w	r	b, w	d, r, j	b, *w	d, *r, *j
Khin.	*w	r	b, w	*d, j	b, w	*d, j
Tab.	*w	r	b, w	*d, r, j	*b, *w	*d, *r, *j
Ag.	*w	r	b, w	d, r, j	*b, *w	*d, *r, *j
Lezg.	*w	r	b, w	d, r, j	*b, *w	*d, *r, *j
Ud.	v (< *w)	*r	b	d	*b	*d
C.-A.	v (< *w)	*r	b	d	*b	*d

თამარ ლომთაძე

კასტილიურის სტატუსისათვის

თანამედროვე მსოფლიოში ესპანური საკმაოდ გავრცელებული ენაა. მაგალითად, 1988 წლის მსოფლიო აღმანახის მიხედვით, დაახლოებით 350 მილიონამდე ესპანურის მცოდნეა, აქედან 304 მილიონი ადამიანისათვის იგი მშობლიური ენაა. შესაბამისად, ესპანური მსოფლიოში გავრცელების მიხედვით მე-4 ადგილზეა ჩინურის, ინგლისურისა და ჰინდის შემდეგ. ესპანური 22 ქვეყანაშია ოფიციალური ან თანაოფიციალური ენა; ამ კრიტერიუმის მიხედვით, ის მესამე ადგილზეა ინგლისურისა და ფრანგულის შემდეგ.

ესპანური სხვა ენებთან ერთად გამოიყენება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. ევროკავშირისა და ევროსაბჭოსათვის ოფიციალური ენებია ყველა წევრი ქვეყნის ოფიციალური ენა. ამერიკის საერთაშორისო ორგანიზაციები ხშირად იყენებს მთავარ ენად ინგლისურსა და ესპანურს.

ამ ბოლო დროს გაიზარდა ესპანურის, როგორც მეორე ენის, შესწავლის საკითხი შორეულ აღმოსავლეთში, სადაც ბევრ ქვეყანაში – იაპონიაც მათ შორის – ინგლისურის შემდეგ მეორე ენად ყველაზე ხშირად შეისწავლება. როგორც მიუთითებენ, ეს გაფართოება ესპანურის შესწავლისა არ მომხდარა სპეციალური ღონისძიებების დაგეგმვისა და გატარების შედეგად. მართალია, არსებობს ესპანურის პროპაგანდის, მისი კულტურის და ენის შესწავლისათვის სერვანტენის ინსტიტუტი, თუმცა იგი ისეთი ძლიერი არ არის, როგორც ვოტკვათ, გოეთეს ინსტიტუტი გერმანულისათვის, ან ბრიტანული საბჭო ინგლისურისათვის. ესპანურზე მზარდი ინტერესი უნდა მივაწეროთ სამხრეთ ამერიკის ქვეყნებზე ინტერესის ზრდას (სიგუანი 1992:109-110).

ტერმინის საკითხი

ესპანური არის ესპანეთის ოფიციალური ენა, მაგრამ 1978 წლის კონსტიტუციის მიხედვით, მისი ლეგალური სახელია კასტილიური. ესპანეთის კონსტიტუციის მე-3 მუხლი ამგვარად აცალიბებს მის ოფიციალურ სტატუსს:

3.1 კასტილიური არის სახელმწიფოს ოფიციალური ესპანური ენა. ყველა ესპანელის მოვალეობაა იცოდეს იგი და ყველა ესპანელს აქვს მისი გამოყენების უფლება.

თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ კასტილიურის დამკვიდრება ესპანურის ნაცვლად საყოველთაოდ გაზიარებულია. 1931 წლისა და ასევე ფრანკოს გარდაცვალების შემდეგ, 1978 წლის კონსტიტუციაშიც, ესპანეთის ოფიციალური ენის აღსანიშნავად, გამოიყენება კასტილიური. ესპანურის გამოყენების

საწინააღმდეგო ძირითადი არგუმენტი ისაა, რომ დანარჩენი ენებიც, რომლებზეც ესპანეთში ლაპარაკობენ, ესპანურია. ამიტომ მიაჩნიათ, რომ კასტილიურის გამოყენება და ესპანურის შემონახვა სხვა კონტექსტებისათვის, კერძოდ იქ, სადაც სხვა ოფიციალური ენებიც არსებობს, საკმაოდ გონივრულია (გონსალესი 1978: 231-80).

მაგრამ ამ თვალსაზრისს ყველა არ იზიარებს. მაგალითად, ლოპეზ გარსია თვლის, რომ ესპანური განვითარდა კასტილიურისაგან, მაგრამ დროთა განმავლობაში ის დასცილდა იმ კასტილიურს, რომელიც ისმის კასტილიის ტერიტორიაზე. მართალია, ესპანურს საფუძვლად უდევს კასტილიური, მაგრამ ამასთანავე, იგი არის კოინე იბერიის ნახევარკუნძულის სხვადასხვა დომინანტი დიალექტებისა. მისი აზრით, სწორედ, ამ ესპანურმა კოინემ წარმოქმნა ისეთი საზოგადოება, „ნაცია“, რომელიც საუბრობს ამ საერთო ენობრივ ნაირსახეობაზე. იგი გამოიყენებოდა კომუნიკაციის მთავარ საშუალებად ესპანეთის სამეფოების სუსტად დაკავშირებულ ნაწილებს შორის. ამ ენამ შექმნა ეროვნული ერთობა და ამიტომაც არის სახელწოდება ესპანური თუ კასტილიური ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი (ლოპეზ გარსია 1985). ეს სახელდება მოტივირებულია სხვადასხვა ფაქტორით. მაგალითად, იმათ, ვისაც სურთ, რომ ხაზი გაუსვან კასტილიური ეთნოსის დომინანტობას იბერიის ნახევარკუნძულზე, უპირატესობას ანიჭებენ კასტილიურს. ამათ საწინააღმდეგოდ, ისინი, ვინც არ არიან კასტილიიდან, განსაკუთრებით იმ მხარეებში, რომლებშიც ნახევარკუნძულის სხვა ენებია გავრცელებული, უპირისპირდებიან კასტილიურის გამოყენებას ესპანურის ნაცვლად.

ენის სახელდებას იდენტობასთან აკავშირებს უილიამსი. იგი ადარებს ტერმინებს გაერთიანებულ სამეფოს/ბრიტანულს, ინგლისს/ინგლისურსა და ესპანეთს/ესპანურს, კასტილია/კასტილიურს. საზღვარგარეთ ყოფნისას გაერთიანებული სამეფოს მოქალაქეები ამბობენ, რომ არიან ინგლისიდან, არა აქვს მნიშვნელობა ისინი არიან შოტლანდიიდან, უელსიდან თუ ჩრდილოეთ ირლანდიიდან. მაგრამ ანალოგიურ სიტუაციაში არავინ იტყვის, რომ არიან კასტილიიდან, ისინი არიან ესპანეთიდან. ეს იმას ნიშნავს, რომ კასტილია, გარეშე თვალში, ესპანეთის კულტურისა და ენის ფოკუსად არ ასოცირდება მაშინ, როდესაც თვითონ ესპანეთში ხალხი არის გალიციელი, კასტილიელი, კატალონიელი, ბასკი და ა. შ. ესპანეთის გარეთ ყველა აღიქმება როგორც ესპანელი (უილიამსი 1995: 263-75).

აღსანიშნავია, რომ ლათინურ ამერიკაშიც, სადაც ესპანური უმეტეს შემთხვევაში ოფიციალური ენაა, ორივე სახელდება გვხვდება როგორც ყოველდღიურ მეტყველებაში, ასევე ოფიციალურ დოკუმენტებში. ალვარმა შეისწავლა ნაციონალური კონსტიტუციების მიხედვით ამ ტერმინთა გამოყენება. იგი შენიშნავს, რომ ზოგმა ქვეყანამ კონსტიტუციის ბოლო გამოცემებში შეცვალა ენის სახელი და ეს ტენდენცია ახლაც გრძელდება. ალვარმა განახორციელა კვლევა გვატემალაში და აღმოჩნდა, რომ კასტილიური უფრო ფართოდაა გავრცელებული ვიდრე ესპანური. ამის მიზეზია ის, რომ ინფორმანტებისათვის ესპანური იწვევს ესპანეთთან ასოციაციას (და არა გვატემალასთან), მაშინ რო-

ცა, კასტილიური არ ასოცირდება რომელიმე ადგილთან (მიუხედავად მისი კასტილიიდან წარმომავლობისა). ლათინური ამერიკის ქვეყნებში კასტილიის ცნობიერების ნაკლებობა იწვევს კასტილიურის გამოყენების უპირატესობას. ამერიკის შეერთებულ შტატებში კი პირიქით, ესპანურად მოლაპარაკეს არ მოსწონს ტერმინი კასტილიური, რადგან ის ასოცირდება ესპანეთის ერთი რეგიონის სახელთან (ალვარი 1986).

ტომპსონი მიუთითებს, რომ ადრეულ კონსტიტუციებში კასტილიურს ამჯობინებდნენ იმიტომ, რომ ის იყო პოლიტიკურად და იდეოლოგიურად ყოფილი კოლონიური „მერჯავის“ მემკვიდრეობის უარყოფა (ტომპსონი 1992: 55-70).

სახელდებასთან დაკავშირებული საკითხი ზოგჯერ იწვევს პიროვნულ რეაქციებს. ტიპური მაგალითი ამ სუბიექტური ასოციაციებისა კარგად ჩანს ცნობილი ფილოსოფოსის, მწერლისა და ნობელის პრემიის მფლობელის ოქტავიო პასის კომენტარში: „მომბეზრდა ამდენი ლაპარაკი ესპანურთან დაკავშირებით, რადგან კასტილიური არის კასტილიური; მე ვარ მექსიკელი და მექსიკელი ესპანურად მოლაპარაკე და არა კასტილიურად“ (მარ-მოლინერო 2000: 35-37).

მიუხედავად იმისა, თუ რომელ თვალსაზრისს გავიზიარებთ, ფაქტია, რომ საუკუნეების განმავლობაში ხალხი განაგრძობს ორივე სახელის გამოყენებას ერთი და იმავე ენის აღსანიშნავად. ორივე ვარაუდს აქვს საკმაო არგუმენტები და შეუძლებელია გამტკიცოთ, რომ რომელიმე მათგანი არის დეფინიციური სახელი.

შენიშვნა: საქართველოში სახელდებისას ესპანური უფრო ხშირად გამოიყენება, ვიდრე კასტილიური, ამიტომ ჩვენს შრომაში ეს ტერმინები სინონიმებად იქნება გამოყენებული ყოველგვარი პიროვნული თუ პოლიტიკური კონოტაციის გარეშე.

სტანდარტიზაცია

სახელწოდება კასტილიური მიღებულია ადგილის სახელიდან (კასტილია), სადაც წარმოიშვა ეს ენა. „კათოლიკმა მონარქებმა“ მოახერხეს კასტილიური გაეხადათ გაერთიანებული სამეფოს მთავარ ენად. გარდა ესპანეთისა, კასტილიური გავრცელებულია სამხრეთ და ცენტრალური ამერიკის ქვეყნებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში; იგი ასევე თანაოფიციალური ენაა გვინეაში. ესპანურად ლაპარაკობენ მაროკოს სამხრეთ ნაწილში. იგი შემონახულია ფილიპინებში; ზოგიერთ სოციალურ ჯგუფში; მე-15 საუკუნეში ესპანეთიდან განდევნილ ებრაელებთან. რომელთა უმრავლესობა კვლავ გაერთიანდა ბალკანეთში, ისრაელსა და სალონიკში.

კასტილიური (ესპანური) არის ლათინურიდან მომდინარე რომანული ან ნეო-რომანული ენა. რომანული ოკუპაციისას იბერიის ნახევარკუნძულის სამწერლო, კულტურისა და ხელისუფლების ენა ჯერ კიდევ ლათინური იყო, თუმცა სალაპარაკოდ გამოყენებული ვარიანტები, რომლებსაც ვულგარულ ლათინურს ეძახდნენ, განსხვავდებოდა კლასიკური ლათინურისაგან. ადგი-

ლობრივი ენებისა და ვულგარული ლათინურის შერევამ სხვადასხვა ადგილას გეოგრაფიული და სხვა გარემომცველი კონტექსტების მიხედვით ჩამოყალიბა სხვადასხვა ენა: გალიციურ-პორტუგალიური, ასტურიან-ლეონესური, კასტილიური, არაგონესული და კატალონიური. კასტილიურის ლათინურიდან გამოყოფა და ცალკე ენად ჩამოყალიბება, სიგუანის მიხედვით გამოწვეული გახლდათ ბასკური სუბსტრატით. რადგან კასტილიური დაიბადა იმ რომანული ოკუპაციის ადგილზე, სადაც ადრე ბასკურად ლაპარაკობდნენ. მიუხედავად ამისა ეს ჰიპოთეზა დასამტკიცებლად რთულია, თუმცა მოსაზრება, რომელიც მიაწერს კასტილიური ხმოვანთა სისტემის სიზუსტეს ბასკურ სუბსტრატს, უფრო მისაღები ჩანს (სიგუანი, 1992:100).

კასტილიურის ფესვები დაკავშირებულია სამთავრობო ქალაქებთან (ტოლედო, მადრიდი). კასტილიურმა დაიწყო ტერიტორიული ექსპანსია მალიან ადრეულ ეტაპზე, ამიტომაც მასში აისახა იმ ტერიტორიებზე გავრცელებული ენების თავისებურებები, რომლებსაც იერთებდა კასტილია. კასტილიური აღმავლობას იწყებს და ხდება დომინანტი ენა „კათოლიკე მონარქების“ ფერდინანდისა და იზაბელას ქორწინების შემდეგ.

შუასაუკუნეებში კასტილიური ჯერ კიდევ მოუქნელი ენა იყო, თუმცა მალევე იწყება მისი სტანდარტიზაციის მცდელობა, რაც დაკავშირებულია კასტილიის მეფე ალფონსო X სახელთან. სტანდარტიზაციის საჭიროებას გრძნობდნენ განათლებული მწერლები და პოეტები. რენესანსის ეპოქაში გაძლიერდა ინტერესი ლათინურიდან მომდინარე ვულგარულ ენებზე. გამოჩნდა პირველი გრამატიკები ამ ენებისა, რომელთა შორის ანტონიო დე ნებრიხას „კასტილიურის გრამატიკაც“ იყო (1492). მან შეძლო გაეკეთებინა კასტილიურისათვის ის, რაც ბერძენმა და რომელმა გრამატიკოსებმა გააკეთეს თავიანთი ენებისათვის, რომელთა წყალობითაც მათი ტექსტების შესწავლა და წაკითხვა შესაძლებელია დღესაც. თავისი გრამატიკით ნებრიხა ცდილობს საშუალება მისცეს სტუდენტებს შეისწავლონ ლათინური, რომელიც რჩებოდა განათლების იარაღად და ასევე, საშუალება მისცეს სხვა ხალხებს შეისწავლონ თავიანთი „ბარბაროსული, უცნაური ენები“ (მარ-მოლინერო 1997:7-11). მას კასტილიურის შესწავლა აუცილებლობად მიაჩნდა, რათა მოსახლეობა მოქცეულიყო კასტილიელი მეფეების მმართველობის ქვეშ. ამ ნაბიჯს ამართლებდა თეზით, რომ ენა ყოველთვის იყო იმპერიის იარაღი.

მე-15 საუკუნეში კონფრონტაცია ლათინურსა და რომანულ ენებს შორის და დისკუსია, სწავლებისას უპირატესობა ლათინურს უნდა მისცემოდა თუ რომანულ ენებს, ჯერ კიდევ არსებობდა. ამ ატმოსფეროში აღმოცენდა თეზა „ენათა დიალოგი“, დაიწერა გრამატიკები და პირველი ორი ლექსიკონი. ევროპასა და ამერიკაში ესპანური ენის ექსპანსიის პერიოდად შეიძლება ჩაითვალოს მე-15 საუკუნე. მე-17 საუკუნეში ესპანეთის ჰეგემონია ევროპაში დამთავრდა და ესპანურ საზოგადოებაში გაჩნდა პირველი სიმპტომები არეულობისა. მაგრამ ლიტერატურულ ფრონტზე, პირიქით, დადგა „ოქროს საუკუნე“, რომელიც დაიწყო წმინდა და ბალანსირებული ენით: სერვანტესი, ლოპე დე ვეგა და სხვები. ეს პერიოდი დასრულდა „კონცეპტიზმისა“ და „კულტურა-

ლიზმის“ მწვერვალით, რომლის წარმომადგენლები იყვნენ გონგორა, კალდე-რონი და ქებედო. ყოველივე ამან ენა კიდევ უფრო დახვეწა.

მე-18 საუკუნე წარმოადგენს პურისტულ რეაქციას ბაროკოს „ღვარჭნი-ლობის“, ამალღებულობის ფონზე. ამ პერიოდში შეიქმნა ესპანური ენის სამე-ფო აკადემია – ენის სიწმინდის დაცვის პასუხისმგებლობით. მე-19 საუკუნეში ხდება რომანტიზმის ლინგვისტური ამალღება, მაგრამ ამავე დროს ძლიერდე-ბა ნატურალიზმი, რომელიც ცდილობს ყოველდღიური ენა აქციოს ლიტერა-ტურულ ენად. ამავდროულად, სამეცნიერო და ტექნიკური პროგრესი იწვევს ლექსიკონების უწყვეტ განახლებას ახალი ცხოვრების შესაბამისად. დღის წეს-რიგში დგება ენის მოწესრიგების, დახვეწის, გამარტივების, გაუმჯობესების მოთხოვნა. ლინგვისტური სტანდარტის შემუშავება არის აუცილებელი, რად-გან შუა საუკუნეების პერიოდების მიხედვით განსხვავებული კასტილიურის ფონეტიკა, მორფოლოგია და სინტაქსი საჭიროებს მოწესრიგებას. როდესაც კასტილიური ენის წერილობითი ფორმით გამოყენება დაიწყო, ფონემების ტრანსკრიფცია დამოკიდებული იყო სასულიერო პირების ჩვეულებებზე, გადამწერის გამოცდილებაზე და ლათინურის ცოდნის ხარისხზე(სიგუანი, 1992:99).

მართალია, რენესანსის ეპოქაში ვულგარული ენები გახდა ძირითადი და დაიწერა მათთვის პირველი გრამატიკები, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი ენის სტანდარტიზაციისათვის. აღსანიშნავია, რომ კასტილიურმა შეინარჩუნა სტაბილურობა საუკუნეების მანძილზე, რის გამოც საშუალო საუკუნეების ტექსტები ამ ენაზე დღევანდელი განათლებული მკითხველისათვის მეტ-ნა-კლებად გასაგებია.

საფრანგეთის მსგავსად, მე-18 საუკუნეში ეპოქის მოთხოვნების საპასუ-ხოდ შექმნილი ესპანური ენის სამეფო აკადემია დაკომპლექტდა სწავლულე-ბისგან, რომლებმაც შეძლეს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეექმნათ გა-მართული ენობრივი სისტემა, დაენერგათ ლინგვისტური წესები ზეპირი და წერილობითი ენის ძირეული განზომილებების შიგნით, რომელიც პრაქტიკუ-ლად დღემდე ცვლილების გარეშე შენარჩუნდა(სიგუანი 1992:101).

სახელმწიფოს მხარდაჭერით აკადემიის შექმნა (ისევე როგორც საფრან-გეთში), ნიშნავს იმ მნიშვნელობის აღიარებას, რომელსაც ხელისუფლება ანი-ჭებს ენას. ამასთანავე გულისხმობს აკადემიის მიერ შექმნილი სტანდარტის მიმართ სახელმწიფო, სახალხო და ადმინისტრაციულ სოლიდარობას და აცხადებს მზაობას დამორჩილდნენ ამ სტანდარტებს და ხელი შეეწყონ მათ დანერგვას საგანმანათლებლო სისტემაში. საფრანგეთისა და ესპანეთის მსგავს ქვეყნებში, სადაც ძირითადი, ოფიციალური ენების გვერდით არსებობენ რე-გიონალური ენები, აკადემიის შექმნა ახალისებს ლინგვისტურ უნიფიკაციას. ამ მხრივ ესპანურისა და ფრანგულის მდგომარეობა განსხვავებული გახლდათ ინგლისურისაგან, რომლისთვისაც არ არსებობდა ენობრივ სტანდარტებზე პა-სუხისმგებელი ოფიციალურად აღიარებული ინსტიტუცია. ინგლისურის შე-მთხვევაში ენობრივი სტანდარტი გულისხმობდა შეთანხმებას სახელგან-თქმულ ლინგვისტებსა და რედაქტორებს შორის, რომლებიც ძირითადად ოქ-

სფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტების გამოცემების გრამატიკულ წიგნებსა და ლექსიკონებს ეყრდნობიან.

მიუხედავად იმისა, რომ აკადემია ხშირად იყო კრიტიკის საგანი, მისი ავტორიტეტი ექვევემ არასოდეს დამდგარა. ის ამოცანა, რომელიც მიანდეს აკადემიას და შეჯამებულია შემდეგ დევიზში „წმენდს, ასუფთავებს, აწესრიგებს და ბრწყინვალეებას ანიჭებს ბრილიანტებს“, შეიცავს სამ ძირითად ასპექტს: კონსერვაცია, პურიფიკაცია, ლექსიკონების მოდერნიზაცია.

ენის სხვა მიმართულებებიდან ორთოგრაფია არის ყველაზე სპეციფიკური და თავისუფალი კომპონენტი. აკადემია თვლიდა, რომ ორთოგრაფიული წესები შეიძლება მივიღოთ ან უარყოთ, ის არ ექვემდებარება დაკვირვებას და მიმართულია წერილობით ტექსტებზე, ახლანდელ და მომავალ მკითხველზე. ეს არის მიზეზი იმისა, თუ რატომ უნდა იყოს წესები მიღებული დისკუსიის შედეგად. როდესაც აკადემია დაფუძნდა, არსებობდა მრავალგვარი ორთოგრაფიული ტრადიცია, რომელთაგან ზოგი ლათინურის მემკვიდრეობა იყო, ზოგი სხვადასხვა გრამატიკოსებიდან მომდინარე. ორთოგრაფიის პირველ ვერსიაშივე აკადემიამ გადაწყვიტა წერტილი დაესვა და სისტემაში მოეყვანა ესპანურის ორთოგრაფია, რასაც წარმატებით გაართვა თავი.

აკადემიამ მოახდინა წერილობითი და ზეპირი ენის დაახლოება, რაც ძირითადად იყო უარყოფა წინა საუკუნეების ორთოგრაფიისა, რომელიც დაფუძნებული იყო ტრადიციულ მეთოდზე. შეიძლება ითქვას, რომ 1815 წლის რეფორმის შემდეგ ორთოგრაფიის წესები პრაქტიკულად აღარ შეცვლილა. მართლაც, რაციონალიზმისა და კოჰერენტული თვალსაზრისით, ესპანური ორთოგრაფიული სისტემა უმჯობესია სხვა დასავლურ ენებთან შედარებით.

ფრანგული ორთოგრაფიისათვის კოდური სისტემა ცოტა ხნით უფრო ადრე დასრულდა, ვიდრე დაიწყებოდა კასტილიურისა. ამიტომ მადრიდის აკადემიამ ბევრი რამ გაითვალისწინა წინამორბედისაგან. მაგალითად, ფრანგულმა სისტემამ დანერგა ბევრად უფრო კონსერვატორული კრიტერიუმები, შეინარჩუნა ბევრი ძველი მართლწერის ნიშანი, რასაც ეტიმოლოგიური არგუმენტით ამართლებდნენ. აკადემიამ გაითვალისწინა ინგლისურის ნაკლოვანებებიც. ინგლისურში არასოდეს ყოფილა სისტემატური პროექტი ორთოგრაფიის რაციონალიზაციისა. ორთოგრაფიული წესები არის ტრადიციის შედეგი. ამ მიზეზით, დისტანცია ზეპირ ფონეტიკასა და წერილობით ტრანსკრიფციას შორის დიდია.

მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთის აკადემიამ, ფრანგულთან და ინგლისურთან შედარებით, ესპანურში ბევრად უფრო რაციონალური წესები დანერგა, ესპანურ ორთოგრაფიაში, თანამედროვე გადასახედიდან მაინც გვაქვს ბევრი უზუსტობა. ამიტომ, მე-19 საუკუნეში იყო არაოფიციალური მცდელობები ორთოგრაფიული რეფორმის გაგრძელებისა, რომლის აუცილებლობა დღესაც იგრძნობა (სიგუანი 1992:103). აკადემიამ სისტემაში მოიყვანა გრამატიკული და ლექსიკური საკითხები. თუმცა გრამატიკული წესები ისე თავისუფალი და მრავალფეროვანი არ იყო როგორც ორთოგრაფიული.

რაც შეეხება ლექსიკონებს, აკადემიის დაარსებიდან მისი მთავარი საქმიანობა იყო ლექსიკონების მომზადება. აკადემიის ლექსიკონები, რომლებიც პერიოდულად განახლებადია, გამიზნულია მოიცვას ყველა სიტყვა შესაფერისი, ზუსტი დეფინიციით. ახალი გამოცემა ცდილობს გაზარდოს მონაცემთა რაოდენობა, შემოიტანოს ახალი სიტყვები, რომლებიც გავრცელდა და განდევნოს ძველი, რომლებიც აღარ გამოიყენება.

დიალექტური ვარიანტები ესპანეთსა და ამერიკაში

ენა არასოდეს არ არის ერთფეროვანი. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მიღებული ლინგვისტური ნორმები, სოციალური, კულტურული თუ გეოგრაფიული სხვაობები ყოველთვის განაპირობებენ ცვალებადობას, რაც ვლინდება გეოგრაფიული თუ სოციალური დიალექტების სახით.

ადამიანები რომლებიც ცხოვრობენ ერთსა და იმავე სოციალურ, კულტურულ თუ გეოგრაფიულ გარემოში, არიან ერთმანეთთან პირდაპირ კონტაქტში, ავითარებენ ერთნაირ ლინგვისტურ თავისებურებებს, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა და ყალიბდება ენის სხვადასხვა ტიპის დიალექტური ვარიანტი. ეს დიფერენციაცია ზოგჯერ იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ერთი და იმავე ენის დიალექტებზე მოლაპარაკეთა შორის შეიძლება გაგებაც კი იყოს მწელი.

გამონაკლისი ამ მხრივ არც კასტილიურია. კასტილიის საზღვრების გასწვრივ, ქვეყნის ჩრდილო დასავლეთით ასტურიის, ლეონის, სალამანკას და გალიციის საზღვართან არის ორმხრივი გავლენები. ამას ემატება ძველი ასტურიულ-ლეონესური ენის გავლენა, რაც ამ რეგიონში დიალექტური ვარიანტების არსებობას განაპირობებს. ასევე, აღმოსავლეთით პირენეის ხეობის მეტყველება, რომელიც კასტილიურ დიალექტად შეიძლება მოვიხსენიოთ, მიღებულია პრიმიტიული არაგონესული ბირთვის გავლენის შედეგად, რომელიც არსებობდა შუა საუკუნეებში, მომდინარეობდა ლათინურიდან, მაგრამ დამოუკიდებელ ენად ჩამოყალიბება ვერ მოახერხა. ამჟამინდელი თავისებურებები არაგონისულისა, რომელსაც ჰქონდა ურთიერთობა სხვა პრიმიტიულ ენებთან, ჩამოყალიბდა როგორც კასტილიურის განსხვავებული ვარიანტი. ასევე ნახევარკუნძულის სამხრეთით მურსიაშიც არის ლოკალური დიალექტი - პანოჩო, რომელმაც შემოინახა კატალონიურის ელემენტები.

განსხვავებაა ძველ კასტილიასა და ჩრდილოეთ ნაწილში გავრცელებულ სალაპარაკო კასტილიურსა და ნახევარკუნძულის სამხრეთით – ანდალუსიურ კასტილიურს შორის.

მიუხედავად იმისა, რომ დიალექტური საზღვრები თანამედროვე ესპანეთში ცვალებადია, პირობითად მას ყოფენ 6 ძირითად დიალექტურ რეგიონად (აქ არ შედის ის რეგიონები, რომლებშიც სხვა ესპანური ენებია გავრცელებული): კასტილიური (კასტილიურის სახესხვაობები), ასტურიულ-ლეონესური (მათი სახესხვაობები), არაგონესული (არაგონესულის სახესხვაობები), ანდალუსიური, ექსტრემანული და მურსიული. ასტურიან-ლეონესური ახლოსაა გალიციისა და პორტუგალიის საზღვართან და აჩვენებს კიდევ მათ გავლე-

ნას, არაგონესული კი – ლეონესურის და აგრეთვე, კატალონიურის აღმოსავლური საზღვრის გავლენას. ანდალუსიური ყველაზე განსხვავებული დიალექტია ესპანურისა. იგი, ერთი მხრივ, აჩვენებს საერთოს ექსტრემანურთან და, მეორე მხრივ, დიდია სოციალური ფაქტორების გავლენები. ძირითადად, ეს დიალექტები სხვაობენ ფონეტიკური ფაქტორებით (მოლინერო 1997: 45-48).

მადრიდული ესპანური სპეციალური შემთხვევაა, მისი გეოგრაფიული სიტუაციიდან გამომდინარე. იგი მდებარეობს ძველი კასტილიის საზღვართან და შეიძლება ჩაითვალოს წმინდა კასტილიურად. ამასთანავე ის დედაქალაქია და აქ ცხოვრობს ხალხი სხვადასხვა წარსულიდან. მას-მედიის გავლენით მადრიდული მეტყველება წვდება მთელ ესპანეთს. ამიტომ, თანდათანობით მიღება ჩრდილოეთის ლინგვისტური ფორმებისა სამხრეთულში – ის, რაც თანამედროვე ესპანურს ახასიათებს, სწორედ მადრიდულის გავლენაა (მოლინერო 1997: 54-56).

განსაკუთრებული ადგილები, რომლებთანაც კასტილიურს აქვს ყოველდღიური შეხება (კატალონიური, გალიციური და ბასკური) ცალკე მსჯელობის საკითხია, რადგან აქ სხვაობა შეიმჩნევა ფონეტიკაში, ინტონაციაში და წარმოთქმაში, სიტყვათა შესხებაში და შედარებით ნაკლებად – ინტერფერენციაში. ზოგჯერ – სინტაქსში.

სამხრეთ ესპანეთში სახლობენ ბოშები. ისინი საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობენ ესპანეთში, თუმცა ძირითადი საზოგადოებისაგან დღესაც განსხვავდებიან თავიანთი მარგინალობით, კულტურით, ტრადიციებით. მათ სალაპარაკო ვარიანტს ეძახიან კალოს (ესპანეთსა და პორტუგალიაში), ის უმეტესად აღიწერება, როგორც ესპანურის დიალექტი, რომელიც ძირითადად, კასტილიურს ეფუძნება, თუმცა მრავალი განსხვავებული სიტყვითა და გამოთქმით (მოლინერო 1997: 45-48).

დიალექტური ვარიანტების სრულყოფილი წარმოჩენისათვის აუცილებელია ამერიკის ქვეყნებში გავრცელებული ესპანურის გათვალისწინება. დღესათვის ორი დიალექტი – ბურგოს-კასტილიური და სევილიური – არის ფუნდამენტი ესპანეთში გავრცელებულ ესპანურსა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში გავრცელებულ ესპანურს შორის. ლათინური ამერიკის ქვეყნებში ადგილობრივმა ენებმა, არაესპანურენოვანმა ემიგრანტებმა, გეოგრაფიულმა, ისტორიულმა, კლიმატურმა, დემოგრაფიულმა გადაადგილებებმა და სხვა ფაქტორებმა, იქონიეს გავლენა ესპანურზე, რამაც გამოიწვია მისი დიალექტური დიფერენცირება. ისიც უნდა აღვნიშნოთ რომ ამ ქვეყნებში ბურგოს-კასტილიურის დიალექტური ვარიანტი ჯერ კიდევ ყველაზე პრესტიჟულად ითვლება, ვიდრე სხვა ვარიანტები, რომლითაც ლათინური ამერიკის ქვეყნებში ლაპარაკობენ. დიალექტური განსხვავებები მოიცავს ყველა დონეს: ფონოლოგიურს, მორფოლოგიურს, სინტაქსურსა და ლექსიკურს (მოლინერო 1997: 48-52).

კასტილიურის გამოჩენისას ლათინური ამერიკის ქვეყნებში დაახლოებით 2 000-მდე ენა იყო გავრცელებული. მართალია, ზოგი მხოლოდ ვიწრო

ჯგუფის ენას წარმოადგენდა, მაგრამ მათ შორის იყო ფართოდ გავრცელებული, ე.წ. „ძირითადი ენები“: ქუჩუა – აცტეკის იმპერიის საერთო ენა, რომლითაც დღესაც ლაპარაკობს 4 მილიონი ინდიელი პერუსა და ეკვადორში; ნანუა, მანია – რომლებზეც დღესაც ლაპარაკობს გუატემალას ასი ათასობით მოსახლე; გუარანი – პარაგვაის უმრავლესობის ენა დღეისათვის და არაუკანო – ჩრდილოეთ ჩილეში.

ესპანელები, რომლებიც დასახლდნენ ამერიკაში, სხვა კოლონიზატორების მსგავსად, ავრცელებდნენ თავიანთ ენას მკვიდრ მოსახლეობაში. მომდევნო საუკუნეებში ლინგვისტური უნიფიკაციის პოლიტიკა კიდევ უფრო კონკრეტული გახდა. 1770 წელს და ჩარლზ III ბრძანა ამერიკაში ექსკლუზიურად ესპანურის გამოყენება. მხოლოდ მე-20 საუკუნეში დაიწყო ამერიკის ქვეყნებმა ინტერესის გამოჩენა მშობლიური ენების მიმართ. დეკლარირება ქუჩუასი, როგორც თანაოფიციალურისა პერუში, და გუარანი პარაგვაიში – ამის ნათელი მაგალითია (მოლინერო 1997: 48-53).

კასტილიურის კონტაქტმა ადგილობრივ ენებთან შედეგი გამოიღო და მეტყველებაში განსხვავება აშკარა გახდა. გაჩნდა ტენდენცია, ამერიკული ესპანური რამდენიმე ხნის შემდეგ დაყოფილიყო ნაციონალურ ენებად. საკითხს ართულებს ლიტერატურული მოდელის ენისადმი დამოკიდებულება. ზოგი მათგანისათვის სტადარტული ესპანურია მთავარი, ხოლო ზოგისათვის მშობლიური და ადგილობრივი გაბატონებული ფორმები. ამ სამიშროების საწინააღმდეგოდ ესპანური ენის აკადემიამ დანერგა თანამშრომლობა, კავშირი დაამყარა და სოლიდარობა გამოუცხადა ენის აკადემიებს, რომლებიც გასულ საუკუნეში დაარსეს ლათინური ამერიკის ყველა რესპუბლიკაში. ამერიკის აკადემიები არის კონსერვაციისა და უნიფიკაციის პოლიტიკის მიმდევრები.

ესპანური ამერიკის შეერთებულ შტატებში არის კიდევ უფრო განსხვავებულ მდგომარეობაში. კალიფორნიაში მაგალითად, ის თანაოფიციალური ენაა, ასეთივე სტატუსი ჰქონდა თავდაპირველად ფლორიდაშიც, მაგრამ 1988 წელს, რეფერენდუმის შედეგად აქ ოფიციალურ ენად დარჩა მხოლოდ ინგლისური. მიუხედავად ამისა, როგორც კასტელანო აღნიშნავს, კუბელებმა, ახალგაზრდა თაობამაც კი, რომლებსთვისაც დომინანტური ენა ინგლისურია, თანდათან გაამლიერეს ესპანურის შესწავლა და ფლორიდის სამხრეთით ბილინგვები ახლა კიდევ უფრო მეტია (კასტელანოს 1991). ამერიკის ესპანურენოვანმოსახლეობას აქვს ძალიან განსხვავებული გეოგრაფიული წარმომავლობა: მექსიკა, პურტო-რიკო, დომინიკის რესპუბლიკა, კოლუმბია, კუბა... ეს სხვადასხვა გეოგრაფიული წარმომავლობა განაპირობებს განსხვავებულ ლინგვისტურ თავისებურებებს თითოეული ჯგუფისთვის. თავისებურებები გამოწვეულია იმითაც, რომ თითოეული ეთნიკური ჯგუფი ცდილობს დასახლდეს ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა რეგიონში: მექსიკელები სამხრეთ დასავლეთ ნაწილში. პურტორიკოელები და დომინიკას ხალხი აღმოსვლეთ სანაპიროზე, ფლორიდაში, კუბელები – სამხრეთ ფლორიდაში.

თანამედროვე კასტილიურის ენობრივი პრობლემები ძირითადად გლობალიზაციისა და ტექნიკური რევოლუციების შედეგია. პრობლემები შეე-

ხება როგორც სტანდარტიზირებულ ვარიანტს, მის გამოყენებას განათლებასა და მედიაში, ასევე სოციალურ, გეოგრაფიულ ნაირსახეობებსა და ყოველდღიურ სამეტყველო ენას.

პრობლემა იერარქიულობის დარღვევის თვალსაზრისითაც, რომელშიც წერილობითი ენა ზეპირზე მაღლა დგას. დღეისათვის არის მცდელობა სალაპარაკო ენას შეუცვალონ ადგილი ამ იერარქიაში. ამიტომაც ნორმის დარღვევა, განსაკუთრებით ელიტარული საზოგადოების შედეგად დაშვებული შეცდომა, ხშირად აცხადებს პრეტენზიას დაკანონებისა. მასმედიის ფორმები დომინანტური ხდება და სკოლებშიც არის მცდელობები მეტი ლინგვისტური თავისუფლებისა. ამას ემატება სოციალური და ტექნიკური ცვლილებების შედეგად ნეოლოგიზმების მუდმივი შემოტანა, ამასთანავე, ტელეგრაფისტებმა შემოიტანეს თავიანთი სტილი, რომელსაც შეიძლება კომპიუტერულიც დავუმატოთ, რომლებსაც აქვთ გავლენა სხვადასხვა გზით ლინგვისტურ ფორმებსა და საერთოდ – სტილზე.

ინგლისური დღეისათვის ბევრ სოციალურ კონტექსტში არის დომინანტური – მეცნიერებისა და ტექნიკის გამოკვლევები, კომპიუტერული მართვა, მუსიკა, ტელევიზია და ყოველდღიური ცხოვრების სხვა ასპექტები. ამიტომ ეს სფეროები განსაკუთრებულ ინგლისურის გავლენას განიცდიან, როგორც ლექსიკური, ისე სინტაქსური თვალსაზრისით.

საზოგადოება მოითხოვს ზომების მიღებას სტანდარტიზებული ენის სასარგებლოდ და ლინგვისტური სტანდარტის დასაწერად მასმედიასა და განათლებაში. საერთოდ, ენის ევოლუცია შედეგია ერთმანეთს მიყოლებული კრიზისებისა, რომელიც, თავის მხრივ, არის შედეგი ახალ სოციალურ გარემოსთან ადაპტირების საჭიროებისა. თუმცა, თუ არ მოხდა საფრთხეების განჭვრეტა და შესაბამისი ზომების გატარება, შეიძლება ენა დაშლის ტენდენციის წინაშეც აღმოჩნდეს (მით უფრო რომ ის ძალიან დიდ ტერიტორიაზე გავრცელებული), ხოლო გეგმაზომიერი დაგეგმარების შემთხვევაში ესპანური შეინარჩუნებს სიცოცხლისუნარიანობას და ერთიანობას მომავალშიც (სიგუანი 1992: 103).

ლიტერატურა

ალვარ ლოპეზი 1986 – Alvar Lopez, M (1986), Hombre, etnia, estado: actitudes linguisticas en Hispanoamerica, Madrid: Gredos

გონსალესი 1978 – Gonzalez Olle (1978) El establecimiento del castellanocomo Lengua oficial, Barcelona de la Real Academia LXV

ლოპეზ გარსია 1985 – Lopez Garcia, A (1985), Elrumor de losdesarraigados, Barcelona: Anagrama

მარ-მოლინერო კ., 1997 – Mar-MolineroClare (1997)The Spanish Speaking World, A Practical introduction to sociolinguistic issues, Clare Mar-MolineroRoutledge London and new York

მარ-მოლინერო 2000 – Mar-MolineroClare (2000) The Politics of Language in the Spanish-Speaking World, London and New York

თომპსონი 1992 – Thompson R.W. (1992), Spanish as a pluricentric Language, In Clyne (ed)

უილიამსი 1995 – Williams Lynn (1995), Percepciones de identidad: el problema de la denominacionLinguisticaenEspana, Tesseract, Vol. 1

კასტელანოს 1991 – CastellanosIsabel (1991), Language Planning and Language Loyalty in the Cuban Community in Miami, Language Planning, International seminar of Planning linguistic

სიგუანი 1992 – M. Siguan Multilingual Spain, European studies on Multilingualism 2.

TAMAR LOMTADZE

On Status of Castilian

S u m m a r y

Spanish is one of the most widely used languages in the world. It is spoken by 350 million people worldwide and it is a language with at least 304 million first-language speakers. Spanish is an official language of Spain but according to the 1978 constitution its legal name is Castilian. However, this does not mean that the replacement of the name 'Spanish' by 'Castilian' is commonly accepted. The name 'Castilian' is derived from the name of the Castile region of Spain where this language originated. "Catholic Monarchs" managed to make Castilian the main language of the united Spanish kingdom. It is also distributed in the South and Central American countries, the United States, and is a co-official language of Guinea. Spanish is spoken in the southern part of Morocco. It is preserved in some social groups in the Philippines and among the Jews expelled from Spain in the 15th century most of whom reunited in the Balkans, Israel and Thessaloniki.


In the Middle Ages the Castilian language was still an inflexible language but soon the establishment of the Royal Academy of the Spanish Language led to its standardization. The task that was entrusted to the Academy and summarized in the motto "It cleans, fixes and gives brilliance" includes three basic aspects: the conservation, the purification and the modernization of Lexicon.Castilian is represented in the form of a variety of dialects in Spain and Latin America.

The linguistic problems of modern Castilian are mainly caused by globalization and technological revolutions. Both standardized version, its use in education and media and its social, geographic varieties and everyday speech face challenges and problems which need to be addressed urge

თამარ მახაროზიძე

ქართული ჟესტური ენის ლექსიკის შესახებ

ნებისმიერი ენა არის ნიშანთა სისტემა. ამდენად, ისევე, როგორც ნებისმიერი სამეტყველო ენა, ნებისმიერი ჟესტური ენა წარმოადგენს კონკრეტულ ენობრივ სისტემას და აქვს ყველა იერარქიული დონე. ჟესტური ენა ვიზუალურ-სივრცითი ენაა, სადაც ინფორმაციის კოდირება ხდება ხელებით და სახის გამომეტყველებით, გამოხედვით, სხეულისა და თავის მოძრაობით. ჟესტური ენები აღიქმება მხედველობით (ე. პროზოროვა, ა. კიბრიკი 2006:165) რამდენადაც, ჟესტურ ენებში წამყვანია ვიზუალური აზროვნება. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ ლექსიკური დონის მთვარი მამოძრავებელი ფენომენი ჟესტის გარეგნული მხარეა. ჟესტურ ენათა ლექსიკური ანალიზი გულსხმობს კინემის აღწერას. ასეთია საერთაშორისო სტანდარტი ამ ტიპის ლექსიკონებისათვის. კინემის აღწერა არის მიმიკისა და ქირემის ჯამური აღწერა.




მიმიკა არის სახის გამომეტყველება, რომელსაც აქვს თავისი კონკრეტული გრამატიკული ფუნქცია და ქირემა არის ხელით შესრულებული მოძრაობის ერთეული. ქირემის ძირითადი კომპონენტებია:

1. ხელის მტევნის გამოხატული ფორმა (ხელის მტევნით გადმოცემული კონკრეტული სიტყვის ფორმა);
2. ხელისგულის მიმართულება;
3. ხელის მოძრაობის ადგილი;
4. ხელის მოძრაობის ტრაექტორია.

ეს კომპონენტები, როგორც ჟესტის კომპონენტები, გალადეტის უნივერსიტეტის პროფესორმა უილიამ სტოკოემ გამოყო 60-70 წლების მიჯნაზე და ჟესტი განიხილა როგორც ფონემური დონის ერთეული და ზემოჩამოთვლილი კომპონენტებით წარმოადგინა მის მახასიათებლებად. ასეთი მიდგომა იყო რევოლუციური. ეს გახდა ახალი ერის დასაწყისი ჟესტური ენების კვლევების ისტორიაში. უდიდესმა მეცნიერმა ფაქტობრივად საფუძველი ჩაუყარა ჟესტური ენების მეცნიერულ კვლევას და დაამტკიცა, რომ ეს ენები დამოუკიდებელი თვითკმარი ენებია.

შეიძლება ითქვას, რომ ჟესტური ენა არის კინემატოგრაფიული ენა. ჟესტურ ენებში არსებობს ჟესტური ენობრივი კონსტრუქციები, რომელიც წარმოდგენილია სამგანზომილებიან სივრცეში და აქ ყველა კომპონენტი ჩართულია ენობრივ სისტემაში. სიტყვა-ჟესტი ასეთ სისტემაში დახასიათდება შემდეგნაირად:



სიტყვა-ჟესტი შედგენილობის მიხედვით შეიძლება იყოს სამგვარი ფორმის:

1. მხოლოდ ჟესტით გამოხატული (მაგ. კაცი, ქალი);
2. ჟესტითა და ერთი დაქტილით გადმოცემული (მაგ. ევროპა – ე+ჟესტი, აზია – ა+ჟესტი);

აქ გვაქვს ორი ვარიანტი:

- ა. ფორმა იწყება დაქტილით (“ევროპა” – ე+ჟესტი);
- ბ. ფორმა მთავრდება დაქტილით (“ბევრჯერ” – ჟესტი+რ);

3. ჟესტითა და რამდენიმე დაქტილით გადმოცემული (მაგ. ოკეანე ოკ + ჟესტი).

აქ წარმოდგენილი ბოლო ორი ფორმა არის კომბინირებული – დაქტილურ-ჟესტური. კომბინირებულ სიტყვა-ჟესტებში დაქტილი ან დაქტილები შეიძლება იყოს ჟესტის წინ ან უკან მოსდევდეს ჟესტს. ქართულ ენას თითქმის არ ახასიათებს ჟესტის შემდეგ დაქტილის ან დაქტილების დართვა. ასეთი წყობა რუსული ჟესტური ენისთვის უფრო დამახასიათებელია (მაგალითად, მარილის აღმნიშვნელ სიტყვა-ჟესტს რუსული ენა დაურთავს რბილი ნიშნის გამომხატველ დაქტილს).

სიტყვა-ჟესტი შეიძლება იყოს წარმოდგენილი ერთი ან ორი ხელით.



ბალი – ვარდისებრთა ოჯახის საშუალო სიმაღლის ხეხილი, აქვს მსხვილი დახრილი ფოთოლი, თეთრი ყვავილი და კურკიანი წვრილი ნაყოფი


ერთხელიანი, დინამიკური, იკონური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ყურთან განთავსებული მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

ორხელიანი ჟესტის შემთხვევაში თუკი ორივე ხელი ერთნაირ მოძრაობას ასრულებს, ეს არის სიმეტრიული ჟესტი, ხოლო თუკი სხვადასხვა მოძრაობები სრულდება, მაშინ გვაქვს ასიმეტრიული ჟესტი. ორხელიანი ასიმეტრიული ჟესტის შემთხვევაში ერთ-ერთი ხელი უფრო აქტიურ მოძრაობებს ასრულებს მეორესთან შედარებით და ეს ენობრივი მოვლენა განისაზღვრება როგორც დომინანტი კონდიცია, ხოლო მეორე ნაკლებად აქტიური ხელის პოზიციას ეწოდება პასიური კონდიცია (ბეიკერ-შენკი და კუკელი 1980:82).



ბალიში – ბუმბულით ან სხვა რბილი მასალით გავსებული ოთხკუთხა ფორმის თავქვეშ სადები

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



ბაყაყი – წყალ-ხმელეთის ცივისსხლიანი ოთხფეხა, უკუდო, პატარა, ხტუნია ცხოველი

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური ჟესტი, მარჯვენა ხელისგული მიმართულია ქვევით, გაშლილია საჩვენებელი და ნეკი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, თავისუფლად გაშლილი და დახრილი თითებით მარცხენა ხელისგული მიმართულია ქვევით, მარჯვენა ხელი ხტუნვით მოძრაობებს ასრულებს მარცხენა მკლავზე. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

თავისი ლინგვისტური ფუნქციით ჟესტი შეიძლება იყოს ლექსიკური, სემანტიკურ-გრამატიკული ან ოდენ გრამატიკული. მაგალითად, ქართულ ჟესტურ ენაში არსებული ერგატიულობის ან ირიბი მიმართების ჟესტები ოდენ გრამატიკული ჟესტებია, თანდებულები და ზმნისწინების გამომხატველი ჟესტები არის სემანტიკურ-გრამატიკული ფუნქციური ჟესტები და არსებითი სახელების შესაბამისი სიტყვა-ჟესტები კი ლექსიკური ფუნქციის მქონე ჟესტებია.

ადამ კენდონის მიხედვით, ჟესტი შესაძლოა იყოს სამი ტიპის:

1. იკონოგრაფიული, რომელიც გადმოსცემს საგნის ან მოქმედების ხატებას ან ნიშნებს,
2. მეტაფორული, რომელიც შეიცავს სიტყვის მეტაფორული ტიპის გადააზრებას ან
3. დეიქტიური, მიმართულების აღმნიშვნელი.

ჟესტური ენები უნდა გაიმიჯნოს სამეტყველო ენებში გამოყენებული ჟესტ-მიმიკებისაგან ანუ ე. წ. ექსტრალინგვისტური ფაქტორებისგან. ჟესტურ ენაში ჟესტ-მიმიკა ურთიერთობის საყრდენი და ერთადერთი საშუალებაა – აქ გვაქვს საყრდენი ჟესტური კომუნიკაცია. ხოლო სამეტყველო ენებში ეს დამატებითი ფაქტორია, რომელსაც სხვადასხვა ტიპის ინტერპრეტაცია აქვს.

ცნობილია, რომ მეტყველება მხოლოდ ადამიანის კლასის კუთვნილებაა და ეს არის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი ამ კლასისთვის. როგორ დგას საკითხი ჟესტური ენის შემთხვევაში? ჟესტური ენა ეს არის

ენობრივი აზროვნების განსხვავებული კინემური ფორმა. შესტური ენები არის აზრობრივი ცნებების კინემატური ასახვის სიტემები. შესტური ენა, როგორც საუკეთესო ლინგვოვიზუალური სისტემა, წარმოაჩენს ლინგვისტურ ერთეულებს, რომელთა კანონზომიერი ურთიერთმიმართებები ქმნის ერთიან ენობრივ სტრუქტურას.

საერთოდ, ადამიანის მთავარი განმასხვავებელი ფაქტორი სხვა სულიერი არსებებისაგან არის ის, რომ ადამიანმა შექმნა შრომის იარაღი – ეს არის კოგნიტიურ-მანუალური აქტი. აქ უმნიშვნელოვანესია ის გარემოება, რომ სწორედ ხელი და ხელით ნაწარმოები პროდუქტი გახდა ძირითადი ნიშანი ადამიანის სხვაობისა. მნიშვნელოვანია, რომ ორივე ტიპის მეტყველებას – ბგერითსაც და შესტურსაც – წარმართავს აზროვნება და აქ გვაქვს მჭიდრო ორმხრივი ურთიერთკავშირი. პირველ შემთხვევაში ენობრივ სისტემას აყალიბებს აზრი და ბგერა ან ასო, მეორე შემთხვევაში კი – აზრი და კინემა, ანუ მოძრაობა.

ყრუთა თემების წევრები უმეტეს შემთხვევებში ბილინგვიზმით ხასიათდებიან. სამეტყველო ენებისგან განსხვავებით შესტური ენები მინიმალური ხელისხელისაა. ლაკონიზმი არის ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნა ნებისმიერი შესტური ენისთვის. თუმცა, იმასაც უნდა ხაზი გაესვას, რომ შესტური ენები განიცდიან სამეტყველო ენების გარკვეულ გავლენებს. მაგრამ შესტური ენების სისტემური რაციონალიზმი და შინაგანი ენობრივი ლაკონიზმი მაინც არ იძლევა სრული კალკირების საფუძველს. საერთოდ, შესტური ენების ორი ძირითადი ტიპი არსებობს – დამოუკიდებელი და შესაბამისი სამეტყველო ენიდან კალკირებული.

აღსანიშნავია, რომ შესტურ ენებში ყურადღება ექცევა შესტის სირბილეს და ელასტიურობას – როგორც კეთილხმოვანება გახლავთ საყურადღებო ფაქტორი სამეტყველო ენებისთვის.

შესტური ენის ლექსიკური ერთეულების ხშირად პანტომიმურია ან იკონური.




გადახურვა – სახურავის დაფარება, სახურავის დადგმა

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, იკონური შესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი თითებით, ხელები რკალური ტრანექტორიით

გადაადგილდება ერთმანეთის მიმართულებით და ბოლო ფაზაში ხელები ერთმანეთს მსუბუქად ეხება თითების წვერებით. ქესტი სრულდება მხრების დონეზე.


სხეულის ნაწილები, როგორც წესი, მითითებითია:



ბარძაყი – ადამიანის ფეხის ნაწილი თემოსა და მუხლისთავს შუა

ქესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ქესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით; ქესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური, მითითებითი სიტყვა-ქესტი „ფეხი“ – ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, ქვევით დაშვებული ხელი წინ და უკან განმეორებადი მოძრაობით ეხება ფეხს. ქესტი წარმოდგენილია მხრებისა და ბარძაყის დონეზე.

ზოგჯერ წარმოდგენილია მთავრი ლექსიკური ერთეული, რომელსაც ერთვის ფორმის გამომხატველი იკონური ერთეული:



ბაკი – ავზი, დახურული ჭურჭელი სითხის შესანახად

ორნაწილიანი ქესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ქესტი „წყალი“ – ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ქესტი „წყალი“ – ქვევით მიმართულია სახის წინ განთავსებული ხელისგული გაშლილი და მარცხნივ მიმართული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით; ქესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, იკონური ფორ-

მა – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, წრიულად მოხრილი თითებით და ზევით მიმართული ცერებით გამოსახულია ღია წრეები, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ზევით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

გარკვეულ ფორმებში ხდება შინაარსის ორმაგი მოწოდება ან იმავე ლექსემის სემანტიკური დაზუსტება:




გამუდმებით – მუდამ, განუწყვეტლივ, ნიადაგ

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მუდამ“ – მუშტად შეკრული თითებით და ზევით აწეული ცერებით ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით, ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ხშირად“ – მხრების დონეზე წინ მიმართულია ხელისგული, ცერი და საჩვენებელი თითი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, ტალღური ტრაექტორიით სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

ფორმისა და დამაზუსტებელი ჟესტების გარდა, ქართულ ჟესტურ ენაში გამოიყოფა რამდენიმე აფიქსური ტიპის მაწარმოებელი:

- ინტენსივობის მაწარმოებელი „ძალიან“:



გადაჭარბება – მეტისმეტად გადიდება, გაზვიადება, გადამეტება

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შესრულება“ – ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ხე-

ლისგულები ფართოდ გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელი წინ მოძრაობს და ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გადაჭარბება“ / „მალიან“ – მარჯვენა ხელის ქვეშ განთავსებული მარცხენა ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, გაშლილია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები კრავენ მუშტს, მარჯვენა ხელისგული მიმართულია ზევით, ოდნავ მოხრილი ცერი და საჩვენებელი თითი გამოსახვენ ღია წრეს, ხელი რკალური ტრაექტორიით მოძრაობს მარცხნივ და ზევიდან ეხება მარცხენა საჩვენებელ თითს, ბოლო ფაზაში მარჯვენა ხელისგული წინაა მიმართული. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.


➤ დანიშნულების მაწარმოებელი:



სასწავლო – სწავლისათვის განკუთვნილი, სწავლასთან დაკავშირებული, სწავლისა


ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სწავლა“ – ქვევით მიმართულია ხელისგული, ცერი ეხება საჩვენებელი და შუა თითების წვერებს, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, შუბლის წინ სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „დანიშნულება“ – წინ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ფალანგებში მოხრილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

➤ ადამიანის ხელობის (საქმიანობის) აღმნიშვნელ ჟესტთა მაწარმოებელი „ადამიანი“:



ავტორი – პირი, რომელიც ქმნის რამეს

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური სიტყვა-ჟესტი „წერა“ – ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, მარცხენა ხელისგულის ზემოთ განთავსებული მარჯვენა ხელისგული მიმართულია ქვევით, თითები ერთად მოხრილია ზედა ფალანგებში და ცერი ეხება საჩვენებელი თითის წვერს, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა მარჯვნივ და ხელი მსუბუქად ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



მოქალაქე – ვისაც ან რასაც მოსვენებით ყოფნა არ შეუძლია, დაუდევარი, დაუდგრომელი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ქალაქი“ – ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, მარჯვენა ხელისგული ქვევითაა მიმართული, გაშლილია თითები და ქვევით ჩაწეულია შუათითი, მარჯვენა ხელი ქვევით მოძრაობს და შუა თითით ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

- ქონების მითითებითი მაწარმოებელი „ეს“:



ბარაქიანი – ბარაქის მქონე, ხვავრიელი, უხვი, დოვლათიანი


ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ბარაქა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ფალანგებში მოხრილი თითებით, ხელი ეხება მკერდს მარცხენა მხარეს და წინ მოძრაობს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური ფორმა – ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.

- წარსული დროის მიმღებების მაწარმოებელი „უკვე“:



მიღებული – რაც მიიღეს, აღებული, გამორთმეული


ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მიღება“ – ზევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, ორივე ხელი ზევით მოძრაობს სინქრონულად და ბოლო ფაზაში თითები მუშტადაა შეკრული; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „უკვე“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის სინქრონული მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



გაბედული – თამამი, მამაცი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გაბედვა“ / „გმირი“ – ერთმანეთთან ახლოს მიტანილი ხელისგულები ქვევითაა მიმართული მუშტად შეკრული თითებით, სრულდება ქვევით მიმართული განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ქვევით გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ და ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „უკვე“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

- ნამყო დროის მიმდევრების მაწარმოებელი სიტყვა-ჟესტი „გადაქცევა“ / „გარდაქმნა“:



გაბოროტებული – გაავებული, გაბრაზებული, გამწარებული

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ბოროტი“ – ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, სრულდება განმეორებადი წრიული მოძრაობა. ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გადაქცევა“ / „გარდაქმნა“ – ერთმანეთისკენ მიმართული და ერთმანეთზე მიდებულა ხელისგულები, გაშლილია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, საჩვენებელი თითებით სრულდება რკალური ტრაექტორიის მონაცვლეობითი, განმეორებითი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.


- მაწარმოებელი „პატარა“:



ბარტყი – გარეული ფრინველის მართვე

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური, იკონური სიტყვა-ჟესტი „ჩიტი“ - ხელისგული მიმართულია სახისკენ, გაშლილი და ზევით აღმართულია ნეკი და საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, გაშლილი თითები ეხება პირს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „პატარა“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები ერთმანეთთან შეტყუპებული გაშლილი და ფალანგებში ერთად მოხრილი თითებით. ჟესტი სრულდება სახისა და მკერდის დონეზე.

➤ სუფიქსური მაწარმოებელი „მრავალფეროვნება“:




აგრარული – მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული

რთული ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სოფელი“ – ხელისგულები ერთმანეთისკენაა მიმართული ფართოდ გაშლილი თითებით, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მრავალფეროვნება“ – ხელისგულები მიმართულია სხეულისკენ, ფართოდ გაშლილი თითების რხევით სრულდება განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ; ჟესტის მესამე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „დანიშნულება“ – ხელისგულები მიმართულია წინ, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში ორი სუფიქსური მაწარმოებელი გვაქვს მოცემული.


➤ აბსტრაქტულობის მაწარმებელი:



მკვლელობა – სიცოცხლის მოსპობა


ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მოკვლა“ – მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელი ასრულებს რკალური ტრაექტორიის მოძრაობას ქვევით და ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მოვლენა“ – წინ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი, სინქრონული მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

➤ უარყოფითი ფორმების მაწარმოებელი სუფიქსური „არა“:



გადაგვარება – შეცვლა, დეგრადირება


რთული ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ხასიათი“ – ერთმანეთს ეხება გაშლილი საჩვენებელი და ცერი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ხელი ეხება მკერდს მარცხენა მხარეს, სრულდება განმეორებითი მოძრაობა ზევით-ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ცნობა“ – ხელისგულები გაშლილი თითებით ერთმანეთისკენაა მიმართული ვერტიკალურ და ერთმანეთზეა გადაჭდობილი; ბოლო ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური, უარყოფითი სიტყვა-ჟესტი „არა“ – წინ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებითი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



მოუცლელი – ვინც მოცლილი არ არის, დაკავებული (საქმით)

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დრო“ – ხელისგული ფართოდ გაშლილი თითების რხევით მიმართულია მარცხნივ, ცერი ეხება ნიკაპს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „არა“ – წინ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.


➤ უარყოფითი ფორმების მაწარმოებელი სუფიქსური „ვერა“:



მიულწეველი – რასაც ვერ მიაღწიეს, რის მიღწევაც შეუძლებელია

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მიღწევა“ – მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, სხეულისკენ მიმართულია მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენას და მასთან ერთად ზევით გადაადგილდება; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ვერ“ – ხელისგული მიმართულია მარცხნივ, გაშლილია ცერი და ნეკი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა წინ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.


➤ უარყოფითი ფორმების მაწარმოებელი სუფიქსური „გარემე“:



ათეიზმი – ურწმუნობა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „დმერთი“ – შუბლზე მიდებულა მუშტად შეკრული ხელი წინ მიმართული ხელისგულით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – ზევით მიმართული მარცხენა გაშლილი ხელისგულის ზედაპირზე მარჯვენა ხელის თითები გარეთ მიმართული რკალური მოძრაობით უარყოფას გვიჩვენებს. ჟესტი სრულდება სახისა და მკერდის დონეზე.


- უარყოფითი ფორმების მაწარმოებელი პეფიქსური „გარეშე“:



უზრუნველი – ვინც არაფერზე ზრუნავს, ვისაც საზრუნავი არა აქვს, უდარდელი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია მარჯვენა, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ზრუნვა“ – წინ მიმართულია ხელისგულები გაშლილი, ზევით აღმართული და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

- უარყოფითი ფორმების მაწარმოებელი სუფიქსური სიტყვა-ჟესტი „სიცარიელე“ / „არა“:



უფულო – ვისაც გული არა აქვს, გულქვა, გულცივი, უგრძნობელი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატკური, მითითებითი სიტყვა-ჟესტი „გული“ – ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია სხეულისკენ, ქვევით ჩაწეული შუა თითი ეხება მკერდს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სიცარიელე“ / „არა“ – ქვევით მიმართულია ხელისგული გაშლილი და ქვევით მიმართული თითებით, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.


- უარყოფითი ფორმები ზოგჯერ სხვა ტიპის ლექსიკური საშუალებებითაც იწარმოება ყოველგვარი უარყოფითი ლექსიკური ერთეულების დართვის გარეშე:



მოუდრეკელი – დაუმორჩილებელი, გაუტეხელი, შეუდრეკელი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატკური, მითითებითი სიტყვა-ჟესტი „გული“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი თითებით, ქვევით ჩაწეული შუა თითით ხელი ეხება მკერდს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მაგარი“ / „მყარი“ / „უდრეკი“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ირიბ ვერტიკალზე განთავსებული ხელისგულები მუშტად შეკრული თითებით, ხელები ერთმანეთისკენ მოძრაობს სინქრონულად და ეხება ერთმანეთს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

ჟესტური ლექსიკური ერთეულები უმეტესწილად კომპოზიტურია. გვაქვს სამეტყველო ენის პარალელური ტიპის კომპოზიტური ჟესტწარმოება:



ბიძაშვილი – ბიძის შვილი, მამის ან დედის ძმის შვილი


ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ბიძა“ – ხელისგული მიმართულია მარცხნივ, გაშლილია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, საფეთქელთან სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შვილი“ – ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, ცერი და საჩვენებელი თითი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, ხელი ეხება მკერდს და ქვევით ეშვება რკალური ტრაექტორიით. ჟესტი სრულდება სახისა და მკერდის დონეზე.

სიტყვა-ჟესტთა შინაარის ხშირად მისი სემანტიკის ჟესტური ახსნით ხდება. ქართული ჟესტური ენის ლექსემური წარმოებისათვის გთავაზობთ რამდენიმე მაგალითს:




ბაჯალლო – წმინდა ოქრო, რომელსაც მოწითალო ფერი გადაჰკრავს

რთული ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „ყვითელი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილია ცერი და ნეკი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ნეკები მსუბუქად ეხება ერთმანეთს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ოქრო“ – ქვევით მიმართულია ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, საჩვენებელი თითი წინ იშლება და იკეცება რამდენჯერმე. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.




ბედისწერა – განგება, ხვედრი, იღბალი, ბედის წინასწარ განსაზღვრულობა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ბედი“ – ხელი მიმართულია სახისკენ, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები კრავენ მუშტს, საჩვენებელი თითი ჯვარს გამოსახავს შუბლზე; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „უბედური შემთხვევა“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, არათითი და ცერი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.



ბელადი – მემამბოხეთა ჯგუფის წინამძღოლი, მებრძოლთა მეთაური

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გმირი“ – ხელისგულები ქვევითაა მიმართული შეკრული მუშტებით, სრულდება ქვევით მიმართული განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ქვევით მიემართება, მარცხენა – მარცხნივ და ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მთავარი“ – ზევით განთავსებულია სხეულისკენ მიმართული მარჯვენა ხელი მუშტად შეკრული თითებით და ზევით აღმართული ცერით, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ქვევით და ხელი ეხება მუშტად შეკრული თითებით სხეულისკენ მიმართულ მარცხენა ხელს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.




ბერი – სასულიერო პირი, რომელსაც ყველაზე მკაცრი ასკეტური ცხოვრების აღ-
თქმა აქვს დადებული

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-
ჟესტი „მღვდელი“ – ზევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ოვალურად მო-
ხრილი ხელი ნიკაპთანაა განთავსებული, სრულდება მოძრაობა ქვევით; ჟესტის მეორე
ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მარტოობა“ – სხეულისკენ მიმარ-
თულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარ-
ჩენი თითები მუშტადაა შეკრული, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან,
ხელი ეხება მკერდს. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.



ბიბლიოთეკა – წიგნთსაცავი, დაწესებულება, სადაც საზოგადოებრივი სარგებ-
ლობისათვის თავს უყრიან წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამი-
კური სიტყვა-ჟესტი „წიგნი“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით ზევითაა მი-
მართული, მარჯვენა ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, გაშლილია საჩვენებელი
და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარცხენა ხელისგულის ზე-
დაპირზე მარჯვენა ხელი განმეორებად მოძრაობას ასრულებს მარჯვნივ-მარცხნივ;
ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „თარო“ – მარცხნივ
მიმართულია ხელისგული გაშლილი თითებით, სრულდება მოძრაობა მარჯვნივ. ჟეს-
ტი წარმოდგენილია მკერდისა და სახის დონეზე.




ბინა – ცალკე საცხოვრებელი სადგომი შენობაში, სახლი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „სახლი“ – ხელისგულები გაშლილი თითებით ერთმანეთისკენაა მიმართული, ხელები ერთმანეთს თითების წვერებით ეხება; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ოთახი“ – მარჯვენა ხელისგული მიმართულია მარცხნივ, გაშლილია საჩვენებელი და ცერი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელის გაშლილი თითები ეხება მარცხენა ხელისგულს და იცვლის პოზიციას, ბოლო ფაზაში იმავე კონფიგურაციით მარცხენა ხელისგულზე მიდებული მარჯვენა ხელისგული სხეულისკენაა მიმართული. ჟესტი სრულდება მხრების დონეზე.



აბჯარი – იარაღი, სამხედრო აღჭურვილობა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „რკინა“ – ხელისგულები მიმართულია სხეულისკენ, ორივე ხელის კონფიგურაციაა გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართული საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ზემოთ განთავსებული მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და მარჯვენა ხელის გაშლილი თითები ეხება მარცხენა ხელის თითებს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ტანსაცმელი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთთან შეტყუპებულია ოთხი თითი, ზევით აწეულია ცერები, ხელები მსუბუქად ეხება სხეულს, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.




ბიულეტენი – მოკლე ოფიციალური ცნობა ავადმყოფობის შესახებ

ორნაწილიანი, დინამიკური ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ავად ყოფნა“ – მარჯვენა ხელისგული მიმართულია წინ და ქვევით, ცერი და საჩვენებელი თითების წვერები ერთმანეთს ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, ხელი ზევით-ქვევით მოძრაობს და ზევიდან ეხება გაშლილი და ქვევით მიმართული მარცხენა ხელისგულის ზედაპირს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, იკონური სიტყვა-ჟესტი „ფურცელი“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება ჯერ განსვლითი, შემდეგ კი – ქვევით მიმართული სინქრონული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.




ბიუჯეტი – ხარჯთაღრიცხვა, სახელმწიფოს, ამა თუ იმ დაწესებულების, საწარმოს შემოსავალ-გასავლის ნუსხა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ფული“ – ხელისგული ზევითაა მიმართული, მარჯვენა საჩვენებელი და შუა თითების წვერებს განმეორებითი მოძრაობით ეხება ცერი; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გეგმა“ – მარჯვენა ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია მარჯვენა, მარჯვენა ხელი გაშლილი თითების წვერებით ეხება მარცხენა ხელისგულს და იცვლის პოზიციას: ბოლო ფაზაში მარჯვენა ხელისგული სხეულისკენაა მიმართული და გაშლილი თითების წვერებით ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.



ბლანკი – 1. ქაღალდის ფურცელი, რომლის თავზეც დაბეჭდილია დაწესებულების ან ფორმის რეკვიზიტები; 2. ნაბეჭდი ფურცელი (ტრაფარეტი), რომლის ცარიელ ადგილებს ავსებენ სათანადო ჩანაწერებით


ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, იკონური სიტყვა-ჟესტი „ფურცელი“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ერთმანეთთან ახლოს განთავსებული ხელისგულები, საჩვენებელი თითები ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება ჯერ განსვლითი, შემდეგ კი ქვევით მიმართული მოძრაობა; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ბეჭედი“ / „ემბლემა“ – მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და მარცხნივ მიმართული, ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარცხნივ და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.



ბნედა - ავი ზნე, ეპილეფსია, ქრონიკული ნერვული დაავადება, დამახასიათებელი შეტევებით, კრუნჩხვით


ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „აზრი“ / „გონება“ – ხელისგული მიმართულია ქვევით, შუბლს ეხება გაშლილი საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დაკარგვა“ – ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული მიმართულია ქვევით, გაშლილია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები კრავენ მუშტს, მარცხენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია სხეულისკენ, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორი-

ის მოძრაობა წინ და ხელი ეხება მარცხენა საჩვენებელ თითს. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.




მინდობილობა – საბუთი, რომლითაც ესა თუ ის პირი სხვას მიანდობს თავის ნების, სურვილის ან მოვალეობის ასრულებას

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ნდობა“ – სხეულისკენ მიმართულია წინ გაწეული მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა წინ და ქვევით, საჩვენებელი თითი ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გადაცემა“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები მუშტად შეკრული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა წინ, ბოლო ფაზაში ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები იმავე კონფიგურაციით. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.



მისამართი – ადგილი, ზუსტი ადგილსამყოფელი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური, იკონური სიტყვა-ჟესტი „სახლი“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ზედა ფალანგებში ერთად მოხრილი, ერთმანეთისკენ მიმართული თითებით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ქუჩა“ – ქვევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, მარცხენა იდაყვის წინ განთავსებული მარჯვენა ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით მარჯვნივ მოძრაობს მარცხენა ხელის გასწვრივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



ათინათი – ჭუჭრუტანიდან ბნელში შემოტანებული სინათლის სხივი, არეკლილი, ათამაშებული სინათლის (მზის, მთვარის) სხივი


რთული ქესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური სიტყვა-ქესტი „დახურულის“ გაღება – წინ მიმართულია ერთმანეთთან ახლოს განთავსებული ხელისგულები გაშლილი და ზევით აღმართული თითები, სრულდება განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ; ქესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ქესტი „ჭუჭრუტანა“ – მარჯვენა ხელისგული მიმართულია წინ და ქვევით, გაშლილი და წინ მიმართული საჩვენებელი თითით იხაზება წრე, დანარჩენი თითები მუშტადაა შეკრული, მომდევნო ფაზაში სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, ფალანგებში მოხრილია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები კრავენ მუშტს, ბოლო ფაზაში გაშლილი და სხეულისკენ მიმართულია საჩვენებელი თითი. ქესტი სრულდება სახისა და მხრების დონეზე.



აკუსტიკა – 1. ფიზიკის დარგი, რომელიც შეისწავლის ბგერას. 2. სმენადობის ხარისხი ამა თუ იმ შენობაში

ორნაწილიანი ქესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ქესტი „დახურული“ – გაშლილი ხელისგულები წინა მიმართული, ხელები ერთმანეთისკენ მოძრაობს გარე ნახევარ-წრეზე; ქესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ქესტი „სიწყნარე“ – ერთმანეთთან ახლოს განთავსებული ხელისგულები ქვევითაა მიმართული, გაშლილი, ერთმანეთთან მიტყუპებული და ქვევით დახრილია თითები, სრულდება ქვევით მიმართული განსვლითი

მოდრობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ქვევით გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



ალილია – „აქედით დმერთსა“ მღვდელმსახურებაში სხვადასხვა ლოცვის ბოლოს მისამღერი სიტყვა.

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სიხარული“ – ხელისგულსკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი თითებით და ზევით აწეული ცერებით, ხელები ეხება მკერდს, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ამაღლება“ – გაშლილი ხელისგულები ზევითაა მიმართული, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ზევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



ალუმინი – ჭედადი, მსუბუქი ლითონი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „რკინა“ – ხელისგულები მიმართულია სხეულისკენ, გაშლილია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებითი მოძრაობა ზევით-ქვევით და მარჯვენა საჩვენებელი თითი ეხება მარცხენა საჩვენებელ თითს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დრეკადი“ – ხელისგულები მიმართულია სხეულისკენ, მუშტად შეკრულია ხელები, ცერებზე შემოხვეულია საჩვენებელი

ლი თითები, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

ქართულ ჟესტურ ენაში ლექსიკური ერთეულები, შესაძლოა, იყოს ერთ-ან ორკომპონენტური, მაგრამ ხშირია სამკომპონენტური ფორმებიც. შედარებით იშვიათია ოთხ- და ხუთკომპონენტური ფორმები. როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ქართული ყრუთა თემი ჟესტურმოებისას ძირითადად ეყრდნობა სიტყვის სემანტიკის ვიზუალურ მხარეს, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ლექსიკური ერთეულების წარმოებისათვის გამოყენებულია აფიქსური დერივაციული ფორმები და წმინდა კომპოზიტური წყობაც. ამდენად, ნათელია, რომ ქართული ჟესტური ენის ლექსიკური ფონდი ფორმატურმოების მრავალფეროვნებით ხასიათდება.

ლიტერატურა

ბატატუნაშვილი 2008 – ბატატუნაშვილი ა. „მოლაპარაკე ხელები“ ქართული ჟესტური ენის ლექსიკონი. თბილისი 2008

Bazoev, Vladimir. Plamenni, Viktor. „*Chelovek' iz mira t'ishini*“ A man from the world of silence. «Академкнига» Москва. 2002

Charlotte Baker-Shenk, Dennis Cokely. *American Sign Language. A Teacher's Resource Text of Grammar and Culture.* Clerc Books. Gallaudet University Press. Washington D.C. 1980, 1991

Davidenko, Tatiana, and Komarova, Ana. „*K'rat'k'i ocherk' po lingvist'ik'e Russkogo jestovogo iazik'a*“ (A short article about Russian Sign Language) In „*Sovremennie aspek't'i jestovogo iazik'a*“ Ed. by Ana Komarova. Moscow, 2006 pp.146-161

Elaine Costello. *American Sign Language Dictionary.* Random House Webster's. NY. 1994

Geilman I.F. *Gesture Languages of Friendship. Volume II.* Saint-Petersburg. 2003

Costello, Elaine. 1994. *American Sign Language Dictionary.* Random House. NY

Gregory, Susan. *The language and culture of deaf people: Implications for education.* Language and Education 6: 1992. pp.183-197.

Kendon, Adam. „Human Gestures“ In K.R. Gibson and T. Ingold (eds) *Tools, Language and Cognition in Human Evolution.* Cambridge: Cambridge University Press. 1994

მახაროზლიძე 2012 – მახაროზლიძე თ. ქართული ჟესტური ენა. სა-ქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. USIAD, Save The Children International. თბილისი

მახაროზლიძე 2012 – მახაროზლიძე თ. ქართული ჟესტური ენა. ტრენინგის სახელმძღვანელო. მესამე საფეხური, გზამკვლევი ტრენინგისათვის.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. USIAD, Save The Children International. თბილისი

მახარობლიძე 2012 – მახარობლიძე თ. ქართული ჟესტური ენა. ტრენინგის სახელმძღვანელო. მესამე საფეხური, რვეული ტრენინგის მონაწილეებისათვის. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. USIAD, Save The Children International. თბილისი

მახარობლიძე 2014 – მახარობლიძე თ. ქართული დაქტილური ანბანი. იკე, ტ. 42. ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბილისი. 2014

მახარობლიძე 2013 – მახარობლიძე თ. „დროის კატეგორია ქართულ ჟესტურ ენაში“. ქუთაისის II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“ ქუთაისი, 2013 294-302 გვ.

მახარობლიძე 2013 – მახარობლიძე თ. „ზმნათა უღვლილება ქართულ ჟესტურ ენაში“, კავკასიოლოგთა III საერთაშორისო კონგრესი „მულტიკულტურალიზმი და ტოლერანტობა კავკასიაში“. თსუ. თბილისი. 2013 231-233 გვ

მახარობლიძე 2013 – მახარობლიძე თ. „ტერმინთა პრობლემა ქართულ ჟესტურ ენაში.“ კრებულში ”ტერმინოლოგია – ქართული ენის ხვალისინდელი დღე“. ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თსუ, თბილისი 2013.

მახარობლიძე 2013 – T. Makharoblidze. Electronic Dictionary of Georgian Sign Language. GMLT. A. Chikobava Institute of Linguistics. Tbilisi. 2013 (accepted for print)

მახარობლიძე 2013 – T. Makharoblidze. On Georgian Dactyl Alphabet. *INDIAN JOURNAL OF APPLIED LINGUISTICS – IJOAL* (Vol. 40, No. 1-2, Jan-Dec 2014) C/o BAHRI PUBLICATIONS, Kalkaji, New Delhi. 2013

მახარობლიძე 2013 – T. Makharoblidze. Georgian Sign Language Electronic Dictionary. International Journal of Computer and Information Technology. ISSN 2279-0764. vol. XX issue XX –XXXXXXXXX 201X www.ijcit.com (მიღებულა დასაბეჭდად) 2013

მახარობლიძე 2012 – T. Makharoblidze. The Georgian Dactyl Alphabet. Disability studies Quarterly. DSQ, Vol. 33, No.3 2013 <http://dsq-sds.org/article/view/3318>

მახარობლიძე 2012 – მახარობლიძე თ. ჟესტურ ენათა ნაციონალიზაციის პროცესი. კავკასიოლოგიური მიებები III, თსუ, თბილისი. 2012. 131-151გვ.

მახარობლიძე 2012 – მახარობლიძე თ. ჟესტური ენები. თსუ, ქართული ენის ინსტიტუტის შრომები #2, 20012, გვ.159-171

მახარობლიძე 2012 – მახარობლიძე თ. მოქმედების დრო ქართულ ჟესტურ ენაში. „კავკასიოლოგიური მიებები“ – IV; თსუ, თბილისი. 2012. გვ

პროზოროვა, კიბრიკი 2006 – პროზოროვა ე. და კიბრიკი ა. რეფერენცია ბგერითსა და ჟესტურ ენებში. Современные аспекты жестового языка. Ed. by Ana Komarova. Moscow, 2006

Словарь Русского жестового языка. Авторский коллектив: Базоев В. З. Гаврилова Г.Н. Егорова И.А. Ежова В.В. Давыденко Т.П. Чаушьян Н.А. Москва. Изд. «Флинта» 2009

„Sovremennie aspek't'i jestovogo iazik'a” Ed. by Ana Komarova. Moscow, 2006

Zaitseva, Galina. „Jestovaia rech. Dak't'ilologia”. (Sign speech. Dactylogy.) Vlado. Moscow. 2004

TAMAR MAKHAROBLIDZE

On Georgian Sign Language Lexical Level

S u m m a r y

The Georgian sign language lexicon is very rich by its sign-producing methods. We have revealed a few derivational affixes. Beside the affix derivation forms, the Georgian sign language (GESL) has the composed signs as well. On the one hand such composites follow the model of spoken Georgian and on the other hand GESL produces the forms explaining the inner meanings. Very often the second part of the combined sign shows a form, a direction, a negation, an ownership, a human, a destination etc., while the other cases display the detailed semantics of a lexical unit. The paper exposes the proper examples for each case.

კობა მითაგვარია

**ადამიანის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი სახელების
შემცველი გვარები სხვადასხვა სისტემის ენებში**

სომატური სახელები ნებისმიერი ენის უძველესი ლექსიკური ფონდის კუთვნილებაა. მათი გარკვეული ნაწილი ხშირად გვარსახელთა შემადგენლობაში იჩენს თავს.

როგორც სპეციალური ლიტერატურიდანაა ცნობილი (ჯ. კოკოვი, ზ. ჭუმბურიძე, ა. რიბაკინი, ვ. ნიკონოვი) ადიღეურში, რუსულსა და ინგლისურში სომატური სახელების შემცველი გვარები ათეულობით დასტურდება. რაც შეეხება ქართველურ ენებს, აქ განსხვავებული ვითარებაა. ქართულში თუ ორ ათეულამდე ასეთი გვარი გვხვდება, მეგრულსა და სვანურში მხოლოდ თითო-ოროლა შემთხვევა ფიქსირდება.

გასათვალისწინებელია, რომ გვარში წარმოდგენილი სომატური სახლი უშუალოდ გვარს კი არ უდევს საფუძვლად, არამედ — საკუთარ სახელს, რომლისაგანაც შემდეგ იწარმოება გვარი.

ბევრი მათგანი წინათ ადამიანის საკუთარ სახელად ან მეტსახელად უნდა ყოფილიყო გამოყენებული და ამ გზით შევიდა გვარის შემადგენლობაში, ზოგს კი უთუოდ სხვა მიზეზი დაედო საფუძვლად რომ გვარად ქცეულიყო“ (ზ. ჭუმბურიძე).

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, სომატური სახელების შემცველ ქართულ გვარებში გვხვდება: **თავი** (თავაძე, თავდედიშვილი), **თვალი** (თვალჭრელიძე, თვალთვაძე, თვალთვაშვილი), **შუბლი** (შუბლაძე), **ყური** (ყურაშვილი), **ხელი** (ხელაშვილი, ცალხელაშვილი), **კოჭი** (კოჭლამაზაშვილი, კოჭიბროლაშვილი, კოჭაური); **კბილი** (კბილაშვილი), **წვერი** (წვერიკმაზაშვილი, წვერავა), **ხახა** (ხახაშვილი), **ტუჩი** (ტუჩაშვილი), **ფეხი** (ხისფეხიშვილი), **გული** (გულიაშვილი).

მეგრულში სომატური ერთეულების შემცველი ორიოდ გვარი დადასტურდა, ესენია: **ტყებუჩავა** (შდრ. მეგრ. ტყები „ტყავი“), **ოყუჯავა** (შდრ. ყუჯი „ყური“). რაც შეეხება თანამედროვე მეგრულში გავრცელებულ გვარებს **ხელა-იასა** და **წვერაგას**, სათანადო ფუძეები ქართულიდან უნდა იყოს შეთვისებული.

როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, სვანურში, სავარაუდოდ, ორ გვარში დასტურდება სომატური ერთეული: **ტვილდიანი**, რომელიც ქართ. **ტვინ** სიტყვასთანაა დაკავშირებული (შდრ. მისი ამოსავალი

შეუკუმშავი ფორმები **ტვინო**-ან-ი, **ტვინო**-ლდ-იან-ი), **გვიდა** (შდრ. **გუი** „გული“ — ქ. მარგიანი).

ადილეური ონომასტიკონისთვის დამახასიათებელია გვარები, რომელთა ერთერთ კომპონენტს წარმოადგენს შემდეგი სომატური ერთეულები: სპჰ „თავი“ (**სპჰ** ღვს, **შე** სპჰ, **სპჰ** ფაცვ, **ჰას** სპჰანგვ, **სპჰ** აფწზვ; „ცხვირი“ (**ფ** ნწს, **ჰა** ფწვხ); **წ** „თვალი“ (**წ** მტ, **ნა** მ. ხ. წ, **წ** ფსწ, **წ** ტჟ, **წ** მტოწ).

რუსულში ხშირია გვარები, რომელთა ერთერთი კომპონენტია: **голова** „თავი“ (**Головин, Голова, Головки, Головаты**); **нос** „ცხვირი“ (**Капинос, Носин, Кривонос, Носиков, Носов**); **нога** „ფეხი“ (**Белоногов, Ношкин, Кривоногов, Теплоногов**); **борода** „წვერი“ (**Белобородов, Бородаев, Майборода**) და სხვა.

ინგლისურ სომატური სახელების შემცველ გვარებში მეტწილად გვხვდება: **ჰეად** „თავი“ (**Whitehead, Redhead, Westhead, Greenhead**); ფოტ **„ტერფი“** (**Fairfoot, Barefoot, Woodfoot, Footman**) და ა. შ. როგორც აღნიშნავენ, აღნიშნულ გვართა პირველ ნაწილში ხშირად ხარისხის აღმნიშვნელი კომპონენტია წარმოდგენილი: წითელი, მწვანე, თეთრი, დიდი, ნათელი და სხვ.

სომატური სახელების შემცველი გვარების უმეტესობა მარტივი შეერთებით იწარმოება: მაგ.: ადილ. **შესპჰ** – **შე** „ცხენი“ + **სპჰ** „თავი“; რუს. **Жултоухов – желтый** „ყვითელი“ + **ухо** „ყური“; ინგ. **Fairhead – fair** „ნათელი“ + **head** „თავი“; **Whitefoot – white** „თეთრი“ + **foot** „ტერფი“. ქართ. **თვალჭრელიძე** → **თვალი** + **ჭრელი** + **ძე**, **ხახაშვილი** – **ხახა** + **შვილი**.

რუსულსა და ქართულში ერთ, ორ და სამკომპონენტიაანი გვარები გვხვდება, ხოლო ინგლისურში — ორკომპონენტიაანი. სხვა ენებისაგან განსხვავებით რუსულში წარმოდგენილია გვარები, რომლებიც სუფიქსების მეშვეობით იწარმოება: **Глаз-ов, Череп-ов, Зуб-ов, Язык-ов** (შდრ. მეგრ. ტყებუჩავა).

სომატურ ერთეულთა შემცველი გვარების ანალიზის შედეგად გამოვლინდა ის საერთო და განსხვავებული, რაც სხვადასხვა სისტემის ენებს აქვთ ამ გვარების სტრუქტურის და სემანტიკის თვალსაზრისით.

ლიტერატურა

მადრაძე 2006 – ვახტანგ მადრაძე, ქართველური გვარების წარმოება და ურთიერთმიმართება, თბილისი.

მარგიანი 1998 – ქეთევან მარგიანი, სვანური ონომასტიკა, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი.

ჭუმბურიძე 1982 – ზურაბ ჭუმბურიძე, რა გქვია შენ?, თბილისი.

Коков 1993 – Коков Дж., Коков Л., Кабардино-Черкесские фамилии, Нальчик.

Коков 1973 – Коков Дж., Вопросы адыгской (черкесской) антропонимии, Нальчик.

Никонов, Кушельницкий 1993 – Никонов В. А., Лушельницкий Е. Л.,
Словарь русских фамилий, Москва.

Рыбакин 2000 – Рыбакин А. И., Словарь английских фамилий, Москва.

Уанбегаун 1989 – Уанбегаун Б. О., Русские фамилии, Москва.

KOBA MITAGVARIA

Last Names Containing Words Denoting Human Body Parts in Different Languages

S u m m a r y

Somatic names belong to the oldest lexical fund of any language. A certain part of them can often be found in last names.

The majority of the last names containing the somatic names are formed with the simple connection.

In Russian and Georgian the bases with one, two or three components are attested while in English the bases consist of two components.

The analysis of the last names containing the somatic names revealed the similarities and differences of various languages in terms of the structure and the semantics of the said last names.

სალომე ოშიაძე

**არნოლდ ჩიქობავას სამეცნიერო დისკურსის
პრაგმატიკული თავისებურებანი**

არნოლდ ჩიქობავას სამეცნიერო დისკურსის პრაგმატიკულ თავისებურებათა კვლევის ინტერესი აღგვიძრა წლების განმავლობაში სტუდენტებისგან მოსმენილმა აღტაცებულმა შეფასებებმა – „ნათელი“, „გამჭვირვალე“, „ადვილად გასაგები“, „სასიამოვნო საკითხავი“ და მისთ. სამეცნიერო ტექსტების მიმართ იშვიათად უჩნდებათ ამგვარი ემოციური მიმართებები, რისი საფუძვლის დადგენასაც შევეცადეთ.

არნოლდ ჩიქობავას სამეცნიერო თხრობა არასოდეს არ არის მშრალი და განყენებული, მისი სტილის დომინანტურ მახასიათებლად უნდა მივიჩნიოთ მეტყველების ადრესაცია. როგორც მხატვრული ტექსტის მკითხველი ყოველთვის პოულობს საკუთარ თავს მონათხრობში, ასევე ყოველთვის არის მკითხველის ადგილი ჩიქობავას სამეცნიერო შრომებში. უფრო მეტიც, ამ ადგილის ძებნა მკითხველს არ უწყევს; ავტორი თხრობის დაწყებისთანავე საგანგებოდ ზრუნავს ადრესატზე და არასოდეს ივიწყებს მას, რითაც მკითხველს არ აძლევს ყურადღების მოდუნების, განზე დგომის საშუალებას. არნოლდ ჩიქობავას არ უჭირს დაინტერესოს განსხვავებული ფონური ცოდნის მქონე მკითხველი. იგი ყოველ ახალ ცოდნამდე მისასვლელად საჭირო წინარე ცოდნას თავადვე ახსენებს საკუთარ ადრესატს.

ჩიქობავას სამეცნიერო დისკურსზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ მეცნიერს აქვს თხრობის დაწყების, ინტერესის გაღვივება-შენარჩუნებისა და საუბრის დასრულების გამორჩეული სამეტყველო ტაქტიკა. ყოველი საკითხის, თუნდაც მცირის, განხილვისას მეცნიერი საკუთარ მსჯელობას იმგვარად აგებს, რომ ერთგვარ მიკროტექსტს ქმნის, რომელსაც დასაწყისიც, განვითარებაცა და დასკვნა-დასასრულიც საკუთარი აქვს.

სამეცნიერო სტილი გამორიცხავს დიალოგურობას ტრადიციული გაგებით, თუმცა კითხვითი წინადადებების სიჭარბე არნოლდ ჩიქობავას ნაშრომებში ინტერპერსონალურ ხასიათს სძენს მის დისკურსს. მეცნიერი ადრესატს მსჯელობის თანამომაწილედ ხდის იმ კითხვების საშუალებით, რომლებზე პასუხსაც, რა თქმა უნდა, თავად იძლევა, მაგრამ ამით ხან ინარჩუნებს მკითხველის ინტერესს, ხან აღვიძებს მას. კითხვითი წინადადება ერთგვარი სიგნალია მორიგ საკითხზე გადასასვლელად, იგი, ამავე დროს, ერთგვარი მოწოდებაა, რომელმაც მკითხველი უნდა ჩააბას საკითხის განხილვაში.

მკითხველის მუდმივ თანამყოფობას აღნიშნავს ინკლუზიური „ჩვენ“, რომელსაც არნოლდ ჩიქობავა უფრო ხშირად იყენებს, ვიდრე ე. წ. ავტორისეულ „ჩვენ“ ფორმას. ეს ფაქტიც მისი სამეცნიერო დისკურსის პრაგმატიკულ თავისებურებად უნდა შევაფასოთ, რადგან სამეცნიერო სტილისათვის დამახასიათებელი თხრობის ობიექტურობიდან, უფრო ზუსტად, უსუბიექტობიდან და ეტიკეტიდან გამომდინარე, სამეცნიერო თხზულებები ძირითადად ავტორისეული „ჩვენ“ ფორმის აბსოლუტურ დომინანტურობას მოწმობენ.

მოქმედებაში მონაწილეობისკენ მკითხველის მოწოდებას შეიცავს ზმნის პირიანი ფორმები: „ავილოთ“, „წარმოვიდგინოთ“, „გავითვალისწინოთ“ და მისთ., რომლებიც „ჩვენ“ ნაცვალსახელის გარეშე გამოიყენება. მათში ინკლუზიურობა უფრო შესაგრძობია და, ამდენად, დასახელებულ მოქმედებათა სუბიექტად ავტორი და მკითხველი ერთად მოიაზრება.

გაგების გაადვილების გზების ძიება-აღმოჩენა არნოლდ ჩიქობავას მთელი სამეცნიერო დისკურსის მუდმივი მახასიათებელია. ჩიქობავა მეცნიერული ნააზრების გაგებინების ნაირგვარ საშუალებას გვთავაზობს. არც ერთ დებულებას, არც სხვა მეცნიერისას და არც საკუთარს, იგი იმპერატიულად არ გვაწვდის. ყოველი მათგანის გაზიარებამდე ან უარყოფამდე თანმიმდევრული მსჯელობით ნაბიჯ-ნაბიჯ მივყავართ. მკითხველთან ერთად განიხილავს და ამოწმებს ყველაფერს ისე, თითქოს საკითხს თვითონაც პირველად ეცნობოდეს. მისი მსჯელობა ხშირად სამეცნიერო სტილისათვის უჩვეულო ექსპრესიულობით ხასიათდება, რისი მოტივიც კვლავ გაგებინების უდიდესი სურვილია. ამიტვეა ნაკარნახები სხვადასხვა ტიპის გამეორებათა სიხშირე – ჩიქობავა იმეორებს ნათქვამს უცვლელად, ახდენს მის პარაფრაზირებას, უხვად იმოწმებს მაგალითებს ნათქვამის ნათელსაყოფად. თუ ბოლომდე დარწმუნებული არ არის, რომ მკითხველს გზა უჩვენა, ფრჩხილებს მოიშველიებს და შეიძლება მეოთხედ ან მეხუთედაც კი სხვაგვარი წყობით, კიდევ უფრო მარტივად გაიმეოროს ნათქვამი. ეს გამეორება მხოლოდ საგანგებო დაკვირვებით შეიმჩნევა, მკითხველი ამას ვერ გრძნობს, მაგრამ გრძნობს შედეგს – მას გაუგებარი არაფერი არ რჩება. მეცნიერი ზოგჯერ ასიტყვებს კიდევ თავის ქმედებას და წერს „ვიმეორებთო“, რაც, თავის მხრივ, მკითხველისათვის მაკონცენტრირებელი სიგნალის ფუნქციასაც ასრულებს.

გაგებინებაზე ორიენტირებული დისკურსის მაგალითად ერთ ადგილს დავიმოწმებთ არნ. ჩიქობავას „ზოგადი ენათმეცნიერებიდან“: „ენის სოციალურობაზე დაწვრილებით მოგვიხდა შეჩერება და ვრცლად მსჯელობას არ მოვერიდეთ. ენის სოციალური ბუნება ნათელი ფაქტია და მოკლედ შეგვეძლო მოგვეჭრა. მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ ნათელ ფაქტს რიგი გაუგებრობა ახლავს: სოციალურობას ურევნ კლასობრიობაში; საუკეთესო შემთხვევაში, ენის სოციალურობით ასაბუთებენ ენის კლასობრიობას: ენა სოციალურია, მაშასადამე, კლასობრივიაო. აღრევა მოდის ტერმინის ორაზროვნად ხმარებიდან (შდრ. გამოთქმა: „სოციალური საკითხი“, რაიც კლასობრივ საზოგადოებაში, კლასთა ურთიერთობას გულისხმობს).

ხსენებული გაუგებრობა რომ თავიდან აგვეცილებინა, ჩვენ გავხაზავდით, რომ „სოციალური“ აქ „კოლექტიურს“ (ზუსტად: „კოლექტივისეულს“) ნიშნავს და „ინდივიდუალურს“ უპირისპირდება. კოლექტიური კი უთუოდ კლასობრივი როდია“ (ჩიქობავა 2014: 219). ამგვარი პრევენციული ხასიათის დამაზუსტებელი ჩანართებიც არანაკლებ საინტერესოა პრაგმატიკული თვალსაზრისით.

მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციული სტილისტიკის თანახმად, სამეცნიერო სტილი კვლევის შედეგების მკაცრად ლოგიკური და მშრალი გადმოცემით უნდა იფარგლებოდეს და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უსუბიექტო თხრობით უნდა ხასიათდებოდეს, სამეცნიერო სტილს აქვს პრაგმატიკული მხარე. შეუძლებელია მისი განხილვა სამეცნიერო ქმედებისაგან განყენებით. სამეცნიერო ასპარეზი კი გულისხმობს არა მხოლოდ მეცნიერული ფაქტების კონსტატირებასა და ინფორმირებას, არამედ სხვადასხვა იდეისა და მიდგომის ჭიდილს, ავტორისა და მკითხველის ურთიერთქმედებას. ამდენად, სამეცნიერო ტექსტებშიც ყოველთვის ჩანს ავტორი, თუმცა განსხვავებულია მისი მყოფობის მანიშნებელი გრამატიკული ერთეულებიცა და ამ ერთეულთა გამოყენების სიხშირეც.

არნოლდ ჩიქობავას სამეცნიერო ტექსტები პრაგმატიკულ კონექტორთა ფართო სპექტრს მოიცავს. მართალია, არგუმენტაციული კონექტორების ხშირი გამოყენება სამეცნიერო სტილის სპეციფიკურ მახასიათებლად მიიჩნევა და მათ გარეშე შეუძლებელია მსჯელობის წარმართვა თუ გადმოსაცემი აზრის ცხადად წარმოდგენა, მაგრამ ჩიქობავას სამეცნიერო დისკურსზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მეცნიერი ამ მიმართულებითაც გამორჩეულია. იგი ხაზოვან სინტაქსურ კონსტრუქციათა მიღმა მდგომ ელემენტებს არგუმენტაციული ქმედების ინსტრუქტორებად იყენებს. მეცნიერი მათი საშუალებით არა მხოლოდ აკავშირებს და აერთებს დისკურსის ნაწილებს, არამედ რთულ ინტელექტუალურ კონსტრუქციებს ნათელსა და მკითხველისათვის ადვილად გასაგებს ხდის. იგი მეტადისკურსულ ელემენტებს მიმართავს მოვლენის ან პროცესის დეტალიზაციისა და დაზუსტებისათვის, გამოთქმულ შეხედულებათა თანმიმდევრულობისა თუ წინააღმდეგობრიობის საჩვენებლად, გარკვეული ინფორმაციის ხაზგასასმელად, მოხმობილ მოსაზრებათა თუ თეორიათა ავტორების დასასახელებლად, სხვადასხვა წყაროზე მისათითებლად, განხილულ საკითხთა მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოსახატავად.

ჩიქობავას სამეცნიერო დისკურსი დეკლარირებაზე მეტად გაგებინებაზე რომ არის ორიენტირებული, ამას პრაგმატიკულ კონექტორთა გამოყენების თავისებურებაც მოწმობს. მეცნიერი კომუნიკაციის დასაწყებად, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ძირითადად შეკითხვის დასმას იყენებს, ადრესატის ინტერესის შესანარჩუნებლად და გასააქტიურებლად ხშირად მიმართავს იმგვარ მაკავშირებელ შესიტყვებებს, როგორიცაა: „როგორც უკვე აღნიშნული გვაქვს თავის ადგილას“ და ფრჩხილებში უთითებს კონკრეტულ ადგილს; „მაგრამ საქმეც ისაა...“; „ბუნებრივია ვიკითხოთ“; „რაკი ასეა...“ და სხვ.

ყურადღების მაკონცენტრირებელი ძალის მიხედვით გამორჩეულია და კავშირით შექმნილი წყვილები: „და მერე“; „და შემდეგ“; „და კიდევ“. ყოველი მათგანი, ჩვეულებრივ, აბზაცს იწყებს, ხშირად დაყოფითაა დაბეჭდილი და ორწერტილი მოსდევს, რაც კიდევ უფრო საყურადღებოს ხდის მის მომდევნოდ წარმოდგენილ მოსაზრებას.

გრაფიკული ხაზგასმაც, იქნება ეს სიტყვების დაყოფითა თუ მუქი შრიფტით ბეჭდვა, დებულებათა ჩამოთვლა რაოდენობის მიხედვითა და მათი გამიჯვნა რიგითი ნომრებითა თუ ასოებით, ყოველთვის ტექსტის იმ მონაკვეთში გვხვდება, რომელსაც წინ შედარებით ვრცელი მსჯელობა უსწრებს.

მკითხველის მობილიზებისათვის ხშირად მიმართავს ავტორი ორწერტილს ისეთ ჩართულ სიტყვებთან და გამოთქმებთან, რომელთა შემდეგაც სხვა შემთხვევებში მძიმეს იყენებს. მსჯელობის შემაჯამებელი ნაწილიც ყოველთვის საგანგებოდაა მარკირებული, ამ ფუნქციით უმეტესად გვხვდება შესიტყვება „შეიძლება დავასკვნათ“, დასკვნის გამოსაყოფად კი ბევრგან არის ფორმულირებები „ასეთია (ესა და ეს)“, „ასეთია (ამისა და ამის შინაარსი)“ თუ სხვ.

ყოველივე ზემოთქმული კარგად ორგანიზებული საავტორო სტრატეგიის ნაწილია. დასასრულ, ამ სტრატეგიის რეალურობისა და მისი კონცეპტუალური საფუძვლების საილუსტრაციოდ არნოდ ჩიქობავას მსჯელობას მოვიხმობთ ავტორისა და მკითხველის შესახებ: „ცნობილია, რომ დამწერი ცდილობს, „რაც შეიძლება გასაგებად წეროს“, განუმარტავი არ დატოვოს არაფერი, რაც კი შეიძლება ბუნდოვანი დარჩეს მკითხველისათვის. **მკითხველი დაუსწრებელი მსმენელია**, და ეს ართულებს დამწერის ამოცანას: დასწრებულ მსმენელს ყოველთვის უფრო ადვილად გააგებინებს კაცი, ვინემ დაუსწრებელს. მთქმელს საშუალება აქვს გაითვალისწინოს – გაიგო თუ არა მსმენელმა ნათქვამი და საჭიროების შემთხვევაში განმარტოს სათქმელი. ლოგიკური მახვილი, ფრაზის ინტონაცია და სხვა გამომეტყველებითი საშუალებაა მთქმელის განკარგულებაში, რათა უკეთ მიაწვდინოს მსმენელს თავისი აზრი. დამწერი ამას მოკლებულია. ამიტომაც დაუსწრებელ მსმენელს მეტი ანგარიში ეწევა, ვინემ დასწრებულს, **დაუსწრებელი უფრო გზღუდავს, ვინემ დასწრებული**“ (ჩიქობავა 2014: 213). სწორედ დაუსწრებელი მსმენლის ანუ მკითხველისათვის საგანგებო ანგარიშის გაწევა არნოდ ჩიქობავას მთელი სამეცნიერო დისკურსი.

ლიტერატურა

ჩიქობავა 2014 – არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, II, შრომები, ტ. VIII, თბილისი.

SALOME OMIADZE

Pragmatic Features of Arnold Chikobava's Scientific Discourse

Summary

Arn. Chikobava's scientific discourse is oriented on understanding. The addressing speech should be considered as a dominant feature of his style. Arn. Chikobava had a distinctive speech tactics of starting the narration, the interest maintenance and finishing the conversation. When discussing even a less important issue the scientist sets his ideas in a way that he creates a kind of micro text that has its own beginning, development and conclusion. He always reminds the addressee the old information before giving the new one.

Arn. Chikobava's scientific discourse has an interpersonal nature because of the abundance of the interrogative sentences. In his works an interrogative sentence is an indication to move to another issue and a kind of an appeal to involve a reader in the consideration of the issue.

Arn. Chikobava's scientific texts include a wide range of pragmatic connectors (argumentative and metadiscursive). The scientist not only connects the parts of the discourse by using them but also turns difficult intellectual constructions into easily understandable ones to the reader.

ნანა სააკაძე

ლექსიკური სინონიმია ქვემოქართულურში

სინონიმია ენობრივ ერთეულთა სემანტიკური მიმართების ტიპია, მისი არსი მნიშვნელობათა სრულ ან ნაწილობრივ დამთხვევაში მდგომარეობს (ЛЭС 1990:446). იგი ენობრივი სისტემის ყველა იერარქიულ დონეზე იჩენს თავს და წარმოქმნის ენობრივი გამოხატულების სინონიმურ საშუალებათა მეტად რთულ სისტემას. სინონიმია ნიშნებს შორის ურთიერთობას გულისხმობს და განსაკუთრებით დამახასიათებელია ენის ლექსიკური დონისათვის. იგი სხვადასხვა ტიპის ენათათვის არის დამახასიათებელი და, ამდენად, უნივერსალურ კატეგორიათა რიცხვს განეკუთვნება (საკაძე 2005: 155).

თანამედროვე ლინგვისტიკაში სხვადასხვაგვარადაა ინტერპრეტირებული სინონიმის ცნება. აზრთა სხვადასხვაობაა მის არსსა და განმსაზღვრელ კრიტერიუმებზე. სინონიმთა ტრადიციული განმარტება ასეთია: მნიშვნელობით ახლოებული თუ იგივეობრივი სიტყვები, რომლებიც აღნიშნავენ ერთსა და იმავე ცნებას, მაგრამ ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ან მნიშვნელობათა ელფერის, ან სტილისტიკური შეფერილობის, ან ერთდროულად ორივე ნიშნის მიხედვით (Евгениева 1964: 7). მეცნიერთა ნაწილი (ა. რეფორმატსკი, ნ. შანსკი) თვლის, რომ ორ ლექსემას შორის სინონიმურობის დასადგენად საგნობრივ-ლოგიკური შინაარსით იგივეობაც საკმარისია, თუმცა იმასაც მიუთითებენ, რომ „რეფერენტის იგივეობა არის სინონიმის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობა“ (აფრიდონიძე 1998: 283); ვ. ბულახოვსკის აზრით, ლექსემათა სინონიმურობის დასადგენად აუცილებელია კონტექსტის გათვალისწინებაც. საერთოდ, ყოველგვარ სინონიმთა მთავარ ფუნქციას წარმოადგენს ჩანაცვლება და დაზუსტება. ცნობილია, რომ სინონიმთა არსებობა საერთო-სალიტერატურო ენაში დადებითი მოვლენაა. „რაც უფრო ბევრია ენაში სინონიმები და რაც უფრო მდიდარია ენა და უფრო მეტი შესაძლებლობები აქვს ზუსტად და გამოკვეთილად წარმოადგინოს ნებისმიერი შინაარსი, ნებისმიერი აზრი, ნებისმიერი ცნება, მსჯელობა. ენის ლექსიკური სიმდიდრე არა მარტო მის რაოდენობაშია, არამედ თვით მნიშვნელობათა სიმდიდრეში, რომელიც სიტყვაშია გამყარებული“ (Кодуххов 1955: 13).

ჩვენ მიერ გაანალიზებული მასალის საფუძველზე ირკვევა, რომ ქვემოქართულურის დარგობრივი ლექსიკის ფარგლებში არაერთი სინონიმური მიმართების ლექსემა დასტურდება. არსებით სახელებთან ძირითადად ვითვალისწინებთ რეფერენციას – საგნობრივ-ლოგიკურ მიმართებას. თუმცა უნდა

აღინიშნოს, რომ გამოხატულების პლანით განსხვავებული ერთეულები სხვადასხვა მიკროარეალში დადასტურდა.

№	ლექსემა (იზოგლოსა)	ძირითადი არეალი	ლატერალური არეალი	მნიშვნელობანი
1	აკორტილი, ნაბურდღნი // დაბუნდალებული, შმაგურად გათიბული	ბოლნისი თეთრიწყარო	დმანისი, თეთრიწყარო ბოლნისი, დმანისი, თეთრიწყარო	არასწორად გათიბული
2	ალო, სახნავი // სახნაური	დმანისი ბოლნისი	ბოლნისი, თეთრიწყარო მარნეული, დმანისი, თეთრიწყარო	სახნავისათვის დასამუშავებელი მამული
3	ამამპალი // დედაშვილიანი ყანა	დმანისი მარნეული	ბოლნისი, თეთრიწყარო მარნეული, ბოლნისი, თეთრიწყარო	არათანაბარი სამადლის ყანა
4	ბუარა // ჰოროვანდა	თეთრიწყარო ბოლნისი	ბოლნისი, დმანისი, მარნეული, ბოლნისი დმანისი თეთრიწყარო, მარნეული	მსხვილდეროიანი და დიდფოთლიანი ბალახი
5	გოგორები // ფამფალაკი	მარნეული დმანისი	ბოლნისი, დმანისი, თეთრიწყარო, ბოლნისი, თეთრიწყარო, მარნეული	რაზედაც გუთნის ყელია დამაგრებული
6	დაროშილი // ნაგალი	ბოლნისი მარნეული	დმანისი, თეთრიწყარო, მარნეული, ბოლნისი, თეთრიწყარო, დმანისი	ქატოიანი, უსუფთაოდ დაფქვილი ფქვილი
7	კაწანი // ხარგალა	ბოლნისი მარნეული	დმანისი, მარნეული, თეთრიწყარო, ბოლნისი, დმანისი, თეთრიწყარო	ლასტით შემოკავებული ადგილი საქონლის სადგომად
8	კელფი // თალამი // ტყლაპი	თეთრიწყარო დმანისი, თეთრიწყარო, ბოლნისი	ბოლნისი, დმანისი, მარნეული, ბოლნისი, მარნეული, დმანისი, თეთრიწყარო,	თივის ფენა-ფენა წყობა

9	კულამი // სამატი	დმანისი მარნეული	ბოლნისი, თეთრიწყარო, მარნეული, ბოლნისი, თეთრიწყარო, დმანისი	ტყავისგან დაგრეხილი თასმა, რომლითაც ღვედი დამაგრებულია ურემზე
10	ლახანა // მამალი კომბოსტო	ბოლნისი, დმანისი მარნეული	თეთრიწყარო, მარნეული, ბოლნისი, დმანისი, თეთრიწყარო	თავდაუხვეველი, მწვანე კომბოსტო
11	მოში // ხორომი // კომა	დმანისი, თეთრიწყარო, თეთრიწყარო მარნეული	ბოლნისი, მარნეული, ბოლნისი, დმანისი, მარნეული, ბოლნისი, დმანისი, თეთრიწყარო	ხელის ერთი შემოკდობით აღებული ძნები
12	ნადელი, რცხალი // დედულ-მამული	დმანისი ბოლნისი	ბოლნისი, თეთრიწყარო, მარნეული, დმანისი, თეთრიწყარო, მარნეული	წინაპართაგან მემკვიდრეობით მიღებული მიწის ნაკვეთი
13	რცხალი // საქევეი, ხეივანი // მარაგი // წარაფი	დმანისი ბოლნისი თეთრიწყარო ბოლნისი, თეთრიწყარო	ბოლნისი, თეთრიწყარო, მარნეული დმანისი, თეთრიწყარო, მარნეული ბოლნისი, დმანისი, მარნეული დმანისი, მარნეული	ყანებს შორის საზღვარზე ფართო გამმიჯნავი ზოლი
14	სვია, ენა // კავი	მარნეული დმანისი, მარნეული	ბოლნისი, დმანისი, თეთრიწყარო ბოლნისი, თეთრიწყარო	რითაც ლობიო ეხვევა ჭიგოს
15	ქუმელა, ხორული // ხეშირი // ქაშა, ფუშური	მარნეული დმანისი ბოლნისი	ბოლნისი, დმანისი, თეთრიწყარო ბოლნისი, თეთრიწყარო, მარნეული დმანისი, თეთრიწყარო, მარნეული	ქაშა კარტოფილი
16	ღვარი, ჭელი //	ბოლნისი	დმანისი, თეთრიწყარო, მარნეული	ნათიბი ზოლი

	ლასი	მარნეული	ბოლნისი, დმანისი თეთრიწყარო	
17	ჭელი // სვია	დმანისი თეთრიწყარო	ბოლნისი, თეთრიწყარო, მარნეული ბოლნისი, დმანისი, მარნეული	მკის დროს ერთ ჯერზე გატანილი ფართობი

აღნიშნული ცხრილის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩამოთვლილ ლექსებში წყვილები ქვემოქართლურის დონეზე აბსოლუტურ სინონიმებს წარმოადგენენ. აქვე მივუთითებთ, რომ საენათმეცნიერო ლიტერატურაში აბსოლუტური სინონიმები არის სემანტიკურად იდენტური, თანაბარი მნიშვნელობის მქონე ერთეულები. ისინი თავიანთი ძირითადი არსით ნომინატიურია.

აღსანიშნავია, რომ ქვემოქართლურში სინონიმთა წარმოქმნა ხდება ძირითადად საკუთარი დიალექტური ლექსიკური ბაზის ხარჯზე. ამ დროს სინონიმები წარმოდგენილია არა მარტო წყვილებად, არამედ რიგებად. უმეტეს წილად ეს შეეხება ზმნურ სინონიმებს. ამ შემთხვევაში ერთი და იგივე ქმედებას აღნიშნავს ზმნათა წყება, თუმცა აქვე უნდა მიეთითოს, რომ სახელებსთვის ამოსავალია სუბიექტთა განსხვავებული თვალსაზრისი და ის, რომ პარალელური ფორმები სხვადასხვა არეალში დასტურდება: **აკოტება** (ს. პანდიანი) // **აბოლება** (დ. წყნეთი) – ბალახის ზომაზე მეტად გაზრდა; **ამოყიენება** (ს. ქვეში) // **ამოყრა** (ს. პატარა გომარეთი, ხატისოფელი) // **ამოწვერვა** (ს. ქვეში, ხატისოფელი) – თესლიდან უმცირესი ამონაყარი; **აკარკლვა** (ს. ხატისოფელი) // **გატუსვა** (ს. ვარდისუბანი) // **დაფოცხვა** (ს. ქვეში, ხატისოფელი) – მოხვნამდე მამულის გასუფთავება; **ალაო** (ს. მამულო) // **ნემსულა** (ს. წერაქვი) – თესლიდან უმცირესი ამონაყარი; **ატკრეცილი** (მარნეული) // **ალანძული** (ბოლნისი) – უცებ რომ შეწითლდება ფურნეში პური; **ბაკი** (დმანისი) // **ბინა** (ს. ხატისოფელი) – ზაფხულობით საქონლის სადგომი; **აწურთნული** (თეთრიწყარო) // **გაჯაგული**, **ნაჯაგი** (ბოლნისი) – გაკაფული ტყე; **გაუტეხავი** (თეთრიწყარო) // **გასატეხი**, **კორდი** (დმანისი) // **ხამი** (ბოლნისი) – თივის ბუღულზე გადასაჭერი ლატნები; **მადლის ენა**, **გრძელეები** (თეთრიწყარო) // **გრძელმიწა** (დმანისი) // **მადლის ენები**, **ნაყელარი** (მარნეული) – წაგრძელებული ფორმის ყანა; **ქოთნები** (დმანისი) // **უჯრედები** (ბოლნისი) – ფიჭის ნახვრეტები; **ბარტყი** (ბოლნისი) // **ნაყარი** (დმანისი) – გამრავლებული და ახალნაშენი ფუტკარი; **საფქვილე ტერეფი** (მარნეული) // **ამზარი** (დმანისი) – ხის ყუთი, სადაც ფქვილი იყრება; **კარტოფილის კაკლები**, **კარტოფილის მეჭეჭი** (დმანისი) // **კარტოფილის პამიდორი** (ბოლნისი) – კარტოფილის ფოჩს თხილებივით ასხია; **აპეური** (ბოლნისი, დმანისი, თეთრიწყარო) // **სამზადი** (მარნეული) – თოკი ან ღვედი, რომლითაც ტაბიკის ბოლოებს ამაგრებენ (აზამენ) ხარის ყელთან; **ბადე** (დმანისი) // **ბუდე**, **კილი** (ბოლნისი) // **ბუდე** (მარნეული) // **კილი** (თეთრიწყარო) – ხორბლის მარცვლის ბუდე; **გამოგვალული**, **დაგვალული**, **გადამწვარი** (დმა-

ნისი) // **გამოგვალული, დაგვალული** (მარნეული) – გვალვისგან გადამხმარი მიწა; **გაფუებული, დაძრული** (მარნეული) // **გაფუებული** (ბოლნისი) // **მოსული** (დმანისი) – კარგად გაფუებული ცომი; **გაქეშლილი** (ბოლნისი) // **ჩათელილი, ჩათლახნილი** (თეთრიწყარო, ბოლნისი) – პირუტყვისაგან გათელილი ბალახი; **მოტყლიპნული** (ბოლნისი, დმანისი) // **მოფონფლილი** (მარნეული) – ცუდად მოზეილილი ცომი; **ნათავთვი, ნათავთვური** (დმანისი) // **ნაკმაზი, ნათავთვი, ნაწმენდი** (ბოლნისი) // **ნათავთვი, ნაცხები** (თეთ-რიწყარო) // **ნაკმაზი, ანარჩენი, მშიერი, ხორბალი** (მარნეული) – ხორბლის განიავების შემდეგ ცხავში ან ცხრილში დარჩენილი მასა; **კალოობა** (ს. პანტიანი, წერაქვი, ჯავახი) // **ხრმანობა** (ს. სიონი) – ლეწვის დაწყება; **ნაპირთშემოყრა** (დიდი დმანისი) // **მოსურვება** (დიდი დმანისი, წერაქვი, ხატისოფელი) – კალოზე ხორბლის ცოცხლით მოსუფთავება.

სინონიმური ერთეულები შეიძლება წარმოდგენილი იყოს მყარი სიტყვათშენაერთების სახით, რომლის შემადგენლობაში პირველი ელემენტი უცვლელია და წარმოდგენილია ნათესაობითი ბრუნვის ფორმით, ხოლო ზმნური ელემენტები იცვლება: **თივის დაძირვა** (დაბა წყნეთი) // **თივის დაბინავება** (დიდი დმანისი, ხატისოფელი) – თივის ბულულად დადგმა; **ფუტკრის დანელება** (ს. ქვეში) // **ფუტკრის ჩაქრობა** (ს. სიონი, წერაქვი) // **ფუტკრის გატეხა** (პატარა გომარეთი, ს. მამულო) – ფუტკრის დახოცვა; **ფუტკრის აკრეფა** (ს. ქვეში) // **ფუტკრის ჩაბერტყვა** (დიდი დმანისი, დიდი გომარეთი, წერაქვი) – ხეზე მსხმოიარე ფუტკრის ჩაყრა კოდებში.

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ ენა სინონიმების არსებობით გვთავაზობს არჩევანის თავისუფლებას, მაგრამ მხოლოდ გარკვეულ შემთხვევაში, რადგან არჩევანს ზღუდავს გარეენობრივი სიტუაციები.

ლიტერატურა

აფრიდონიძე 1988 – შ. აფრიდონიძე, ე. წ. „აბსოლუტური სინონიმების“ შესახებ, თბ., „ქსკ“, 1988.

Евгениева 1964 – А. П. Евгениева, проект словаря синонимов, М., 1964 г.

Кодухов 1955 – В. М. Кодухов, Лексико-семантические группы слов (лекция). Л., 1955.

სააკაძე 2005 – ნ. სააკაძე, „სინონიმურად მონაცვლე ლექსიკური ვარიანტები ქვემოქართლურში“, თბ., პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“, 2005.

NANA SAAKADZE

Lexical Synonymy in Lower Kartlian Dialect

S u m m a r y

მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ სვანურს ხმაბაძვით სიტყვებში, ქართულის მსგავსად, კომპლექსის გამეორება არ ახასიათებს (შდრ. ქართ. CVCC, მეგრ. CCVCC, სვან. CVCC), მეგრულში კი, როგორც ცნობილია, ძალზე ხშირია (მაგ.: გვაგვალ, ქვაქვალ, კვაკვალ; ჯგიჯგონ, ჩქიჩქონ, ჭკიჭკონ...)¹. და ის, რაც მას ქართულისაგან განასხვავებს, ისაა, რომ სვანურში ღია მარცვალი განხილულ მასალაში არ დასტურდება, თუმცა თუ რ სონორის მეორეულობას დაუშვებთ, მაშინ სვანურშიც სავსებით შესაძლებელი გახდება ამოსავალი ღია მარცვლების დაშვება².

¹ ერთადერთი მაგალითი შეგვხვდა ბალსზემოურში – უდგრჟღნ „ქდარუნი“.

² ამ საკითხთან დაკავშირებით ქართულში იხ. ბ. ქობალავას ნაშრომი (ქობალავა 1980: 67-76).

ლიტერატურა

ა) სამეცნიერო ლიტერატურა

დავითიანი 2008 — ა. დავითიანი, გარეგანი სახეობის ლექსიკისათვის სვანურში. — იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXXVI, თბილისი

ერთელიშვილი 1970 — ფ. ერთელიშვილი, ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბილისი

ჟღენტი 1949 — ს. ჟღენტი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბილისი

საღლიანი 2005 — მ. საღლიანი, ნასესხობანი სვანურ ენაში, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი

საღლიანი 2014 — მ. საღლიანი, ონომატოპოეტური სიტყვების შესახებ სვანურში, იკე, XLII, თბილისი

ქობალავა 1979 — ი. ქობალავა, მეგრული სიტყვაწარმოებიდან. — იკე, XXI, თბილისი.

ქობალავა 1980 — ი. ქობალავა, ზოგიერთი ტიპის ხმაბადვითი სიტყვების წარმოებისათვის ქართულში, თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები, V, თბილისი, 1980

შანიძე 1957 — ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, თბილისი

ჩიქობავა 1950 — არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება. — ქეგლ, I, თბილისი

ჭკადუა 2007 — რ. ჭკადუა, „პირველად მასდართა“ წარმოების ერთი ტიპისათვის სვანურში, არნ. ჩიქობავას საკითხავები, XVIII, თბილისი, 2007

ჭკადუა 2013 — რ. ჭკადუა, ზმნურ ფუძეთწარმოების პრინციპთა ურთიერთმიმართებისათვის სვანურში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, XII, თბილისი, 2013.

ბ) ლექსიკონები

თოფურია, ქალდანი 2000 — ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი.

ლიპარტელიანი 1994 — ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი

გ) წყაროები

სვან. პოეზ. 1939 — სვანური პოეზია, I, სიმღერები შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს ა. შანიძემ, ვ. თოფურიამ, მ. გუჯეჯიანმა, თბილისი.

სვან. პროზ. ტექსტ. 1939 — სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსაზემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ და ვ. თოფურიამ, თბილისი.

სვან. პროზ. ტექსტ. 1957 — სვანური პროზაული ტექსტები, II, ბალსქვემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. დავითიანმა, ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი.

სვან. პროზ. ტექსტ. 1967 — სვანური პროზაული ტექსტები, III, ლენტეხური კილო, ტექსტები შეკრიბეს და რედაქცია გაუკეთეს ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი.

სვან. პროზ. ტექსტ. 1979 — სვანური პროზაული ტექსტები, IV, ლაშხური კილო, ტექსტები შეკრიბეს არ. ონიანმა, მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, რედაქცია გაუკეთეს მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, თბილისი.

სვან. ენის ქრესტ. 1978 — სვანური ენის ქრესტომათია, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქალდანმა და ზ. ჭუმბურიძემ, თბილისი.

MEDEA SAGHLIANI

On Suffixation in Svan Phonosemantic Vocabulary

S u m m a r y

The studies of Svan phonosemantic vocabulary show that they are used without suffixes very often – with simple bases, a double-base and suffixation. The suffixes follow: - **n/-un**, -**ən/-ən**, -**in/-in** and -**ew/-ēw**.

The Svan lexical units with the suffixes - **n/-un** and -**ən/-ən** are discussed (L. Sanikidze, R. Chkadua) in the scientific literature, while the imitative forms with the suffixes -**in/-in** and -**ew/-ēw** have never been a subject of discussion before.

The segmentation of the bases to be analyzed and showing possible initial bases enabled us to find out that the segments of auslauts of the Svan phonosemantic bases are suffixes and do not belong to the root material.

როსტომ ფარეულიძე

არსებით სახელთა სტრუქტურა ნახურ ენებში¹

არსებით სახელთა შედარებითი ანალიზისათვის, პირველ რიგში, საჭიროა არსებით სახელთა სტრუქტურული ტიპების გამოყოფა. კერძოდ, საჭიროა, დავადგინოთ, თუ რა სახის ჯგუფებად იყოფიან არსებითი სახელები შედგენილობის მიხედვით. ანალიზისას ვემყარებით არსებითი სახელის მხ. რიცხვის სახელობით ბრუნვის ფორმას.

სტრუქტურის მიხედვით ნახურ ენათა არსებით სახელებში გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები:

1.საერთონახური ერთმარცვლიანი არსებითი სახელები:

ჩ ე ჩ უ რ ი	ი ნ გ უ შ უ რ ი	ბ ა ც ბ უ რ ი
წა	წა	წა „სახლი“
კა	კა	კავ „ხორბალი“
და	და	დად „მამა“
შა	შა	ფშა „ყინული“
სა	სა	სა „სული“
‘ა	‘ა	‘ა „ზამთარი“
ჩა	ჩა	ჩა „დათვი“
ხა	ხა	ხა „თემო, ბარკალი“
ცუ	ცუ	ცუ „ქუმელი“
ყუ	ყუვ	ყუ(ვ) „ქურდი“
‘უ	‘უ	‘უვ „მწყემსი“
ლამ	ლოამ	ლამ „მთა“
მალხ	მალხ	მათხ „მზე“
ლჷო	ლოა	ლავ „თოვლი“
ქჷოგ	ქჷოგ	ქოვ „ფეხი“
მაჷ	მოჷ/ჯ „წვერი“	მაჷ „ულვაში“
ბ‘არგ/ბ‘არგ	ბ‘არგ	ბ‘არვ „თვალი“
ფჷარს	ფჷარს	ფჷარს „მკლავი“

¹ ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (გრანტი № 31/45)

ფჰატორ	ფჰატორ	ფჰორ	„ვახშამი“
კალდ	კალდ	კალტ	„ხაჭო“
თხი(რ)	თხირ	თხირ	„ნამი“
ფჰიდ	ფჰიდ	ფჰიტ	„ბაყაყი“
ჟიმ	ჟიმ	ჟი ^ნ	„თირკმელი“
დიგ	დიგ	დიკ	„ცული“
ნითა	ნითა	ნიტა	„ჭინჭარი“
მუც	მუც	მუც	„ქერი“
ჰუნ	ჰუნ	ჰუნ	„ტყე“
ბუთა	ბუთა	ბუთა	„მთვარე“
დედ	დედ	დედ	„ტანი“
ბჰორზ	ბჰორზ	ბ'ორწ	„მგელი“
ბჰოჟ	ბჰოჟ	ბ'ოკ	„ვაცი“...

2. საერთონახური ორმარცვლიანი არსებითი სახელები:

ვაშა	ვოშა	ვაშრ	„ძმა“
ქჰორთა	ქორთა	ქორთ(ო)	„თავი“
იშა	იშა	იშრ	„და“
ბჰსა	ბჰსა	ბჰსა	„ლამე“
სჰრი (დეშერ.)	სედრა	ფსარლო	„სადამო“...

3. სამმარცვლიანი საერთონახური მარტივი არსებითი სახელები თითქმის არ იძებნება, რაც არის, შედგენილია, რომლის შემადგენელი მეორე კომპონენტი მასდარს წარმოადგენს. ასეთია, მაგალითად, მჰოთაჰანჯარ „ლოკვა“ (მჰოთა „ენა“, ჰანჯარ „წასმა“)...

4. მარტივი და რთული სახელები, რომლებიც ნახური ფუძეების დაშლის შემდეგ წარმოიშვნენ ცალკეულ ენებში. ასეთია, მაგალითად:

ლათა	ლათა	დობსტ/დოფშტ	„მიწა“
ბედარ	ბარწყ	ქადრცხრ	„ტანსაცმელი, სამოსი“...

ნახური ფუძეების დაშლის შემდეგ ლექსიკამ გარკვეული ცვლილებები განიცადა, რაც შეიძლება შემდეგნაირად დაჯგუფდეს:

ა) სახელები, რომლებსაც ბგერობრივად და სემანტიკურადაც ცვლილებები არ განუცდიათ:

ნახ „ხალხი“, ბუყ „ზურგი“, დედ/დედ „ტანი“, ფჰარს „მკლავი“, ფჰატორ//ფჰორ „ვახშამი“, წა „სახლი“, შურა „რძე“, დჰომ//დომ „სიტვა“, ბუც „ბალახი“, ჩა „დათვი“, ‘ა „ზამთარი“, წასთა „სპილენძი“...

ბ) სახელები, რომლებიც ერთმანეთისაგან ბგერითი შემადგენლობით განსხვავდებიან, მაგრამ სემანტიკა ერთი და იგივე აქვთ:

ჩ ე ჩ ნ უ რ ი	ი ნ გ უ შ უ რ ი	ბ ა ც ბ უ რ ი	
ბჭორზ	ბჭორძ	ბ'ორწ	„მგელი“
ბაღდა	ბჭორდ	ბ'ატრ	„ტუჩი“
ბ'არგ	ბ'არგ	ბ'არკ	„თვალი“
ნწყუოსთ	ნოუყუოსთ	ნაყბისთ	„ამხანაგი“...

გ) სახელები, რომლებიც სემანტიკურად განსვავდებიან ერთმანეთისაგან, თუმცა ბგერობრივი მხარე თითქმის ერთნაირი აქვთ:

ჩეჩნურ-ინგუშური მაჟ „წვერი“, ბაცბური მაჟ „ულვაში“

ჩეჩნურ-ინგუშური ჯჭორ „მსხალი, პანტა“, ბაცბური ჯორ „ვაშლი“...

ექსტრალინგვისტური ფაქტორების გავლენით წინარე ნახური ენა ცალკეულ შტოებად იყოფა, რომლის დროსაც ადგილი აქვს ზოგ შიდასტრუქტურულ ცვლილებას, რაც, უპირატესად ლექსიკაში ვლინდება. იმავე ფაქტორების გავლენით ნახური ფუძე ენა სამ ენად დაიშალა. ამ ენებში, რა თქმა უნდა, გვაქვს საერთონახური ლექსიკური ფონდი, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, ვაინახური ლექსიკური ფენა, რომელშიც იგულისხმება ჩეჩნურ-ინგუშურ ენათა მონაცემები, აგრეთვე, ლექსიკა, რომელიც ამ სამ ენათაგან თითოეულში იჩენს თავს.

ვაინახური ლექსიკა, მათ შორის არსებითი სახელებიც, შედარებული აქვს ო. ეგოროვის. მისი დასკვნის თანახმად, ჩეჩნურ და ინგუშურ ენებში სიტყვათა 40% სავსებით ემთხვევა ერთმანეთს როგორც ბგერობრივად, ისე სემანტიკურად. გარდა ამისა, საეთონახური ენის ლექსიკა უფრო მეტად ვაინახურ ენებშია დაცული, ვიდრე ბაცბურში (ეგოროვი 1935: 110-117).

ა. ქურქიევის შესწავლილი აქვს განსხვავებული ლექსიკა, რომელიც ვლინდება ჩეჩნურსა და ინგუშურ ენებს შორის. ასეთად მას მიაჩნია 600 ერთეული (ქურქიევი 1979).

როგორც ო. ეგოროვის, ისე ა. ქურქიევის ნაშრომებში საანალიზო მასალა დიფერენცირებული არ არის მეტყველების ნაწილების მიხედვით.

ცნობილია, რომ ბაცბურში ლექსიკის მნიშვნელოვანი ნაწილი ნასესხებია ქართულიდან, ჩეჩნურ-ინგუშურში კი – რუსულიდან. მაშასადამე, სიტყვათა სესხების წყაროები ამ ენებში განსხვავებულია.

თითქმის ყველა არსებითი სახელი, რომელიც საკუთრივ ნახურ ენათა კუთვნილებას წარმოადგენს, ერთ ან ორმარცვლიანია. შესაძლებელია, მეორე მარცვალი ფუძის ოდინდელი კუთვნილება არ აღმოჩნდეს. მაგალითად, სახელებში: ჩეჩნურ-ინგუშური ბ'არგ/ბ'არგ, ბაცბური ბ'არკ „თვალი“, ჩეჩნურ-ინგუშური ლდერგ, ბაცბური ლარკ „ყური“, ჩეჩნურ-ინგუშური ცდერგ, ბაცბური ცარკ გამოსაყოფია აუსლაუტის რგ//რკ თანხმოვანთა კომპლექსი, რომელთა შორის განსხვავება მხოლოდ ფონეტიკურია. არ არის გამორიცხული, რომ იგი წარმოადგენდეს ოდინდელი სიტყვის ნაშთს, რომელიც დიაქრონიაში სიტყვაწარმოების სუფიქსად ჩამოყალიბდა.

სტრუქტურის მიხედვით ზემოთ მოხმობილი ლექსიკური მასალა შემდეგი სახისაა:

1. CV: ჩეჩნურ-ინგუშურ-ბაცბური წა „სახლი“, კა „ხორბალი“, ჩა „დათვი“...
2. CVC: ჩეჩნურ-ინგუშურ-ბაცბური ლამ//ლოამ „მთა“, დტოგ//დოკ „გული“...
3. VC: ჩეჩნურ-ინგუშური აზ, ბაცბური ამშ „ბგერა“...

ი. დემერიევის აზრით, მოცემულ სტრუქტურათა შორის უფრო ძველი ჩანს პირველი და მესამე ტიპი. რაც შეეხება მეორე ტიპს, იგი მიღებული უნდა იყოს ხმოვანფუძიან სახელზე მომდევნო სიტყვის თავკიდური სეგმენტის დართვით (დემერიევი 1963: 388).

ძველი სტრუქტურის არსებით სახელებში შეიძლება გამოიყოს ფუძეს შერწყმული გრამატიკული კლასის ნიშნები. თავკიდურად კლასის ნიშნის შერწყმა, როგორც ჩანს, CVსტრუქტურის სახელებში მომხდარა. ასეთია, მაგალითად:

- ჩეჩნურ-ინგუშური ვ-ტო, ბაცბური ვ-ოჰ „ვაჟიშვილი“;
 ჩეჩნურ-ინგუშური მ-ტო, ბაცბური მ-ოჰ „ქალიშვილი“;
 ჩეჩნურ-ინგუშური მ-იშა//მ-ოშა, ბაცბური მ-აშრ „და“;
 ჩეჩნურ-ინგუშური ვ-აშა//ვ-ტოშა, ბაცბური ვ-აშრ „ძმა“.

საოპოზიციო წყვილების არსებობის გამო ჩამოთვლილ ფორმებში კიდევ ხერხდება გრამატიკული კლასის ნიშნების გამოყოფა. სპეციალურ კვლევას მოითხოვს, მაგალითად, გრ. კლასის ნიშნის გამოყოფა დ-ტოგ „გული“ სიტყვაში.

ნახურ ფუძენაში, როგორც ფაქტობრივი მასალის ანალიზი გვიჩვენებს, სამი ტიპის ფუძე უნდა გამოიყოს:

- ა) არსებითი სახელის ფუძე სახელობით ბრუნვაში;
- ბ) არსებითი სახელის ფუძე ნათესაობით ბრუნვაში;
- გ) დანარჩენ ბრუნვათა ფუძე (ერგატივი, განმსჭვალვითი და ზოგი სხვა ბრუნვა).

სახელის უძველესი ფუძე, როგორც ჩანს, ზოგ შემთხვევაში წარმოდგენილია არა სახელობითსა და ნათესაობითში, არამედ სხვა ბრუნვებში.

ნათქვამი არ ნიშნავს, რომ სახელობით ბრუნვაში ყველა სახელის ფუძის სტრუქტურა მეორეულია. CV (თანხმოვანი + ხმოვანი) სტრუქტურის სახელები (მაგ. წა „სახლი“, კა „ხორბალი“, ჩა „დათვი“, ხი „წყალი“...) ამ სახით ნახურ ენათა უძველეს ტიპს განეკუთვნებიან და სახელობით ბრუნვაში დგანან. ასეთ სახელებში ხმოვნებად გვხვდება ა, ი და უ. იმავს ვერ ვიტყვით CVC სტრუქტურის სახელების შესახებ სახ. ბრუნვაში. მაგალითად, დტოგ „გული“, ქტოგ „ფეხი“ სახელებში ფუძისეული ხმოვნები მეორეული ჩანს. ამოსავალი უნდა იყოს დაგვ//დაკვ//დაკუ, ქაგვ//ქაკვ//ქაკუ ფორმები.

ფუძის პირველი ტიპი შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს:

ა) ფუძეში მარტივი ა, ი, უ ხმოვნებიანი CV და CVC სტრუქტურის ფუძე-ები, როგორცაა: წა „სახლი“, ლამ „მთა“, სთაგ/სტაკ/საგ „ადამიანი“...

ბ) ფუძეში წინა რიგის ხმოვნები, მიღებულია მომდევნო ხმოვნის გავლენით, როგორცაა: დიგ/დიკ „ცული“, შდრ., ერგ. დაგ-არ-ტრ, მიც. დაგ-არ-ნა... ზოგი სახელის ფუძეში, შესაძლებელია, ი ხმოვანი თავდაპირველიც ყოფილიყო. მაგ., ჩეჩნ.-ინგ. წრ, ბაცბ. წიგ „სისხლი“...

გ) ფუძეში ლაბიალიზებული ხმოვნით, რომელიც მიღებულია აუსლაუტისეული ლაბიალიზებული ხმოვნის გავლენით: ჩეჩნ.-ინგ. დტოგ, ბაცბური დოკ „გული“, ჩეჩნ.-ინგ. დტომ, ბაცბ. დომ „სიტყვა“...

ზემოთ ჩამოთვლილ სახელთა II ფუძის წარმოქმნა დაკავშირებულია ნათ. ბრუნვის ფორმანტთან, -ინ-თან, რომლის დართვა სახელის ფუძეზე იწვევს ფუძისეული ხმოვნის ცვლას, კერძოდ, პალატალიზაციას. შდრ.:

სახ. წა „სახლი“	დტოგ „გული“
ნათ. წრნ (<წი-მნ < წა-მნ < წა-ინ)	დეგ-ინ (< დაგ-ინ)...

იმავე სახელთა III ფუძე თავს იჩენს დანარჩენ ბრუნვებში – ზოგ სახელთან – ყველა ბრუნვაში, ზოგთან – ერთეულებში. შდრ.: ჩეჩნ. წა-ჰ „სახლ-ში“ (ადგ. ბრ.), ჩეჩნ. დამ-ნა (მიცემითი სახელისა დტომ „სიტყვა“).

როგორც საანალიზო მაგალითებიდან ჩანს, არასახელობით ბრუნვათა წარმოებისას მხ. რიცხვში ერთმარცვლიან ფუძეებში იცვლება ფუძისეული ხმოვნები, რაც ფუძეთა გარჩევის აუცილებლობაზე მიგვითითებს.

გარდა ამისა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ერთმარცვლიან ფუძეთა მრავალგვარი ცვლილებების შესახებ არასახელობით ბრუნვებში. ეს ცვლილებები დროთა განმავლობაში მომხდარი ნაირგვარი პროცესების შედეგია, რაც ბრუნვათა მიხედვით ფუძისეულ ხმოვანთა ცვლის კანონზომიერებათა დადგენას ხელს უშლის. მოვიყვანოთ სათანადო მაგალითები, სადაც ფუძისეული ხმოვნები ერთნაირია, მაგრამ ბრუნებისას ისინი განსხვავებულ ვარიანტებს გვიჩვენებენ. შდრ.:

სახ. დტოგ „გული“
ნათ. დეგ-ან
მიც. დაგ-ა-ნა (< დაგ-ან-ნა)...
მაგრამ:
სახ. ქტრგ „ფეხი“
ნათ. ქტრგ-ან
მიც. ქტრგ-ა-ნა (< ქტრგ-ან-ნა)...

ფუძეთა მიხედვით ბრუნვები იცვლებიან ღია, ერთმარცვლიან სახელებშიც, შდრ.:

სახ. ‘ა „ზამთარი“
ნათ. ‘წნან
მიც. ‘წნან)...
მაგრამ:
სახ. აზ

ნათ. ოზ-ან

მიც. ოზ-ა-ნა...

გარდა ამისა, ფუძეთა ტიპებზე მოქმედებს ფუძისეული ხმოვნის წარმოების ადგილიც – წინა რიგის ხმოვანია იგი თუ უკანა რიგისა, ე.ი. პალატალურია თუ ლაბიალური – შდრ.:

სახ. უ „მწყემსი“

ნათ. უნან /უნ-ინ/...

მაგრამ ზოგი სახელის ფუძეში ხმოვანი არ იცვლება. შდრ.:

სახ. ტულგ „ქვა“

ნათ. ტულგ-ან

მიც. ტულგ-ა-ნა (< ტულგ-ან-ნა)...

ფუძენახური ენის დაშლის შემდეგ ცალკეულ ენებში სახელთა სტრუქტურა გართულებული ჩანს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. ასე, მაგალითად, სამივე ენაში ცალ-ცალკე თავი იჩინა რედუპლიკაციამ როგორც ითქვა, სახელთა სესხების წყაროდ ბაცბურისთვის იქცა ქართული ენა, ჩეჩნურ-ინგუშურისთვის – რუსული. ინოვაციები გაჩნდა ჩეჩნური ენის დიალექტებში (ინგუშური და ბაცბური დიალექტურად დიფერენცირებული არ არის).

ლიტერატურა

დებერიევი 1963 – Дешериев Ю. Д., Сравнительно-историческая грамматика нахских языков и проблемы происхождения и исторического развития горских кавказских народов. Грозный.

ეგოროვი 1935 – Егоров О., Чечено-ингушская лексика. – Сб. «Языки народов Северного Кавказа и Дагестана. Москва-Ленинград.

ქურქიევი 1979 – Куркиев А. С., Лексика ингушского языка. Грозный.

ROSTOM PAREULIDZE

Structure of Nouns in Nakhian Languages

S u m m a r y

According to the structure the following groups are distinguished in the simple (without affixes) nouns of the Nakhian languages:

1. Proto-Nakhian one-syllable nouns such as:

Chechen	Ingush	Bats	
ça	ça	ça	„a house“
sa	sa	sa	„a spirit“
malx	malx	matx	„the sun“
cu	cu	cu	„roasted corn flour“
phaid	phaid	phaiṭ	„a frog“ ...

2. Proto-Nakhian two-syllable nouns:

vaša	vaša	vašo	„zma“
ḳçorṭa	ḳçorṭa	ḳort(o)	„tavi“ ...

Three or more syllable Proto-Nakhian simple nouns are not attested. The paper also deals with simple nouns that were formed in different languages as a result of decomposing the Nakhian bases.

In addition, it discusses the issues of the base of a noun in the Nakhian languages.

ნატო შავრემიანი, შორენა შავრემიანი

პირობითდამოკიდებულებიანი წინადადებისათვის სვანურში

სვანურში მკვეთრად არის ჩამოყალიბებული ჰიპოტაქსური კონსტრუქციის წინადადებები, რომლებიც არ მიემართებიან მთავარი წინადადების რომელიმე წევრს, არამედ ხსნიან და აზუსტებენ მთლიანად მთავარ წინადადებას და გვიჩვენებენ შედეგს იმისას, რაც მთავარ წინადადებაშია ნათქვამი, ან აღნიშნავენ პირობას, რაზეცაა დამოკიდებული მთავარში აღნიშნული მოქმედების შესრულება, ან მიუთითებენ ისეთ რამეზე, რომლის მიხედვითაც არ არის მოსალოდნელი ის, რაზედაც მთავარ წინადადებაშია საუბარი.

ამჯერად სხვა სახის დამოკიდებულ წინადადებათაგან ყურადღებას გავამახვილებთ სვანურის ოთხივე დიალექტის (მათ შორის ჩოლურული მეტყველების) პირობითდამოკიდებულებიან რთულ ქვეწყობილ წინადადებებზე და მათ კავშირებზე.

პირობით დამოკიდებულ წინადადებაში, როგორც ცნობილია, დასახელებულია პირობა, რომელზეც დამოკიდებულია იმის შესრულება, რაზეც მთავარ წინადადებაშია საუბარი. დამოკიდებული წინადადება გულისხმობს პირობას, ხოლო მთავარში შედეგია მოცემული.

ჟიქნჩუ ძღღდ ჯუქედიანემ ლახ ახქემნი, ჩუ ანჯდენი უმტულაჟი (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ. I, 1) „ზემოდან ძალიან შორიდან თუ ჩამოყვები, ჩამოხვალ როგორმე“

ემმა როქ ბაც ხარ, მიჩ როქ ნაგჭურიმ ხოხრა დინა ხაკუჩ ხახუდ (ბქ., იქვე. II, 26) „თუ მერგებაო, მე ნაგჭურის უმცროსი გოგო მინდაო ცოლად (ზედმიწ. „თუო შესადლებლობა აქვს, მასო ნაგჭურის პატარა გოგო უნდა ცოლად“)

ლახ როქ ამგტარს ოლმარგელი, გადლოლუ ხაგდგნ მგვხაშ ღტაშარ (ლხმ., სვან. პოეზ., 276) „რახან ასე ივარგეო, ვალად მედვას სექტემბრის ჯიხვები (ზედმიწ. „თუო ამ-გვარ-ს ვარგებულა, ვალადმცა ევალოს სექტემბრის ჯიხვები“)

ჩუ ლოქუ ადჩქუმან, ედო ქა ლოქ ადადესკ ჯირკხო ი ეჯჟი-ამჟი ლოქ ხეჩომ (ლნტ., სვან. ქრესტ., 313) „გაჩუმდიო, თორემ გაგიყვანო ჯირკთან და ისე და ასე გიზამო (ზედმიწ. „გაჩუმდომცა, თორემ გაიტანსო ჯირკთან და ისე-ასეო უზამს“)

გუმგტე ქორა ლიწედს ქედო ხუედრისენ, დემ ხუიდგარი სერ (ჩოლ.) „ჩვენი სახლის ნახვას თუ ვედირსე, არ მოვკვდები აწი“.

აღნიშნული სახის დამოკიდებული წინადადების მთავართან შესაერ-
თებლად სვანურში გამოყენებულია შემდეგი კავშირები: **ერ||ე** (ზს., ქს.),
ლახ'ა', **ლახე** (ზს.), ახ'ა'ა (ბქ.), 'ა'ლახ (ქს.) „რომ, თუ“, **ემა** (ზზ., ლშხ., ჩოლ.),
ემა (ბქ.), **ემო** (ლშხ., ჩოლ.), **ესა** (ზზ., ლშხ.), **ჰესა** (ზზ.), **ესა ||ესა** (ქს.) „თუ, თუ-
კი“; **ედო**, **ადო** (ზს.), **ოდო** (ბქ.), **იედო||ოდო** (ლშხ.), **ედო** (ლნტ.) „თორემ“; **ჰეე**
(ზს., ქს.) „თუ“, **ადჷე||აჷე** (ლნტ.) **ადო||ედო||ოდო** (ჩოლ.) „თუ“ და ა. შ.

ხილს **ერ** მრმ ლახჭედნელან, ქა ისპრლ ლოშგმანჷ (ლშხ.) „ხეს რომ არ მი-
ყუდებოდა, გადავარდებოდა უკან“

ამკვ დანწყჷანდას ქა ხექდროლ ლერში-ლექჷემი ლიქჷრე, ლაყურანლ ე
ეჩხენ-ამხენ ოსგან (ჩოლ.) „ასეთ ავდარში ასცდებოდა ქვეშაგებლის („დასაფენ-
დასახურის“) დაღობა, ლოგინები რომ აქეთ-იქით დაედგა“

ხოშა ლახუბა **ლახ** იროლხ, ლგმარს დემის ფიშუდას (ზზ., სვან. პროზ.
ტექსტ. I, 110) „უფროსი ძმები რომ ყოფილიყვნენ, ცოცხალს არ გავუშვებდი“

ლახა ამახუ მურყჷმანჷ ფედილთე ანჯდენიჷ, ამ ბაჩარს ხანდახ ჟიბხენ-
ჩუ, შდურარ ლექჷა (ბქ., სვან. ქრესტ., 200) „თუ მტერი კოშკთან ახლოს მოვი-
დოდა, ამ ქვეს აყრიდნენ ზემოდან, ქონგურებიდან“

მადილ ჯერი, გუიშგე ლიმხუბ **ემმა** ჯანწამ, ლადი ამმარგ აშხუ გუამ-
ლისგა (ზზ., სვან. პროზ. ტექსტ. II, 186) „მადლი გექნება, ჩვენი ძმობა თუ
გწამს, დღეს გამომადექი ერთ საქმეში“

ჩუ **ჰესა** ამიძჷხე, მიშგუ ხარშუ ნოსა ლახემა ი ჯიჯუარ ნოსა აშგდა ი
ათბჷქა (ზზ., იქვე, 327) „თუ დამკლეს, ჩემი ნახარში არ ჭამო და ძვლები არ
გადაყარო და გაფანტო“

მიჩა მუ **ესა** ოხჯედნი გუდ, მიჩა იშუს ი ადყალნე ი ჯიჯუარ (ჩოლ.) „მა-
მამისი თუ მიუხვდება, მის რბილობსაც დანაყავს და ძვლებსაც“

შიშდუ აჩად ამხანქა, **ედო** წერნი მარლ ესერ ჩუ ადგარი (ზზ., სვან.
ქრესტ., 169) „ხელად წადიო აქედან, თორემ წითელი კაცი მოგკლავსო (ზედ-
მიწ. „ხელადმცა წავიდა, თორემ წითელი კაციო მოგკლავს“)“

ჰე ესერ გარგლა ჩუ ხახლენა, იმდა ესერ მრდ ლემგერგალინ (ზზ., სვან.
პროზ. ტექსტ. I, 370) „თუ ლაპარაკი იცოდო, რატომ არ ლაპარაკობდო
(ზედმიწ. „თუო ლაპარაკი ქე სცოდნია, რისთვისო არ ნალაპარაკევა“)“

სგობინ ლოქ ოთჷოდჷდ, სი ლოქ **ე** ამთან ჯაბჷა თხუმ (ლშხ.) „წინ გაუძე-
ხო, შენ თუ ამისთანა გგონიო თავი“

ადჷე მინე ლუაჷარ ი მინე ჩაჷარ ლერმ ლოქ ხაყახ ი ემმა ჯამმედახ, ჟ'ახე-
თხელდად ი საკსარ ანჯიდდ! (ლნტ., სვან., პრ. ტექსტ., III, 105) „თუ მათი კაცე-
ბი და მათი ცხენები დაჭერილი გყავთო და თუ შეგიძლიათ, დაძებნეთ და
გადასახადი მოიტანეთ!“

ედო ხაკავხ დინა ლიცურე, ეჩქა ჩუ ცურეხ (ჩოლ.) „თუ სურთ გოგოს და-
ტოვება, მაშინ ტოვებენ“.

ჩამოთვლილ კავშირთა გამოყენების თვალსაზრისით სვანურის დია-
ლექტები არაერთგვაროვან სურათს გვიჩვენებენ; ზემოსვანური დიალექტები-
საგან განსხვავებით, სადაც ჭარბობს **თუ** კავშირის მნიშვნელობით გამოყენე-
ბული **ლახ'ა'**||**ლახე**, **ჰემა**, **ემმა** კავშირიანი შეერთება, ქვემოსვანურ დიალექ-

ტებში (მათ შორის ჩოლურულში) **ნმა, ესა||ესა** (ქს.) „თუ, თუკი“; **აღტე||აჲტე** (ლნტ.) **აღო||ეღო** (ჩოლ.) „თუ“ კავშირებს ენიჭება უპირატესობა.

ცნობილია, რომ სვანურის ყველა დიალექტში, მათ შორის ჩოლურულშიც „თუ“ მაქვემდებარებელი კავშირის მნიშვნელობით სხვადასხვა კავშირებია გამოყენებული, მაგ: **ერ||ე, ლახ||ალახ, ჰე||ე, ნმა||ნმო, ესა** და ა. შ. ჩამოთვლილთაგან ზოგ მათგანს (**ერ||ე, ლახ||ალახ**) პარალელურად „რომ“ კავშირის მნიშვნელობაც აქვს. რაც შეეხება **აღტე||აღო** კავშირს, ლენტეხურსა და ჩოლურულში მხოლოდ „თუ“-ს მნიშვნელობით დასტურდება და ქართული „თუ“-სგან განსხვავებით, მხოლოდ და მხოლოდ მაქვემდებარებლის ფუნქცია აქვს. სვანურის სხვა დიალექტებისაგან განსხვავებით ლენტეხურიც და ჩოლურულიც პირობით დამოკიდებულ წინადადებაში „თუ“ კავშირის მნიშვნელობით **აღტე||ეღო** კავშირს ანიჭებს უპირატესობას.

აღნიშნული კავშირი სხვადასხვა დიალექტური ვარიანტებით დასტურდება: (ლნტ.) **აღტე||ეღტე||ეჲტე||აჲტე**, (ჩოლ.) **აღო||ეღო||ოღო||აღტე** (ეს უკანსკნელი (**აღტე**) ძირითადად გამოიყენება საყდრულ მეტყველებაში, რომელიც ტერიტორიულად ახლოსაა ლენტეხთან) და გამოყენების სიხშირით ლენტეხურსა და ჩოლურულში თითქმის ერთნაირ სურათს გვიჩვენებს. პარალელურად წინადადებაში შეიძლება ჩაენაცვლოს „თუ“-ს მნიშვნელობით გამოყენებულ **ლახ, ერ||ე, ნმო, ესა** კავშირებს:

ანღელს **ერ||ეღო** ლი აჲდარ, იმთე ესღრი (ჩოლ.) „მოსალოდნელი თუა ავდარი, სად მიდიხარ“

ლეზობდ **ლახ||ეღო** მრ ხაყა, დნრ იზბი (ჩოლ.) „საჰმელად თუ არ ვარგა, არავინ ჰამს“

აღე ლოქ **ე||ეღო** მრ ხაკუჩ, ჯეღ ლოქ ადეს ეხუდ (ჩოლ.) „ეს თუ არ გინდაო, თვითონ (მე) წაგიყვანო ცოლად“

ნმა||ეღო ეხმეწრი, ეზარ, **ე||ეღო** მრდნე კინჩხუ ჯიყურფა (ჩოლ.) „თუ გაიგებ, კარგი, თუ არადა კისერიც გიტეხია“

ესა||ეღო მერ ჯაკოკმან, ჩუაქუც (ჩოლ.) „თუ გეეჰვება („ყოყმანობ“), გაჩუმდი“.

ეღტე||ეღო კავშირის შემცველი წინადადება შეიძლება წინ უსწრებდეს ან მოსდევდეს მთავარ წინადადებას. თუ წინ უსწრებს მაშინ **ეღო** იწყებს ან მოქცეულია დამოკიდებულ წინადადებაში, ხოლო თუ მოსდევს **აღტე**, ძირითადად დამოკიდებული წინადადების შუაშია, ყოველთვის შემასმენლის წინ, თუმცა გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მთავრის მომდევნო დამოკიდებულ წინადადებას აღნიშნული კავშირი იწყებს.

მაგალითად, დამოკიდებული წინ უსწრებს მთავარს და **ეღო** კავშირი იწყებს დამოკიდებულ წინადადებას:

აჲტე ქათაქანდნე, ერქა იჰკენ ხაფშუტე (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., III, 42.) „თუ ააცილებს, მაშინ სხვა ესვრის“

ეჲტე||ეღტე პატრენ მარას ქა დემ ჳწყიდნა, ერქა ქა ჲედდახ ჯოდიახო (ლნტ., იქვე, 89) „თუ პატრონი კაცს ვერ გამოისყიდდა, მაშინ გაყიდდნენ შორს“.

დამოკიდებული წინადადება წინ უსწრებს მთავარს, **ელ** კავშირი კი დამოკიდებული წინადადების შუაშია (ყოველთვის ზმნის წინ):

მიჩა ცხარალს ლოქ **ელ** ქა ხათრნნებ, ერქა ჩუ ლოქ ხმნე ლელუს (ჩოლ) „ჩემ ფრჩხილებს თუ მასწავლითო, მაშინ გაჭმევო ხორცს“

ჭყანტ თაშ **აღტე** მად გულტა, ჩუ ხუაბქტედ ლგჯიმ თაშს (ლნტ., იქვე, 35) „ჭყინტი ყველი თუ არ გვაქვს, ვალბობთ მარილიან ყველს“.

დამოკიდებული წინადადება მოსდევს მთავარს და კავშირი დამოკიდებული წინადადების შუაშია მოქცეული:

ზურალ ჟი ხეკტეს ალგენელას, ღვაჟმარეს **ეტე** ადაშიამოლ (ლნტ., იქვე, 59) „ქალი უნდა ამდგარიყო, თუ კაცს უხსნიდა ხელს“

აჯახუ ლოქ ატახ, ნწყირ ლოქ **ელ** ხაკუ (ჩოლ.) „კიდევ დაბრუნდით, თუ გინდაო ცემა“.

მთავრის მომდევნო დამოკიდებულ წინადადებას იწყებს **ელ** კავშირი:

ერქა შიე გუტიტქა ზისხ ლოქ ახოვედენი, **აღტე** ლოქ მიჩა ჯუმლის მადმა ხეყერენი (ლნტ., იქვე, 167) „მაშინ ხელის გულიდან სისხლი წამომივაო, თუ ჩემ ძმას არაფერი დაემართებაო“

იმთე ლოქ ხაჭმა, **ელ** ლოქ მრ ხათრნა (ჩოლ.) „სად მისდევდით, თუ არ იცნობდით“.

არის შემთხვევები, როდესაც დამოკიდებული წინადადება მთავარშია მოქცეული:

ამენლო, **ელ** ლოქ ხაკუ, აჯახუ ლოქ ატახ (ჩოლ.) „აწი, თუ გინდა, კიდევ დაბრუნდით“

ათოჭკტარა, **ერე ეტე** (||**აღტე**) ქადასკინოლ, ქა ხაჩეშნა სკტებინ ღუაშნარს (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., III, 87) „უფიქრია, თუ გადავხტები, გავუსწრებო წინ ჯიხვებს“.

რიგ შემთხვევაში **აღტე||ელ** კავშირი შეიძლება ჩართული იყოს პრევერბსა და ზმნას შორის. პრევერბისეული ხმოვნისა და მაქვემდებარებელი კავშირის ხმოვნების (**ა, ო, ე**) შეხვედრა ჩოლურულში ხმოვნის დაგრძელებას იწვევს:

ქ'ელ ხაწდი, ქა ხაღრის (ჩოლ.) „თუ ამლევ, აღირსე“

ქ'რლო ხატულდა ეშრ, ერქა იმ მაბოდაუნა (ჩოლ.) „თუ დაუმახებდა მაინც, მაშინ რას მაბოდილალებდა“

განვიხილოთ პირობითდამოკიდებულიანი წინადადებაში შემავალი მთავარი და დამოკიდებული წინადადებების, კავშირებისა და კორელატის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პოზიციები, რაც ხშირ შემთხვევაში განპირობებულია ამა თუ იმ კავშირთა გამოყენებით; დამოკიდებული წინადადება წინ უძღვის მთავარს:

მინეშთ'ესერ **ჰესა** ათვანა, მაგინრ პატიუს ესერ ხაჩომხ (ზზ., სვან. პროზ. ტექსტ., I, 52) „ჩვენთან თუ მოხვდებიო, სამაგიერო პატივს გცემთო („უზამენო““

ესა ენხირნ'ი ედჟოჟღინი, ჩუ ხეჩო აღღარს სინტი-პინტის (ჩოლ.) „თუ გაბრაზდა და აყვირდა, მიმოფანტავს ამათ („უზამს ამათ პანტა-პუნტს““

მინე გეზალ ლოქ **ქ** ახსერნე, ქა ლოქ ხაჭუდი დინას (ლშხ.) „თუ თქვენი შვილი გაჯობებთო, მოგცემსო ქალიშვილს („მათი შვილიო შუ აჯობებს, მისცემსო გოგოს“

ნაუკვდას ლოქ **ქრ** დრმ იჩო, ლადელ ნარიდ ეშრ ლოქ ანჯად (ჩოლ) „მოსვლელობას თუ არ იშლიო, დღის სინათლეზე მაინც მოდიო“

ლეგმერდე ღალ **ლახ** ჟი დოშ იხჩოჭულ ი ჩუ იდგარი, ქორისგაშ მანგ ლიგჭნის ი ლილჭანლს იხნეხ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., I, 7) „ავადმყოფი თუ ვერ გამოკეთდება და კვდება, ოჯახის წევრები ყველა ტირილს და მოთქმას იწყებენ“

მოლე ფელტშალ ადგი **ლახა** ლი, ლადკელიშ აშხუ ჭტედს გიმჟი გგემხ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., III, 7) „რამე ფერდობივით ადგილი თუა, სათხეზოს ერთ კედელს მიწაზე დგამენ“

ემმა გეზალ ჯაკუ სი, ვაზირ **ემმა** ჯაკუ, გალტხარ შტიდებდ სგანფუ! (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., II, 63) „თუ შვილი გინდა შენ, ვეზირი თუ გინდა, კალატოხეზი მშვიდობიანად შემოუშვი“

ქა ლუცტორ ნადიენს ძლიდ გტი **ემა** ხედრლ, მიჩა გტეშს ულგტენად დემლა ცურდა (ჩოლ.) „მიტოვებულ გოგოს თუ დიდი გული ედო, თავის საქმეს შეუფასებლად არაფრით ტოვებდა“.

საილუსტრაციო მასალიდან ჩანს, რომ კავშირთა ადგილი შედარებით თავისუფალია, ხან დამოკიდებულის თავში გვხვდება, ხან შუაშია მოქცეული. იგივე კავშირები შეიძლება იქნას გამოყენებული ისეთ დამოკიდებულ წინადადებაში, რომელიც მოსდევს მთავარ წინადადებას:

მი ისგუზაშუმ მარღალ მეღტი, **ე** დო სი დომ ამამწარნე (სვან. პროზ., 344) „მე შენოდენა ვინ მეყვარება, თუ შენ არ გამამწარებ“

...ნაჭ ლჭჭა ლიშდ, ეშხუ ქა მრდ **ესა** ლწწად კესარ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., I, 337) „... ჩვენ დაწყველილები ვიყოთ, ერთი თუ არ დავპატიყოთ კეისარი“

ხელწიფხემ ხეხტდ დემეგ ადსისტკე, **ლახა** ამგტარ ტად ხულტე ი ხოჩა ლირდ ანსყე (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., II, 146) „ხემწიფის ცოლმა არ იუარა, თუკი ამგვარი ოცნება აქვს და კარგად მოილხინეს („კარგი ყოფა გააკეთა““

არაყს სგა ტგხედ ი ნატხანს ხტიხნედ, ხოლჭმაშა **ალახ** გტიცხა (ჩოლ.) „არაყს ჩავაბრუნებთ და გადაბრუნებულს ვხდით, უფრო მაგარი თუ გვირჩევენია“

ქაჭ ლოქ ანქუთნე ლეზობ-ლეთრე, **ემა** ლოქ ხაკუ ამხუა ლისყაღ (ჩოლ.) „მოყაროსო („გამოანძრისო“) საჭმელ-სასმელი, თუ უნდაო მტერთან შერიგება“.

ჩვენ მიერ დამებნილ საანალიზო მასალაში, ძირითადად ჭარბობს საწყის პოზიციასზე მდგომი დამოკიდებულებიანი წინადადებები, რომლებიც წინ უსწრებენ მთავარ წინადადებას. ნაკლებად გვხვდება მთავრის მომდევნო დამოკიდებული, ხოლო მთავრის შიგნით მოქცეული დამოკიდებული შედარებით იშვიათად – კერძოდ, **ედო** „თუ“ კავშირიანი დამოკიდებული დასტურდება ინლაუტ პოზიციასში (დიემ ი მუე გეზალს, **აღტე** ჭყინტ ლი, ჭყინტ გეზალ ხაჟახა (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., III, 19) „დედ-მამის შვილს, თუ ბიჭია, ვაჟიშვილი ჭქვია“), რომელიც, შესაბამისად, მხოლოდ ლენტეხურსა და ჩოლურულში გვხვდება (რაზეც ზევით ვიმსჯელებთ, იხ: აგრეთვე ნ. შავრეშიანი 2009: 222-226).

რაც შეეხება **ედო|ოდო** „თორემ“ კავშირიან პირობითდამოკიდებულ წინადადებას, რომელიც გვიჩვენებს შედეგს იმისას, თუ რა შეიძლება მოჰყვეს მთავარ წინადადებაში ნათქვამი ამბის შეუსრულებლობას, ქართულის მსგავსად, სვანურშიც უგამონაკლისოდ იწყებს დამოკიდებულ წინადადებას და ეს უკანასკნელი (დამოკიდებული წინადადება) ყოველთვის მოსდევს მთავარს:

უწრლად ჰაჯ ამაკდ, **ოდო** ალ ძან მგციდრუ ამაიპუნა, ბზი მეშხე ლეთ მრდ ეჯგენა (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., I, 152) „უგინებლად თავი დამანებე, თორემ ეს იონა დამღუპველად მექცეს, ამაღამ შავი ღამე თუ არ დაგაყენო“

ხოჩა გარ ესერუ ოსტეხნე მანგ, **ედო** მინს ესერ კინჩხარს ჟი ხაქტეცურე ჩი (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., II, 60) „კარგი მარტო მიუტანოსო ყველაფერი (ამბები), თორემ მათ ყველას კისრებს დააყრევინებსო („ამოაჭრისო“)“

ნომ ღერიხი დაჭხო, **ედო** იჯი ჩუ ჯადგარი სი (ლნტ., სვან. ქრესტ., 324) „ნუ მიდიხარ დევთან, თორემ ის მოგკლავს შენ“

ქაჭ ლახტიხ მიჩა დაჯღლ, **ედო** ამქმსა მაიდმუჭ ჩუ ლოქ ადგარი (ლშხ.) „დაუბრუნოსო თავისი თხა, თორემ ამაში მშიერს მოკლავსო“

ლაჭურა ლოქუ ანკარე, **ოდო** მიჩრ ლოქ ჩ'უაშგუდი ციცუშნლ (ჩოლ.) „სარკმელი გამოადეო, თორემ მასაც დაახრჩობსო კატასავით“

ვინაიდან პირობითდამოკიდებულნიან ჰიპოტაქსურ წინადადებაში დამოკიდებული მიემართება მთლიანად მთავარს და არა მის რომელიმე წევრს, მთავარ წინადადებაში კორელატი არ არის მოსალოდნელი, თუმცა არცთუ იშვიათად მთავარში შეიძლება შეგვხვდეს **ერქა|ერქას, ლო** „მაშინ“ ზმნისართები, მაგრამ აღნიშნულ წინადადებაში მას არ აქვს დროის (როდის?) მნიშვნელობა, არამედ გამოხატავს შედეგს (მაშინ = ამათუიმ პირობის არსებობის შემთხვევაში):

ეჯა ლახ თგრტუნს იკედ, **ერქა** სურასან ქა ჯედნი ჭიშგარ ქამენჩუ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., I, 126) „ის როცა ფრუტუნს იწყებს, მაშინ სურასახი გამოდის ჭიშგარსგარეთ“

ისგუ ლიწედ ერ ჩუ მეხლი, **ერქა** მი თხუმს დემ ხუაზარე (სვან. პოეზ., 342) „შენ რომ გნახავ („შენი ნახვა“) თუ მეცოდინება, მაშინ მე თავს არ დავზოგავ“

ალახ მინე სოფელისა დორს ხრგ, **ერქა** იშგნანგ იყდის (ჩოლ.) „თუ მათ სოფელში არავის უდგას, მაშინ სხვაგან ყიდულობენ“

აუე ჟი დემ ხუაზარაკაუტიდ, **ერქა** ქა ხუაქტეცურედ ნაწილანლს (ლნტ., სვან., პროზ. ტექსტ., III, 39) „თუ არ ვხრაკავთ, მაშინ ვაჭრით ნაწილებს“

ჰემა ჯა ლერდუნე ჩუ ხანც ი ღერთა ლიჯირალ საჭირო ლესუ, **ლო** ალას ქუთინუ ოხგენე (ბზ., სვან., პროზ. ტექსტ., I, 86) „თუ თვითონ საცოცხლებელი ყავსო და ღმერთის ვედრება საჭირო იყოსო, მაშინ ამას სული შთაბეროსო“

ღმრბეთ, ჰემა ჯიჟინდედ, **ლო** ალ თხუიმ ალ ტანს სგა ლანხალჯ ი ჟახსელაუ (ბზ., სვან., პროზ. ტექსტ., I, 101) „ღმერთო, თუ გეცოდებოდეთ, მაშინ ეს თავი ამ ტანს მიაბი და გააცოცხლე“

... ქ'ესერ ჰ'არ ლახწუტნი მიჩ ი ლამშედნლ ესერ ჰემა ხემდედი, **ერქ** ესერ ჯაი მუმურჯი ხერა (ბზ., იქვე, 193) „...თუ ვინმე დაენახება მას და დახმარება თუ შეეძლება, მაშინ თვითონ დამხმარე ეყოლებაო („ექნება“)“

საბრალ ბეთქან **ერქას** ხუირა, ლახ მუჟალჟან ფუსნარ მერახ (უმგ., სვან. პოეზ. 284) „საბრალო ბეთქანი მაშინ ვიქნები, თუ მუჟალელები ბატონებად მე-ყოლებიან“.

როგორც განხილულმა მასალამ აჩვენა, კორელაციანი მთავარი წინადადება ძირითადად წინ უსწრებს დამოკიდებულს, თუმცა იშვიათად შეიძლება მოსდევდეს.

სვანურში არცთუ იშვიათად პირობითი დამოკიდებულის მთავართან შესაერთებლად ერთდროულად გამოყენებულია ორ-ორი კავშირი: **ლახ ესა, ერ ესა, ელო ესა, ელო ემა, აღუ'ერე** (ლენტეხურში როდესაც **აღუ'ე**-ს ახლავს **ერე** „რომ“ კავშირი, თუ წინ უსწრებს **ერე**-ს, **აღუ'ე** კავშირის ხმოვნის შეხვედრა **ერე** კავშირის ხმოვანთან ჩვეულებრივ ელიზიას იწვევს), რომელთა მნიშვნელობაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში კონტექსტით ადვილად ირკვევა და „თუ“ მაქვემდებარებელი კავშირის ეკვივალენტია, მიუხედავად იმისა, რომ ცალკე აღებული **ლახ** და **ერე|ერ** კავშირებს შეიძლება „რომ“ კავშირის მნიშვნელობაც ჰქონდეს.:

ალ'ესერ მინსრ ჩის ამჟინ ათწინი, **ლახე** ჟი **ესა** ანხირნი (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., I, 189) „ეს მათაც ყველას ასე მოერევაო, თუ გაბრაზდაო“

მიშგუი ჭაშ **ერ ესა** ენმეკრი, ეჩა შიარშუ ეჯკედნი ნაწერ (ჩოლ.) „ჩემი ქმარი თუ გაიგებს, მისი ხელით მოკვდები („მოგივა წერა“)“

აღუ'ერე (||**ეღუ'ერე**) ზისხ გარ ლი, ერქა ჯიმს ხანაჩდებ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., III, 61) „თუ სისხლი მარტოა, მაშინ მარილს ურევენ“

აღუ'ერე შიშტ დემ ადდაგარი ხამ, ჟი ხეკუეს ლახაჭკორის ფოჩლიკარ (ლნტ., იქვე. 61) „თუ მალე არ მოკვდება ღორი, უნდა დააჭრან ფეხები („ჩლიქები“)“

სამართლიან **ელო** ლოქ **ერ** ლესეს, ერქა ხოჩამდ ლოქუ ემტებელი (ჩოლ.) „სამართლიანი თუ იყო, მაშინ კარგად დაბრუნებულიყავიო“

იმრეთალ **ჩუ'ერ ესა** მიღლატნებ, მიშგუი გეზლირს ათწორაღნედ მიშგუი თხუმ (ლშხ.) „იმერლები თუ მიღალატებენ, ჩემს შვილებს ასისხლებინეთ ჩემი თავი“

ჩუ **ელო ესა** ამშიხნებ, ფერფლ ნოსა აშგდა (ჩოლ.) „თუ კი დამწვავენ, ფერფლი არ გადაყარო“

ჩუ **ელო ემა** ეხრეკი, ერქა ეთემწარანდ მაგ ლამურჯდ (ჩოლ.) „თუკი ჩამოეკიდება, მაშინ უნდა მიხმარება“.

ჩამოთვლილ ილუსტრაციებში **ელო ესა, ელო ემა** კავშირებს „თუ კი“-ს მნიშვნელობა აქვს, თუმცა ელო კავშირმა დამოუკიდებლადაც შეიძლება გადმოსცემს „თუ კი“-ს სემანტიკა.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი კავშირების ერთდროულად გამოყენება არანაირ დამატებით სემანტიკას არ სძენს წინადადებას, უფრო მეტიც თავისუფლად შეიძლება ჩაენაცვლონ ერთმანეთს. რთულ ქვეწყობილ წინადადებებში კავშირთა მსგავსი თანხვედრა არა მარტო სვანურისათვისაა დამახასიათებელი, არამედ ქართულისთვისაც.

პირობითდამოკიდებულებიან წინადადებაში შემავალი მთავარი წინადადება უმეტესწილად თხრობითია, თუმცა შეიძლება იყოს კითხვითი, ბრძანებითი, ძახილისა და კითხვით-ძახილისა:

მიჩა ხეხუს ესერ მან ქა ხრქუა ამკალიზ ბოფშარ ჰესა ახთენენს, ეჩქესერ მუგუსუ ათბარდეს ლანდ მიჩაშთე (ზხ., სვან. პროზ. ტექსტ., I, 143) „მის ცოლს რაც უთქვამს ასეთი ბავშვები თუ გაუჩნდესო, მაშინ მტრედს გამოატანონო („მიბარონ“) წერილი მასთან“

ამთან დერ ლოქ ელო ხაზენა ი ამთანდ ლოქ ელო ლემღირანლინ, ათხად ლოქ დო იკდენა კუკუმს? (ჩოლ.) „ამისთანა ხმა თუ ქონდაო და ასე („ამისთანა-და“) თუ მღეროდაო, აქამდე რატომ არ იღებდაო ხმას?“

ჟუდ ესერ აშმდელი ჟი ი მიჩა ცოდუ ესერ ხაჯუ, მიჯნემ ესერ ჰერ ჟესა ანკვდას ი ჟი ჰესა ანდცხუნას! (ზხ., სვან. პროზ. ტექსტ., I, 178) „ძილი არ გელირსოსო („ძილი ამოგიწყდესო“) და ჩემი ცოდვა გედოსო, ხმა თუ ამოიღოსო და თუ გააღვიძოსო!“

ამჟუ ერ მრმ ოსდან, ქა დერ ხექდრლხ ჟი ლიგყრანლ?! (ჩოლ.) „აქ რომ არ დაედო, ხომ ასცდებოდათ დაქცევა („აყრა“)?!“

პირობითდამოკიდებულიანი ჰიპოტაქსურ წინადადებაში დამოკიდებულისა და მთავარი წინადადებების ზმნა-შემასმენლებს შორის საინტერესო ვითარებაა _ ხან ერთი და იმავე მწკრივის ფორმებია გამოყენებული, ხან კი სხვადასხვა მწკრივისა:

აღუ’ერ ასლანბექ მესემე ლანდედ დემ **ანკედენ**, ეჩქა ალმანის **ჟანაჯანან** (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., III, 140) „თუ ასლანბექი მესამე დღეს არ მოვიდოდა, მაშინ ალმანის მოხარშავდენენ“

თერალს ლახ ხოჩამდ **ანფხრე**, ქა **ხენდენიხი** სრმაგ მიშგუი ნასკეთს (ჩოლ.) „თვალეს თუ კარგად გაახელ, დაინახავ შენც ჩემს გაკეთებულ საქმეს („ნასიკეთარს“)“

მიჯნემ ესერ ჰესა **ადუნას**, ეჩქას ესერ მიჯნემუ **ლახტუმ** ძუჰერა (ზხ., სვან. პროზ. ტექსტ., I, 152) „თვითონ თუ დაადინოსო, მაშინ თვითონ მისცესო საცერი“

ამჟი ნომ **მაყლე**, ედო თხუიმს სგა **ხუანბე** ბაჩარს (ზხ., სვან. პროზ. ტექსტ., I, 24) „ასე ნუ მეუბნები, თორემ თავს მივახლი ქვებს“

მიჩ **ათოჭკუარა**, ერე ეტე (||აღვე) **ქადასკინოლ** ქა **ხაჩეშენა** სკუტებინ ღუაშარს (ლნტ., იქვე, 87) „თვითონ უფიქრია, თუ გადავხტები, გავუსწრებო წინ ჯიხვებს“

ჯრდი ლარაქა ლოქ ნომანუ **ადიე**, ედო დანარ ლოქ **ხეხრლიხ** (ლშხ.) „გრძელ მინდორზე არ წაიყვანო, თორემ დევები შეგხვდებიანო“

ჰირობჟი მეზგახენქა ლახ დარ მოშ **ღერი**, ეშუ მარემი ნათი ლეზობლეთრას ეჯღან ქა **ხოზიხ** (ჩოლ.) „ჰირზე ოჯახიდან თუ ვერავინ წავა, ერთი კაცის წილ სასმელ-საჭმელს ისედაც უზავნიან“

განხილულმა მასალამ ცხადყო, რომ სვანურში, ძირითადად გავრცელებულია ისეთი შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა მწკრივის ზმნა-შემასმენლებია დამოკიდებულსა და მთავარ წინადადებებში გამოყენებული.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ სვანურში მკვეთრად არის ჩამოყალიბებული პირობითდამოკიდებულიანი ქვეწყობილი წინადადებები, რომელთა სისტემურობა და მრავალფეროვნება კავშირთა სიუხვითა და თავისებურებებით არის განპირობებული (რითაც ხასიათდება სვანურის დიალექ-

ტები). ჩვენ მიერ დამუშავებული სახანალო მასალაში ძირითადად ჭარბობს საწყის პოზიციაზე მდგომი დამოკიდებულებიანი წინადადებები, რომლებიც წინ უსწრებენ მთავარ წინადადებას. ნაკლებად გვხვდება მთავრის მომდევნო დამოკიდებული, ხოლო მთავრის შიგნით მოქცეული დამოკიდებული შედარებით იშვიათად. არცთუ იშვიათად მთავარ წინადადებაში წარმოდგენილია საკორელაციო სიტყვა **ერქა||ერქას, ღო** „მაშინ“, რომელიც გამოხატავს იმ პირობის შედეგს, რაზეც დამოკიდებულშია საუბარი. ხშირად დასტურდება შემთხვევები, როდესაც პირობითი დამოკიდებულის მთავართან შესაერთებლად ერთდროულად გამოყენებულია ორ-ორი კავშირი, რომელთა მნიშვნელობაც კონტექსტში ერთი მაქვემდებარებელი კავშირის ეკვივალენტია. რთულ ქვეწყობილ წინადადებებში კავშირთა მსგავსი თანხვედრა არა მარტო სვანურისათვისაა დამახასიათებელი, არამედ ქართულისთვისაც, თუმცა სვანურისაგან განსხვავებით, ქართულში ორივე კავშირს ფუნქცია და სემანტიკა შენარჩუნებული აქვთ.

ლიტერატურა (ტექსტები):

- სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსზემოური კილო, თბილისი, 1939
 სვანური პროზაული ტექსტები, II, ბალსქვემოური კილო, თბილისი, 1957
 სვანური პროზაული ტექსტები, III, ლენტეხური კილო, თბილისი, 1967
 სვანური პროზაული ტექსტები, IV, ლაშხური კილო, თბილისი, 1979
 სვანური ენის ქრესტომათია, თბილისი, 1978
 სვანური პოეზია, I, თბილისი, 1939

NATO SHAVRESHIANI, SHORENA SHAVRESHIANI

On Conditional Subordinate Clause in Svan

S u m m a r y

In Svan the conditional subordinate clauses are systemic and diverse that is caused by the abundance and the peculiarities of the connectors (that is characteristic for the Svan dialects). In the material studies by us the subordinate clause is often the first part of a sentence and accordingly it precedes the main clause. The subordinate clause that follows the main clause can be found not often while the subordinate clause inside the main clause can be found less often. In the main clause the correlative word **ečka|| ečkas, γo** (then) is often included that expresses the result of the condition that is discussed in the subordinate clause.

ეთერ შენგელია

**ორი მეგრული სიტყვა (დღა „დღე“
და სერი „ღამე“) იდიომებში**

მეგრ. **დღა** „დღე“ და **სერი** „ღამე“ ლექსემები საკმაოდ აქტიურია იდიომებში მონაწილეობის თვალსაზრისით. ამ ლექსიკური ერთეულების შემცველი იდიომები გამოხატავენ სხვადასხვა შინაარსს. გამოიყოფა შემდეგი სემანტიკური ჯგუფები:

კარგი, უზრუნველი, დალხენილი ცხოვრება:

(**ჩე**) **დღას ქუგობირანქ** „კარგად გაცხოვრებ“ (ზედმიწ. „(თეთრ) დღეს გაჩვენებ“) (ჩვენი მასალა).

კონტექსტის მიხედვით **ჩე დღა**-ს „თეთრი დღე“ მონაწილეობით უარყოფითი შინაარსიც გადმოიცემა: მუშ სიცოცხლეს ართი **ჩე დღა ვაუძირუ** „თავის სიცოცხლეში კარგად არ უცხოვრია“ (ზედმიწ. „თეთრი დღე არ უნახავს“) (ჩიქვანაია 2008: 78); **ით ვეგერე ჩე დღას** „არც ის ცხოვრობს კარგად, დალხენით“; „არც მას ადგას კარგი დღე“ (ზედმიწ. „არც ის ადგას თეთრ დღეზე“) (ქობალია 2010).

დასჯა, პასუხის მოთხოვნა:

უჩა დღას გეგორინუა „დაგსჯი, პასუხს მოგთხოვ“ (ზედმიწ. „შავ დღეზე დაგაყენებ“) (ქობალია 2010). ქართ. **შავ (ცხარე, ცუდ, ავ ...) დღეს დააყენებს** ძალიან ცუდ ამბავს დაატებს, დიდ უსიამოვნებას მიაყენებს; დღეს, ყოფას გაუმწარებს; ძალიან დატუქსავს, გაუჯავრდება (ქეგლი III, 1953)..

გამწარება, გასაჭირის შექმნა:

უჩა დღას მოიდვა „გამწარებ, გასაჭირს შეგიქმნი“ (ზედმიწ. „შავ დღეს დაგიყენებ (დაგიდებ)“ (ჩვენი მასალა); ორჩინუეს **უჩა დღა გიორე** „სიბერეში უჭირს“ (ზედმიწ. „სიბერეში შავი დღე ადგას“ (ქაჯაია I, 2001): ქუმორთას აშო, **გეგორინუანქ იობიშ დღას** – მოვიდეს აქ, სატანჯველში ჩავადებ (ზედმიწ, „იობის დღეზე დავაყენებ“) (ქაჯაია II: 90). იგულისხმება მრავალვნივლი იობის ცხოვრება ძვ. წ. აღ.-ის 2000-1800 წლებში (ბიბლია, იობი, 1989: 472-298).

უბედური (ადამიანი):

უჩა დღას (დღაშოთ) დაბადებული „გაჭირვებისათვის გაჩენილი“ (ზედმიწ. „შავ(ი) დღეს (დღისთვის) დაბადებული“) (ჩვენი მასალა); **უჩა დღას ცოფე დაბადებული** „გაჭირვებისთვის გაჩენილა, დაბადებულა“ (ზედმიწ. „შავ დღეს ყოფილა დაბადებული“) (ქაჯაია I, 2001). შდრ. ქართ. **შავ (უბედურ) დღეზე გაჩენილი (დაბადებული)** „უბედური, საცოდავი“ (ქეგლი II, 2010).

გასაჭირის დროისთვის, სიკვდილის დღისთვის:

უჩა დღაშო(თ) მუთას ჩუანთ: „შავი დღისთვის არაფერს ინახავთ“. (ქაჯაია I, 2001). შდრ. ამავე მნიშვნელობით ქართ. **შავი დღისთვის**.

უიღბლოდ დაწყებული, წარუმატებელი:

უჩა დღაშ გუნაჭყეფი (გინაჭყეფი) „ავბედით დღეს დასაბამებული“ (ზედმიწ. „შავ დღეს დაწყებული“) (ქობალია 2010).

აღსასრულამდე:

უჩა დღაშა „სიკვდილამდე“ (ზედმიწ. „შავ დღემდე“) (ქობალია 2010).

მძიმე მდგომარეობაში ყოფნა, ჩავარდნა, ჩაყენება:

ამ შინაარსის შემცველი რამდენიმე იდიომი გამოიყოფა: **უჩა დღაშ გერინა** „მძიმე მდგომარეობაში ყოფნა“ (ზედმიწ. „შავ დღეზე დაყენება“) (ქობალია 2010); **უჩა დღას გიორინუანს** „მძიმე მდგომარეობაში ჩაყენებს“ (ზედმიწ. „შავ დღეზე დაყენებს“) (ჩვენი მასალა). ამავე მნიშვნელობას გამოხატავს ქართ. **შავ დღეს აყრის** (ქეგლი III, 1953).. ამ სემანტიკას მეგრ. **დღა** „დღე“ მსაზღვრელი **უჩა** „შავის“ მონაწილეობის გარეშეც გადმოსცემს. **გაჭირებული დღა** უღუ „უჭირს“ (ზედმიწ. „გაჭირებული დღე აქვს“). შდრ. ქართ. **ჭირის დღესავით** (ქეგლი II, 2010). უარყოფით ნიუანსს **მუ** „რა“ კითხვითი ნაცვალსახელი ანიჭებს: **მუ დღას გიორინუანს || ინმარინუანს** „მძიმე მდგომარეობაში აყენებს, მძიმე პირობებს უქმნის (ჩვენი მასალა). შდრ. ქართ. **რა დღეში აგდებს (აყენებს)** (ქეგლი III, 1953). ამ შინაარსის გადმოსაცემად იდიომის შექმნაში მონაწილეობს მეგრ. **ჯგირი-ი** „კარგი“: **ჯგირი დღას გიორინუანს** „მძიმე, ცუდ პირობებს შეუქმნის“ (ზედმიწ. „კარგ დღეზე დაყენებს“) (ჩვენი მასალა). მოსალოდნელი დადებითის ნაცვლად უარყოფითი შინაარსი გადმოიცა. დასტურდება, აგრეთვე, იმავე კომპონენტების შემცველი იდიომი, სადაც ზმნას **ვე-** უარყოფითი ნაწილაკი ახლავს: **ჯგირი დღას ვეგიორინუანს** „ცუდ მდგომარეობაში ჩააგდებს“ (ზედმიწ. „კარგ დღეზე არ დაყენებს“) (ჩვენი მასალა). ამავე მნიშვნელობით შდრ. ქართ. **კარგ დღეს არ დააყრის**.

დიდი უბედურების წვევა, განსაცდელი, გასაჭირი, სატანჯველში ჩავარდნა:

უჩა დღაშ გოთანაფა „დიდი უბედურების წვევა, სატანჯველში ჩავარდნა“ (ზედმიწ. „შავი დღის გათენება“). ღორონს ქოვთხუათ, **უჩა დღა ვაგომითანუანინ** „ღმერთს ვთხოვოთ, უბედურება არ შეგვამთხვიოს (ზედმიწ. „შავი დღე არ გაგვითენოს“) (ჩიქვანაია 2008: 66). შდრ. ქართ. **შავი, მწუხარე დღე გაუთენდება**.

გლაბა დღაქ გიოდირთუ კინიი მუშიანეფიშე – ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა ისევ (კვლავ) თავისიანებისაგან (ზედმიწ. „ცუდი დღე დადგა“) (ქაჯაია I). შდ. ქართ. (შავი, ცუდი, ავი, მწარე...) დღე ადგას, ცუდ მდგომარეობაშია, დიდ გასაჭირშია, განსაცდელშია (ქეგლი III, 1953).

იღბლიანი:

ბედნიერი დღაში გუნარჩქინა რე „იღბლიანია“ (ზედმიწ. „ბედნიერ დღეს არის დაბადებული“). შდრ. ქართ. **ბედნიერ ვარსკვლავზე (დღეზე) დაბადებული** – ვისაც ცხოვრებაში ბედი აქვს, – ბედნიერი (ადამიანი) (ქეგლი III, 1953).

ხანგრძლივი სიცოცხლე:

დიდი დღა მეჩას ღორონთქ! დალოცვაა. „დიდხანს იცოცხლოს, ხანგრძლივი სიცოცხლე მისცეს ღმერთმა!“ (ზედმიწ. „დიდი დღე მისცეს ღმერთმა!“) (ქაჯაია I, 2010).

საქმის ცუდად წარმართვა, ღრმად მოხუცებულობა:

იში დღალეფი კოროცხილიე „მძიმე მდგომარეობაშია, სიკვდილის პირასა ან შესაძლებელია, საქმეში დამარცხდეს“ (ზედმიწ. „იმისი დღეები დათვლილია“) (ქაჯაია I, 2001). ამ შინაარსის გადმოსაცემად **დღა „დღესთან“** ერთად მეგრ. **სერი „ღამეც“** იღებს მონაწილეობას. მაგ.: **კოროცხილიე იში დღა დო სერი** „სიკვდილის პირასა“ (ზედმიწ. „დათვლილია მისი დღე და ღამე“) (ქაჯაია IV, 2009). შდრ. ქართ. **მისი დღეები დათვლილია**.

იში დღაქ დელიოუ „მისი ცხოვრება გათავდა, საქმე შეწყდება, წარმატებით ვერ წარმართება“ (ზედმიწ. „მისი დღეები დაილია“) (ჩვენი მასალა). **დღა დაღური** „სიკვდილის პირას მისული, მომაკვდავი“ (ქაჯაია IV: 2009). შდრ. ქართ. **დღე გაუქრება (დაელევა)**.

დიდი დღა ვაულუ (ვაუქარუ) „მაღე მოკვდება ან რომელიმე საქმეში წარუმატებელი იქნება“ (ზედმიწ. „დიდი დღე არ აქვს (არ უწერია“) (ქაჯაია IV, 2009).

დიდი უბედურების, ტანჯვის დღე:

ხატიშ მატახალიშ დღა „დიდი უბედურება, ტანჯვა“ (ზედმიწ. „ხატის გამტეხის დღე“). **ხატიშ ტახუა** „ხატის ტეხა, მკრეხელობა; ეკლესიის ქონების მარცვა“ (ქობალია 2010). ამ მკრეხელობის ჩადენის გამო დიდი უბედურება ეწეოდა ადამიანს. აქედან გამომდინარე, დამკვიდრდა, ალბათ, ეს გამოთქმა.

მადლიანი (მაღის მქონე), იღბლიანი, საკრალური დღე:

კვათირ დღა „საკრალური, აღკვეთილი, ტაბუდადებული „ვაშინერებუ-ლი“ დღეა, ამ დღეს იკრძალება ჭრა, კერვა, სხვა არააუცილებელი საქმე, მაგრამ კეთილსასურველი დღეა ყველა კარგი საქმის წამოწყებისთვის, განსხვავებით კვიმატი დღეებისაგან“ (ქობალია 2010). (ზედმიწ. აღნიშნავს: „მჭრელ (ბასრ) დღეს“).

უიღბლო (შეკრული) დღე:

ამდღა **კვიმატი დღა** რე, მუთუნქ ვამაკეთინ „უიღბლო (ზედმიწ. შეკრული) დღეა, ვერაფერი ვერ გავაკეთე“ (ჩვენი მასალა).

მძიმე განსაცდელი, პასუხისგების, განკითხვის დღე:

ნარკვანიაშ დღა „განკითხვის დღე“ (ქობალია 2010). ნარკვანიაშ(ი) დღას გეგორინუანქ „მძიმე განსაცდელს შეგიქმნი“ (ზედმიწ. „განკითხვის დღეზე დაგაყენებ“) (ჩვენი მასალა). შდრ. ქართ. **განკითხვის დღე** – ხალხთა საყოველთაო გასამართლების, მეორედ მოსვლის დღე, როდესაც ყველას პასუხი მოეთხოვება თავისი საქმიანობისათვის (ქეგლი II, 1951).

ცხოვრების გათრევა; სიცოცხლის გახანგრძლივება; საქმის გაჯანჯლება:

თაში რენ დო თეში რენ, არძას მუში **დღა მეულუ** „ასეა თუ ისე, ყველა თავის ცხოვრებას მიათრევს“ (ზედმიწ. „დღე მიაქვს“); კეთება ოზრახუნ თიშენ **დღა მეულუ** „გაკეთება ეზარება, ამიტომაც საქმეს აჯანჯლებს, დრო გაჰყავს“ (ჩიქვანაია 2008: 22).

დროის გაყვანა, უქმად ყოფნა, გაჭირვებით ცხოვრება, სიდუხჭირის ან ფიზიკური უძლურების გამო:

დღა მეუღლე დრო გაჰყავს, უქმად არის, მატერიალურად უჭირს ან უძლურად არის. გვაქვს მისგან ნაწარმოები: **დღაში მაღალარი** „უქმარა“ (ზედმიწ. „დღის მატარებელი“) (ჩვენი მასალა).

სიკვდილმოწეული:

დღა დალეული-ი || **დაფური** სქანი, მუჭო თეი დღას ტყურათ ოსერუანქინი „დაგელიოს დღე, როგორ უქმად აღამებ“ (წყევლაა) (ჩიქვანაია 2008: 21). შდრ. ქართ. **დალეული დღეები** – განვლილი, გატარებული დღეები (ქეგლი II, 2010).

განათება, გათენება:

სერ ითებ დო უკუმელაშე **დღაში სინთე მოკვათენც** „ღამე თავდება და სიბნელიდან დღის სინათლე მოწვეთავს (ე. ი. თენდება)“ (ქაჯაია IV, 2009). შდრ. ქართ. **დღის ნათელი**.

ხანგრძლივი დღე:

მუ დღა გუმურსუ „რა ხანგრძლივი დღეა“ (ზედმიწ. „რა დღე გამოდის“) (ჩვენი მასალა).

მუდამ ყოველთვის (ხსომება, კეთება რამისა):

ღურა დღაშა მეყუნა (ზედმიწ. „სიკვდილის დღემდე გაყოლა“): სქანი ნარაგადი **ღურა დღაშა ქიმემაყუნუ** „შენი ნათქვამი სიცოცხლის ბოლომდე“ (ზედმიწ. „სიკვდილის დღემდე“) მიმყება“. **ღურა დღაშახვ** წიმინდე სამართალს კვათენდგ – სიკვდილამდე წმინდა სამართალს იცავდა (ქაჯაია II 2002). (ზედმიწ. „სიკვდილის დღემდე წმინდა სამართალს კვეთდა“).

ირ ღორონთიმ დღას „ყოველ ცისმარე“ (ზედმიწ. „ყოველ ღვთის დღეს“) (ქობალია 2010). **ირი ღორონთიში დღას** ჩქიმი კარს გერე „ყოველ ცისმარე ჩემს კარზე დგას“ (ჩვენი მასალა); **ირი დღას** შარას გილარე „მუდამ, ყოველდღე, დღენიადგ, ყოველთვის გზაზე“ (ჩვენი მასალა). შდრ. ქართ. **მუდამ დღე**.

სიცოცხლის ბოლომდე:

მუშ დღაშ დალიაშა „სიცოცხლის ბოლომდე“ (ქობალია 2010). (ზედმიწ. „თავისი დღის დალევამდე“).

რამეს მძიმე მდგომარეობამდე მიყვანა:

ღურა დღაშა ქიმიყონგ „მძიმე მდგომარეობამდე“ (ზედმიწ. „სიკვდილის დღემდე“) მიიყვანა“ (ქაჯაია IV, 2009).

(ცუდი) დღის მოწევა, დადგომა:

მუ დღაქ მუმადუ „რა დღე მეწია, დამიდგა, ცუდი მდგომარეობა შემექმნა“; **გეგეიშასინ თი დღა მოდვადირი** (მოდვადირი) იშ დუს „როგორ თავის ნებაზე დადის, დიდხანს არ გაგრძელებულიყოს მისი სიარული“ (ზედმიწ. (ის) დღე სწეოდეს“) (ჩიქვანაია 2008: 25); **მუ დღაშა მოფრთი!** რა ცუდი მდგომარეობა შემექმნა (ზედმიწ. „რა ცუდ დღემდე მოვედი“). **ღურა დღაშა ნუ მიიონას** ღორონთქ „დაბერება არ დასცალდეს“ (წყევლაა) (ზედმიწ. „სიკვდილის კარამდე ნუ მიიყვანოს ღმერთმა“) (ჩიქვანაია 2008: 72).

ყოველთვის, მთელი ცხოვრება:

მუშ დღა დო მოსწრება ირო ჯიბეცარიელო გიფურთუმუ „ყოველთვის ჯიბეცარიელს უვლია“ (ჩიქვანაია 2008: 94). ამავე მნიშვნელობით შდრ. ქართ. **მისი დღე და მოსწრება** (ქეგლი V, 1958).

თბილი, მზიანი, წყნარი ამინდი:

ამუდღა მუსირე კოჩი ვექუნსინ, ნამდვიი **საღორონთო დღა** რე „დღეს კაცი რას არ გააკეთებს, კარგი ამინდია (ზედმიწ. „საღვთო დღეა“) (იტყვიან, როცა ხანგრძლივი ავდრიანობის შემდეგ ისეთი დღე გამოერევა, რომელიც დილიდანვე კარგ განწყობას უქმნის და ხალისს მატებს ადამიანს) (ჩიქვანაია 2008: 58). ამავე შინაარსს გადმოსცემს იდიომი: **ღორონთიში დღა** „კარგი, მშვენიერი დღე“ (ზედმიწ. „ღვთის დღე“): ართი **ღორონთიში დღას** უწუუ თე გურაფილი სქუაქ „ერთ მშვენიერ დღეს უთხრა ამ ნასწავლმა შვილმა“ (ქაჯაია III, 2002).

ავდარი, გასაჭირი:

უბადო || გლახა დღა „ავდარი (ან უბედური, გასაჭირის დღე)“. (ზედმიწ. „ცუდი დღე“) (ქაჯაია III, 2002). ამდღა **უბადო || გლახა დღა რე** „დღეს ცუდი ამინდია (ძირითადად წვიმიან ამინდზე იტყვიან)“ (ზედმიწ. „ცუდი დღეა“).

უკეთესი ცხოვრება, პირობები:

ანწიანწიმე **უჯგუში დღალეფი იყუაფუ** „ამიერიდან, მომავალში უკეთესი პირობები იქნება“ (ჩვენი მასალა).

წინააღმდეგობის დაძლევა:

მუნაგაქ დღას ვაგმათანუ „სიბნელე, ღრუბელი ვერასოდეს გავათენე“ (ქაჯაია III, 2002). მოცემული იდიომი შეიძლება განიმარტოს ამგვარად: „წინააღმდეგობა ვერასდროს ვერ დავძლიე“ (ზედმიწ. „ღრუბელი ვერასდროს ვერ გავათენე“).

ირკოს მუში დღა მოძე „ყველას თავისი წილი (ხვედრი) შეხვდება“ (ზედმიწ. „ყველას თავისი დღე აქვს მოდებული“) (ჩვენი მასალა).

ბუნებრივი სიკვდილით აღსრულებული:

მუშ დღათ ღურელი „ბუნებრივი სიკვდილით (ზედმიწ. „თავისი დღით) მკვდარი“ (ქობალია 2010).

დღევანდლობა:

ამდღარი დღა ჩქინო ჭითა ობიშხა რენია... „დღევანდელი დღე || დღევანდლობა ჩვენთვის უბედურიაო“ (ზედმიწ. დღევანდელი დღე ჩვენთვის წითელი პარასკევიაო (ყიფშიძე 1914: 216, 14).

ძალიან შორს:

ჩხორო დღაში ოლუ „ძალიან შორი“ (ზედმიწ. „ცხრა დღის სავალი“) (ქაჯაია III, 2002).

დღითი დღე:

დღა დო დღათი „დღითი დღე, დღიდან დღემდე, ყოველდღე (ქაჯაია I, 2001). შდრ. ქართ. **დღითი დღე**.

მეგრ. **სერ**-ი „ღამე“, ასევე, ქმნის სხვადასხვა სემანტიკურ ჯგუფს:

უძილოდ, შფოთიანად, მოუსვენრად გატარება ღამისა, თეთრად გათენება:
სერი ჩეთ გაათაანუ უძილოდ, შფოთიანად, მოუსვენრად გაატარა ღამე“ (ზედმიწ. „ღამე თეთრად გაათენა“); ღუმანეი **სერი ჩეთ გოვოთანეთ** „წუხანდე-ლი ღამე თეთრად გავათენეთ“ (ჩიქვანაია 2008: 59).

ღამის გათევა:

შხირას **ტახუნს სერს** „ხშირად ათევს ღამეს (ზედმიწ. „ტეხს ღამეს“) (ქაჯაია III).

გამწარება:

„ვაკომირღვა ათე საქმე, **სერო ვაგომიშქვა დღაში**“... „არ დამიშალო ეს საქმე, დღე ღამედ არ მიქციო“ (სამუშია 1971: 34, 100).

ხანგრძლივი ღამე:

ქუაში კირუა სერი გიშმურსია „დიდი, ხანგრძლივი ღამეაო“ (ზედმიწ. „ქვის გამოსაწვავი ღამე გამოდისო“) (ქაჯაია III: 155). **კირჭუალა სერი** „კირის წვის ღამე“ || გადატ. ხანგრძლივი (გრძელი) ღამე. **კირჭუალა სერი გიშურსია**, უჭირსინი თი კოჩიშო: (ხალხ. სიბრ., I, გვ. 68) – „უთენებელი (კირსაწვავის) ღამე გამოვო, რომ უჭირს იმ კაცისათვის“. კირის გამოწვას დიდი დრო უნდა და აქედანა იდიომი: **კირჭუალა სერი**, რომელიც < **კირიშ ქუალა სერისაგან** „კირის წვის ღამე“ (ქაჯაია II); ზოთონს მუ **სერი გუმურცუ** „ზამთარში ხანგრძლივი ღამეა“ (ზედმიწ. „ზამთარში რა ღამე გამოდის“) (ჩვენის მასალა).

ჭიაკოკონობის ღამე:

ემშაკეფიშ სერი (ზედმიწ. „ემშაკეფის ღამე“) (ქობალია: 299).

ძალიან ბნელი ღამე:

წკვარამი სერი (წკურუმი) (ქაჯაია III). თიჯგუა **წკურამი სერი** რე, თოლ(ი)შა კითი ვემიღინე „ისე მზნელა, თვალთან თითს ვერ მიიტან“ (ჩვენის მასალა).

იდიომებში მონაწილეობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია მეგრ. **დღა(შ)ი დო სერი**-ი „**დღე და ღამე**“ კომპოზიტი, რომელიც ქმნის სხვადასხვა სემანტიკურ ჯგუფს:

გამუდმებით, განუწყვეტლივ:

დღაში(თ) დო სერით „დღისით და ღამით, დღისა და ღამის განმავლობაში“ (ქაჯაია I, 2001). **დღაში დო სერით** ირო შარას გილარე „გამუდმებით, განუწყვეტლივ (ზედმიწ. დღისითაც და ღამითაც) სულ გზაშია“ (ჩვენის მასალა). შდრ. ქართ. **დღე და ღამე** „ყოველთვის, მუდამ“.

ვინმესთვის საქმის გაფუჭება:

მუჭო **წააგონუ** იში **დღა დო სერი** – რა უქნა, როგორ წაახდინა იმისი ცხოვრება (ზედმიწ. „წაახდინა მისი დღე და ღამე“) დღე და ღამე – ცხოვრების შინაარსი (ქაჯაია I, 2001).

დაღამება:

დღა(შ) დო სერიში აკონთხაფა „დაღამება (ზედმიწ. „დღისა და ღამის შეყრა“): **დღა დო სერქ აკანთხუნი**, ქომოზოჯეს – დღე და ღამე რომ შეიყარა, მოზრძანდენ (ქაჯაია I, 2001).

შეუსვენებელი შრომა, ზვერი მუშაობა:

ამ მნიშვნელობით დასტურდება რამდენიმე იდიომი: **დღა დო სერი არ-თი აფუ** „სულ ჯაფაშია, შეუსვენებლად შრომობს“ (ზედმიწ. „დღე და ღამე ერთი აქვს“); **დღა დო სერს აწორენს** (ზედმიწ. „დღესა და ღამეს ასწორებს“); **დღა დო სერი ვემეურჩქუ** „სულ ჯაფაშია“ (ზედმიწ. „დღე და ღამე არა აქვს გარჩეული“) (ქაჯაია IV: 198). შდრ. ქართ. **დღე და ღამე გაერთიანებული აქვს**; დღესა და ღამეს ასწორებს.

წარმოდგენილი იდიომები საყურადღებოა სტრუქტურული თვალსაზრისითაც, კერძოდ: კომპონენტთა შემადგენლობის მიხედვით გვხვდება ორ-, სამ-, ოთხკომპონენტური იდიომები. ყველაზე ხშირია სამკომპონენტური იდიომების შემადგენლობაში შემავალი წევრები შეიძლება იყოს სხვადასხვა მეტყველების ნაწილი: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, ზმნიზედა; აქტიურია საწყისი და მიმღეობა, ყველაზე ხშირად გვხვდება არსებითი სახელი და ზმნა.

როგორც ჩანს, მეგრ. **დღა** „დღე“ და **სერი** „ღამე“ ლექსიკური ერთეულები მრავალ სემანტიკურ ჯგუფს ქმნის. თუმცა **დღა** „დღე“ უფრო პროდუქტიულია, **სერი** „ღამესთან“ შედარებით. ისინი, როგორც დამოუკიდებლად მარტივი ფუძეები, ასევე, **და**-თი დაკავშირებული კომპოზიტის (**დღა დო სერ**-ი „დღე და ღამე“) სახითაც იღებენ იდიომების შექმნაში მონაწილეობას. მეგრული იდიომების უმეტესობას მოეპოვება შესატყვისები ქართულში.

ლიტერატურა

ბიბლია 1989 – ბიბლია, თბილისი.

თაყაიშვილი 1961 – ა. თაყაიშვილი, ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, თბილისი.

ონიანი 1966 – ა. ონიანი, ქართული იდიომები, თბილისი.

სამუშია 1971 – ვ. სამუშია, ქართული \მეგრული ნიმუშები, თბილისი.

ქაჯაია I 2001 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

ქაჯაია II 2002 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

ქაჯაია III 2002 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

ქაჯაია IV 2009 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

ქეგლ I 1950 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი.

ქეგლ II 1951 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი.

ქეგლ III 1953 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი.

ქეგლ V 1958 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი.

ქობალია 2010 – ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი.

ყიფშიძე 1994 – ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბილისი.

ჩიქვანაია 2008 – ა. ჩიქვანაია, მეგრული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბილისი.

ხალხ. სიბრ. I 1994 – ხალხური სიბრძნე, მეგრული და ლაზური ანდაზები.

შემდგენლები: რ. შეროზია, ო. მემიშიძე, თბილისი.

ETER SHENGELIA

**Two Megrelian Words (dya „a day“ and
seri „a night“) in Idioms**

S u m m a r y

The Megrelian words **dya** (a day) and **seri** (a night) are very active in terms of being parts of an idiom. The idioms containing these lexical units create different semantic groups, namely: a happy or an unhappy life, a trouble, a calamity, a punishment, time, distance, the life expectancy, a fate, the weather etc. The word დღა is more productive. The structure of idioms is very interesting with respect to the components. The idioms with one, two or three components can be found. The three component idioms are the most common. The idioms include different parts of speech: nouns, adjectives, numerals, verbs, adverbs and masdars and participles that are very active. A noun and a verb are found most commonly as a part of an idiom.

ვაჟა შენგელია

**ადამიანის აღმნიშვნელი სიტყვები მეგრულ
იდიომატურ გამოთქმებში**

ენის სხვადასხვა ლექსიკური ჯგუფებში შემავალი სიტყვები საყრდენი სიტყვის ფუნქციით იდიომატურ გამოთქმებში სხვადასხვა სიხშირით გვხვდება. ამ მხრივ აღსანიშნავია სხეულის ნაწილთა აღმნიშვნელი სიტყვები – სომატური ლექსიკა, რომელიც, სხვა სემანტიკურ ჯგუფებთან შედარებით, გაცილებით ხშირად გამოიყენება. ასეთი ვითარება გვაქვს მეგრულ-ლაზური ენის მეგრული დიალექტის შემთხვევაშიც. ამასთან, მნიშვნელოვანია ადამიანის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულების ჩართულობა იდიომების შედგენა. ამ მხრივ განსაკუთრებით თვალსაჩინოა **კოჩი** „კაცი“ სიტყვის როლი; ის უფრო ხშირად იდიომის მეორე კომპონენტია, ნაკლებად – პირველი. საინტერესო სურათს იძლევა ადამიანის აღმნიშვნელ სხვა სიტყვათა ფუნქციონირებაც იდიომატურ გამოთქმებში.

კოჩი „კაცი“

მეგრულ-ლაზურ **კოჩ** სიტყვას ქართულში **კაც** და სვანურში **კაშ** შეესატყვისება, ამიტომ, ბუნებრივია, ის საერთოქართველური ლექსიკური ფონდის კუთვნილებაა (როზენი 1845: 30; ჩიქობავა 1938: 43; კლიმოვი 1964: 106; ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 265). აღსანიშნავია, რომ ამ სიტყვისაგან ქართველურ ენებში მრავალი სხვა სიტყვა იწარმოება დერივაციითა თუ კომპოზიციით.

იდიომატურ გამოთქმაში **კოჩ** სიტყვის გამოყენების შემთხვევაში გვექნება როგორც პრეპოზიციური, ისე პოსტპოზიციური წყობა (მსაზღვრელი – ხან მართული, ხან შეთანხმებული); თვითონ ეს სიტყვა კი სხვადასხვა ბრუნვის ფორმაში შეიძლება შეგვხვდეს.

აბრეშუმჯგუა კოჩი „კეთილი, დინჯი, დამყოლი კაცი“, ზედმიწ. „აბრეშუმვიით კაცი“; **-ჯგუა** ქართული **-ვით** თანდებულის ფუნქციით არის გამოყენებული.

ტომბა კოჩი „მოაზროვნე, გონიერი კაცი“, ზედმიწ. „ღრმა კაცი“; პირველი კომპონენტია ზედსართავი სახელი **ტომბა**.

კოჩანთერ კოჩი „კარგი, ალალი კაცი; კაცური კაცი“; პარალელურად ხმარებული **კოჩურ კაცი** შეიძლება განვიხილოთ როგორც ქართული სალიტერატურო ენის გავლენით გაჩენილი შესიტყვება.

მოკო კოჩი „ენამოსწრებული; მახვილგონივრულად, ანდაზებით მოსაუბრე კაცი“, ზედმიწ. „ანდაზა კაცი“ მეგრ. **მოკო** „ანდაზა, იგავი; ჭკვიანური, ბრძნული“ (ქაჯაია 2002: 197; ქობალია 2010: 469).

მელებიე კოჩი „გუდამშიერი კაცი; კაცი, რომელიც ლობიოს ჭამასაც სჯერდება“, ზედმიწ. „მელობიე კაცი“

თითქმის ანალოგიური მნიშვნელობისაა გამოთქმა **მელუმურგილე კოჩი** „ხარბი, გაუმადლარი კაცი, რომელიც არაფრის ჭამას არ ერიდება; სხვის ნასუფრალს დახარბებული“ (ქობალია 2010: 413), ზედმიწ. „მეცივლომე კაცი“.

ყარაჩა კოჩი „ძლიერი, მამაცი, ვაჟკაცური კაცი“, ზედმიწ. „ყარაჩაელი კაცი“ (პირველი კომპონენტი ეთნონიმია).

კოჩ სიტყვა იდიომში შეიძლება მიცემითი ან ნათესაობითი ბრუნვის ფორმით მოგვევლინოს:

კოს გიშალაფა „სირცხვილის ჭამა, ხალხში გამოჭენება“, ზედმიწ. „კაცს გამოკვლება“ (კოს <*კოჩ-ს).

ამ იდიომის სინონიმია გამოთქმა **კოს გიშალურა**, ზედმიწ. „კაცს (გა)მოკვდომა“.

კოჩიშ მოძირაფა „არარაობა, არაკაცი“, ზედმიწ. „კაცის მოჩვენება“

კოჩიშ ტარიელი „ბრგე, ვაჟკაცი კაცი“, ზედმიწ. „კაცის ტარიელი“ (იდიომის ერთ-ერთ კომპონენტად „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი პერსონაჟის სახელია გამოყენებული).

კოჩ ფუძისაგან ნაწარმოები აბსტრაქტული სახელი **უკოჩობა** „უკაცობა“ გამოყენებულია იდიომატურ გამოთქმაში **უკოჩობაშ კოჩი** „ცული კაცი, არაკაცი“, ზედმიწ. „უკაცობის კაცი“ (ქაჯაია 2002: 60; ქობალია 2010: 611).

გვხვდება **კოჩ** სიტყვის მონაწილეობით შექმნილი სამწევრა და ოთხწევრა გამოთქმები:

კუნტა შურიშ კოჩი „სულმოკლე კაცი“, ზედმიწ. „მოკლე სულის კაცი“

ოთხ კიდაშ მაჯინე კოჩი „მარტოხელა კაცი“, ზედმიწ. „ოთხი კედლის შემყურე კაცი“

თანაშეზრდილ, ახლობელ ადამიანებს მიემართება გამოთქმა **ართ სენიშ გენადიარეფი** ზედმიწ. „ერთ თეფშზე ნაჭამები“.

ადამი

ადამიშ ხელა „დიდი ხნის, ძალიან მოხუცი“, ზედმიწ. „ადამის ხნისა“; მისი სინონიმია **ხეა დო თუთაშ მახანა** ზედმიწ. „მზისა და მთვარის ტოლი (ხნისა)“

ადამიშ ნარდი „წესიერი, ზრდილი ადამიანი“

ადამიშ სქუა || **ადამიშ სქი** || **ადამსქუა** „ადამიანი, ძეხორციელი“ (ქობალია 2010: 8).

ადამიშ ნოყო „ადამის შთამომავალი“ (ქობალია 2010: 8), ზედმიწ. „ადამის ნაყარი“

დიდა „დედა“

დიდაშ ართი „დედისერთა“, ზედმიწ. „დედის ერთი“

დიდათ მერჩქინელი „დედობილი“, ზედმიწ. „დედად მიჩნეული“

დიდაშ მანგიორი „დედობილი, გარდაცვლილი დედის სანაცვლოდ არჩეული“ (ქობალია 2010: 241)

შორისდებულის მნიშვნელობით გამოიყენება ორწევრა შესიტყვება **დიდაშ მაცვილარი!** (გამოხატავს სინანულს)

დიდაშ შურმე! ფიცლის ფორმულაა (შესატყვისი ქართული გამოთქმაა „დედის სულს გეფიცები“)

ოსური „ქალი“

ოსურია კოჩი „ქალაჩუნა, მხდალი, ლაჩარი“

ოსურეფიშ თანაფა „კვირაცხოვლობა“, ზედმიწ. „ქალების აღდგომა“ (ქობალია 2010: 546)

ოსურული ამხე „ქალისათვის დამახასიათებელი სისუსტე“, ზედმიწ. „ქალური ამბავი“ (ქაჯაია 2002: 451)

ძღაბი „გოგო, ქალიშვილი“

ბეათ ბონილი ძღაბი „უმწიკვლო, აზიზად გაზრდილი გოგო“, ზედმიწ. „რძით ნაზანავები გოგო“

მონჭვაცალი ძღაბი „ერთგული, მზრუნველი გოგო“, ზედმიწ. „კრუხივით გოგო“

ბოში „ბიჭი“

ბოშურ ბოშალა „კაცურკაცობა, კაიბიჭობა“, ზედმიწ. „ბიჭური ბიჭობა“

ბოშალაშ გემორჩინა „ვაჟკაცობა“, ზედმიწ. „ბიჭობის გამოჩენა“

სხვადასხვა

ადამიანს მიემართება მრავალი სხვადასხვა იდიომატური გამოთქმა.

დადიაშ მაცარე „ამაყი, ამპარტავანი კაცი“, ზედმიწ. „დადიანის მაცარი“

ბორო პაპაშ ნანათა „ჩერჩეტი, ბრიყვი, სულელი“, ზედმიწ. „სულელი მღვდლის მონათლული“

ემშაკიშ ყარული „ცუდი, ბოროტი ადამიანი“, ზედმიწ. „ემშაკის ყარული“

მედაჩხირე მეზობელი „ახლო მეზობელი, კარის მეზობელი“ ზედმიწ. „მეცეცხლე მეზობელი“

ჯიმალობას გიშალაფირი „სამარცხვინო, საქვეყნოდ გამოჭენებული“, ზედმიწ. „მძობას გამოვარდნილი, გამოკლებული“

უჩხონჩხე კოჩი „მოუხერხებელი, უხერხემლო კაცი“, ზედმიწ. „უფილტვო კაცი“ (მეგრ. ჩხონჩხი „ფილტვი“)

ჯიმა ღურელი! იხმარება შორისდებულის მნიშვნელობით – „ავსუს! ჰაი დედასა!“

რასაკვირველია, ამით არ ამოიწურება იმ იდიომატური გამოთქმების რაოდენობა, რომლებშიც ერთ-ერთ კომპონენტად ადამიანის აღმნიშვნელი სიტყვები გამოიყენება. უფრო სრულ და გამოწვლილვით ანალიზს მომავალში წარმოვადგენთ.

ლიტერატურა

კლიმოვი 1964 – Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва.

როზენი 1845 – G. Rosen, Über die Sprache der Lazen, Berlin.

ფენრიხი, სარჯველაძე 2000 – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

ქაჯაია 2002₁ – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბილისი.

ქაჯაია 2002₂ – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბილისი.

ქაჯაია 2003 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. III, თბილისი.

ჩიქობავა 1935 – არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი.

VAZHA SHENGELIA

Words Denoting a Human in Megrelian Idiomatic Expressions

S u m m a r y

In idiomatic expressions after the most commonly used somatic vocabulary the involvement of the lexical units denoting a human in composing the idioms is very important. In that way the word **koči** (a man) is particularly interesting. It is more often the second component of an idiom and rarely – the first one. The functioning of other words denoting a human in idiomatic expressions gives an interesting picture (**dida** (a mother), **osuri** (a woman), **zyabi** (a girl), **boši** (a boy), **bebi** (a grandmother)).

ორინე ჩაჩანიძე

**„კალანდა“ ლექსების ეთნოლინგვისტიკური და
სემიოტიკური განზომილებანი**

უხსოვარი დროიდან ქართველებს ურთიერთობა ჰქონდათ მსოფლიოს მრავალ ხალხთან თუ ეთნიკურ ჯგუფებთან. ეს კონტაქტები შეპირობებული იყო გეოგრაფიულად თუ კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობით, რომლებიც მკვეთრად არის აღბეჭდილი ქართული ენის სტრუქტურასა და ლექსიკაში. ქრისტიანობის შემოსვლის დროიდან, განსაკუთრებით მრავალი ლექსიკური ერთეული დაინერგა ქართულში ლათინური და ბერძნული ენებიდან.

ამერიკელი მკვლევარი დელ ჰაიმსი თავის ნაშრომში (ჰაიმსი 1964 : 120) საუბრობს: „არსებობს ლინგვისტური მიმართების ორი ტიპი – პირველი ტიპი ხასიათდება იმით, რომ ენობრივ მონაცემთა საფუძველზე ხდება დასკვნის გამოტანა კულტურის სხვა ასპექტების თაობაზე, მეორე კი იმით, რომ დასკვნა ხორციელდება უკუმიმართულებით – ეთნოგრაფიული მონაცემებიდან ენის ფაქტებისაკენ.

ენისა და კულტურის ურთიერთობის ერთ - ერთ ნათელ ნიმუშთაგანს წარმოადგენს საახალწლო რელიგიურ დღესასწაულ „კალანდა“-სთან დაკავშირებული რიტუალები საქართველოში.

რიტუალი როგორც ენობრივი თამაში ფილოსოფიურ დისკურსში შემოთავაზებულ იქნა ავსტრიელი ფილოსოფოსის ლუდვიგ ვიტგენშტაინის მიერ: „ენობრივი თამაში ენისა და მოქმედების მთლიანობაა“ (ვიტგენშტაინი 1985: 79-128). რიტუალი თამაშია, რომელშიაც ყოველი მოთამაშე ასრულებს რეგლამენტირებულ მოქმედებას. რიტუალის ენას ემსახურება არამართო კომუნიკაციის ელემენტები, არამედ სხვადასხვაგვარი მოქმედება, ჟესტები, მიმიკა და ა. შ. რიტუალურ სივრცეში გამოიყენება რამდენიმე ენა, რომელთა მათგანი ითხოვს ცალკეულ შესწავლასა და ინტერპრეტაციას.

ენობრივ თამაშებად შეგვიძლია განვიხილოთ „კალანდობასთან“ დაკავშირებული რიტუალური ქცევები: დალოცვა, ლოცვა, საჩუქრის გადაცემა, ძღვენის მიერთმევა და ა. შ.

სემიოტიკაში რიტუალის ენობრივი თამაშის იდეალურ სქემას წარმოადგენს სამი ძირითადი დონე: სინტაქსური, სემანტიკური და პრაგმატიკული (ლოტმანი 2002: 543).

სინტაქსური დონე – წეს-ჩვეულება, რიტუალის ნაწილი, რომელიც გამოხატულია წინასწარი წესების მიხედვით აქტიორების მიერ შესრულებული მოქმედებების თანამიმდევრობით. რიტუალის სინტაქსური დონე შეიძ-

ლება აღმოვაჩინოთ ხელნაწერ წყაროებსა და სამოგზაურო ჟანრის თხზულებებში.

რიტუალის კვლევის სემანტიკური დონე განიხილავს იმ მნიშვნელობას, რომელიც ჩადებულია რიტუალში, ე. ი. მონაწილის კავშირს ზებუნებრიობასთან, რომელიც სრულდება რიტუალის მეშვეობით, კერძოდ, მიმართვებში, დალოცვებსა და პასუხებში.

პრაგმატიკული დონე იკვლევს თუ როგორ შეესაბამება რიტუალური მოქმედება ნიშანთა სისტემების სახით მოქმედ პირს კონკრეტულ სიტუაციაში. ამ თვალსაზრისით პრაგმატიკულ დონეს სწავლობს ეთნოგრაფია.

ნიშანდობლივია, რომ სქემის თანახმად, სადღესასწაულო რიტუალში „კალანდობა“ წარმოდგენილია ენობრივი თამაშის სამივე დონე.

საშობაო მილოცვა – Koliada ფართოდ გავრცელებულია მთელ ქრისტიანულ სამყაროში, განსაკუთრებით რუმინელებთან, სლავებთან, უკრაინელებთან, ბულგარელებთან, ბერძნებთან. „Koliada“ წარმოიშობა ბერძნული κάλαντα და ლათინური calandae-დან. ასევე ვხვდებით სხვადასხვა სახელწოდებებს: რუმინული colinda; ჩეხური, სერბული, სლოვაკური koleda; სლოვენური kolednica, coleda.

ქართველი ლექსიკოგრაფის სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში „კალანდა“ განმარტებულია შემდეგნაირი სახით: „ახალი წელიწადი, წლის თავი.“

იოანე პეტრიწს ასტრონომიული ხასიათის ნაშრომში „კალანდად თქმული ეზრა წინადაწარმეტყუელისა“ აღწერილია „თუ როგორი ტაროსი და მოსავალი იქნება ამა თუ იმ წელს იმისდა მიხედვით თუ რომელ დღეს მოდის ახალი წელიწადი“ (კეკელიძე 1980: 456).

ა. ხახანაშვილის მიხედვით, „გურიაში ახალი წელი ცნობილია სახელწოდებით „კალანდობა“, რომელიც მომდინარეობს უფრო მეტად ბერძნული სიტყვიდან Kalandai, ვიდრე ლათინურიდან Calandae“ (ხახანაშვილი 1889: 36).

ღირსსაგნობია, რომ ხვარაზმული დღესასწაული „კალანდასი“ აღწერილია სპარსელი მეცნიერისა და ენციკლოპედისტის ალ-ბირუნის (973-1048) „ძველი ერების ქრონოლოგიაში“ რომელშიც ავტორმა დაწვრილებით აღწერა არაბების, სპარსელების, ებრაელების, ბერძნებისა და სხვა კალენდარული სისტემები. აღნიშნული დღესასწაული განპირობებული იყო სლავების, ბულგარელების, რუმინელებისა და ბერძნების დასახლებით ხვარაზმის ტერიტორიაზე. გთავაზობთ ფრაგმენტს თხზულებიდან:

„ეს დღესასწაული ალ-კალანდასია (القلنداس). სიტყვის მნიშვნელობა „კალანდასი“ (كَلَنْدَا) ნიშნავს „კეთილდღეობას“. ამ დღეს იკრიბებიან ქრისტიანი ბავშვები, უვლიან სახლებს გარშემო და მღერიან „კალანდას, კალანდას“. ამის სანაცვლოდ ისინი საჩუქრად ღებულობენ საჭმელსა და ღვინოს“ (ალ-ბირუნი 1923: 288).

კალანდა (κάλαντα) კონკრეტულ მართლმადიდებლურ დღესასწაულებთან დაკავშირებული საზეიმო შინაარსის ერთგვარი სასიმღერო უწყებაა, რომელსაც ჯგუფურად და კარდაკარ მოსიარულე ადამიანები ასრულებენ.

ის პირველი „კალანდა“, რომლითაც ანგელოზებმა მესიის მოვლინება აუწყეს კაცობრიობას, ბავშვების უმწიკვლო ბაგეებს უნდა აეხმიანებინა მომდევნო საუკუნეებში. მათი გამოჩენა ოჯახისათვის დიდი მადლი და კურთხევა იყო. საქართველოში შემორჩენილი „ალილოზისა“ თუ „კალანდობის“ ტრადიციაც სწორედ ბერძნული სარიტუალო წესიდან უნდა იღებდეს სათავეს.

სუბიექტური თვალსაზრისი განსაკუთრებით წარმოჩნდება სიტყვის მაგიის რწმენაში, რომლის საფუძველზე წარმოიშვა წყევლის, ლოცვის, შელოცვისა და დალოცვის ფორმულები (ჯორბენაძე 1997: 88). ქართულ სინამდვილეში ეს არის წარმართული რწმენისა და ქრისტიანობის შერწყმის ფაქტი.

კალანდებში განსაზღვრულია რიტუალური დალოცვის ფორმაც, – იგი აუცილებლად შეიცავს მასპინძლის ხოტბას. სასიმღერო დალოცვით ზოგადად, ყველასათვის სასურველ მდგომარეობასაც (ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, უხვმოსავლიანობას, სიმდიდრეს) უსურვებენ ოჯახს და კონკრეტული მასპინძლისათვის აქტუალური მიზნების განხორციელებასაც (აბულაშვილი 2005: 48).

ზამთრის კალანდებთან და რიტუალებთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღინიშნოს წმინდა ბასილის განსაკუთრებული ადგილი:

შობის, ახალი წლისა და ნათლისღების დღესასწაულების გასაერთიანებლად საჭირო იყო ერთი სიმბოლური სახე და და ვინ იქნებოდა იგი, თუ არა წმინდა ბასილი, რომელიც პირველ იანვარს მიიცვალა და ჯერ კიდევ მანამდე, სანამ შობა არ ემთხვეოდა ახალ წელს, უაღრესად შინაურ, ხალხურ სულად, ერთგვარ „სახალწლო“ წმინდანად იქცა, რომელიც კვერთხით ხელში დადიოდა და ტკბილად ებასებოდა ყოველ შემხვედრს. მართალია, არ ჰქონდა საჩუქრებით სავსე ხურჯინი, მაგრამ უხვად გასცემდა იმ გაცილებით მნიშვნელოვანსა და სიმბოლურს, რასაც ხალხი მისგან ელოდა – კურთხევასა და მადლს.

უფლის შობისა და ახალი წლის თანხვედრა იწვევს იმას, რომ სარიტუალო სიმღერები არამხოლოდ განადიდებენ დღესასწაულს, არამედ, ამღერებული დალოცვებითა და რიტუალური სიმბოლიკებით ითხოვენ და ცდილობენ ოჯახის დაცვას.

ნიშანდობლივია, რომ ქართველ ენათმეცნიერებსა და ეთნოგრაფებს (მარი 1913; მაკალათია 1927; ბარდაველიძე 1939). თავიანთ თხზულებებში აღწერილი აქვთ საქართველოს დასავლეთ რეგიონებში, გურიაში, სამეგრელოში, სვანეთსა და აფხაზეთში „კალანდობის“ რიტუალი, რომელიც წმინდა ბასილის სახელთანაა დაკავშირებული.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ზემოხსენებულ რეგიონებში დღემდეა შემორჩენილი საშობაო – სახალწლო დღესასწაული „კალანდობა“, რომლებშიც შეგვიძლია ენობრივ თამაშებად განვიხილოთ მათში არსებული რიტუალური ქცევები (მისალმება, მილოცვა, დალოცვა, ლოცვა – ვედრება). ამ ქცევების მიზანი ნათელია: სიტყვის მაგიით სასურველი შედეგის მიღწევა, და ეს შედეგი ხშირად მიიღწეოდა ფსიქოლოგიური ზემოქმედების გამო.

„სიტყვის მაგია რწმენას აღვიძებდა, თვითდაჯერებას, აუშჯობესებდა სუბიექტურ განწყობას, სიტყვის ძალის რწმენა ადამიანის თვითდაცვისა და თვითგამოხატვის უნარს აძლიერებდა. ეს კი უმეტეს შემთხვევაში სასურველ შედეგს იძლეოდა“ (ჯორბენაძე 1997: 89).

პუბლიკაციების ტექსტების მიხედვით გთავაზობთ ქართველი ეთნოგრაფების მიერ აღწერილ საქართველოს კუთხეებში გავრცელებულ „კალანდობის“ დღესასწაულს, მასთან დაკავშირებულ რიტუალურ ქცევებს ანუ ენობრივ თამაშებსა და საგანთა სიმბოლიკებს:

სვანეთი

„კალანდას დღეს ყველა სვანი დიდი მოწიწებით დღესასწაულობდა. სვანებს სწამდათ, რომ ამ დღიდან რაღაც ბედი და უბედობა უნდა დაწყებულიყო და ამიტომ მეცადინი იყვნენ, რომ ბედნიერი წელი დასდგომოდათ. დილით, თითქმის მამლის ყვილის დროს, ადგებოდა ყველა ოჯახის წევრი, საუკეთესოდ გამოეწყობოდა და ერთი მეორეს ახალწლის დღეს ულოცავდნენ. ოჯახის ერთი წევრი სახლიდან გარეთ გავიდოდა ძლიერ ადრე, თან საუკეთესო ხარს გაიყვანდა, წაიღებდა წინდაწინვე დამზადებულ დიდ კალათას საახალწლო შემოსალოცით და დოქ არაყს; ხარს შემოატარებდა თავის სხვადასხვა შენობებს და შემდეგ მიადგებოდა ხარიანად სახლის კარს და დაიძახებდა:

„ყ-ო-ო-რ მკვარ, ბედნიერ!“

კარი გააღე, ბედნიერო!

სახლის კარი ჯერ ჩაკეტილი იყო. ოჯახის ერთი წევრთაგანი შინიდან შეეკითხებოდა – რა მოგაქვს, ბედნიერო? გარედან მოსული, რომელსაც სვანურად ეწოდებოდა მგჭმხი, ე.ი. მეკვლე, დაიწყებდა ხმამაღლა ჩამოთვლას: “მომაქვს თვით ფუსნაბუასდიას წყალობა, მატება და შეძენა, ბედი, ბარაქა, კაცის მშვიდობა, საქონლის სიმრავლე, თავლა ცხენებით გვაქვს სავსე, ბოსელი ხარებით, სამროხე ძროხებით, საღორე ღორებით, სათხებო თხებით, საცხვრებო ცხვრებით, საბატო ბატებით, საქათმე ქათმებით, კიდობნები ხორბლით სავსე, ქვევრები ღვინით, ზანდუკები ფულითო. ამის შემდეგ კიდევ დაიძახებდა გარედან მგჭმხი – კარი გამიღეო, შინიდან კვლავ შეეკითხებოდნენ, – რა მოგაქვს, ბედნიერო? მგჭმხი კიდევ ჩამოსთვლიდა ყოველგვარ ბარაქას და ასე გამეორდებოდა სამჯერ. ამის შემდეგ გაუღებდნენ კარს, შევიდოდა სახლში მგჭმხი და ხარსაც შეიყვანდა, დაუვლიდა სახლს მარჯვენა მხრიდან ირგვლივ, შემდეგ ოჯახის წევრები ჩაყოფდნენ ხელებს კალათაში, რომელიც მეკვლეს ზურგზე ეკიდა, პირველად ხელს შეავლებდნენ ჯულ-ს, შემდეგ ხორბლის ფქვილს და შემდეგ სხვა საგნებს, რომლებიც კალათაში იყო მოთავსებული. ამაზე მგჭმხი ეუბნებოდა – ასე სავსე წელიწადი მოგსწრებოდეთ ყველას მატებით, შეძენით, ბედით და ბარაქითო (სვანურად ასე ეტყოდნენ: „ამჟი ლგმონშა, ლგფომფა ზაფსუ ლახგენენად ცხემაჟშ, ქემაჟშ, ბედშჟ ი ბარაქჟშ), ხარს დააბამდა ისევ თავის ადგილზე, გავიდოდა გარეთ, ეზოში დაგროვილ თოვლის ზვინში ჩაარქობდა წინდაწინვე ამისათვის დამზადებულ თხილის წნელების კონას, რომლებსაც ესხათ კვირხილები, და იტყოდა: „ამჟი ლგმონშა, ლგფომფა

ზადსუ ლოქ ლოხგენენად, ცხემაჭუმ, ქემაჭუმ, ბედშუმ ი ბარაქუმ“, ე. ი. ასე დახუნძული წელი მოგვივიდეს მატებით, შეძენით, ბედით და ბარაქითაო და ამის შემდეგ შებრუნდებოდა სახლში. დანარჩენი ოჯახის წევრები დასხდებოდნენ შუა ცეცხლის ირგვლივ, დაიდგამდნენ სუფრას, დააწყობდნენ ზედ ზომხის ხორცს და პურებს დაიწყებდნენ სმა-ჭამას; მგჭმხი სათითაოდ ჩამოჰყვებოდა, ოჯახის ყველა წევრს მიაწოდებდა სავეს ჭიქას, რომელსაც ორივე ხელით ჩამოართმევდა მიმღები და „ჩუადშიაშნე“ ე. ი. დაუხელადებდა. პირველად აუცილებლად ამ მგჭმხი-ს ხელიდა უნდა მიეღოთ ოჯახის წევრებს ხელში სავეს ჭიქა და სხვა პურ-მარილი. თან პატარა კონა წერეჭუმ-ს მისცემდა მეკვლე ჭიქასთან ერთად და ეტყოდა – რამდენიც ამ წერეჭუმ-ს ცის ცვარი და ნამე დასდებია, იმდენ წელიწადს იყავ კარგადო. ამის შემდეგ თავისუფლად სვამდნენ და ულოცავდნენ ერთიმეორეს მრავალი ახალწლის მოსწრებას. ამ დღეობაზე ლოცვა-ვედრება მიმართული იყო უმთავრესად ბასილ ძულტა კალანდაში-ს და “ზომხის ყერ ანგელოზის” სახელზე, რომელთაც ევედრებოდნენ მრავალი წლის მოსწრებას, ბედისა და ბარაქის მოცემას და საქონლის გამრავლებას. ყველა ამ წესის შესრულება გათენებამდე ხდებოდა. ხოლო გათენების შემდეგ კი, გაიყვანდნენ ხარებს ეზოში და შემით დატვირთულ მარხილში შეაბამდნენ, პატარა მანძილზე გაატარებდნენ ხარებს, რომ ამით მუშაობა დაეხდებინათ ხარებისთვის და ხარების ლიშაშ-იც ეს იქნებოდა. ზომხას უარით ვერავის ვერ გაისტუმრებდნენ, რაც უნდა ეთხოვა მეზობელს, უნდა მიეცათ, რადგან ამ დღეზე იყო დამოკიდებული მთელი წლის ბედ-იღბალი და თუ ამ დღეს უარით გაისტუმრებდნენ ვინმეს, მთელი წლის განმავლობაში ყოველგვარი საქმე უარით წაგვივაო, ამბობდნენ. როცა ამ დღეს გარეშე პირს დაინახავდნენ, მაშინვე მიაძახებდნენ—მრავალი ახალი წელი მოგესწროს შენი ოჯახის კარგათ ყოფნითო. შინაური მეკვლის შემდეგ ოჯახში მიდიოდა გარეშე პირი, რომელსაც წინდაწინვე სთხოვდნენ, კალანდა დილით ადრე მოზრძანებულყო მათ ოჯახში მგჭმხ-ად. როდესაც ეს პირი სახლს მიუახლოვდებოდა, დამახების მაგიერ სახლში რაიმე საგანი უნდა ესროლა, რომ შეეტყობინებინა მასპინძლისათვის თავისი მისვლა; ამ დღეს დამახება აკრძალული იყო, უბედურების ნიშნად მიაჩნდათ, თუ ვინმე კალანდას ოჯახს დაუძახებდა.

გარეშე მეკვლეს პატარა ჭურჭლით შეაგებებდნენ ხორბლის ფქვილს ზემოდან დადებული ფუსნა ლეზმირ-ით, ხელს მოაკიდებინებდნენ ამ ტაბლაზე, შემდეგ შეუძღვებოდნენ სახლში, დასვამდნენ სუფრის წინ, მიგებებულ ფქვილსა და კვერს სუფრაზე დაუდებდნენ, არყით სავსე ჭიქას ხელში მიაწოდებდნენ; მოუტანდნენ სავსე ჭიქას და ეტყოდნენ:

„ბასილ ძულტა კალანდშაშიამ, სილოგუემდ, ოგხიდ ზადა მაჯედნ, ოგუად ხუად ზომხა შუტიდობდ, ოგფიშირ ამსუალდა, ნაფშიროშ ლოგო მერდი სგემარ, მად გუაყა, აღმარე ლირდინ ი ნაბდნიერან ოგხიდ; ბასილ ძულტა კალანდშაშიამ, ბარაქ ლზო გუმგუე მაჯედს ი მადილ ჯერი, მადილშუგომი“.

„ბასილ ზღვის კალანდისაო, შენ გვიშველე, გაგვახარე წლის მოსავლით, მოგვასწარი მრავალი ახალწელიწადი მშვიდობით, გაგვიმრავლე ადამიანი,

სიმრავლით მოგვეცი მოზარდი ვაჟიშვილი, რაც გვეყავს, იმათი ზრდით და ბედნიერებით გაგვახარე, ბასილ ზღვის კალანდისაო, ბარაქა მიეცი ჩვენ მოსავალს და მადლი გექნება, მადლით სავსევ“.

თან მისცემდნენ ერთ კონა წერეჭუ-ს და ვერცხლის აბაზიანს, რომლებსაც ის თავის სახლში წაიღებდა. გარეშე მეკვლის მოსვლაზე იყო დამოკიდებული მთელი წლის განმავლობაში ამ ოჯახის ბედ-იღბალი; თუ ის კარგი მეკვლე გამოდგებოდა, მაშინ ამ ოჯახში წლის განმავლობაში არ უნდა მომკვდარიყო ვინმე, არც საქონელი დაზარალდებოდა და მოსავალიც კარგი უნდა მოსვლოდა. ასეთ შემთხვევაში ამ პირს მეკვლედ მეორე წელსაც მიიწვევდნენ. მაგრამ თუ ოჯახს წლის მანძილზე რაიმე მარცხი მოუვიდოდა, ამ მგჭმხი-ს მაგიერ მეკვლედ სხვა პირი იქნებოდა მიწვეული მომდევნო ახალწელიწადს.

1934 წლის იანვრის 1. აღწერილია არსენ ზურაბის ძე ონიანის მიერ (ბარდაველიძე 1939 : 170-172).

გურია

„ახალი წლის ანუ კალანდის წინა ღამეს მამა სახლისა გაუძღვება დანარჩენ წევრთ ოჯახისას და მიუძღვება მარანში. ხელში ყველას ანთებული თაფლის სანთელი უჭირავთ; თან მიაქვს ხაჭაპური, ღვინო და ღორის თავი. ოჯახის უფროსს, გარდა ამისა, ხელში თოხი ან ცული უჭირავთ. მივა გადმოპირქვავებულ საწნახელთან და ურტყამს ცულს ან თოხს ყუით, თანაც შემდეგ ლექსს ამბობს:

აგუნა, აგუნა, გამეიარე,
 ბახვი, ასკანა გადმეიარე.
 ჩვენს მამულში ყურძენიო,
 მტრის მამულში ფურცელიო.
 ჩვენს მამულში გოდრითაო,
 მტრის მამულში გიდლითაო“ . (სახოკია 1950: 89)

აგუნა საკმაოდ გავრცელებულია და მას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. მაგ; ძლიერი, ღონიერი აბრიალებული (ცეცხლის ეპითეტად: „აგუნა ცეცხლი“). თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ **აგუნა** მხოლოდ დასავლეთ საქართველოშია გავრცელებული, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი ბერძნული წარმოშობისაა.

ჩვენი ყურადღება მიიქცია ბერძნულმა ლექსემამ (პირველი) და მისგან წარმოებულმა სხვა სიტყვებმა:

Άγαν - ბრძოლა, ასპარეზობა, მოღვაწეობა
 Άγανίστρη - მებრძოლი, მოასპარეზე, მოღვაწე

როგორც ვხედავთ, ბერძნული სიტყვების ძირითადი მნიშვნელობები ემთხვევა აგუნას ზემოაღნიშნულ ქართულ მნიშვნელობებს, რაც შენთხვევითი არ შეიძლება იყოს. ამდენად ჩვენი ვარაუდი ბერძნული წარმოშობის შესახებ არც თუ უსაფუძვლოა.

როგორც ცნობილია, დასავლეთ საქართველოში ადრინდამდე განსაკუთრებით დიდი იყო ბიზანტიური საეკლესიო მსახურების გავლენა. აქ ძველთა-

განვე ფეხი მოიკიდა ბერძნულ-ბიზანტიურმა რელიგიურმა ტერმინოლოგიამ, რომლის კერძო შემთხვევას შეიძლება წარმოადგენდეს წმინდა გიორგის ზედწოდება **აგუნა**. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ქართულში დადასტურებულ სიტყვა აგუნას სხვა მნიშვნელობებსაც, არ არის გამორიცხული მისი უშუალო, ბუნებრივი შესხება ბერძნულიდან რელიგიური რიტუალის გარეშეც (ლექვიამვილი 1979 : 151).

სამეგრელო

„სამეგრელოში, ახალწლის დილა ადრიან, ოჯახის უხუცესი მამაკაცი ხელში მორთულ ჩიჩილაკით და ღომის მარცვლიან ჯამით, რომელზედაც კვერცხი დევს, სახლიდან გარეთ გადის ახალწლის მოსალოცავად.

პირველათ, მარცვლის თესვით, ის ეზოს სამჯერ შემოუვლის, შემდეგი სიტყვებით: „ღმერთო, ამ მარცვლების რაოდენობის საქონელი მომანიჭეო“. შემდეგ ზოსელს, საქათმეს და სხვა სადგომებს უკვლევს. ბოლოს ის სახლში ბრუნდება და სამჯერ კარების დაკაკუნებით დაიძახებს: „კარ გამიღეო“. თეთრებში გამოწყობილი დიასახლისი უპასუხებს, ვინ ხარ? და რა მოგაქვსო? მეკვლე სამჯერვე უპასუხებს: „წმინდა ბასილის წყალობა, ოჯახის მშვიდობა, ოქრო, ვერცხლი, პირუტყვის გამრავლება, აბრეშუმის ჭიის ყოფა“ და სხვა. შემდეგ დიასახლისი მას კარებს გაუღებს და სიცილით გადაჰკოცნის. მეკვლე სიმბოლიურ თესვით და ლოცვით სახლის ყველა ოთახებს შემოუვლის.

დასასრულს მეკვლე ჩიჩილას კუთხეში მიაყუდებს, ჯამს იქვე მიუდგამს და თვითონ საახალწლო ტაბლას მიუჯდება, რომელზედაც ალაგია: ღორის თავი, ბასილა თავის ხაჭაპურებით, ხილი და სხვა. საუზმის დაწყებამდე მეკვლე ოჯახის ყველა წევრს ტკბილეულით „დააბერებს“. საუზმის შემდეგ კი დაიწყება ხელში თუთის წკნელებით საახალწლო მილოცვები. ამავე დღის დილიდანვე დაიწყება მემღვნეთა მიღება – გაგზავნა. ძღვენებს განსაკუთრებით ნათლიებს უგზავნიან (მაკალათია 1927 : 16-17).

„ჩიჩილაკი“ თხილის ღეროზე გამოხვეწილი ბურბუშელებია, რომლის ერთი ბოლო ისევ ღეროზეა. ჩიჩილაკი მამაკაცის დიდ თეთრ წვერს ემსგავსება. არსებული რწმენით, ჩიჩილაკი წმინდა ბასილის წვერების სიმბოლოა. ჩიჩილაკის ღეროს ზედა წვერი გაყოფილია შუაზე და მასში ჩადგმულია ჯვარი. აღმოსავლეთ საქართველოში ჩიჩილაკის (წმიდა ბასილის სიმბოლოს) ნაცვლად გავრცელებული იყო წმინდა ბასილის გამოსახულებიანი კვერის – კვერბასილას – გამოცხობა (საქართველოს ეთნოლოგია 2008: 284).

მართალია, განსახილველად წარმოდგენილი საკითხი საკმაოდ ვრცელი და მრავალმხრივია, იგი მოიცავს კულტუროლოგიურ, ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ ასპექტებს, მაგრამ ამჯერად ჩვენი მიზანი იყო კვლევის წარმართვა მხოლოდ ეთნოლინგვისტიკური და სემიოტიკური მიმართულებებით.

ლიტერატურა

აბულაშვილი 2005 – მ. აბულაშვილი, რიტუალის ფენომენი ბერძნულ ხალხურ სიმღერებში, დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი.

ალ - ბირუნი 1923 – ალ - ბურუნი, Chronologie Orientalischer Volker von Alberuni. Herausg. v. Dr. C. Eduard Sachau, Leipzig, 1923 (арабск. текст). The Chronology of Ancient Nations. An English Version of the Arabic text of the Athar-ul-Bakiya of Albiruni, Transl. and edited by Dr. C. Eduard Sachau. London, 1879.

ბარდაველიძე 1939 – ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I ახალწლის ციკლი, ტფილისი.

ვიტგენშტაინი 1985 – Л. Витгенштейн, Философские исследования // Новое в зарубежной лингвистике. Вып. XVI. – Москва.1985. – С. 79-128.

კეკელიძე 1980 – ვ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბილისი.

ლეკიაშვილი 1979 – ა. ლეკიაშვილი, წმინდა გიორგის ქართული კულტის საკითხისათვის, საენათმეცნიერო კრებული, თბილისი.

ლოტმანი 2002 – Ю. Лотман, Статьи по семиотике культуры и искусства, Москва.

მაკალათია 1927 – ს. მაკალათია, ახალწელიწადი საქართველოში, სახელგამი.

საქართველოს ეთნოლოგია 2008 – საქართველოს ეთნოლოგია, თბილისი.

სახოკია 1950 – თ. სახოკია, მოგზაურობანი, გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი, თბილისი.

ხახანაშვილი 1889 – А. Хаханов, Этнографическое обозрение, № 3, Москва.

ჯორბენაძე 1997 – ბ. ჯორბენაძე, ენა და კულტურა, თბილისი.

ჰაიმსი 1964 – DD. Hymes, Two types of linguistic relativity: Some examples from American Indian ethnography. Sociolinguistics. WilliamBright.

IRINE CHACHANIDZE

**Ethnolinguistic and Semiotic Dimensions
of the Lexeme *kalanda***

S u m m a r y

From time immemorial the Georgian people have had connections with many nations or ethnic groups of the world. These contacts were stipulated by the geographic and cultural-economic relations that have clearly been reflected in the structure and the vocabulary of the Georgian language. Since the adoption of Christianity many lexical units have been introduced to Georgian mostly from the Greek language.

The Christmas carol – *koliada* is widespread throughout the Christian world, especially among Romanians, Slavs, Ukrainians, Bulgarians and Greeks. *'koliada'* originates from the Greek *κάλαντα* and Latin *calendae*. In addition, a variety of names can be encountered: Romanian – *colinda*; Czech, Serbian, Slovakian – *koleda*; Slovenian – *kolednica, coleda*;

In the dictionary by the lexicographer Sul Khan-Saba Orbeliani (17 c.) the term *'k'alanda'* is defined as follows – 'A new year, the beginning of a year.'

It is noteworthy that in their compositions Georgian linguists and ethnographers (Marr, 1913; Makalatia, 1927; Bardavelidze, 1939.) described *'k'alandoba'* as a ritual that is connected to Saint Basil widespread in the western regions of Georgia – Guria, Samegrelo, Svaneti and Abkhazia.

It should be noted that in the above-mentioned regions *'k'alandoba'* – Christmas and the New Year's holiday is still preserved. The indigenous population attaches great importance to it.

The paper reviews and analyzes lexemes related to *'k'alanda'* from typological point of view. The celebration process and some elements characteristic to the holiday are discussed.

ნინო ციხიშვილი

ე- სუფიქსიანი წყვეტილი საშუალ ქართულში

წყვეტილი II სერიის ძირითადი მწკრივია. მასზეა დაფუძნებული ამ სერიის დანარჩენი მწკრივები. ეს არის ერთ-ერთი იმ მწკრივთაგანი, რომლებიც ქართული ზმნის უღლების ისტორიულ სამირკველს ქმნიან.

ერგატიული კონსტრუქციის პრობლემაზე მსჯელობისას არნ. ჩიქობავა წყვეტილის მორფოლოგიურ ოდენობად ჩამოყალიბების პროცესზე საუბრობს, თუ როდის შეიძლება მისი, როგორც დროის აღმნიშვნელ გრამატიკულ ერთეულად, ფორმირება. მისი აზრით, წყვეტილის ჩამოყალიბება იმ დროის მოვლენაა, როცა ზმნის უღლება არა დროის, არამედ ასპექტის ცვლაში მდგომარეობდა. იყო ორი ასპექტი: დიურატიული (განგრძობითი) და მომენტობრივი (წერტილებრივი) და შესაბამისად ორი დრო: პერმანსივი (ხოლმეობითი) და აორისტი (ნამყო ძირითადი). ხოლმეობითის მწკრივით გადმოიცემოდა დიურატიული ასპექტი, ხოლო მომენტობრივ ასპექტს ნამყო ძირითადი გამოხატავდა. შემდგომი ევოლუციის პროცესში მომენტობრივი ასპექტის გადმოცემა ნამყო ძირითადი გახდა წარსულ დროთა შორის ძირითადი (ჩიქობავა 1943: 92).

წყვეტილის წარმოებაზე მსჯელობისას წინა პლანზე წამოიწევეს მწკრივისა და პირის ნიშანთა საკითხი. წარმოების ტიპს მწკრივის ნიშნის მქონეობა განსაზღვრავს.

აღნიშნული მწკრივის ფორმათა უმეტესობას მაწარმოებლად **-ე** სუფიქსი მოუდის. ასეთ ფორმებს **-ე** ბოლოსართიან წყვეტილს უწოდებენ. ეს უკანასკნელი ზმნის ფორმას მხოლოდ I-II პირებში აქვს, III პირში ხმოვნის შემცველ პირის ნიშანთა გავლენით იკარგება, III პირში იგი ბრძანებითის ფორმებს გამოაჩნდება.

-ე სუფიქსის პირველსახედ **-ვვ** ფორმანტს მიიჩნევენ არნ. ჩიქობავა (ჩიქობავა 1967: 49). ნ. მარი ამ უკანასკნელს **ესვა** ზმნის სპირანტულ სახეობასთან აკავშირებს (მარი 1925: 124), რასაც არ იზიარებს არნ. ჩიქობავა (ჩიქობავა 1926: 303).

-ე სუფიქსის **-ვვ** სუფიქსისაგან მომდინარეობას მხარს უჭერს გ. როგავა. ქართული დიალექტებისა და მეგრულის მასალებზე დაყრდნობით მკვლევარი დაასკვნის, რომ **-ვვ** სუფიქსიდანაა წარმომდგარი წყვეტილის (და II კავშირებითის) **-ე** ბოლოსართი (როგავა 1945).

ვ. თოფურია არ იზიარებს თვალსაზრისს **-ე**-ს **-ვვ** ფორმანტიდან წარმომავლობის შესახებ. მკვლევარს ამგვარი მტკიცებისათვის მთავარ დაბრკოლებად ესახება ის გარემოება, რომ **-ე** სუფიქსის სავარაუდო არქეტიპი **-*ევ** არ ჩანს

ნამყო დროის მწკრივთა ფორმებში, რომელთაც წარმოების ტიპი აერთიანებს. წყვეტილში, უწყვეტელში, I თურმეობითში, II თურმეობითში გამოვლენილი „ნამყოს საერთო ნიშან“ -**ე** ზემოაღნიშნულ თვალსაზრისს ვერ დაუჭერს მხარს“ (თოფურია 1955: 459). ვ. თოფურია არ იძლევა -**ე** ნიშნის ძირითადი ფუნქციის დაზუსტებას. იგი ვერც დროის გამომხატველ ფორმანტად მოიაზრებს მას, რადგან ის დროის კატეგორიის ჩამოყალიბებამდე იყო გამოყენებული წყვეტილში. ფ. ერთელიშვილი ვარაუდობს, რომ -**ე** სუფიქსი წარმოშობით მომენტობრივი ასპექტის ნიშანია (ერთელიშვილი 1956: 312).

-**ე** ბოლოსართის შესაძლო პირველსახედ -**ეგ**-ს მიიჩნევს ივ. ქავთარაძეც. მკვლევრის მიერ შესწავლილი XII-XVIII საუკუნეების წერილობითი ძეგლები ცხადყოფენ, რომ -**ეგ** სუფიქსი სისტემებზე იხმარებოდა „ყველა სახეობის ნამყოში: ნამყო წყვეტილში (აორისტში: შევ-რთ-ევ), ნამყო უწყვეტელში (შევ-რთ-ევ-დ) და მეორე თურმეობითში (შეე-რთ-ევ)... ნამყო წყვეტილში -**ეგ** სუფიქსი საშუალო ქართულის წერილობითი ძეგლების მიხედვით, ერთვის თითქმის ყველა იმ ზმნას, რომელიც ძველსა და ახალ სალიტერატურო ქართულში მარტოოდენ -**ე** დაბოლოებით არის ცნობილი (დავაგდ-ე, დავუთმ-ე; დავაგდ-ევ(ი), დავუთმ-ევ(ი))“ (ქავთარაძე 1973: 30, 33). ავტორი აღნიშნავს, რომ „ძველ ქართულში -**ეგ** ძალზე იშვიათია, თუმცა ივარაუდება ყველა იმ ზმნაში, რომელთაც მხ. რიცხვის მესამე პირში -**ე** მოუდის“ (ქავთარაძე 1973: 33).

-**ე** ნიშნის გენეზისის ამგვარ გააზრებას ნაწილობრივ მხარს უჭერს გ. გოგოლაშვილი. სახელდობრ, -**ეგ** ფორმანტიდან მომდინარედ თვლის იმ -**ე** სუფიქსს, რომელიც ძველი ქართულის ოდენტანხმოვნთან, უმარცვლო საყრდენი მორფემის მქონე ზმნებთან გვხვდება (ავილე ← *ავილ-ევ, ვსძლ-ე ← *ვსძლ-ევ, განვატფ-ე ← *განვატფ-ევ), ანუ იმ ზმნებთან, რომელთაც სუბიექტურ მესამე პირში მხ. რიცხვში -**ე** ნიშანი აქვს. ავტორის აზრით, ამგვარი ზმნები უნიშნონი უნდა ყოფილიყვნენ ისტორიულად. განსხვავებულ ოდენტობად მიიჩნევს იმ -**ე** სუფიქსს, რომელიც მარცვლოვანი, არარედუცირებადი ხმოვნის შემცველი საყრდენი მორფემის მქონე ზმნებთან დასტურდება (განვასრულ-ე, წარვიყვან-ე, დავ-წერ-ე), ანუ იმ ზმნებთან, რომელთაც სუბიექტის მესამე პირის ნიშნად -**ა** მოუდის მხ. რიცხვში (გოგოლაშვილი 1985: 137-138).

ჩვენ ვემყარებით თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში წყვეტილის მწკრივის მაწარმოებელთაგან ორი დამოუკიდებელი ფორმანტია წარმოდგენილი. ესენია: ა) ყველაზე გავრცელებული -**ე** სუფიქსი (დავწერ-ე); ბ) -**ეგ** ფორმანტიდან მომდინარე -**ე** ბოლოსართი (ავილ-ე; ვილ-ე);

სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით აღნიშნული მწკრივის ნიშანთა განაწილებისას გარკვეული წესრიგის დადგენის ცდას. ივ. და ვ. იმნაიშვილები მწკრივის ამ მაწარმოებელ ელემენტთა გამოვლენის ფაქტებს I სერიის ფორმათა გათვალისწინებით აღნუსხავენ და მათ მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებად მიიჩნევენ ამის მიხედვით,

-**ე** ბოლოსართიანი წყვეტილი აქვს

ა) ყველა უთემისნიშნო ზმნას:

ვწერ ვწერ-ე

ვტეხ ვტეხ-ე

ბ) ფუძედრეკად ზმნებს:

ვდრეკ ვდრიკ-ე

ვშრეტ ვშრიტ-ე

გ) **ებ** თემისნიშნიან ზმნებს (ორიოდეს გამოკლებით)

ვაქ-ებ ვაქ-ე

ვიხარ-ებ ვიხარ-ე

დ) **ევ** თემისნიშნიან ზმნებს:

ვაკურთხ-ევ ვაკურთხ-ე

ვსძლ-ევ ვსძლ-ე

ე) ზოგ **ავ**, **ო** და **ობ** თემისნიშნიან ზმნას, სახელდობრ, ისეთებს, რომელ-
თაც ფუძე არ ეკუმშებათ:

ვიხილ-ავ ვიხილ-ე

ვთხრ-ი ვთხარ-ე

ვატფ-ობ განვატფ-ე (იმნაიშვილი... 1996: 152-154).

უნდა ითქვას, თემის ნიშანთა და II სერიაში ფუძის კუმშვა-უკუმშველობაზე თვალის გადავლება მწკრივის მაწარმოებელთა განაწილებაში გარკვეული წესრიგის დანახვას ართულებს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ II სერია ყველაზე ძველია, სხვა სერიათა მწკრივები მერეა ჩამოყალიბებული II სერიის ბაზაზე, უფრო დამაჯერებლად შეიძლება ითქვას, რომ უღლების სისტემაში ერთ-ერთი უძველესი მწკრივის წარმოების ტიპის განსაზღვრისას არარელევანტურია I სერიის ფორმათა გათვალისწინება – ამა თუ იმ თემის ნიშანთა მქონებლობა ვერ შეაპირობებს წყვეტილის წარმოების ტიპს.

ნაშრომში „ნამყოს სახეობათა საერთო ნიშნისათვის ქართულში“ ვ. თოფურია ფუძის სტრუქტურაზე საუბრობს. მწკრივის ამა თუ იმ მაწარმოებლის გამოვლენა დამოკიდებულია იმაზე, ფუძე მარცვლოვანია თუ უმარცვლო, მარცვლოვანთაგან კი – კუმშვადი თუ უკუმშველი: „უნიშნოს შეუძლია დაირთოს უფუნქციო -**ი**. ასეთი ზმნები რაოდენობით მცირეა. მათი ფუძე ან უმარცვლოა, ან კუმშვადია. -**ე** სუფიქსით იწარმოება ფუძეკუმშვადი ზმნები“ (თოფურია 1955: 453).

ამ მოსაზრებას ავითარებს შემდგომი კვლევისას გ. გოგოლაშვილი. ის უფრო აზუსტებს ამოსავალ ვითარებას და ამბობს: მწკრივის ნიშანთა განაწილებისას არსებითი მნიშვნელობა არა მთლიანად ფუძეს, არამედ საყრდენ მორფემას ენიჭება... ნამყო ძირითადის წარმოების ტიპს ძველ ქართულში საყრდენი მორფემის სტრუქტურა განსაზღვრავს (გოგოლაშვილი 1985: 70). საყრდენია ის მორფემა, რომელსაც უშუალოდ დაერთვის მწკრივის ნიშნები; საყრდენი მორფემა ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს ძირეული ან სუფიქსური.

„-**ე** სუფიქსს დაირთავს ნამყო ძირითადში მარცვლოვანი, არარედუცი-
რებადი ხმოვნის შემცველი საყრდენი მორფემის მქონე ზმნები“ (გოგოლაშვილი 1985: 72).

საყრდენი მორფემა ძირეულია:

დავ-წერ-ე	მოვ-დრიკ-ე
დას-წერ-ე	მოს-დრიკ-ე
დავ-წერ-ე-თ	მოვ-დრიკ-ე-თ
დას-წერ-ე-თ	მოს-დრიკ-ე-თ

რაც შეეხება „ავილე“, „ვსძლე“, „განვატფე“ ტიპის ფორმებში გამოვლენილ -ე-ს, რომელიც ოდენთანხმოვნთან საყრდენ მორფემასთან გვხვდება, ავტორი მას გენეტურად განსხვავებულ ოდენობად მიიჩნევს, -ევ სუფიქსიდან წარმოშობილად თვლის. ისტორიულად ასეთი ფორმები უნიშნონი უნდა ყოფილიყვნენ: ავილ-ე წავილ-ევ-ღ.

მწკრივის მაწარმოებელ ელემენტთა განაწილებისას იმავე საშუალებებს მოიხმობენ ახალ ქართულშიც.

ლ. კიკნაძე წყვეტილში მწკრივის ნიშნის არსებობის პირობად აწმყოში თემატური სუფიქსის მქონებლობას მიიჩნევს: „იმ ზმნებს, რომელთაც წყვეტილში დაბოლოება არა აქვთ, აწმყოში ყოველთვის აქვთ თემატური სუფიქსი... თუ ზმნა აწმყოში უთემისნიშნოა (იგულისხმება მოქმ. გვარის ზმნები), მას წყვეტილში აუცილებლად ექნება -ე სუფიქსი“ (კიკნაძე 1947: 320).

თემატურ სუფიქსთა და ზმნის გვარის ფორმათა მიხედვით წარმოადგენს წყვეტილის წარმოების ზოგად სურათს ა. შანიძე (შანიძე 1980).

ძველ ქართულზე საუბრისას უკვე აღვნიშნეთ, თუ რა სირთულეები ახლავს ამ გზით პრობლემის გადაჭრის მცდელობას.

თანამედროვე ქართულში წყვეტილის ფორმანტთა განაწილებისას ზოგადი კანონზომიერების გამოსავლენად ვხელმძღვანელობთ იმ პრინციპით, რომელიც წარმოდგენილი იყო გ. გოგოლაშვილის მიერ ძველი ქართულისათვის.

კერძოდ, ფუძისა და საყრდენი მორფემის სტრუქტურის ცნების შემოტანა შექმნილ ვითარებას ნათელს ხდის _ ამ პრინციპით ჩატარებული კვლევა გ. გოგოლაშვილს საშუალებას აძლევს, გამოყოს ძირითადი ყალიბები. „განსხვავებულია ვითარება იმის მიხედვით, საყრდენი მორფემა მარცვლოვანია თუ უმარცვლო: მარცვლოვანთაგან – ნულთან მონაცვლე ხმოვნის შემცველია თუ არა“ (გოგოლაშვილი 1984: 31).

-ე სუფიქსთან ორ შემთხვევას განარჩევს ავტორი: განსხვავება, გარდა საყრდენი მორფემის აგებულებისა, გამოვლინდება კიდევ მესამე სუბიექტური პირის გამომხატველი აფიქსით. კერძოდ, სხვაა ის -ე მაწარმოებელი, რომელიც მიერთვის მარცვლოვან უკუმშველ საყრდენ მორფემას და რომელსაც მესამე სუბიექტური პირის ნიშნად -ა შეესაბამება. და სხვაა ის -ე, რომელიც დაერთვის უმარცვლო საყრდენ მორფემას და რომელიც მესამე სუბიექტურ პირში -ა ნიშანს გულისხმობს. ამის მიხედვით გამოიყო ორი ყალიბი:

ა) მარცვლოვანი უკუმშველი საყრდენი მორფემა + -ე სუფიქსი, სუბიექტური მესამე პირის ნიშანია -ა. წყვეტილის წარმოების ეს ტიპი III ყალიბია. ამგვარი ყალიბის ზმნები ენაში მრავლადაა.

ბ) წყვეტილის წარმოების IV ყალიბი: უმარცვლო საყრდენი მორფემა + -

ე სუფიქსი, მესამე პირის ნიშანია -ო.

IV ყალიბის ზმნები ენაში შედარებით მცირედ მოიპოვება. აღნიშნული ყალიბის ზმნებში გამოვლენილი -ე ბოლოსართისა და მესამე სუბიექტური პირის -ო ნიშნის შესახებ ავტორის მოსაზრება უკვე წარმოვადგინეთ, როცა ძველ ქართულში წყვეტილის წარმოებაზე ვსაუბრობდით. მკვლევარი II და IV ყალიბის ზმნებს ისტორიულად I ყალიბიდან მომდინარედ თვლის. ამდენად, ახალი ქართულისეული ვითარება რთული და მეორეულია. „მომხდარმა ფონეტიკურმა ცვლილებებმა და აფიქსთა მორფოლოგიურმა რეინტერპრეტაციამ გამოიწვია ყალიბის სახის შეცვლა და ახალი ყალიბების შექმნა“ (გოგოლაშვილი 1984: 47).

-ე ბოლოსართიან ზმნათა წარმოებას ძველი ქართულიდან თანამედროვე სალიტერატურო ენაში მნიშვნელოვანი ცვლილება არ განუცდია. მხოლოდ გაიზარდა რიცხვი ფორმათა, რომლებიც III და IV ყალიბით იწარმოებენ წყვეტილის მწკრივს.

როგორც აღვნიშნეთ, საშუალო ქართულში მკაფიოდაა ასახული ახალი ყალიბის გაჩენისა თუ ერთი ყალიბიდან მეორეში ზმნათა გადაჯგუფების პროცესი. შესაძლებელი ხდება პარალელური წარმოების ყალიბთა დამოწმებაც არა მხოლოდ ერთი ეპოქის ენობრივ ძეგლებში, არამედ ერთი და იმავე მწერლის შემოქმედებაშიც, რაც აღნიშნული პროცესის სირთულესა და ხანგრძლივობაზე მიგვანიშნებს.

ჩვენ მიერ შესწავლილ ძეგლებში -ე სუფიქსიან წყვეტილთაგან III ყალიბის ზმნები წარმოადგენენ ყველაზე დიდ ფორმობრივ ჯგუფს. აქ გამოვლენილი -ე ელემენტი ყველა შემთხვევაში მარცვლოვან არარედუცირებად საყრდენ მორფემას მიერთვის, ხოლო სუბიექტის მესამე პირს, შესაბამისად, -ა სუფიქსი აწარმოებს:

თმობა **ვსთხოვე** შემოქმედსა, **ვჰკადრე** სიტყვა სამუდარი (ვეფხ., 346, 4);
 ვითა შუენოდა ჭაბუკობასა შენსა, ეგრე **შეჰკაზმე** საქმე ჩუენიო (ამ., 291, 7);
 ღმერთი ზრახვიდა პირის-პირ, ჩვენ მისგან **შევიწამეთა** (თ. II. გვ. 16, 4);
 კათოლიკოზ ანტონისთან **გაიზარდეთ** და თანამდებობა არ იცით (ბატონიშვილი, I, გვ. 24);

და ვინაჲთგან **ვიიძულე** შეკადრებად, შეპყრობილი სურვილისა მიერ, ესეცა მოთხრობილი ჴელეყო (აბუს. ტბ., 64, 124).

ვითარება უცვლელია, როცა საყრდენი მორფემა რომელიმე სუფიქსია:

მოვაკვლევინეთ ვითარი კაცი ბედიითაო (ამ., 273, 7);

დედ-მამა გვეტყვის: „რად შეგვარცხვინეთ“

ქვეყანას თავი **დაამრახვინეთ** (დავითიანი, გვ. 193. 92, 2);

უბრალო სული **მომაკვდინე**, ლახვარი დამეც! (ბეს., გვ. 10. 3, 4);

იქნების, რომე პატრონიც ამბობდეს, რომ თავი **დავაჰსწვევინო**, მართალი არისო (სამ. ძეგლ., I, 548, 260);

შვიდასი ფეხი კიბე აიარს, რაც **დავათვლევინე** (საბა, მოგზ., გვ. 183).

IV ყალიბის ზმნებთან გამოვლენილი -ე ბოლოსართი სრულიად განსხვავებულია არარედუცირებადი მარცვლოვანი საყრდენი მორფემის მქონე

III ყალიბის ზმნებთან არსებული -ე მწკრივის ნიშნისაგან. განსხვავების საფუძველი მისი -ვს სუფიქსიდან წარმომავლობაა. -ვს სუფიქსის გამოვლენის ფაქტები ძველ სალიტერატურო ენაში მეტად იშვიათია. დიალექტებში არაიშვიათია -ვს სუფიქსი მარცვლოვან ფუძეებთან (ვნახ-ევ-ი, მოვი-ტან-ევ-ი...). ეს ფორმები შესაძლებელია III ყალიბის ზმნათა ანალოგიით იყოს წარმოებული, ამდენად მეორეულია. საშუალო ქართულის ჩვენ მიერ განხილულ ტექსტებში მსგავსი შემთხვევები არ შეგვინიშნავს. იგი ყოველთვის უმარცვლო საყრდენ მორფემასთან დასტურდება:

პურად და საქმლად მივენდე ჩემას მშვილდსა და ცერასა (ვეფხ. 164, 4);

გზა და კვალი ველარ გავიღვიით (ამ., 76, 1);

ნეტარ ხარ შენ მკნეო, რომელმან შესძინენ ღვაწლთა ჩვენთა და ცრემლნი დასთხიენ და სიხარულნი მოიმკვე (საბა, სწავლ., 166, 509).

არჩილი -ვს სუფიქსს ზოგჯერ მეტრიკის საჭიროებით იყენებს:

გავჯებირეთ ორს მთას შუა, უკან რაზმი დავაწყევით,

რა შეიგნა, მოგვაშურა, ვითა შმაგი მოვა წყევით (არჩ., II, 464, 3).

ცალკეული ძეგლის მიხედვით რთული და გამარტივებული III ყალიბის ზმნათა რაოდენობრივ თანაფარდობაზე. დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა, რომ -ე ბოლოსართიანი ზმნები შესამჩნევად სჭარბობენ -ვს სუფიქსიანი ფორმებს. ამას ვერ ვიტყვით ისტორიულ საბუთებსა და სამართლის ძეგლებზე, სადაც, პირიქით, ამკარაა -ვს სუფიქსიანი ზმნათა უპირატესობა. მაგალითად, „ვეფხისტყაოსანში“ 47 -ე ბოლოსართიანი ზმნის გვერდით 7 -ვს სუფიქსიანი ფორმა დავადსტურეთ. სამართლის ძეგლებში 36 -ვს სუფიქსიანი ზმნასთან 26 -ე ბოლოსართიანი ფორმა დასტურდება.

ისტორიული საბუთები და სამართლებრივი დოკუმენტები შედგენილია სხვადასხვა ეპოქის, დიალექტური წრისა და ლიტერატურული ტრადიციის პირთა მიერ. მათ ენობრივ მანერას ხალხური მეტყველება განაპირობებს. ხალხურ მეტყველებასთან ყველაზე ახლოს კი ამ ძეგლთა ენაა, სადაც ყოველდღიური საყოფაცხოვრებო, საჭირბოროტო საკითხებია განსჯილ-დაკანონებული. აქვეა -ვს სუფიქსიდან მომდინარე -ე ბოლოსართიანი ზმნებიც.

საშუალო ქართულის ძეგლებში ხშირია შემთხვევები, როცა -ვს და -ე სუფიქსიები ერთ ავტორთან ერთსა და იმავე ძირეულ მორფემასთან გვხვდება. თეიმურაზ I-თან რამდენიმე მაგალითია:

სოფელი თქვენთვის შევამკე ტყითა, წყლითა და ველითა (თ. I, გვ. 109. 80, 2);

შევამკვე კედელ-ყურენი, ვეჰვ თავსაც კარგად ბურავსო (თ. I, გვ. 142. 5, 2);

ენა დავაშვრე და პირი, ვარდი ვყარე და სულ ია (თ. I, გვ. 98. 309, 3);

მითხრას ვინმე: „რად დააშრევ ცულ საქმეზედ ენა შენი? (თ. I, გვ. 100. 8, 1).

თეიმურაზ II „თისარიანში“ -ვს და -ე ბოლოსართიან ზმნებთან ერთად -ვ-ინფიქსიანი „შევიტყვე“ ფორმასაც იყენებს:

შევიტყე გზაზე _ ქმარი შინა ჰყავსო და ვედარ მიუტანე (თ. II, 196, 19);

მე ეგ ყველა კარგად შევიტყევ (თ. II, 186, 18);

ახლა მომპაროდა, განა ვერ შევიტყვე? (თ. II, 187, 32).

ამგვარი პარალელიზმი გვხვდება სულხან-საბა ორბელიანთანაც. მაგა-

ლითად, თხზულებაში „მოგზაურობა ევროპაში“ **-ევ** და **-ე** სუფიქსები **ტყ** ძირულ მორფემასთან რამდენჯერმე ენაცვლება ერთმნიეთს:

ვერ ვნახე, ვერც **შევიტყე**. რა იყო (საბა, მოგზ., გვ. 156);

ვერ **შევიტყევ** როგორ მომხდარიყო (საბა, მოგზ., გვ. 202).

„სწავლანშიც“ დადასტურდა მსგავსი პარალელიზმი:

შიშველი იყავ და არარა **გამოიღე** დედის მუცლით შენით (საბა, სწავლ., 108, 313);

შრომათა ჩვენთა სარეწავი რა **მოიღევით** (საბა, სწავლ., 186, 575).

„დავითიანშიც“ აღმოჩნდა პარალელური ფორმები:

ქრთილის პურის ქერქში შიგ თავთუკი **ჩავდეო** (დავითიანი, გვ. 79. 773, 3);

რა გამოვშიგნე, ცეცხლი ავანთე,

მწვადი **დაუდეგ**, შენს შვილს მივმართე (დავითიანი, გვ. 205. 171, 2).

კიდევ უფრო ხშირია ერთსა და იმავე ძირულ მორფემასთან გამოვლენილი პარალელიზმის შემთხვევები არჩილის პოეზიაში, თუმცა აქ დადასტურებული პარალელური ფორმებიდან უმრავლესობა სწორედ IV ყალიბის **-ე** სუფიქსიანი ზმნებია. მაგალითად, **გდ** ძიულ მორფემასთან 8 IV ყალიბის **-ე** ბოლოსართიანი და 1 III ყალიბის **-ევ** სუფიქსიანი ზმნა დადასტურდა, **-ვლ** ძირულ მორფემასთან 9 **-ე** ბოლოსართიანი და 3 **-ევ** სუფიქსიანი ფორმა შეგვხვდა, ასევე **-რთ** ძირულ მორფემასთან 4 **-ე** და 1 **-ევ** სუფიქსიანი ზმნა გამოვლინდა:

რად **დააგდე** ეს სოფელი, რამცა გაკლდა მისი ნივით? (არჩ., II, 391, 1);

არ **დავაგდე** უბოძვარი, ღარიბები მოურთავი (არჩ., II, 372, 4);

რა ვქნათ, სოფელო, პირველსა მამა-ჩვენს ცთომა დაადევ

სიცრუეზეუდან აუფლე, სიმართლით გარე **განაგდეგ** (არჩ., I, გვ. 27. 64, 3);

განვლე მე ჩემი ცხოვრება მოწყენით, არა შევბითა (არჩ., I, გვ. 246, 109, 1);

განვლე ზღვა და ხმელეთიცა, მამაწყინა ხანთა ზმამა (არჩ., II, 1056, 3);

წავედით ნახჩუანის გზას, **გავლეთ**, მივედით ჯულასა (არჩ., II, 938, 1);

გარდმოვიარეთ ლიხის მთა, ქართლისა სიგრძე **ჩავლევით** (არჩ., II, 540, 1);

მოვირთე შემწედ ამისდა წმიდათა კაცთა იკონი (არჩ., I, გვ. 90. 65, 3);

შეათვისე და ატომე, **შერთევ** და ამმე და ადეგ (არჩ., I, გვ. 27. 64, 2);

ვერ შესატყვისად **შევაგვეთ**, მისთვინ გვლევს სხივ-შუქებითა (არჩ., I, გვ. 130. 26, 2);

მე რიტორი ვარ, მიჯნურნი **შევაგვევ** ხელი ხელითა (არჩ., II, 783, 4).

პარალელური წარმოება დადასტურდა სამართლის ძეგლებში:

და **მივიღე** ლოცვა ყოველთა მამათაი (სამ. ძეგლ., II, 12);

არცა-რა გამოერთმეოდათ, არც ჩვენ **ავიღეთ** საური (სამ. ძეგლ., II, 232);

შევაგვევ მონასტერი ესე ჩუენი საბუალე და საუკუნო სამკვიდრებელი (სამ. ძეგლ., II, 140);

და დაჰბადე კაცი თაყუანის-მცემლად შენდა, და **შეაგვევ** ყოვლითავე მადლითა შენითა (სამ. ძეგლ., II, 339).

ამგვარად, საშუალი ქართულის ჩვენ მიერ მიმოხილული სამწერლობო ძეგლების მიხედვით **-ე** ბოლოსართიანი წყვეტილის წარმოებაში მნიშვნელო-

ვანი თავისებურება არ გამოკვეთილა. თუმცა საყურადღებო იყო ზემოხსენებული პარალელიზმი, რაც რთული და გამარტივებული III ყალიბის ზმნებთან დადასტურდა.

ლიტერატურა

გოგოლაშვილი 1984 – გ. გოგოლაშვილი, დრო-კილოთა მეორე სერიის ფორმები ახალ ქართულში. თბილისი.

გოგოლაშვილი 1985 ა – გ. გოგოლაშვილი, ნამყოს სახეობათა წარმოების ერთგვაროვანი პრინციპისათვის ძველ ქართულში. – იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXIII.

ერთელიშვილი 1956 – ფ. ერთელიშვილი, რატომ იყენებს II ბრძანებითი წყვეტილის ფუძეს – თსუ შრომები, ტ. 61.

თოფურია 1955 – ვ. თოფურია, ნამყოს სახეობათა საერთო ნიშნისათვის ქართულში. – იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VII.

იმნაიშვილი... 1996 – ი. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, ზმნა ძველ ქართულში, I, მაინის ფრანკფურტი.

კიკნაძე 1947 – ლ. კიკნაძე, პირველი სერიის მწკრივთა წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები. – თბილისის უნივერსიტეტის შრომები. 30 ბ-31 ბ, თბილისი.

მარი 1925 – Н. Я. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград.

როგავა 1945 – გ. როგავა, აორისტისა და კავშირებითი მეორის ზოგ აფიქსთა გენეზისისათვის -**ევ** სუფიქსთან დაკავშირებით ქართულსა და მეგრულში. – საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. VI, 8, თბილისი.

ქავთარაძე 1973 – ი. ქავთარაძე, -**ევ** სუფიქსი მეორე და მესამე სერიის ზმნებში, – აღმოსავლური ფილოლოგია. III, თბილისი.

შანიძე 1980 – ა. შანიძე, თხზულებანი, III, თბილისი.

ჩიქობავა 1926 – არნ. ჩიქობავა, რეცენზია: "Н. Я. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка". – მიმომხილველი, I, ტფილისი.

ჩიქობავა 1943 – არნ. ჩიქობავა, პერმანისივის („ხოლმეობითის“) ისტორიული ადგილისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში. – საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. IV, 1, თბილისი.

ჩიქობავა 1967 – А. С. Чикобава, Грузинский язык, Языки народов СССР, IV, Москва.

შემოკლებათა განმარტებანი

ახუს. ტბ. – ახუსერიძე ტბელი, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და ახუსერიძეთა საგვარეულო მატიანე, 1233 წ. ტექსტი. გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა. თბილისი: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1941.

ამ. – მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლ. ათანელაშვილმა. თბილისი: გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1967.

არჩ. I – არჩილი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, I, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. ტფილისი, 1936.

არჩ. II – არჩილი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, II, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბილისი: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, 1937.

ბეს. – ბესიკი, თხზულებათა სრული კრებული. ალ. ბარამიძისა და ვ. თოფურის რედაქციით. ტფილისი: „ფედერაცია“, 1932.

დავითიანი – დავით გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული. ი. აბაშიძის, ალ. ბარამიძის, ნ. ბერძენიშვილის, კ. კეკელიძის, გ. ლეონიძის, ს. ჩიქოვანის რედაქციით. თბილისი, 1955.

ვეფხ. – შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი ი. აბაშიძის, ა. ბარამიძის, პ. ინგოროყვას, ა. შანიძის, გ. წერეთლის რედაქციით. თბილისი, 1966.

თ. I – თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული. ტექსტი, გამოკვლევა, ლექსიკონი ალ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით. ტფილისი, 1934.

თ. II – თეიმურაზ II, თხზულებათა სრული კრებული. ალ. ბარამიძისა და ვ. თოფურის რედაქციით. თბილისი, 1932.

ბატონიშ. – იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, I, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით. ტფილისი, 1936.

სამ. ძეგლ. – ქართული სამართლის ძეგლები, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ. თბილისი, I, 1963.

ქართული სამართლის ძეგლები, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. თბილისი, 1965.

საბა, მოგზ. – სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, I, სიბრძნე სიცრუისა, მოგზაურობა ევროპაში. გამოსაცემად მოამზადეს ს. ყაუხჩიშვილმა და რ. ბარამიძემ. თბილისი, 1959.

საბა, სწავლ. – სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, III, სწავლანი. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა. თბილისი, 1963.

NINO TSIKHISHVILIL

**Discontinuous Verbs with the Suffix -e
in Middle Georgian**

S u m m a r y

In the works of Middle Georgian studied by us the verbs with III pattern of the discontinuous ones with the suffix **-e** belong to the biggest group of forms. The element **-e** adds to the non-reductive base morpheme with syllables in all cases while the third person of a subject is formed with the suffix **-a**. As for the suffix **-e** of the verbs with IV pattern it always adds to the base morpheme without syllables. However, sometimes simple and complex verbs coexist. In the works of Middle Georgian there are a number of cases when the suffixes **-ev** and **-e** can be found with the same base morpheme by the same author (švamḡev, švamḡc).

როენა ჭკადუა

**მოდრაობის მანერის გამომხატველ ზმნათა ერთი ტიპის
მორფო-სემანტიკური ანალიზი სვანურში**

მოდრაობის მანერის გამომხატველ ზმნებში სუბიექტის ვერტიკალურ მდგომარეობაში გადაადგილების ერთ-ერთ ძირითად მოდელად მიჩნეულია სიარული, რომელიც, თავის მხრივ, განარჩევს მანერულობის მთელ რიგ მომენტებს: გადაადგილების ტემპს, ენერგიულობის ხარისხს, ნაბიჯების სიდიდეს, უმიზნო მოძრაობას და ა. შ.

ე. წ. უმიზნო მოძრაობის ზმნები (დახეტილობს, დაბორიალობს...) საკმაო რაოდენობითაა ქართულ ენასა და დიალექტებში, ისინი უსაქმო, უთავბოლო, ზანტ მოძრაობას, ბორიალს აღნიშნავენ (რ. ქურდაძე, ნ. ლოლაძე). მათ ძირითადად ეწარმოებათ აწმყოს ჯგუფი და ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში კლასიფიცირებული არიან გარდაუვალ-დინამიკურებად, მეტწილად დაერთვით **და-** ზმნისწინი, რომლის ნაირგვარი ფუნქციებიდან ჩვენთვის საინტერესოა მოძრაობის აღნიშვნა გარკვეული მიმართულების დაუსახლებლად. როგორც აკ. შანიძე წერს, **და-** ზმნისწინი სწორედ ამ ასპექტით უპირისპირდება **ა-**, **მი-მო-** ზმნისწინებს. „სივრცეში გადანაცვლების მნიშვნელობა, განსაზღვრული მიმართულების გარეშე, მარტო **და-**სთან არის დაკავშირებული, **და-**მ ყველა ზმნისწინის მნიშვნელობას ძალა დაუკარგა, გააბათილა, გაანეიტრალა“ (შანიძე 1980: 254). აღნიშნული ტიპის ზმნებს ინტენსიური მოქმედების გამომხატველად მიიჩნევს დ. მელიქიშვილი და აღნიშნავს, რომ **-ებ** და **-ობ** თემატურსუფიქსიანი ზმნები არ დაირთავენ ასპექტის მაწარმოებელი ფუნქციით ზმნისწინს, მაგრამ მათ „...**და-** ზმნისწინი ხშირად დაერთვის და ინტენსიურ მოძრაობას (მოდრაობის ინტენსივობას) გამომხატვას: აქეთ-იქით სიარულს ან სიარულთან ერთად მოქმედებას: დაბალახობს, დაზოზინობს, დალაყუნობს...“ (მელიქიშვილი 2001: 137). საგულისხმოა, რომ „...**და-** ზმნისწინი შეიძლება დაერთო ზმნას, რომელიც მოძრაობას არ გამომხატავს და ეს მნიშვნელობაც შესძინოს მას: და-ღიღინებს =ღიღინით დადის, და-ბზუის = ბზუილით დასტრიალებს“ (ნ. ჭუმბურიძე 2011: 312).

ამ კუთხით საინტერესო მასალა მოიპოვება მეგრულში, სადაც **გილა/გილე** რთული ზმნისწინის დართვით იწარმოება მთელი რიგი საერთო მნიშვნელობისა და იმავდროულად, სხვადასხვა სემანტიკური ელფერის მქონე ზმნები. პოლიფუნქციური **გილა/გილე**-ს განმარტებებიდან გამოვყოფთ განმეორებადი, მრავალგზისი მოქმედების გამომხატვას: **გილარულა** „აქეთ-იქით წამდა-

უწუმ სირბილი“, **გილულა** „აქეთ-იქით სიარული“, „მისვლა-მოსვლა“ (ქობალია 2020: 127).

ქართული **და-** ზმნისწინიანი და მეგრული **გილა/გილე** დართული ზმნებისთვის საერთოა გარკვეული მიმართულების დაუსახელებლად მოძრაობის აღნიშვნა და ამ მოძრაობის ცალკეული სემანტიკური ნიუანების წარმოჩენა.

ქართული:

და-გორავს – გორვით მოძრაობს, ბრუნვით, ტრიალით ადგილს იცვლის.

და-გრიალებს – გრიალით დადის, ძლიერი ხმაურით დაქრის.

და-ბოტიალებს – უაზროდ, უთავბოლოდ დიდის, დაყიალებს.

და-ბალახობს – ბალახის ძოვით დადის.

და-ბარბაცებს – ბარბაცით დადის (სისუსტის, სიმთვრალისა და მისთ.

გამო).

მეგრული:

გილა-ბად-ან-ს „დაბოდიხლებს“

გილა-ბარდდ-ან-ს „დაფამფალებს, ფამფალით დადის“

გილა-ბაზ-ან-ს „დაზონზროხებს“

გილა-ბახჷ-ან-ს „დაბუთხუზაობს“

ამ ტიპის მასალა უხვად არის წარმოდგენილი ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“.

სვანურში, ქართულისა და მეგრულისაგან განსხვავებით, მსგავსი სემანტიკის ზმნები ზმნისწინის დართვას არ საჭიროებენ.

უმიზნო მოძრაობის მანერის აღმნიშვნელ ზმნათა სტრუქტურული მოდელი ამ ენაში ასეთი სახისაა:

პირის ნიშანი + ი – ხმ. პრეფიქსი + ზმნის ძირი (სემანტ. ბირთვი) + -ელ/-ურ/-ულ ელემენტები + ჯლ/-იჟლ სუფ.

წარმოდგენილ ყალიბში **ი**-პრეფიქსის ფუნქციის გასაანალიზებლად უპირიანი იქნება მოვიხმით ქართულის აქტიური სემანტიკის მქონე **ინიან** ზმნათა ფორმები, რომლებიც აგრეთვე მოძრაობას აღნიშნავენ: **იარება, იბრიქება, იზლანება, იკვანება** და ა. შ. „...ამ ჯგუფის ზმნათა სემანტიკა სუბიექტის გარდა სხვა პირის გაგებას არ შეიცავს, მაგრამ, სამაგიეროდ, უფრო საგრძნობია უკუქცევითობა (ღვინაძე 1989: 25).

ი- პრეფიქსი მოძრაობის მანერის აღმნიშვნელ ზმნებში განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ქართულის დიალექტებში: **იბლოტება, იღვედება, იბობდება** და ა. შ.

ზემოთ აღნიშნულ ზმნათა ძირითად მნიშვნელობას წარმოადგენს სუბიექტის მოძრაობის გამომხატვა, რომელიც უმიზნო მოქმედების პროცესშია, თუმცა ის გადაადგილდება და ამ გადაადგილებას მრავალგზისობისა და ინტესიურობის ელფერი აქვს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ შეიძლება ამ სტრუქტურული მოდელით გადმოიცეს ზოგადი, სუბიექტისათვის დამახასიათებელი მოძრაობის მანერა და არა პროცესი. ეს დამოკიდებულია კონტექსტზე.

მაგ.: **კავქა იბანდუნალ** „ეზოში დაბოდიხლებს“

ნამჩროშუ ქა ვედდ გარ იხანდუნალ „სიბერისაგან ძლივს დაბოდიალეზს“.

o- პრეფიქსი ამ ზმნებში გამოხატავს მოძრავი საგნის, სუბიექტის მოქმედების მიუმართაობას, სუბიექტის „წრეში“ ჩაკეტილობას, რაც ზოგადად გარდაუვალი, აბსოლუტურ ზმნებში ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს.

მოძრაობის მანერის გამომხატველ ზმნებში ზმნურ ძირზე არის დამოკიდებული დამატებითი მნიშვნელობა, ანუ სუბიექტის გარეგნული მხარის თუ შინაგანი თვისებების გამოხატვა მთელი თავისი ნიუანსებით, გარკვეულწილად მთქმელის, მოლაპარაკის ემოციურ განწყობაზე ხაზგასმაც.

ზმნური ძირის მომდევნოდ დადასტურებულ **-ქელ/-ურ/-ულ** ელემენტებს ზმნის ფუძის მაწარმოებლად (მაზმნავებლად) მიიჩნევენ.

აუსლაუტის **-წლ/-იელ** სუფიქსები კი მოქმედების მრავალგზისობაზე, განმეორებადობაზე (ჩვეულებითობა-ზოგადობაზე) მიუთითებენ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფორმებში უშუალოდ მოძრაობის ინფორმაციის გადმომცემი ელემენტი არ ჩანს, მაგრამ მორფოლოგიურ სტრუქტურაში შემავალი კომპონენტები ფუნქციის მიხედვით ისე არის შეხამებული ერთმანეთთან, რომ მთლიანობაში გადმოცემულია მოძრაობა, მოძრავი საგნის დახასიათება და ამ დახასიათებაზეა დამოკიდებული მოძრაობის მანერა.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქართულში მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნას შეუძლია აჩვენოს, როგორ სრულდება მოძრაობა: მაგ. დიდი ნაბიჯებით სიარულის აღმნიშვნელი ზმნა სემანტიკურად უკავშირდება ადამიანის ქვედა კიდურებს. ამავე დროს შეიძლება გამახვილებული იყოს ყურადღება მის ფიზიკურ პარამეტრებზე (სიგამხდრე, სიმსუქნე, სიმაღლე), ჩამულობაზე და ა. შ.

სვანურის მასალაც იმით არის საინტერესო, რომ ერთ ზმნაში შესაძლოა, ქართულის მსგავსად, „...ჩადებული იყოს მანერულობის დანაწევრებული სახეობის სხვადასხვა დეტალი“.

სემანტიკურად ახლოს მდგომი, უმიზნო მოძრაობის (ან „გამიზნული უმოქმედობის“) აღმნიშვნელი ზმნები ემოციური ელფერის მიხედვით შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დაიყოს:

1. მოძრავი საგნის (სუბიექტის) გარეგნული ნიშნების მიხედვით დახასიათება. მაგ.:

- o-კოჩ-წლ** „მაღალი კაცი დაიარება“
- o-დონდ-წლ** „მსუქანი ადამიანი ზანტად დაიარება“
- o-კუნკუ-წლ** „პატარა ტანის ადამიანი მოკუნტული დადის“
- o-ხონჯღ-წლ** „გამხდარი პატარა კაცი ძლივს დადის“
- o-გრნგ-იწლ** „დიდი გამხდარი მაღალფეხებიანი კაცი დაიარება“
- o-ბომბ-წლ** „მოხუცი ნელა დაიარება“
- o-ბზენკ-ულ-წლ** „წელში მოხრილი დადის“
- o-შანგ-უნ-წლ** „მაღალი ადამიანი გრძელი ნაბიჯებით დადის“
- o-ცანგ-უნ-წლ** „დაცუნცულებს (ბავშვი და ტანად პატარა)“
- o-ჩანგ-უნ-წლ** „დაჩანჩალებს (კოჭლი ან ავადმყოფი)“

2. სუბიექტის ჩაცმულობაზე მითითება:

- ო-ფრინქ-იელ** „გაღედლილი ტანსაცმლით დადის“
- ო-შყიმბ-ოლ-წლ** „უქუდოდ დაიარება“
- ო-ბლიშ-ან-წლ** „მოუწესრიგებელი ტანსაცმლით დადის“
- ო-ქონქ-ო-წლ** „შიშველი ფეხებით ძლივს დადის“
- ო-ფლგზ-ან-წლ** „რბილი ფეხსაცმლით დაიარება“

3. სუბიექტისადმი მკვეთრად უაყოფითი დამოკიდებულების გადმომცემი ლექსემები:

- ო-თერ-ან-წლ** „დაეთრევა“
- ო-ბლრყ-იელ** „უსაქმოდ დაყურყუტებს“
- ო-ბრეტყ-ან-წლ** „უშნოდ დაიარება“
- ო-გურემფ-იელ** „კარდაკარ დადის უსაქმურად“
- ო-ძანძ-უნ-წლ** „დამონძაობს“

4. სუბიექტისადმი სიბრალოლის, თანაგრძნობის გამომხატვა:

- ო-ჭედ-ან-წლ** „კედელ-კედელ ძლივს დაიარება“
- ო-ჭორტ-წლ** „სიგამხდრისგან ძლივს დადის“
- ო-ყოყ-აჟ-წლ** „ბევრი სიარულისაგან ძლივს დაათრევს ფეხებს“

ჩვენ მიერ ჩამოთვლილ მაგალითებში სუბიექტად ძირითადად ადამიანი იგულისხმება, თუმცა არსებობს ცხოველთა, ფრინველთა და სხვა არსებათა გადაადგილების ამსახველი ლექსიკაც.

რ. ქურდაძე წერილში „მოდრაობის აღმნიშვნელი ზმნების სემანტიკისათვის ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში“ აღნიშნავს, რომ „მოდრაობის აღმნიშვნელი ზმნების სემანტიკის აღწერა მანერის მიხედვით დიდძალ მასალას მოიცავს ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში“ (ქურდაძე 2002: 28). ასეთივე ვითარებაა სვანურში და მეგრულშიც, სადაც დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი ზმნური ლექსემები, რომელთა საერთო მახასიათებელს წარმოადგენს მოძრაობა-გადაადგილების შინაარსი, ხოლო მადიფერენცირებელს – მოძრავი სუბიექტის დახასიათება და მოლაპარაკის ემოციური დამოკიდებულება სუბიექტისადმი.

ვფიქრობთ, სვანურში ასეთი სემანტიკურ-ფორმოზომივი ჯგუფების ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო ამ ზმნებში შემავალი სემანტიკური ბირთვის მზა (დამოუკიდებელი) სახით არსებობამ. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს სვანურში დადასტურებული ხმაბაძვითი და გარეგნობის მახასიათებელი ლექსიკა, სადაც კარგად ჩანს მეტყველის ცნობიერებაში აღქმული სუბიექტის გარეგნული მხარე. მაგ.:

- გუირ** „უთმო, მელოტი კაცი დგას“ (ან ზის)
- ო-გუირ-ან-წლ** „მელოტი კაცი დაიარება“
- შყუბ** „დიდთავა, უშნო კაცი დგას“ (ან ზის)“
- ო-შყუბ-ან-წლ** „დიდთავა, უშნო კაცი დაიარება“

ტკიზ „დიდი ტანის, უშნო (ან შეიძლება სულაც არ არის უშნო, მაგრამ მოტემელი ასე ხედავს) ქალი დგას (ან ზის)“

ო-ტკიზ-ან-აღ „უშნო, დიდი ტანის ქალი დაიარება“

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მსგავსი სემანტიკის ემოციურად დატვირთული ზმნებით განსაკუთრებით მდიდარია ქართულის დიალექტები, სადაც და- პრეფიქსის გარეშეც დასტურდება უმიზნო მოძრაობის გამომხატველი სტრუქტურები. ივ. ქავთარაძის მიერ „იმერული კილოს ლექსიკონისათვის“ მოპოვებულ მასალაში ვკითხულობთ:

ბუნკვა (იბუნკვება) – ურცხვად კარდაკარ სიარული სიცივისაგან აკანკადებული და დაპატარავებული ადამიანისა.

ყლუნცური (ყლუნცურობს) – მაღალი და სუსტი ადამიანის სიარული.

იზუბლება – ნელა და ძლივსდადის,

მანყალობს – მოღრეცილი დადის,

იბღუნკება – მოკუზული დადის.

იწანწება – წელწვრილი და მაღალი ადამიანი თავმოწონედ დადის (ქავთარაძე 1974 : 220).

გარდა **ო-** პრეფიქსიანი ზმნებისა, სვანურში დასტურდება ოდენსუფიქსიანი ფორმები, რომლებიც პიროვნების გადაადგილებას სხვადასხვა ნიუანსით ახასიათებენ. მაგ.:

ბერ-ეჟ-ი „დაბორიალებს“

ჟურჟუტ-ე „უსაქმოდ დაიარება“

ბენცლ-ეჟ-ი „უაზროდ დადის“

ბროგ-აჟ-ი „მოუსვენრად დადის“...

მიუხედავად იმისა, რომ ოდენსუფიქსიანი ზმნები სტრუქტურულად განსხვავდებიან **ი-** პრეფიქსიანებისაგან, მოძრაობა-გადაადგილებასთან ერთად, დამატებით სემანტიკურ ელფერსაც წარმოაჩენენ.

როგორც ზემოგანხილული მასალიდან ჩანს, უმიზნო მოძრაობის გამომხატველი ზმნები საკმაო რაოდენობითაა ქართველურ ენებში. ქართულში ძირითადად დაერთვის ამ სტრუქტურებს **და-** ზმნისწინი, მეგრულში – **გილა-/ვილე-** რთული ზმნისწინი, სვანურში კი ზემოაღნიშნულ სემანტიკას უზმნისწინო, **ო-** პრეფიქსიანი ფორმები გადმოსცემენ.

ლიტერატურა

ლოლაძე 2015 – ნ. ლოლაძე, მოძრაობის ზმნები ქართულში, თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ელექტრონული ჟურნალი „სპეკალი“, თბილისი.

მელიქიშვილი 2001 – დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბილისი.

ქავთარაძე 1974 – ი. ქავთარაძე, მასალები იმერული ლექსიკონისათვის, ქესს, თბილისი.

ქობალია 2010 – ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი.

ქურდაძე 2002 – რ. ქურდაძე, მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნების სემანტიკისათვის ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში, კრებული „შოთა ძიძიგური 90“, თბილისი.

შანიძე 1980 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, ტ. III, თბილისი.

ჭუმბურიძე 2011 – ნ. ჭუმბურიძე, ზმნისწინი, თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, თბილისი.

ROENA CHKADUA

One Type Morpho-Semantic Analysis of Verbs Denoting Manner of Movement in Svan

S u m m a r y

The verbs expressing the aimless movement or the deliberate inertness are great in number in the Kartvelian languages. In Georgian the preverb **da-** is added to a word (**da-xcʰalobs**, **da-laqunobs**, **da-grialebs...**); in Megrelian it is a complex preverb *gila/gile* (**gila-baḡans**, **gila-čartans**, **gila-zazans**); In Svan the semantics is expressed by the structures with the prefix **o-** and without a preverb **i-gsar-ǎl**, **i-blib-ǎl**, **i-ḳwli-ǎl**.

All the analyzed verbs denote an aimless movement of a subject but they differ with expressing the manner of a movement from each other that depends on the features (internal or external) of a moving subject. In these verbs the emotional mood of a speaker is also emphasized.

ნინო ხახიაშვილი

**ყურ- (ყურება) ძირთან დაკავშირებული ხატოვანი
სიტყვა-თქმანი**

ყურება სახელი უყურებს, იყურება ზმნათა მოქმედებისა, – რისამე თვალით დანახვა, [შე]ხედვა, ცქერა... სულ თქვენი ნახვა გვწყურია, თქვენი სმენა და ყურება (გ. ლეონ.) ♦ **(ვისიმე) გზის ყურებაშია** იხ. გზა. ♦ **მრუდე თვალით ყურება** იხ. მრუდე (ქეგლ VII, 1962).

უყურებ-ს (უყურა, უყურებია [მისთვის]) გრდმ. ობ. ქვ. 1. მხედველობას აპყრობს, – უცქერის. „გლახუკას კიდევ პირი დაედო და გაშტერებით გვიყურებდა“ (ილია)... // თვალს ადევნებს. მწყერივით გავინაბე და ... [ნოლას] სახის ცვლილებას ვუყურებდი (ი. ეკალ.). 2. გადატ. ელოდება, უცდის. დიდხანს უყურა ქრისტინემ, მაგრამ იასონი არ გამოჩნდა (ე. ნინოშ.). 3. გადატ. მიიჩნევს, თვლის; აფასებს, განსაზღვრავს. „როგორ უყურებთ თქვენ დავითის საქციელს?“ (ა. ცაგარ.). ♦ **სიკვდილს თვალგზით უყურებს** მოსალოდნელ სიკვდილს მამაცურად ეგებება, მოსალოდნელი სიკვდილის არ ეშინია. ♦ **კარგი თვალით უყურებს** იხ. კარგი. ♦ **ეჭვის თვალით უყურებს** იხ. ეჭვი. ♦ **ალმაცერად უყურებს** იხ. ალმაცერი (ქეგლ VI, 1960).

გა-ჰ-ყურებ-ს (მხოლოდ ნაკვეთა აწმყოს წყებაში) გრდუფ. სტატ. 1. იხედება შიგნიდან გარეთ, იყურება სივრცეში, შორს, – გასცქერის (შდრ. უყურებს)... 2. გადატ. მიქცეული არის საითკენმე. სიცილიის კუნძული, რომელიც იტალიას ეკუთვნის, თითქმის პირდაპირ გაჰყურებს აფრიკის ქვეყანას – ტუნისსა (ილია). **გაყურებულ-ი** ინდ. მიმღ. ვნებ. ნამ. ვინც იყურება, გაჰყურებს საიდანმე. ფანჯრიდან გაყურებული ვტკბებოდი მათი (= ჩიტების) სიმშვიდით (რ. ინან.) (ქეგლ II, 2010).

და-ჰ-ყურებ-ს (მხოლოდ ნაკვეთა აწმყოს წყებაში) გრდუფ. დინამ. უყურებს ზევიდან ქვევით, – დასცქერის. მალლით ბრძოლის ველს, როგორც ხელის გულს, ისე დაჰყურებს მთავარსარდალი (აკაკი). // ფიგურ. [ვარიანს] ჩრდილოეთიდან ზედ დაჰყურებს კავკასიონის მაღალი მთები (დ. კლდ.) (ქეგლ III, 1953).

მაგრამ: **და-ა-ყურებ-ს** (დააყურა, დაუყურებია) გრდმ. ყურს მიაპყრობს, ყურს დაუგდებს, სმენას გაამახვილებს (რისამე გასაგებად, გასაგონად)... **და-ყურება** (დაყურებისა) სახელი დააყურებს ზმნის მოქმედებისა, – ყურის და-

გდება, ყურის მიპყრობა, სმენის გამახვილება... **დაუყურადებ-ს** (დაუყურადა, დაუყურადებია) გრდმ. ყურს დაუგდებს, ყურადღებას მიაქცევს, თვალ-ყურს ადევნებს...¹ (ქეგლ III, 1953).

შე-ჰ-ყურებ-ს (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. 1. უცქერის, უყურებს, შესცქერის. კოდალას ცელქობას მე სიხარულით შევყურებდი (ვაჟა)... **ღ თვალებში შეჰყურებს** გადატ. პატივისცემით, მოწიწებით ექცევა; მზრუნველობს; შესციცინებს. **ღ თვალ-წარბში შეჰყურებს (შესცქერის, შესჩერებია...)** იხ. თვალ-წარბი. **ღ სხვას შეჰყურებს, ხელ[ებ]ში შეჰყურებს** სხვისგან გამოელის რასმე, სხვის იმედზეა. შენი დღენი ძალსავით სხვას შეჰყურებ (ილია). **ღ იმედით, იმედის თვალთ შეჰყურებს** იხ. იმედი. 2. გადატ. **თვალ-ყურს ადევნებს**. შენ ... გულგრილად შეჰყურებ საზოგადოების აზრს (აკაკი). მთელი ევროპა განცვიფრებით შეჰყურებს ეხლა ინგლისს (ილია). (ქეგლ VII, 1962).

ა-ჰ-ყურებ-ს (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. უყურებს ქვემოდან ზემოთ, – შეჰყურებს, შესცქერის. სიამაყით ავყურებთ კლდიდან აზრდილ ციხის მრისხანე ბურჯებს (რ. ინან...)... მსახიობი... ნავის კიჩოზე გადაწოლილიყო და ცას აჰყურებდა (ო. ჭილ.) (ქეგლ I, 2008).

აყურებიანებ-ს კაუზატ. უყურებს, იყურება ზმნათა. აიძულებს ან შესაძლებლობას აძლევს უყუროს, იყუროს. – 1. აცქერიანებს, [შე]ახედებს. სხვაგან მიდის და სიხარული მარტო წინ აყურებიანებს... განა ყველაფერი იქ არის? (ილია). მაშინამც მაყურებიანა, ფარს რო დაუწყებს ბლუჯვასა! (ვაჟა). 2. კუთხ. კიდეც სამ გაყურებიანებთ ჩემის ხირიმის ხმასაო (ვაჟა). **ღ სეირს აყურებიანებს** შავ დღეს დააყრის, სეირს უჩვენებს. მობრძანდი და ხელი მომკიდე, თუ გულს გერჩის, და შენს სეირს გაყურებიანებ! (აკაკი). დაგეცადა, გაყურებიანებდი იმათ სეირს! – მოიწონა თავი მამალმა (ვაჟა). **ღ ნეტა თვალი მომცა და მაყურებიანა** იტყვიან მომხიბლავ ვინმეზე ან რამეზე, – იგივეა, რაც ცქერით ვერ გაძლება... (ქეგლ I, 2008).

იყურებ-ა (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. ვნებ. 1. ერთთავად უყურებს, გასცქერის, გაჰყურებს (რასმე), – იხედება, იცქირება. ქვრივი ჭუჭრუტანიდან იყურება (ილია). ვანო ცქერად გადაიქცა და სულ ქალაქისკენ იყურებოდა (ი. გოგებ.). [მსაჯული] შეშინებული იყურება აქეთ-იქით (აკაკი)... ფიგურ. თუ გოდერძი სულ ხმაღზე არ იყურებოდეს, დუშმანთან მარად ბრძოლაზე არა ფიქრობდეს, გადარევედა შენი სიტურფე (ვ. ბარნ.). მართალი არის, ბრმა კი ვარ, მაგრამ გონების თვალთ ჯერ ვიყურები (აკაკი). **ღ სამარისკენ იყურება** უპატივც. მალე მოკვდება, დიდი ხნის სიცოცხლე აღარ აქვს (იტყვიან მოხუცებულზე), – ცალი ფეხი სამარეში უდგას. „კაცი სამარისკენ იყურება, გასათხოვარი ქალები სახლში უსხედან და ამისთანა საქმეებს კი მისდევს“ (ს. მაგალობ).. **ღ უკან იყურება** გადატ. წარსულს იგონებს. უკანაც რომ ვიყურები, იმასვე ვხედავ: განადგურებულ ჩემს ღირსებას (ი. მაჩაბ. თარგმ.). 2. გადატ. ჩანს, მოჩანს, გამოიყურება. ტყე იყურებოდა შავადა (თ. რაზიკ.). თან

¹ შდრ.: შეჰყურებს (მნიშვნ. 2).

ანაფორის კალთიდანაც იყურებოდა მახვილის ტარი (ვაჟა).” მაგრამ: „3. იხ. ის-მის. არაფერი ახალი არ არის, ნოე? – ჩხუბის არაფერი იყურება?.. (ჭ. ლომთ.) (ქეგლ IV, 1955).

ასევე გვაქვს დიალექტური: **იყურებ-ს** (იყურა, უყურებია) კუთხ. (ფშ.) გრდმ. მოისმენს. ზაფხულს თოფის ხმას იყურებს, ზამთარ – ჩამუდის ზვავია (ვაჟა). ილომ გულხარბად იყურა ეს არეული გუგუნნი, ღმუვილი ტურა-მგლე-ბისა და ხარ-ირმების ბუხუნნი (ბაჩ.) (ქეგლ IV, 1955).

ასევე: **3-ყურობ-ს** (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. 1. იხ. უყურებს. – ჩამოხე ცხენიდან!... – ვა, ჩამოვხტე, რა შენი ყურმოჭრილი მონა ვარ?! – მითხრა [სომეხმა]... – ვერ მყურობ? კაცი თოფ-იარაღში ვზივარ (ილია). ჰყურობ შენ ამას, რა ხრიკებს, რა ოსტატობას მიჰმართა?! (ვაჟა). // გადატ. უვლის. „აბა ძაღლიკავ, შენ ხმალიც, ვნახო როგორა ჰყურობო, იქნება ჟანგს შეაჭამე, დღესაც ისევა სწუნობო“ (ვაჟა). ... 2. კუთხ. (იმერ. გურ.) იხ. ეს-მის¹ [ეყურება], უსმენს“... (ქეგლ VII, 1962).

სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ **ყურება** „სმენას“ აღნიშნავს მხოლოდ: **ყურება** ყურთ მიპყრობა; **ყურადღება** (**ყურად იღეთ**) ყურში შესმენა (სულხან-საბა II, 1993).

„ყურიდან მომდინარე და უშუალოდ მასთან დაკავშირებული **ეყურება** (=„ესმის“) ნასახელარი ზმნაცა გვაქვს და გადატანიტი მნიშვნელობით წარმოქმნილიც **უყურებს** (=„უცქერის“), – წერდა ქ. ლომთათიძე, – ... დიდი ილიაც ეუბნება ლაბას: „მეც შენებრ მიწას **დავყურებ თვალით**“–ო...“ (ლომთათიძე 1990: 52).

„ცქერის“ მნიშვნელობით **ყურ-** ფუმიდან მომდინარე სხვადასხვა ზმნური ფორმა ძალზე გავრცელებულია ქართულ დიალექტებში (ისევ ქეთევან ლომთათიძეს დავესესხებით):

„დეიწყეს თამაში, ერთი უშველებელი დევი ქე ჯის იმ ნოხზე, ეს კაცი ქე **ყურობს** აქანე“... (ქართული დიალექტ. I, 464,5;) [**ყურობს** = „**უცქერის**“ (იქვე, 673)];

„ბიჭმა თქვა: – ჩემი სიკვდილი ჩემმა ხარმა **იყუროსო**“... (იქვე, 445,1); [**იყუროსო** = „**იხილოსო, ნახოსო**“];

გუდამაყრულში დადასტურებული **ყურიადობს** განმარტებულია, როგორც „უთვალთვალებს“... (იქვე, 575) (ლომთათიძე 1990: 52).

შდრ.: აღ. ღლონტის ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა: **ყურიადობს** (გუდამაყრ.) „უყურებს, უთვალთვალებს, ყურადღებას აქცევს“ (დიალექტ., 575) (ღლონტი 1974).

ალექსი ჭინჭარაულის „ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონში“ დადასტურებულია ზმნა **3-ყურობ-ს** 1. უყურებს, აკვირდება. „დედავ, დედავ, უყურებ ამას, ჰყურობ, რა არი?“ – ეუბნებოდა ეფრემი ამაყად („გუგული“, III); ბიჭი ვარ გოგოლაური... რას მყურობ ტალავარზედა?! („კრიტიკა... ვართაგავასი“); 2. იგივეა, რაც ჰყურებს. „აბა, ძაღლიკავ, შენ ხმალიც ვნახო, როგორა ჰყურობო“ („ძაღლიკა ხიმიკაური“, VI). **3-ყურებ-ს** უვლის, პატრონობს, ყურადღებას აქცევს. „იმის ძმებს მტერი ჰმუსრავდა, თვით ჯიბეს იყრის ფულებსა. მიკვირს,

რომ ასეთ უმსგავსთა ქვეყანა რადა ჰყურებსა?!“ („სისხლის მიება“, XV); ძნე-ლია, როცა ორივეს (სულს და გონებას) პატრონი არა ჰყურებსა („სადიდმარ-ხვოდ“)... (ჭინჭარაული 1969: 286).

ასევე, ალ. ჭინჭარაულის ხევსურულ ლექსიკონში: **ხ-ყურებ-ს** უვლის, ყურადღებას აქცევს. არ ვიცი ვითას ხანს იყვ იქ, აღარ მახსონს, ვითას ხანს ვხყურეთ (ხევს. თავისებ. 401, 27); „სოლომონ ბუკულაშვილი კარგა ხყურებს თავის ცხენსა (ხევს. თავისებ. 403, 8); ცერად მიაზრებს დედაი, არ ვიცი, რას მემდურება... „რადარ მაიყონ დიაცსა, საქონთ რო ველარ ვხყურება!“ (ეთნ. სტმასპ. 21, 250)... (ჭინჭარაული 2005: 946).

ამავე ლექსიკონში შემდეგი ლექსიკური ერთეულებიცაა: **ყურება** 1. სმენა. ისენ წვრილი ჳმით გალობენ, ყურება სანატრელია (ხევს. პოეზ. 541, 10). 2. მოვლა, ყურისგდება, მიხედვა (შდრ. მ. ჯანაშვილი: ყურობა)... **ყურობ-ს** ისმენს. გულ უწუხს გამახელასა, არ ყურობს ნაუბარსაო (ბ. გაბ. 205, 15); ქადაგის ქადაგობას ხალხ გულით ყურობდ (თ. ოჩ. სარწმ. 75); „იმედიამე ჳმას არ იღებსავ, ყურობსავ“ (ხევს. თავისებ. 361, 6); მინდია და ივანე ყურობენ თოფის ჳმას (ბ. გაბ. 194, 11); სხამიანის ეშმაკი ერთ სხვას ეძახს: „რას ხყურობა?!“ (სტმასპ. 40, 8)... (ჭინჭარაული 2005). **იყურებ-ს** მოისმენს. ზღვამე ააღელვა მძინარე, ტაღლი ეგორა მთებურა, რომ გულს მფენიყო ნათელი, რა მისი ჩქეფა მეყურა („ზღვამე ააღელვა მძინარე“); ბოსლის კარზე გავიარე, სულის-ქცევა ვიყურია („ძვ. და ახალი ფშავლ. პოეზია“) (ჭინჭარაული 1969: 153).

საინტერესოა, ასევე თინათინ შარაძენიძის ვარაუდი სვან. **ყვირ-ა** („ელამი“) სიტყვასთან დაკავშირებით: „სვან. **ყურმ-ა** ... „ყურს“ აღნიშნავს. ვფიქრობთ, ეს სიტყვა იშლება **ყურ-მ-ა**. პირველი წევრია **ყურ-**. აღსანიშნავია, რომ **ყურის** აღსანიშნავად ამჟამად სვანურში სრულიად სხვა სიტყვაა (**შდომ**), რომელიც არ შეესატყვისება ქართულ-ზანურს. როგორც ჩანს, დასახელებულ კომპოზიტს შემოუნახავს უძველესი ქართველური ფუძე... რაც შეეხება **მ-ა**-ს, ვფიქრობთ, ის **მან-**-ისგან მომდინარეობს, მაშ **ყურმ-ა** < *ყურ-მან-კიანი“. ¹ ოღონდ დაბრკოლებას ის ქმნის, რომ **კ-ს** უნდა მოეცა და არა **ჯ-** ...“ სქოლიოში კი მეცნიერი შენიშნავს: „**ყურ-** ფუძე უნდა გვექონდეს აგრეთვე მეორე ნაწარმოებ სიტყვაში: სვან. **ყვირ-ა** „ელამი“, -**ა** რაიმე თვისების მქონებლობას აღნიშნავს... სვან. **ყვირ-** < **ყურ-** (?), აქ ეს ფუძე **თვალს** აღნიშნავს და **არა ყურს**. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჳმნაში **ყურება** „**ყურ-**“ თვალის მოქმედებაზე მიუთითებს და არა ყურისაზე, მაშინ იქნებ ასეთი სემანტიკური გადასვლა უცნაურად არ მოგვეჩვენოს“... (შარაძენიძე 1991: 123-124).²

¹ შდრ.: **ყურმ-ა-ი** (გურ.) < ყურ-მ-ა, ყურნაკლული, სმენადახშული, გადატ. ჩამორჩე-ნილი (წითელმთა, ი. შილაკაძე) (ალ. ლლონტი, 1974).

² **ყურ-** ფუძეს ივ. ჯავახიშვილი წყვილობის გამომხატველ ფუძედ მიიჩნევდა, ამიტომ იყო შესაძლებელი მას სასმენელის გარდა თვალზეც აღენიშნა, როგორც ამას სიტყვა **ყურება** ამჟღავნებს (ჯავახიშვილი, 1937, 395). „მეგრული **ყურ-ი**. ქანური **ყურ-ი** ქართული **ყურ-ი** ფუძის კანონზომიერ ფონეტიკურ შესატყვისის წარმოადგენს, - აღნიშნავდა გ. როგავა, - ფუძისეული რ- ბგერა დაცულია სიტყვებში **ყურ-უ** „რეგენი, უკულო, ახლგაზრდა“ (როგავა 1959: 278) (ლ. გელენიძე 1974: 50).

საყურადღებოა, რომ **ყურ-** ძირი „თვალის“ მნიშვნელობით სახელურ ფუძეებში არ დასტურდება, მას მხოლოდ ეტიმოლოგიურად აღადგენენ სიტყვებში, მაგ: ძვ. **მკვირცხე** (არნ. ჩიქობავა), **კურცხალი** (ნ. მარი), სვან. **ყვირამ** „ელამი“ (თ. შარაძენიძე), მეგრ. **ყვირე** „ბრმა“ (ი. ყიფშიძე)...

ვფიქრობთ, **ყურყუტიც** ამ სიტყვათა რიგს მიეკუთვნება: **ყურყუტი** მიღებულია **ყურ-** ძირის რედუპლიკაციით [გაორკეცებით], პირველი სეგმენტის [ძირის აუსლაუტში] **რ** სონანტის **ტ** თანხმოვნით შენაცვლებით: [მარტივად გაორკეცებული ძირების (თითოეული სეგმენტის) აუსლაუტში საკმაოდ ხშირად გვაქვს **რ** სონანტი (გარგარი, გურგური, დურდური, ვარვარი, კურკური...), – შენიშნავს ფარნაოზ ერთელიშვილი, – მაგრამ, პირველი სეგმენტის **რ** სონანტს არა იშვიათად შეესაბამება **ლ** სონანტი მეორე სეგმენტში: ბარბალი, კარკალი, პარპალი, სარსალი, ქირქილი, ჩურჩული... **ლ-**ს გარდა, პირველი სეგმენტის **რ-**ს მეორე სეგმენტში შეიძლება შეესაბამებოდეს წინა წარმოების სხვადასხვა თანხმოვანი: **რ-ტ**: ბურბუტი, კირკიტი, სურსუტი, ფარფატი, ღერღეტი, ღირღიტი, ღურღუტი, ყარყატი, **ყერყეტი** (ყერყეტა ქგლ VII), **ყურყუტი**, **ჩერჩეტი**, ***ცერცეტი**... (ფარნაოზ ერთელიშვილი 1970: 186)].¹

ფარნაოზ ერთელიშვილი ერთმანეთს უკავშირებს **ყურყუმ-**სა (**ყურყუმი** – ძლიერ შავი, ძლიერ ბნელი ქგლ VII) და **ყურყუბ-**ს (**ყურყუბი** – ძლიერ ბნელი (მოხ.) (ერთელიშვილი 1989: 125).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში **ყურყუბს** სხვა მნიშვნელობებიც აქვს:

ყურყუბ-ი 1. საუბ. დიდხანს ლოდინი, ცდა.² [ბეჟუკაი და დათიკელაი] დეიხოცებიან ამ ბოლაზში ყურყუბით! (ე. ნინოშ.). ამ ყურყუბში ალიონმა მოაწია (დ. მესხ.). 2. კუთხ. (ფშ.) იგივეა, რაც ჩერჩეტი. ყურყუბს [კაჰკაჰს] არ ესმოდა, რა ხიფათი მოელოდა (თ. რაზიკ.) (ქეგლ VII, 1962).

შდრ.: **ყურყუბ-ი**² (კახ.) ბეჩავი, გადაყრუებული (ა. მარტ., გ. იმნ.) (ღლონტი 1974: 617).

ყურყუბებ-ს (იყენ. იყურყუბა, უყურყუბნია) საუბ. გრდუვ. სტატ. დიდხანს იცდის, გაჩერებულია ერთ ადგილზე (ვისიმე ან რისამე მოლოდინში).

ყურყუბობ-ს (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. იხ. ყურყუბებს...

შე-ჰ-ყურყუბებ-ს (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. მომბეზრებლად, დიდხანს უცდის, ელოდება. რას შეჰყურყუბებს იქ? (აკაკი) (ქეგლ VII, 1962).

იყურყუბებ-ს (იყურყუბა, უყურყუბნია) საუბ. გრდმ. დიდხანს იქნება ერთ ადგილზე გაჩერებული (ვისიმე ან რისამე მოლოდინში). [აბდუმაჰილმა]

¹ აუსლაუტის **ტ** [ზოგ მარტივ ფუძეში] **ლ**, **რ** სონანტებთან მონაცვლეობის შედეგად არის მიღებული: ციატი – ციალი; ხვრეტ – ხვრელ; წვეტ – წვერ; ჰყეტ – ჰყერ [ჰყეტს, ქგლ VIII შდრ.: ჰყერა მზერა, ჰვრეტა, ყურება; დაჰყერა – დაჰყეტა მოხ., გამოჰყერა – გამოჰყეტა... (ერთელიშვილი 1970: 187).

² შდრ. **უყურებს** (მნიშვნ. 2) გადატ. **ელოდება**, **უცდის**...

დიდხანს იყურყუტა, ბევრი ათვალიერა აქეთ-იქით, გალავანსაც შემოუარა, მაგრამ სიცოცხლის ნიშან-წყალი არაფერს ეტყობოდა (აკაკი) (ქეგლ IV, 1955).¹

ყურ- (ყურება) ქართულში ამჟამად თვალის ფუნქციაზე მიუთითებს და არა ყურისაზე: გარე სამყაროს მოვლენებში გარკვევისათვის ყურის საქმიანობაც მნიშვნელოვანია და თვალისაც, და ერთი მეორესთან მჭიდროდაა დაკავშირებული. ერთის მეორით შეცვლა ორდინალური სემასიოლოგიური პროცესია, – აღნიშნავდა არნ. ჩიქობავა (ჩიქობავა IV, 2008: 349). [ტიპოლოგიისათვის აქვე შეიძლება გავიხსენოთ გამოთქმა „გესმის სუნი?“ და არა – „გრძნობ სუნს?“].

დასასრულ შემოგთავაზებთ **ყურება** („ცქერა, ხედვა“) ლექსემასთან დაკავშირებულ ხატოვან სიტყვა-თქმათა სემანტიკურ გადააზრებას [თითოეული ეს მნიშვნელობა დადასტურებულია განმარტებით ლექსიკონში, შესაბამის სიტყვა-სტატიაში]:

ყურება შეიძლება იყოს:

1. მიხედვა, ზრუნვა, პატრონობა, ყურადღება: ძნელია, როცა ორივეს (სულს და გონებას) პატრონი არა **ჰყურებსა** (ვაჟა ფშაველა, „სადიდმარხვოდ“);

2. თვალ-ყურის დევნება: 1. **მწყსა. მწყემსი**.² „ამ სიტყვის ეტიმოლოგია „ყურება, შეხედვაა“: მწყემსი – „მაყურებელი“, ვინც რასმე უყურებს“... (არნ. ჩიქობავა). მაგრამ მაყურებელი შეიძლება ავი განზრახვითაც ადევნებდეს თვალ-ყურს: 2. მსტოვრობა, ჯაშუშობა, ჯაშუში: **მაყურებელი** (ჟარგ. ნასედვა). შდრ.: **მაყურებელი** 1. მიმდ. მოქმ. ვინც უყურებს რასმე ან ვისმე, – მაცქერალი.. იმისთანა ტკბილი მამშვილობის მაყურებელსა გული ლხენით ამიტირდა (ილია). **ღ სხვისი მაყურებელი, სხვის ხელში მაყურებელი, სხვის პირში მაყურებელი**. გადატ. ვინც სხვისი იმედით არის. შინაურმა არევ-დარეულობა.. ოსმალეთი.. სხვის პირში მაყურებლადლა გახადა (ილია). 2. რაიმე სანახაობის დამსწრე... (ქეგლ V, 1958).

3. ფხიზლად ყოფნა: ძვ. **მკვირცხე** „ფხიზელი“ [ჭან. კუცხ. ღვიძება; მეგრ. კურცხ- „ – “; ქართ. მ-**კვირცხ**- || მ-**კვრცხ**-ე (საბა). [მეგრ. გოკურცხუ – გა-

¹ ტიპოლოგიურად, **ამტერდებ**-ა (მიამტერდა, მიმტერებია და დაამტერდა, დამტერებია) გრდუვ. ვნებ. მიაჩერდება რაიმეს; უაზროდ აცქერდება, გაოგნებული უყურებს. კედელს ამტერდება... – სულ ბანზე იჯდის (= იჯდა ხოლმე) ღამითა, ამტერდებოდა ცასაო (ვაჟა). **ამტერებ**-ს ([გა]ამტერა, [გა]უამტერებია) გრდმ. 1. შტერს ხდის, შტერად აქცევს. 2. უზომოდ აკვირვებს, – აოცებს. მე მამტერებდა [სოფიოს] თავხედობა (ა. ყაზბ.). სხვადასხვა ხმა, ერთად შეერთებული, სალომეს ამტერებდა (ს. მგალობ.). **ღ თვალებს ამტერებს** უაზროდ იყურება ფართოდ გახელილი თვალებით. ხან ფიქრით გატაცებული შორს ამტერებდა თვალებსა, ხან ისევ გონზე მოსული გადაჰყურებდა ჭალებსა (აკაკი) (ქეგლ I, 2008). შდრ.: **შტერ**-ი სულები, ჩერჩეტი... **შტერად**[ა] ზმნს. ისე, როგორც შტერი, შტერივით. თვალი შეასწრო უცნობმა, შედგა, უცქერდა შტერადა (ვაჟა). ქალს ელდა ეცა, ... გაფითრდა, დარჩა შტერადა (ბაჩ.). **შტერდება**-ა გრდუვ. ვნებ. ამტერებს ზმნისა – შტერი ხდება... **შტერება** სახელი ამტერებს, უმტერებს, შტერდება ზმნათა მოქმედებისა. **თვალების შტერება** (ქეგლ VII, 1962).

² **მწყემსი** < **მწყემსი** < **მწყემსი** „ძირი ამ ზმნისა ქართულში **წყ**- არის, **წყ**-ემ-ს-ი „არსი“, „ღირსი“-ს მსგავსი წარმოება უნდა იყოს და „მაყურებელს“ უნდა ნიშნავდეს ეტიმოლოგიურად (შდრ.: მეგრ. ო-რ-წყ-ე(ნ) ... ხედავს, უყურებს... ჭან. ო-წყ-ე-ს-ს... სვ. ლი-წყ-ედ – ხედვა, ყურება... (ჩიქობავა IV, 2008).

აღვიძა.. კურცხე რე(ნ) – ღვიძავს... ზემოხსენებული ზმნა ნასახელარია; ნაწარმოებია ის **კურცხე**-საგან: **კურცხე** – „ფხიზელს“ ნიშნავს; ესაა ქართულში ხმარებული მ-**კვრცხე**-ე. მართალი უნდა იყოს საბა, როცა შენიშნავს: **მკვრცხე** და **მკვრცხლ**- სხვადასხვაა, მათ „განკრძალვით გარჩევა უნდა, ვიეთი მწერალნი არ დაჰკ, რევიან (იხ. საბა: **მ კ ვ რ ც ხ ე**). საბა განმარტავს: მკვრცხლ... „ესე არს ქვეითი ფრჭივ მავალი“... მისი ძირი იგივეა, რაც „კუარცხლბეკ“-ში გვაქვს და **ფეხ**“-ს აღნიშნავს (იხ. **კუჩხ**-ე-სთან), **მკრცხე** კი „ფხიზელს“ აღნიშნავს [საბას განმარტება ამ სიტყვისა არაა ზუსტი, – შენიშნავს არნ. ჩიქობავა]... მეგრ. კურცხე რე(ნ) – ფხიზელია, ფხიზლობს, არა ძინავს... გ ო კ უ რ ც ხ ე უ – გაიღვიძა (ე. ი. „გაფხიზლდა“), გ ა ა კ უ რ ც ხ ი ნ უ – გაღვიძა („გამოაფხიზლა“). ძირეული **კურ**- || **კვრ**- აქ „თვალზე“ უნდა მიუთითებდეს (იხ. ნ. მარი) (ჩიქობავა, IV 2008: 295-296). ნ. მარის თვალსაზრისით, **ყურ**-ი „თვალის“ მნიშვნელობით დაცულია სიტყვა **კურცხალში** „ცრემლი“ – ***კურ**- „თვალი“ ***ცხალ** (<წყალი) (ე. ი. „ყურის („თვალის“) წყალი“) (მარი V, 330).¹

4. ყურება: მოწონება, სიყვარული: **ღ ნეტა თვალი მომცა და მაყურებინა** იტყვიან მომხიბლავ ვინმეზე ან რამეზე, – იგივეა, რაც **ცქერით ვერ გაძლება**... სტატიაში „მოწონება-სიყვარულის გამომხატველ ზმნათა ამოსავალი სემანტიკისათვის ქართველურსა და აფხაზურ-ადიღურ ენებში“ დიალექტური მასალის განხილვისას ქეთევან ლომთათიძე ასეთ შენიშვნას აკეთებს: „როდესაც ცხვარი **აძმულებს** („შეიძულებს“) თავის ბატკანს და დაეკარგება მშობლიური გრძნობა, იმას ამწყვდევნ თავისი ბატკნით წნელით ამოწნულს, გოდრის მსგავსად გაკეთებულს, წნულში, რომელსაც ფშაურად **ქორაკანა** ჰქვიან, ხოლო კახურად – **საყვარებელი**“. აქ სწორედ „**საყურებელი**“ გარემოს შექმნა საფუძველი „საყვარებელი გარემოსათვის“, – შენიშნავს ქალბატონი ქეთევანი. „განხილული ფაქტების საფუძველზე არის შესაძლებლობა **უყვარს** ზმნის კავშირი ვეძიოთ **უყურებს** ზმნასთან“, – დასძენს იგი (ლომთათიძე 1990: 53). [სავარაუდოა იგი [=უყვარს ზმნა] ეყრდნობოდეს **უყურებს** ზმნის სემანტიკას. **უყურებს ყურ** ფუძესთან არის დაკავშირებული (იმავე წარმომავლობისა ხომ არ არის მეგრ. უჯინე („უყურე“), შდრ. ყუჯი („ყური“), უჯინე< *უ-[ყუ]-ჯინე?)] „მოწონება – სიყვარულის – დაწუნების“ ცნებათა ამგვარი წარმომავლობის გზას გვიდასტურებს აფხაზურ-ადიღური ენები, სადაც ნათლად ჩანს კავშირი ამოსავალ „ხედვა“ ზმნასთან, – აღნიშნავს ქ. ლომთათიძე, – მაგალითად, აფხაზურში (ასევე აბაზურში) „ხედვა“, „ნახვა“ არის **აბარა** (დგ-ბო-მტ „ის ხედავს მას“), ხოლო **აბზიაბრა** (ე. ი. „კარგა-ხედვა“) არის „სიყვარული“... იგივე სურათია უბიხურში, ყაბარდოულსა და ადიღურში... მსგავსი ფაქტები სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებშიაც გვხვდება და არც სხვა სისტემებისა და ოჯახების ენებშია უცხო ანალოგიური სემანტიკური კავშირი, თუნდაც რუსული **не-на-видеть** (вижу – не-на-вижу). (ლომთათიძე 1990: 51). აქვე შეიძლება გავიხსენოთ: **ненаглядный** „любимый, дорогой...“ „**საყვარელი**, ძვირფასი“ (შდრ.: ყურებით ვერ ძღება... თვალს ვერ ამორებს...); **ненавидеть** „საძმულველი“ (სიტყვასიტყვით: „ვერ დანახვა“... შდრ.: დასანახად ვერ იტანს...) და სხვ.

¹ **კურ** > **ყურ** (ყურ-ება) > კვირ (ვ-ა-კვირ-დ-ებ-ი... მი-კვირ-ს) > ჰვირ (გა-მ-ჰვირ-ვ-ალ-ე „прозрачный“ (< видный насквоз) (მარი V, 330).

5. გარეგნულად რაიმენაირი შთაბეჭდილების დატოვება: **ღ გამოიყურება** ჩანს, გარეგნულად რაიმენაირ შთაბეჭდილებას ტოვებს;
6. სხვის იმედად ყოფნა: **ღ სხვის ხელში ყურება**;
7. უნდობლობა, კრიტიკა, გაღიზიანება: **ღ ეჭვის თვალით, მრუდე თვალთ, აღმაცერად ყურება** [აღმაცერად უყურებს: განზე, ეჭვით, უნდობლად ეკიდება];
8. ანგარიშს გაუსწორებს: **ღ სეირს აყურებინებს** შავ დღეს დააყრის, სეირს უჩვენებს;
9. ღალატი, ორგულება: **ღ (სულ) გარე-გარე იყურება** ოჯახში გული არ უდგება, სულ გარე-გარე იყურება;
10. **ღ უკან იყურება** გადატ. წარსულს იგონებს, მისტირის;
11. დიდი ხნის სიცოცხლე აღარ აქვს: **ღ სამარისკენ იყურება** უპატივც. მალე მოკვდება, დიდი ხნის სიცოცხლე აღარ აქვს (იტყვიან მოხუცებულზე), – ცალი ფეხი სამარეში უდგას. **ღ სიკვდილს თვალეზში უყურებს** მოსალოდნელ სიკვდილს მამაცურად ეგებება, მოსალოდნელი სიკვდილის არ ეშინია;
12. მოლოდინი: **ღ (ვინმეს) გზის ყურებაშია, ღ ვინმეს გზას გაჰყურებს (უყურებს, შესცქერის)** ვინმეს მოლოდინშია, მოუთმენლად ელის ვინმეს;
13. ლოდინი = ყურყუტი: **ყურყუტი-ი** 1. საუბ. დიდხანს ლოდინი, ცდა. – შდრ. უყურებს (მნიშვნ. 2) გადატ. ელოდება, უცდის... **აყურყუტებ-ს** (აყურყუტა, უყურყუტებია) გრდმ. მომაბეზრებლად დიდხანს აცდევინებს, ალოდინებს, რაიმეს მომლოდინედ ამყოფებს;
14. ჩერჩეტი, შტერი: **ყურყუტი** (ფშ.) „ჩერჩეტი“//**ყურყუტა** [ტიპოლოგიურად: შტერი – გამტერდა – მიაშტერდა] ... და ა. შ.

ლიტერატურა

- გელენიძე 1974** – ლატავრა გელენიძე, ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკა ძველ ქართულში, თბილისი.
- ერთელიშვილი 1970** – ფარნაოზ ერთელიშვილი, ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბილისი.
- ერთელიშვილი 1989** – ფარნაოზ ერთელიშვილი, სახელურ ფუძეთა ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბილისი.
- თოფურია III, 1979** – ვარლამ თოფურია, შრომები III, თბილისი.
- ლომთათიძე 1990** – ქეთევან ლომთათიძე, „მოწონება-სიყვარულის“ გამომხატველ ზმნათა ამოსავალი სემანტიკისათვის ქართველურსა და აფხაზურ-ადიღურ ენებში, ეტიმოლოგიური ძიებანი IV, თბილისი.
- როგავა 1959** – გიორგი როგავა, ქართველურ ენათა ზგერათმესატყვისობიდან (კრებ. „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, I, 1959), თბილისი.
- სახოკია 1979** – თედო სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბილისი.

სულხან-საბა II, 1993 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებითი ლექსიკის სამიგებელი დაურთო ილია აბულაძემ, ტ. II, თბილისი.

ქეგლ III, 1953 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. III, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი.

ქეგლ IV, 1955 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. IV, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი.

ქეგლ V, 1958 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. IV, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

ქეგლ VI, 1960 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VI, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი.

ქეგლ VII, 1962 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VII, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი.

ქეგლ I, 2008 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, მთავარი რედაქტორი ავთანდილ არაბული, თბილისი.

ქეგლ II, 2010 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. II, მთავარი რედაქტორი ავთანდილ არაბული, თბილისი.

ღლონტი 1974 – ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი.

შარაძენიძე 1991 – თ. შარაძენიძე, სვანურ-ქართულ-ზანური შესატყვისობის ზოგიერთი საკითხი, იკე XXX, თბილისი.

ჩიქობავა IV, 2008 – არნ. ჩიქობავა, შრომები, თბილისი.

ჭინჭარაული 1969 – ალექსი ჭინჭარაული, ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, თბილისი.

ჭინჭარაული 2005 – ალექსი ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბილისი.

ჯავახიშვილი 1937 – ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბილისი.

NINO KHAKHIASHVILI

Colorific Expressions Related to the Root *qur-* (*qureba*)

S u m m a r y

The denominative verb **equreba** (He hears) and the verb with a figurative sense **uqurebs** (He watches/looks at smth.) are related to the root **qur-**. The paper deals with the colorific expressions that are connected to the root **qur-** (**qureba** "to see, to watch, to look") and with their semantic rethinking.

The root **qur-** with the meaning of an eye is not attested in the nominal stems. It is just etymologically reconstructed in the following lexemes: old. **mḳvircxɛ** (Arn. Chikobava), **ḳurcxali** (N. Mari), Svan. **qvirai** (cross-eyed) (T. Sharashenidze), Megr. **qvere** (blind) (I. Kipshidze). We think that the word **qurquṭi** (To wait for a long time) (cf.: **uqurebs** (He is looking at smth) [meaning N2] figur. **elodeba**, **ucdis** (He is waiting for smth.)) belongs to the said set of words and is formed by reduplicating the root **qur-** or by replacing the sonant **r** of the first segment [in the auslaut of the root] with the consonant **ṭ** [in the second segment].

ცირა ჯანჯღავა

**თოლი „თვალი“ და ყუჯი „ყური“ ლაზურ
ფრაზეოლოგიზმებში**

(მცირე ანალიზი)

ლაზურ ფრაზეოლოგიზმებში, სხვა ქართველურ ენა-კილოთა მსგავსად, საყრდენ სიტყვად ხშირად გამოიყენება **თოლი** „თვალი“ და **ყუჯი** „ყური“. ეს ფრაზეოლოგიზმები ძირითადად ორკომპონენტური შეიტყვევებია (სახელური ან ზმნური), რომლებშიც პირველ ადგილზე, როგორც წესი, საყრდენი სიტყვა დგას; შინაარსობრივად ზოგი ასეთი ფრაზეოლოგიზმი შეიძლება დადებით ემოციას აღძრავდეს, ზოგი – უარყოფითს. გვხვდება, აგრეთვე, „თვალისა“ და „ყურის“ შემცველი ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც სამი კომპონენტისგან შედგება.

ლაზურსა და მეგრულში „თვალისა“ და „ყურის“ აღმნიშვნელი ფუძეების გამოყენების არაერთი სიტყვა იწარმოება, რომელთაგან ერთი კომპოზიტი განსაკუთრებით გამოსაყოფია – ლაზ. **თოლ-ყუჯი** და მეგრული **თოლ-ყუჯი**, რომელთაც სრული ფონეტიკური და სემანტიკური შესატყვისი მოეპოვება ქართულში **თვალ-ყურ**-ის სახით, რაც შესაძლებლობას გვაძლევს ეს კომპოზიტი საერთოქართველურ მონაცემად მივიჩნიოთ.

თოლი „თვალი“

მეგრულ-ლაზურ **თოლ** სიტყვას ფონეტიკური შესატყვისები მოეპოვება სხვა ქართველურ ენებში, ამიტომ ის საერთოქართველურ ლექსიკურ ერთეულად მიიჩნევა (ჩიქობავა 1938: 45; ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 234).

როდესაც ლაზურში **თოლი** ფრაზეოლოგიზმის საყრდენ სიტყვად გვევლინება და პირველ ადგილზე დგას, საზღვრული პოსტპოზიციურია;

თოლი გონწკიმერი „ფხიზელი, ყურადღებიანი“, ზედმიწ. „თვალი ღია“ (მარი 1910: 147)

თოლი მონკა „სერიოზული“, ზედმიწ. „თვალი მძიმე“ (თანდილავა 2013: 302)

თოლი ქჩე „სიმპათიური“, ზედმიწ. „თვალი თეთრი“ (თანდილავა 2013: 303)

თოლი უძღუ „ხარბი“, ზედმიწ. „თვალი გაუმაძღარი“ (კარტოზია 1993: 92, 10)

თოლეფე მონტახერი „დაღლილი“, ზედმიწ. „თვალეები მოტეხილი“ (თანდილავა 2013: 301)

თოლი დულა „ელამი“, ზედმიწ. „თვალი მოგრეხილი, მოღუნული“ (თანდილავა 2013: 303)

ანალოგიური ვითარებაა ზმნური შესიტყვების შემთხვევაშიც – საყრდენი სიტყვა პირველ ადგილზეა:

თოლი ქოდომოსქიდუ „ძალიან მომეწონა“, ზედმიწ. „თვალი დამრჩა“.

ქართულისებური სტრუქტურისაა ლაზური **თოლი დუდგინენ** „თვალი დაუდგა“.

თოლი დუდგინენ შუქრის „თვალი დაუდგა შუქრის“ (კარტოზია 1993: 85, 5)

ასევე, არსებითად ქართულისებურია ლაზური სამკომპონენტიანი ფრაზეოლოგიზმი შინაარსობრივადაც და კომპონენტური შედგენილობითაც: **თოლის მტუტა მეზღუ** „მოტყუება, თვალის ახვევა“. ზედმიწ. „თვალში ნაცრის შეყრა“ (თანდილავა 2013: 303).

საინტერესოა ფრაზეოლოგიზმი **თოლის გოწალუ** „თვალის დაბინდვა“, ზედმიწ. „თვალის წართმევა“.

ყუჯი „ყური“

ამ ლაზურ სიტყვას რამდენიმე ფონეტიკური ვარიანტი მოეპოვება: **ყუჯი** (მეგრულისებური) || **იყუჯი** || **უჯი**. ამოსავალი სახეობა (ყური) ქართულს დაუცავს.

ლაზურ **ყუჯ** სიტყვის შემცველი ფრაზეოლოგიზმებიდან ზოგი ქართულისებურია, ზოგი – განსხვავებული.

ყუჯი გიღუტას „ყურადღებით იყავი, თვალი გეჭიროს“, ზედმიწ. „ყური გქონდეს“.

ყუჯი მეჩამუ „ყურისგდება“, ზედმიწ. „ყურის მიცემა“.

კაიკელე **ყუჯი გიღუტას**, პატიკელე ყუჯის ნითვი „კარგისკენ ყური გეჭიროს, ცუდისკენ ყური დაიყრუე“ (მემიშიში, შეროზია 1994: 21)

მთელი დუნიას **უჯი მოთ მემჩამთ...** „ყველა საქმეს ყურს ნუ უგდებთ...“ (მემიშიში, შეროზია 1994: 231)

...კაი **მომჩი ყუჯი** „კარგად მომისმინე“, ზედმიწ. „კარგი მომეცი ყური“ (კარტოზია 1993: 245, 20)

ყუჯი ვარ ნიჩენ „არ მოუსმინო, ყური არ ათხოვო“, ზედმიწ. „ყური არ მისცე“ (მემიშიში, შეროზია 1994: 220)

ყუჯი გელანკიდერი „ყურებჩამოყრილი, დამნაშავე“

აქ ჩვენ წარმოვადგინეთ მხოლოდ წინასწარი შენიშვნები, საკითხის უფრო ვრცელი განხილვა სამომავლოდ ივარაუდება.

ლიტერატურა

- კარტოზია 1993** – გ. კარტოზია, ლაზური ტექსტები. II, თბილისი.
- მემიშიში, შეროზია 1994** – ო. მემიშიში, რ. შეროზია, მეგრული და ლაზური ანდაზები, თბილისი.
- მარი 1910** – Н. Я. Марр, Грамматика чанского (лазского) языка, Санкт-Петербург.
- ფენრიხი, სარჯველაძე 2000** – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.
- ჩიქობავა 1935** – არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი.
- ჩიქობავა 1938** – არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

TSIRA JANJGAVA

toli (an eye) and quži (an ear) in Laz Phraseologisms

S u m m a r y

In the Laz phraseologisms the word **toli** (an eye) and **quži** (an ear) are used as base words very often. These phraseologisms are mainly two-component syntagms (verbal or nominal), in which the base word is on the first place. Some of these phraseologisms may carry a positive as well as negative emotion. Three-component phraseologisms containing the words **tvali** and **guri** can also be found.

ნინო ჯორბენაძე

ენობრივი ეკონომია და მისი სახეები

(ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების მაგალითზე)

ენობრივი ეკონომია უნივერსალური ენობრივი მოვლენაა, მის გავრცელებასა და რაოდენობრივ მახასიათებლებზე კი, სხვასთან ერთად, სოციალურ-ეკონომიკური (და სხვა არაენობრივი) ფაქტორებიც ახდენენ გავლენას.

ზოგადად, **ეკონომია ენის ძირითად მახასიათებლად შეიძლება მივიჩნიოთ**: ყველა ენას (განვითარების რომელიმე ეტაპზე მანც) აქვს მინიმალური ნიშნებით მაქსიმალური ინფორმაციის გადმოცემის ტენდენცია. ნათქვამის გამეორებები, დაზუსტებები, საგანგებო ენობრივი ტავტოლოგიები, ხატოვანი გამოთქმები და ენობრივი განვრცობის სხვა შემთხვევები ენის ფუნქციონირების განსხვავებულ სფეროს განეკუთვნება, რომელიც ენობრივი ეკონომიის არსს არ ეწინააღმდეგება. **ენობრივი ეკონომია ის საფუძველი, ბაზისია, რომელზეც ყველა სხვა დონე არის დამყარებული**.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ენობრივ ეკონომიას ხშირად და ტრადიციულად ვიწრო გაგებით იყენებენ, მაგრამ ფართო გაგებით ეკონომიაში მასთან დაკავშირებული ნებისმიერი ენობრივი მოვლენა შეიძლება ვივარაუდოთ. აქედან გამომდინარე, შეიძლება ენობრივი ეკონომიის რამდენიმე სახე გამოვყოთ:

1. **ფონეტიკური** (კუმშვა, კვეცა, მარცვლის ამოვარდნა...);
2. **მორფოლოგიური** (მთელი მორფემისა თუ მოდალური ელემენტის მოკვეცა...);
3. **სინტაქსურ-სტილისტიკური** (მთელი სიტყვისა თუ შესიტყვების ამოვარდნა, შესიტყვების სიტყვაწარმოებით სისტემაში გადაყვანა, ანალიზური წარმოების სინთეზურზე გადასვლის შემთხვევები...).

ენობრივი ეკონომიის ფაქტები, უფრო ხშირად, სასაუბრო მეტყველებასა და დიალექტებში ვლინდება. გამონაკლისს არც ქართული ენის დიალექტები წარმოადგენენ, სადაც ენობრივი ეკონომიის უამრავი საინტერესო მაგალითი იკვეთება. სტატიაში ენობრივი ეკონომია სამხრულ-დასავლური დიალექტების მასალაზე დაყრდნობით გვექნება წარმოდგენილი, რომლებიც მათთვის დამახასიათებელი, მეტყველების სწრაფი ტემპისა და კუთხურ-ინტონაციური თავისებურებების გათვალისწინებით ენობრივი ეკონომიის უამრავ საინტერესო მაგალითს გვაწვდის. განვიხილოთ ისინი სისტემურად.

(მასალის შერჩევასა გამოვიყენეთ ბათუმის უნივერსიტეტის პროფესორების, შუშანა ფუტყარაძის „ჩვენებურების ქართულისა“ და მამია ფადავას „შავშური ჩანაწერების“ მასალები).

ფონეტიკური ეკონომია

ფონეტიკურ ენობრივ ეკონომიად შეიძლება ბგერის ან მარცვლის ისეთი დაკარგვა განვიხილოთ, როდესაც დაკარგულ ელემენტს მორფოლოგიური ფუნქცია არა აქვს (თუნდაც ის რაიმე მორფოლოგიური ოდენობის ნაწილი იყოს - ასე, ზოგადად, ნებისმიერი მონაცემი აუცილებლად რაიმე მორფოლოგიური ელემენტის ნაწილი აღმოჩნდება: ან ფუძე-ძირისა ან – აფიქსისა).

სამხრულ-დასავლურ დიალექტებში დადასტურებული გრძელი (ორი ხმოვნის შერწყმით მიღებული) ხმოვნების არსებობა სწორედ ენობრივი ეკონომიის გამოვლინებად შეიძლება მივიჩნიოთ. გარდა ამისა, ამავე დიალექტებში ცალკეული ხმოვნის ამოვარდნის უამრავი შემთხვევაა:

არსებითი სახელთან:

თაში (მთაში) ქალი დიმიჩა

გადავხედე მერე **თას** (მთას)

ღმერთმა მაგ **სახში** (სახლში) დაგაბეროს!

ღმერთმა მაგ **სახში** გერმელობა მოგცეს

ერთ **წელწად** პურ არ დავთესდით (აქ ფონეტიკურ-მორფოლოგიური ეკონომიის ფაქტი გვაქვს - იკარგება როგორც ფონეტიკური (**ი**), ისე მორფოლოგიური (**ს**) ელემენტი).

ზმნასთან:

(**უფრო ხშირად იკარგვის ხმოვანი**)

ჰაიდე, **წევდე** ბათუმში

სად **წევდე**, სად **წევდე**!

მაილაში **წევდოდი**, ვისამებდი, **წამევდოდი**

ვუთვალე, არ **ჩამოვდა**

გევდოდა სხვა ყალეში,

ერთი გოგოც **დევნახე**,

მევტანე (მოვიტანე) მერულიო,

გივტანე მაღლა სერზე,

დილაზე დოდოფალ **გამეყვანთ** გარეთ

(აღნიშნულ მაგალითებში -**ი** ქცევის ნიშნად აღარ გაიგება)

დასტურდება თანხმონითი ელემენტის დაკარგვაც:

მომ, ჩემ გულში ჩამხედეთ

მოით, მულეზო, დაჯექით

სიმღერების მღერაში

ე რა მე ხმა **ჩემეხრო!**

ანა, რაზე გამზარდე,

აკვანშივე **მეგეხრო!**

ბურსაში **წაბანებული** ვარ

დედემ ბათომიდამ მოვდოდა, ამ არ **მოვწრებივარ**

მოკდნენ...

ვაწერიოთ ძაზები!

გაგაკეთებთ

(ბოლო ორ მაგალითში შუალობითი კონტაქტის თანხმონითი ნაწილი უჩინარდება)

ზმნასთან დაკავშირებით ცალკე უნდა გამოვყოთ ისეთი შემთხვევები, როდესაც ფონეტიკურთან ერთად მორფოლოგიური ეკონომიაც გვაქვს: იკარგება ფუძისეული თანხმონი და მასთან ერთად – სუბიექტური პირის ნიშანიც. განსაკუთრებით ხშირია „ქონა“ ზმნის ამ სახის შეკვეცილი წარმოება:

არა **გვაქ** კი ფარებო

სინში შიგან ტათლი **მაქ**

ნეტაი შენ, რომ **გაქ** ენა ქართული,

ვისი სისხლი **გაქ** ტანში გართული,

იცოდე, რომ **გაქ** სისხლი ქართული

შეკვეცილია ამ ზმნისგან ნაწარმოები ფორმებიც:

შალვარი ჯელით **მიაქ**

ქათამი ჭრიახ – ჭრიახ,

მამალი ზერას **მიაქ**

ამავე დიალექტებში ფართოდაა გავრცელებული (ზოგადად ქართული ენისათვის დამახასიათებელი) ზოგიერთი ზმნისთვის ბოლოკიდური CV კომპლექსის მოკვეცის შემთხვევები:

ჩემ უკან **დაწე** (დაწექი)!

ღმერთო, **მოგვე** წვიმა – წყალი!

... შეგვეწყინა წვიმა – წყალი,

ღმერთო, **მოგვე** ბზი და მთვარე!

ბგერის დაკარგვა დასტურდება მეტყველების სხვა ნაწილებშიც:

ჩემი **ნაშვარი** ფულები

კარგა ყოფნა!

აჯა მეგ ბაჯალა **სა** (სად) მიგყავს

სა (სად) დიგინახო
გახსოვდეს, ვინ ხარ, **სიდან** მოსული
ღმერთის დუა შენ **ზეიდან** იყოს!

ე (ეხ) რა ზალუმი იყავ

ფონეტიკური ენობრივი ეკონომიის გამოვლენის ყველაზე გავრცელებულ შემთხვევად სამხრულ-დასავლურ დიალექტებში **მინდა/უნდა** მოდალური ელემენტის შეკვეცილი ვარიანტით წარმოდგენის შემთხვევები უნდა მივიჩნიოთ. ამასთან, იკარგვის („უ“-სთან ერთად) როგორც „დ“, ასევე (ეს უკანასკნელი უფრო იშვიათად) „წ“ ელემენტიც (ამასთან დაკავშირებით იხ. ფაღავა 2011). გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებული მოდალური ელემენტი იკუმშება ნებისმიერ პოზიციაში და აქედან გამომდინარე (განსახილველი დიალექტებისათვის დამახასიათებელი პროცესის თანახმად) ის ერწყმის როგორც ზმნას, ისე სახელს, ზმნიზედას, ნაცვალსახელს და ნაწილაკსაც კი (იმისდა მიხედვით, თუ მეტყველების რომელი დასახელებული ნაწილის შემდეგ დგას იგი წინადადებაში):

იკარგვის „უ-დ“:

(მოდალური ნაწილაკი ნაცვალსახელთან დგას)

ახლა **მე'ნა** ვიმღერო
იმათ'ნა ვაჩუქვო წინდა
ახლა **ვინ'ნა** ემილოს?
კარი **ვინ'ნა** გემილოს?
რა'ნა ვქნა ყანა-ჭალას?!

(არსებით სახელთან)

სახლი'ნა გავაკეთო
ფეხები'ნა დივზოცო
ცრემლები'ნა მევზოცო

(ზმნასთან)

გავთალო'ნა დოკანი
დავედე'ნა წითელ ქვაზე

(ნაწილაკთან)

არ'ნა ვითხუო, გითქვამს
მე რომ შენ **არ'ნა** წამოგყვე

(მეტყველების სხვა ნაწილებთან)

ამეზღამ'ნა გევიქვე

იკარგვის „უნ“:

მატყლი'და ვაჩეჩიო.

ზმას'და გავათქლემიო!

მორფოლოგიური ეკონომია

მორფოლოგიური ენობრივი ეკონომიის მაგალითად ისეთი ტიპის შემთხვევები შეიძლება განვიხილოთ, როდესაც დაკარგული ელემენტი მორფოლოგიური ოდენობაა.

მორფოლოგიური ენობრივი ეკონომიის ფაქტად უნდა ჩავთვალოთ მიცემითი ბრუნვის „ს“ ელემენტის გაუჩინარება, რომელიც სამხრულ-დასავლურ დიალექტებში ფართოდაა გავრცელებული (ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ „ს“ ელემენტი იკარგვის როგორც მხოლოდით, ისე მრავლობით რიცხვში; როგორც არსებით, ისე სხვა სახელებთანაც):

ვინცხა **ჩემ კაც** შეხედავს

ვაშლ ფურცელი გუჟყურია

ყოჩ დიგიკლავ!

შენ **ქალ** ღარჭი ყოლია

ღმერთ ჩემთინ გუჟჩენია!

შიგან **ფეჯ** ვერ შიადგამ

ერთ **კაც** ეყოლვის შვიდასი ჰური

მრავლობით რიცხვში:

გამოაჩენენ სულ თელ დამალულ **ცოდვეფ**

დაგიდებენ ლოცვა-მადლის **დეფთრებ**

მორფოლოგიური ენობრივი ეკონომიის საინტერესო მაგალითად გვესახება სამხრულ-დასავლურ დიალექტებში დადასტურებული, სალიტერატურო ენისა და დიალექტებისგან განსხვავებული ფორმაწარმოების შემდეგი შემთხვევებიც:

დღივ (ყოველდღიურად): „ერთ კაც ვიჭირავთ, ფარას ვაძლევთ, **დღივ** ავა, ჩამუა“ (უსტ.).

ძიაი (ბიძაშვილი): „ესაც ჩემი **ძიაია**“.

სინტაქსურ-სტილისტიკური ენობრივი ეკონომია

სინტაქსურ-სტილისტიკურ ენობრივ ეკონომიაში მთელი სიტყვისა თუ შესიტყვების ამოვარდნა, შესიტყვების სიტყვაწარმოებით სისტემაში გადაყვანა, ანალიზური წარმოების სინთეზურზე გადასვლის შემთხვევები იგულისხმება. ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტები ამ მხრივაც მრავალ საინტერესო მასალას გვაწვდის; ჩამოვთვალოთ რამდენიმე მაგალითი:

უყურეგდებულეს – *ყურადღებას მიაქცევს*

(**ღმერთმა**) **გამშვიდობოს!** – (*ღმერთმა*) *მშვიდობა მოგცეს!*

ხელიხელ – *ხელიდან ხელში*

ამისდროული – *ამის ასაკში*

ჩემსობას – რაც თავი მახსოვს, მთელი ცხოვრების მანძილზე

პირგამოფენილი – (იტყვიან უჩადრო ქალზე, დაცინვით) – პირი აქვს გამოფენილი სახალხოდო

ხელგამუუსლელი – ხელიდან რო არაფერი გამოსდის, მოუხერხებელი

ჩვენ წარმოვადგინეთ ზოგადი სურათი ქართული ენის სამხრულ-დასავლურ დიალექტებში წარმოდგენილი ენობრივი ეკონომიისა. შემდგომში საინტერესოდ გვესახება სხვა დიალექტებში ამ მხრივ არსებული ვითარების შესწავლა და შემდგომში მათი ურთიერთშეპირისპირებითი ანალიზი, რომელიც კიდევ სხვა ბევრი საინტერესო დასკვნის გაკეთების საშუალებას მოგვცემს.

ლიტერატურა

შუმანა ფუტკარაძე 1993 – შუმანა ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი.

მამია ფაღავა 2011 – მამია ფაღავა, შავშური ჩანაწერები, თბილისი.

NINO JORBENADZE

Language Economy and Its Types (Based on the examples of the Georgian South-West dialects)

S u m m a r y

The language economy is a universal language phenomenon. Apart from other non-linguistic factors, its distribution and quantitative characteristics are also affected by the social-economic (non-linguistic) factors.

In the broadest sense, we can assume that any linguistic phenomenon can be related to the language economy:

1. Phonetic (syncope, elision, the omission of a syllable);
2. Morphological (elision of the whole morpheme or a modal element);
3. Syntactic-stylistic (omission of the whole word or syntagma, transformation of syntagma into the word derivative system, the cases of transforming analytic derivation into the synthetic derivation...).

The facts of the language economy are mostly manifested in speech and dialects. The Georgian language dialects are no exception from this viewpoint, as they have many interesting facts of language economy.

მარინა ჯღარკავა

**პრედიკატული განსაზღვრება თუ ვითარების
გარემოება ლაზურში**

(საკითხის დასმის წესით)

ლაზურ წინადადებებში ხშირად გამოიყენება ზმნასთან მდგარი მიმღეობის ფორმის (ძირითადად ფუძეგაორკვეცებული) სიტყვები, რომლებიც კვალფიცირებულია, როგორც ზმნისართები, რადგან გადმოქართულებისას შესატყვისი ერთეულები მოქმედებით ბრუნვაშია. მეცნიერთა ნაწილის მიერ ქართულში ისინი მორფოლოგიურად ბრუნვაში ფუძეგაქვავებულ ვითარების ზმნიზედებად, სინტაქსურად კი – ვითარების გარემოებებად ითვლება.

მაგ.: თოლი-ქდოი კულანი... **ზანდალეი** გუიტეენ (ასათიანი 2012: 97) „ბრმა გოგო **ზანცალით** დადიოდა“; ოჭკომეს დო ოშვეზ-და. ჰემოფეე **ზანდალერი-ზანდალერი** ქოქოსქიდეს (ქლენტი 1938: 55) „ჭამეს და სვესო. ისინი **ზანცალ-ზანცალით** ჩამორჩნენ“.

ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ ლაზურში **ზანდალერი** და **ზანდალერი-ზანდალერი** / **ზანდალერ-ზანდალერი** / **ზანდალეი-ზანდალეი** ტიპის ერთეულები სახელობითი ბრუნვის ფორმით გვხვდება.

მსგავსი სინტაგმები ინტერესის საგანს წარმოადგენს რიგ ენებში (მაგ.: გერმანულში, რუსულში...) და უმეტეს შემთხვევაში ასეთი მიმღეობა შემასმენელთან წყვილში ითვლება პრედიკატულ (შემასმენლურ) განსაზღვრებად.

გერმანული ენის მკვლევარები თვლიან, რომ პრედიკატულ განსაზღვრებას შუალედური ადგილი უკავია გარემოებასა და განსაზღვრებას შორის. ფორმალურად ის შედის შემასმენლის ჯგუფში და თავისი შინაარსით წარმოადგენს უფრო განსაზღვრებას ქვემდებარის ან დამატების მიმართ, რადგან მათ ნიშან-თვისებას აღნიშნავს. ის განსხვავდება გარემოებისგან იმით, რომ განსაზღვრება აზუსტებს მოქმედების მიმდინარეობის პირობებს, პრედიკატული განსაზღვრება კი, აზუსტებს რა მოქმედებას (ან მდგომარეობას), ამასთანავე ახასიათებს რაიმე ნიშნით საგანს (ქვემდებარეს ან დამატებას). ის განსხვავდება განსაზღვრებისგან იმით, რომ განსაზღვრება აღნიშნავს ნიშან-თვისებას დროში შეზღუდვის გარეშე, პრედიკატული განსაზღვრება კი ამთვისებას დროის გაგებასთან ერთად უკავშირებს შემასმენელს. პრედიკატული განსაზღვრება გადმოიცემა ზედსართავით, სახელზმნით, არსებითი სახელის სხვადასხვა ბრუნვის ფორმით (კირპუნი).

ზოგად ენათმეცნიერებაში ერთ-ერთ პრობლემატურ საკითხად რჩება პრედიკატული განსაზღვრების სინტაქსური სტატუსი წინადადებებში, სადაც ატრიბუტული კომპონენტი ითავსებს განსაზღვრებისა და სახელადი ნაწილის თვისებებს. ასეა ეს რუსულშიც; მაგ., Он пришел домой уставший – ის მოვიდა სახლში **დაღლილი**; Я помню его молодым и веселым – მე მას **ახალგაზრდასა და მხიარულს** ვიცნობდი (ჩესნოკოვა, ბაბაიცივა).

ჩვენში პრედიკატულ განსაზღვრებაზე საუბარი ლ. კვაჭაძის გამოკვლევით დაიწყო. თანდათან გამოიკვეთა და დაზუსტდა პრედიკატული განსაზღვრების თავისებურება ქართულ ენაში. ამ საკითხს დიდი ადგილი ეთმობა მეცნიერის ფუნდამენტალურ ნაშრომში „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი“.

ლ. კვაჭაძე აღნიშნავს, რომ ასეთი ფორმები ახალ ქართულსა და ქართული ენის ცოცხალ კილოებში ფართოდ არის გავრცელებული. იგი არც მძველი ქართულისა და სხვა ქართველური ენებისათვის არის უცხო. მსგავს ფორმათა თავისებურება შენიშნული ჰქონდათ ა. ლლონტს, ი. იმნაიშვილს და უფრო ადრე თ. ჟორდანიას (კვაჭაძე 2010: 211). თ. ჟორდანიასთვის დასახელებული ფორმები არც ჩვეულებრივი განსაზღვრებაა და არც ვითარების გარემოება, ი. იმნაიშვილი თვლის, რომ ასეთი მიმღეობა ვითარების გარემოებაა, ა. ლლონტი კი შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად მიიჩნევს. აღწერს რა პრედიკატული განსაზღვრების შესწავლის ისტორიას, ლ. კვაჭაძეს გაანალიზებული აქვს სხვა ქართველ მკვლევართა მოსაზრებები. კერძოდ, ა. კიზირიასთვის ესაა ატრიბუტული გარემოება, ნ. ბასილაიასთვის სადავო ფორმათა ნაწილი განსაზღვრებაა, ნაწილი – ვითარების გარემოება, ა. დავითიანისთვის – ატრიბუტული მსაზღვრელის სემანტიკურ-სტილური ვარიანტი. ლ. კვაჭაძის აზრით, მიმღეობის (და სახელის) საცილობელი ფორმები განსაზღვრების ერთ-ერთი სახეობაა, რომელიც პრედიკატული ანუ შემასმენლური განსაზღვრების სახელით არის ცნობილი (კვაჭაძე 2010: 213-223).

ქართულში პრედიკატული განსაზღვრება ჩვეულებრივ ქვემდებარეს განსაზღვრავს, მაგრამ იგი შეიძლება განსაზღვრავდეს დამატება-ობიექტსაც (პირდაპირსა და ირიბს) და იმ ბრუნვაში დგას, რომელშიაც მისგან საზღვრული წევრი. ასეთი განსაზღვრება მეტწილად გარდაუვალი ზმნის ქვემდებარის განსაზღვრებაა, ამიტომ უმეტესად სახელობითშია. მრავლობითში დასმულ ქვემდებარესა თუ დამატება-ობიექტთან ხშირად პრედიკატული განსაზღვრებაც მრავლობითში დგას. პრედიკატული განსაზღვრება შეიძლება ახლდეს როგორც გარდაუვალ (ერთ- და ორპირიან), ისე გარდამავალ (ორ- და სამპირიან) ზმნასაც... ზმნის ფორმები უმეტესად წარსული დროისაა, უფრო იშვიათად აწმყო-მომავლისა (კვაჭაძე 2010: 215-216). მაგ., მწყერი კი **მოზუხული, თავბრუდასხმული იჯდა** (ვაჟა); ისინი **გარბოდნენ გულგახეთქილები** (ყაზ.); მუცელა **მშიერ-მწყურვალი შესჩერებოდა** იმათ (ვაჟა)...

თ. ბურჭულაძეს მიაჩნია, რომ პრედიკატული განსაზღვრება დამოუკიდებელი წარმომავლობის არაა, ის ასეთად ჩანს იმ დროიდან, როცა ჩვეულებრივი განსაზღვრება უკვე იქცა დამოუკიდებელ წევრად, პრედიკატულ განსა-

ზღვრებად. მისი „ორმაგ“ ბუნება, იყოს მართული ზმნა-შემასმენლის მიერ ბრუნვაში და იმავდროულად ეთანხმებოდეს ბრუნვაში (და შესაძლოა რიცხვშიც) წინადადების პირმიმართ წევრსაც, ენაში მეორეული ფაქტია, იმდროინდელი, როდესაც პრედიკატული განსაზღვრება გაფორმდა, როგორც წინადადების ახალი წევრი. ოღონდ მან შეინარჩუნა ძველი სინტაქსური ჩვევა – უთანხმდება ბრუნვასა და რიცხვში პირმიმართ წევრს, იმას, რისი საზღვრულიც იყო იმთავითვე (ბურჭულაძე 2002: 50-53)

ლ. კვაჭაძე ადასტურებს, რომ პრედიკატული განსაზღვრება არ არის იშვიათი ძველ ქართულში, ქართველურ ენებსა და ქართული ენის დიალექტებში. მას საკმაოდ მოჰყავს დამადასტურებელი მაგალითები.

ძველი ქართულიდან: დავრდომილი იდგა ბჭეთა თანა მისთა (ლ. 16); იგინი **წარვიდიან გულკლებულნი** და **სირცხვილეულნი** (კიმ. 184); **პოვნა** იგი-ნი **მიინარენი** (მ. 26)...

ქართული ენის დიალექტებიდან: მოვიდა სახში **შეწუხებული** ე ბიჭი (რაჭული); **წამევიდა** კაცი **ატირებული** (იმერული); ეს კაცი **დაღონებული წამოვა** (მესხური)...

სვანური ენიდან: ლევან **ლგზრინე ანტას** ქორთე „ლევანი **გაბრაზებული დაბრუნდა** სახლში“; ჰამს **გიგარ** ლგდგარ **ახხვიდ** „დილით ვერძი მკვდარი დახვდა“...

მკვლევარს **მეგრულიდანაც** მოჰყავს ერთი მაგალითი: **გურგოხარცილი გეგორდი** თექ „**გულგახეთქილი ვიდექი** იქ“. იგი ხაზს უსვამს, რომ ამ წინადადებაში „გურგოხარცილი“ პრედიკატული განსაზღვრებაა (კვაჭაძე 2010: 226-227).

მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ ამოკრებილ ლაზურ საილუსტრაციო მასალაში ზმნა-შემასმენელთან წყვილში მდგარი მიმღეობის ფორმით გადმოცემული წინადადების წევრები პრედიკატული განსაზღვრებებია. ძირითადად ისინი სახელობით ბრუნვაში დგას, რადგან მათ მიერ საზღვრული შემასმენლები გარდაუვალი ზმნებითაა გადმოცემული. თუ პრედიკატული განსაზღვრება ჩვეულებრივ ქვემდებარის ბრუნვას იმეორებს, შესაბამისად ლაზურში ის სახელობითი უნდა იყოს კიდევაც.

ჩვენი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ქართულ შესატყვის წინადადებაში ეს წევრები მოქმედებითი ბრუნვის ფორმით გადმოიცემა (ზოგჯერ ვნებითისაც), ისინი ლაზურის იდენტურად მიმღეობის სახელობითი ბრუნვის ფორმაში უნდა გაიზარებოდეს. მაგ.:

ყვაოჯეფე **იმტეს ყურელი, ყურელი** (ჩიქობავა 1929: 49) „ყვავები გაიქცნენ **აყვირებული, აყვირებული**“ (და არა „ყვავები გაიქცნენ **ყვირილით, ყვირილით**“);

ხოჯასთი ბიგა ოქაჩუნ, **ბამგეი-ბამგეი იგზალუ** (კარტოზია 1972: 144) „ხოჯასაც ჯოხი უჭირავს, **დაბჯენილ-დაბჯენილი** წავიდა“ (და არა „...**ბჯენა-ბჯენით** წავიდა“);

ნე ოხორი,ნე კერა, სო ვიდათ... ჩქინ აშო **მგარინერი გოვულუთ** (ყიფშიძე 1939: 19) „არც სახლი, არც კერა, სად წავიდეთ... ჩვენ ასე **ატირებული დავდივართ**“ (და არა „... **ტირილით დავდივართ**“);

ეკულე **ნგიბონერ-ნგიბონერი** დალიშა **ქაგებთერეტუ** (ასათიანი 2012: 38) „მერე **დაგორებულ-დაგორებული** ღელეზე **ჩასულიყო**“ (და არა „**გორვა-გორვით ჩასულიყო**“).

ვამბობთ, რომ ქართულად ასე უნდა გაიაზრებოდეს, თუმცა, რა თქმა უნდა, სალიტერატურო ქართულის ნორმათა დაცვისას ლაზურის ანალოგ ქართულ წინადადებებში ეს წევრები უფრო ვითარების გარემოებებია.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რიგ შემთხვევებში ლაზური წინადადების ქართულ ვარიანტშიც მიმღობით გადმოცემული ეს წევრები სახელობითი ბრუნვის ფორმით გადმოიცემა. მაგ.:

კაპულა **გესთიქერი (გებრიწერი) გობთათე** (ჩიქობავა 1936: 26) „ზურგ **დახეთქილი (დაფხრეწილი) დადიხართ**“.

ბეეფე **გობლინიე მოკახთეეტუ** (ჩიქობავა 1929: 125) „ბავშვებით **გარშე-მორტყმული მოსულიყო**“.

კურძეთიში **ქომოხთი გონდინერი** (ყიფშიძე 1939: 38) „კურძეთიდან მოხვედი **დაკარგული**“.

მასუმანი ოდაშა **შქუინეი დო კანკალეი ვა მეხთუ** (კარტოზია 1972: 55) „მესამე ოთახში **შეშინებული და აკანკალებული არ მივიდა**“.

პრედიკატული განსაზღვრება ლაზურში (ისევე, როგორც სხვა ქართველურ ენებსა და დიალექტებში) ორ- და სამპირიან ზმნებთანაც ძირითადად სახელობით ბრუნვაში გვხვდება:

თირელი-თირელი ჯანდარმეფეში დეიშა **ქაგელათირეს** (ასათიანი 2012: 91) „**ნათრევ-ნათრევი** ჟანდარმების სადგომისკენ **წათრეის**“.

სი-თი მუფერი **კაპინერ-კაპინერი გაჭარენ!** მა-თი ჰეშო **კაპინერ-კაპინერი ბტახუმ!** (ჟღენტი 1938: 94) „შენ როგორც **გამალეებული გეწერება** (შეგიძლია წერო), მეც ისე **გამალეებული ვტებ!**“

ნულვან, წოხლე არ კულანი **მგაელი ნიყონოფან** (კარტოზია 1972: 87) „მიდიან, წინ ერთი გოგო **მტირალი მიჰყავთ**“.

ლაზურის მიმღობის ფორმის ლექსემები ქართულ შესატყვისში სემანტიკურად ერთგვარი, მაგრამ სხვადასხვა მორფოლოგიური ჯგუფის ერთეულებია. მაგ.:

ლაზ. **მაგარინერი-მგარინერი** – ქართ. **ტირილით, ატირებული, მტირალი** (ასათიანი 2012: 34) [**მგარინელი – ატირებული** (თანდილავა 2013: 419)] : ბოზო **ბგაინეი-ბგაინეი ნულუნ** (ჟღენტი 1938: 63) „გოგო **ტირილ-ტირილით მიდის**“ ან „გოგო **ატირებული მიდის**“;

ლაზ. **კაპინერი** – ქართ. **სირბილით, ჩქარა, გამალეებული, გაქანებული, სასწრაფოდ; კაპინერ-კაპინერი** – **სირბილ-სირბილით, ჩქარ-ჩქარა, ხშირ-ხშირად** (ასათიანი 2012: 108) [**კაპინერი/კაპინეი – სირბილით, ჩქარა** (თანდილავა 2013: 359)]; მთუთი მულუნ **კაპინერი** (ყიფშიძე 1939: 37) „დათვი მოდის **აჩქარებული** (/ჩქარა, სწრაფად)“; **კაპინერი** ფარა ჩქიმი **ქომომჩი-ა** (ჟღენტი 1938: 146) „**ჩქარა** ჩემი ფული მომეციო“; გერმა-კოჩეფექ, მაკარინა ძირე-ში, **კაპინერ-კაპინერი ქოაბღეს** – ბჰკომათენ-და (ჟღენტი 1938: 57) „ტყის კაცებმა, მაკარონი რომ ნახეს, **გამალეებული დაემგერნენ**, ვჰამოთო“.....

ლ. კელაურიძემ გამოთქვა ვარაუდი, რომ აღნიშნული მოვლენა ჰგავს რუსულში გავრცელებულ აბსოლუტივიან შესიტყვებას (деепричастный оборот). მსგავსი ვითარება თურქულისთვისაც უცხო არაა, თანაც თურქულში ზმნის წინ ხშირად გამოიყენება ფუძეგაორკეცებული ზმნისართებიც და აბსოლუტივებიც:

Kocam sabaha kadar **horul horul** uyudu. – „ჩემს ქმარს დილამდე **ხვრინვა-ხვრინვით** ეძინა“ – (ლაზ.: ქომოჯი ჩქიმქ დოთანუშაქის **ხუზინერი ხუზინერი** დინჯირუ).

Dişlerimden **tkur tkur**, göğsümden de **küt küt** sesler geliyordu. – ჩემს კბილებს კაწკაწი გაჰქონდა, გულიდან კი ბაგა-ბუგი ისმოდა. (küt küt – ბაგუნ-ბაგუნ). (ლაზ.: კიბრეფეშე **კაკში კაკში** (/ხრიჭი ხრიჭი) გურპიჯიშე (უბაშე) **ბუნსკი ბუნსკი** ნენა (სესი-ხომა) მომიხთამტუ].

Bir gün güneş **piril piril** açtı. – ერთ დღეს მზე **გაბრწყინებულ-გაბრწყინებული** აკაშკაშდა. (piril – გაბრწყინებული). (ლაზ.: ანდლას მჟორაქ **ფრანდერ ფრანდერი** ქოგამიწკედუ).

თურქულში აბსოლუტივები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც იწარმოება -(y)a/-(y)e-თი, ჩვეულებრივ რედუპლიცირებულად გამოიყენება. მაწარმოებელი სუფიქსები დაერთვის ერთსა და იმავე ზმნურ ძირებს, ან ორ სხვადასხვა ძირს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში სინონიმებს ან ანტონიმებს წარმოადგენენ. მათი უმეტესობა ხმაბაძვითია. ასეთი აბსოლუტივები განგრძობად, უწყვეტ, ინტენსიურ ან მრავალჯერ განმეორებად მოქმედებას აღნიშნავს და გვიჩვენებს, თუ როგორ, რანაირად, რა ვითარებაში ხდება ზმნით გადმოცემული მოქმედება. რუსულ და ბევრ სხვა ენაზე თარგმნისას ისინი გადმოიცემა უსრული აბსოლუტივით, პირიანი ზმნით ან აღწერითი ფორმით. ლაზურ თარგმანში, რომელიც ვიწელმა ლაზმა, ჰასან უზუნჰასანოღლუმ (ჰასან ჭურჭავამ) შეასრულა, 99%-ში მიმღეობის ფორმაა გამოყენებული რედუპლიცირებული ფუძით სახელობით ბრუნვაში.

მაგ.:

Bak, **konusa konusa** bütün turtayı yemişiz! – „ნახე, **ლაპარაკ-ლაპარაკში** მთელი ტორტი შეგვიჭამია.“ (konusa konusa-ალაპარაკებულ-ალაპარაკებული) – (ლაზ.: ა და ოწკედი, **სინაფერ სინაფერი** სოთი თურთარენ მთელი ოპჭკომით-დორენ!)

Sarhoş adam düşe **kalka sokakta** gidiyordu. – „მთვრალი კაცი **დაცემა-ადგომით** მიდიოდა გზად. (**düşmek** и **kalkmak** ანტონიმებია = დაცემით და ადგომით) – (ლაზ.: სარხოში კოჩიქ **ბანდალერ ბანდალერი** (დონთხერი მოსელერი) სოკალის იგზალტუ.

Şişman kadın **üfleyle püfleyle** kahvesini içiyordu. – მსუქნი ქალი **ბერვა-ბერვით** სვამდა ყავას“. (üflelemek и püflelemek – სინონიმებია = შებერვით) – (ლაზ.: მგვანერი ოხორჯაქ შური **მეზარერი მეზარერი** კავე მუში მოიშვამტუ).

Cengiz **bağıra çağıra içeriye** girdi. „ჯენგიზი **ყვირილ-ბღავილით** შევიდა შიგნით“. – (ლაზ.: ჯენგიზი მღორინერი მღორინერი (/მღორინერი ბეჯღინერი) დოლოხე ქამახთუ.

Hasan **istemeye istemeye** cevap veriyordu. ჰასანი **მონდომების გარეშე** (უგულოდ უგულოდ) პასუხობდა. (ლაზ.: ხასანიქ (ჰედას-ჰემუს) აგურე აგურე ჯოლაპი მეჩამტუ. [ხასანიქ (ჰედას-ჰემუს) აგურე აგურე ნენა გდუქტურამტუ].

რთულია, სხვა ენაზე თარგმნისას ზუსტი შინაარსის გადმოცემასთან ერთად შეინარჩუნო მორფოლოგიურ-სინტაქსური სახე იმ ენისა, რომლიდანაც თარგმნი. ლაზურმა თურქულისთვის დამახასიათებელი რედუპლიცირებული ზმნისართები და ზმნური მიმღებობები ანუ აბსოლუტივები ჩვეულებრივი მიმღებობების ფორმებით შეცვალა, რადგანაც მისთვის, როგორც სხვა ქართველური ენებისთვისა და მათი დიალექტებისთვის, მსგავსი შესიტყვებები (მიმღებობისა და ზმნის წყვილი) უცხო არ უნდა ყოფილიყო.

ბოლოს მოვიყვანთ ერთ მაგალითს, რომელშიც სახელობითში მდგარი მიმღებობის ფორმის ერთი წევრი ზმნის პრეპოზიციამა და მეორე – პოსტპოზიციამაში. პირველი (ფუძეგაორკეცებული) ქართულ ვარიანტში ვითარებით ბრუნვაშია, მეორე კი – სახელობითში; ამიტომაც მიგვაჩნია, რომ პრობლემა ლაზურიდან თარგმნისას ქართულისთვის უფრო მისაღები ფორმის გამოყენებამ გამოიწვია. **ჭუკარა კაპინერ-კაპინერი ნულუნ ხელინერი** (ჟღენტი 1938: 54) „ღარიბი **სირბილ-სირბილით** მიდის **გახარებული**“ (თანდილავა 2013: 878).

ამრიგად, მიმღებობის ფორმის წინადადების აღნიშნული წევრები ლაზურში აკმაყოფილებს იმ კრიტერიუმებს, რომ ისინი ჩაითვალოს მიმღებობად, და არა ზმნისართებად; შესაბამისად, რადგან სინტაგმაში ეს წევრები შემასმენელს უკავშირდებიან, ისინი პრედიკატული განსაზღვრებებია, და არა ვითარების გარემოებები.

ლიტერატურა

- ბაიბაცევა 1988** – Бабайцева В. В. Система предложения в совр. Рус. Яз., М. **ბურჭულაძე 2002** – თ. ბურჭულაძე, პრედიკატული განსაზღვრების „ორგვარი“ ბუნების თაობაზე ქართულში, საენათმეცნიერო ძიებანი XIII, თბილისი, 50-53.
- კვაჭაძე 2010** – ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.
- კირპუნი** – Кирпун О. Ф. Предикативное определение, Наступна конференция, Журнал Науковий огляд <http://intkonf.org/kirpun-of-predikativnoe-opredelenie/>.
- ჩესნოკოვა 1972** – Чеснокова Л. Д. Конструкции с предикативным определением и структура предложения в совр. Рус. Литерат. Яз., Ростов-на-Дону. <http://evimturkiye.com/forum/16-1938-2#46254>, Основы грамматики турецкого языка, причастия и деепричастия в турецком.

ტექსტები

- ასათიანი – ირ. ასათიანი, „ლაზური ლექსიკონი“, თბ. 2012;
 დიუმეზილი – ჟ. დიუმეზილი, „ლაზური ზღაპრები და გადმოცემები“, (მ.ზუკია, „ლექსიკონი“), თბ. 2009;
 თანდილავა – ა. თანდილავა, „ლაზური ლექსიკონი (ლაზური ნენაფუნა)“, თბ., 2013;
 კარტოზია – გ. კარტოზია, „ლაზური ტექსტები“, თბ., 1972;
 ჟღენტი – ს. ჟღენტი, „ჭანური ტექსტები“, ტფ., 1938;
 ყიფშიძე – ი. ყიფშიძე, „ჭანური ტექსტები“, ტფ., 1939;
 ჩიქობავა 1929 – არნ. ჩიქობავა, „ჭანური ტექსტები“, ტფ., 1929;
 ჩიქობავა 1936 – არნ. ჩიქობავა „ჭანურის გრამატიკული ანალიზი“, ტფ., 1936.
 ჰასან უზუნჰასანოღლუ – საველე მასალა.

MARINA JGARKAVA

Predicative Attribute or Adverbial Modifier of Manner in Laz

S u m m a r y

In Laz Sentences participles are often used before verbs that are classified as prepositions of manner.

We suppose that the reason of the above mentioned problem is a wrong translation from Laz into Georgian. For example, in the phrase „**bandaler-bandaleriqosqides**“(loosely left behind) „**bandaler-bandaleri**“ means „loose“, but it is translated as „staggering“. The words like **bandaler-bandaleri** are used before verbs in the nominative case. (In Laz this phenomenon is borrowed from Turkish. In the Turkish language onomatopoeic adverbs are used before a verb and doubly as usual. The adverbial participle on – (at) and / – (at) e is usually doubly used).

In many languages (such as German, Russian) the members of a sentence just like them are predicative attributes.

In Georgian predicative attributes were studied by a famous Georgian linguist L. Kvatchadze. He proved that participle which has the grammatical form of the nominative case prefixing a predicate is a predicative attribute.

Finally, we can say that in Laz the adverbial participle in the nominative case coupled with a predicate also is a predicative attribute.

თამარ ბეროზაშვილი

**აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა და „ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონის“ რეაქტომეული
(1950-1964 წ.)**

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონზე“ მუშაობა დაიწყო 1945 წელს. მთავარ რედაქტორს – აკად. არნოლდ ჩიქობავას დახვდა სადოკუმენტაციო ფონდის მხოლოდ ორი კარადა: პროფ. ვ. თოფურას ხელმძღვანელობით მხატვრული ლიტერატურიდან ამოწერილი სიტყვები ფრაზებით (რომელსაც შემდეგ **ლ** ფონდი – ლექსიკონის ფონდი ეწოდა) და დიალექტური მასალა.

პროფ. არნ. ჩიქობავას ქართული ენის ბუნების გათვალისწინებით უკვე შემუშავებული ჰქონდა განმარტებითი ლექსიკონის შედგენის პრინციპები.

მოწვეული ბრძანდებოდნენ მწერლები, პოეტები, კრიტიკოსები, მასწავლებლები, მეცნიერები (ფილოლოგებთან ერთად სხვადასხვა დარგის სპეციალისტები) – კარგი მოქართულეები. ისინი განმარტავდნენ სიტყვებს, განმარტებულ მასალას ურთავდნენ რეცენზიას.

სადოკუმენტაციო ფონდის უქონლობის პირობებში დაიწყო სიტყვების განმარტება. ეს გახლდათ გაუგონარი ამბავი.

ლექსიკოლოგიის განყოფილების თანამშრომლებს, რომლებიც პროფ. არნ. ჩიქობავას მოწაფეები იყვნენ, აწვავთ ძირითადი სამუშაო ტვირთი: ესენი ნიშნავდნენ სალექსიკონო სიტყვებს მხატვრულ და სპეციალურ ლიტერატურაში, ხელშეკრულებით მოწვეული პირების მიერ ბარათებზე ამოწერილი ფრაზადართული სიტყვები ბარათებზევე გადაჰყავდათ სალექსიკონო ერთეულის ფორმით: სახელი – სახელობით ბრუნვაში, ზმნები – აწმყო-მყოფადის მესამე პირში მხოლოდობითი რიცხვისა. ასე შეიქმნა ძირითადი ფონდი, რომელმაც ორ მილიონს გადააჭარბა.

1947 წლის ზაფხულს ზემო იმერეთის სოფლებში მივლინებულმა თანამშრომლებმა და ასპირანტებმა ახალი მასალით მნიშვნელოვნად გაამდიდრეს არსებული დიალექტური ფონდი.

მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში ინახებოდა „შინამრეწველობის მასალების“ ხელნაწერები, რომლებიც ივანე ჯავახიშვილის პროგრამითა და ხელმძღვანელობით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში 1935 წელს შეკრიბეს მისმა მოწაფეებმა – ახალგაზრდა მეცნიერებმა და ასპირანტებმა. ეს გახლდათ ყოველგვარი სასოფლო საქმის დაწვრილებითი აღწერა სათანადო ტერმინოლოგიის ჩვენებით. პროფ.

არნ. ჩიქობავამ ლექსიკოლოგიის განყოფილებისათვის მთლიანად გადააწერინა შინამრეწველობის მასალები, ამოაწერინა სიტყვები ფრაზებით, დაალაგებინა ანბანზე. შეიქმნა „შინამრეწველობის ფონდი“.

ცალ-ცალკე ფონდები შეადგინეს ანდაზებიდან და მარქსისტული ფილოსოფიური ნაშრომებიდან ამოწერილმა სიტყვებმა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ლევან ლეონიძის ფონდი. ბატონი ლევანი გახლდათ გერმანიაში განათლებამიღებული ვეტერინარი პროფესორი (პოეტ გიორგი ლეონიძის ძმა). შედგენილი ჰქონდა ვეტერინალური ტერმინების ლექსიკონი (ხელნაწერი), ლექციებს კითხულობდა თბილისის უმაღლეს სასწავლებელში. როგორც პოლიტიკურად არასანდო პიროვნებას, აუკრძალეს თბილისში ცხოვრება, გაამწესეს საგურამოს ვეტერინალურ ტექნიკუმში. მანამდე შედგენილი ვეტერინალური ტერმინების ლექსიკონს იქ დაემატა როგორც პირადად ბატონ ლევანის მიერ მცხეთის რაიონში შეკრებილი მასალა, ისე ტექნიკუმის კურსანტების მოტანილი სიტყვები. შემდეგში პროფესორი ლევან ლეონიძე „ხალხის მტრად“ იქნა გამოცხადებული და გაქრა პიროვნება. დარჩენილი ხელნაწერი ლექსიკონი, ერთი ყუთი, ბატონმა არნოლდმა მოატანინა და აქტიურად იყენებდნენ „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ შედგენისას, მაგრამ, რადგან „ხალხის მტრის“ ნაღვაწი იყო, იხსენიებოდა „გიორგი ლეონიძის ფონდად“. ეს რომ გამჟღავნებულიყო, აკად. არნოლდ ჩიქობავას უკვალოდ გაქრობა არ ასცდებოდა. ეს იყო მისგან საბედისწერო თავგანწირვა, მაგრამ ბატონი არნოლდი საქმის სასიკეთოდ უკან არაფერზე იხედა.

შემდეგში ამ ამბავს ხშირად სიამოვნებით იხსენებდა ლევან და გიორგი ლეონიძეების და – ნინო ლეონიძე, რომლის უფროსი ასული, ცისია კახიანი, არაბული ენის სპეციალისტი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის აღმოსავლეთ-მცოდნეობის განყოფილების თანამშრომელი იყო და განმარტებით ლექსიკონზეც მუშაობდა. საერთოდ, ენათმეცნიერების ინსტიტუტის ყველა განყოფილების ბევრი თანამშრომელი დიდი პასუხისმგებლობით, ხალისითა და სიყვარულით იყო ჩართული „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ სამუშაოებში. განმარტებითი ლექსიკონი საინსტიტუტო საქმედ ითვლებოდა.

ახლა უკვე ლაღად შეიძლებოდა ლექსიკონზე მუშაობა. ლექსიკოლოგებს ხელთ ჰქონდათ მდიდარი, შვიდი ფონდის შემცველი სალექსიკონო მასალა.

აკად. არნ. ჩიქობავას მოთხოვნით შეიქმნა კიდევ ახალი ფონდი, რომელიც განმარტებულ მასალას ახალი სიტყვებით ავსებდა.

განმარტებითი ლექსიკონის მერვე (ბოლო) ტომის გამოსვლის შემდეგაც გაგრძელდა სიტყვების დანიშვნა და ამოწერა მხატვრული და სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურიდან, ჟურნალ-გაზეთებიდან. ეს მასალა დაალაგებული და უჯრებში დაბინავებულია. მას უახლესი ფონდი ვუწოდეთ. ეს იყო პროფ. არნ. ჩიქობავას შორსმჭვრეტელობა: ამ ფონდით საზრდოობს დღეს „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მეორე რედაქცია (მთავარი რედაქტორი – აკად. ავთანდილ არაბული). უახლეს ფონდს ავსებს ბატონი ავთანდილის ხელმძღვანელობით ელექტრონულ მანქანაში შეტანილი სიტყვები თანამედროვე ლიტერატურიდან.

მუშაობდა ექვსი სარედაქციო კომისია. თავმჯდომარეები ბრძანდებოდნენ: პროფ. გ. ახვლედიანი, პროფ. ვუკ. ბერიძე, პროფ. გ. წერეთელი, დოც. ქ. ლომთათიძე, დოც. სიმ. ვაჩნაძე, დოც. სოლ. იორდანიშვილი. კომისიებში იხილავდნენ განმარტებულ და რეცენზირებულ სიტყვებს, რომლებიც დალაგებული იყო ბუდეებზე, რათა ამომწურავად ყოფილიყო გათვალისწინებული ყოველი ლექსიკური ერთეულის თავისებურებანი.

ყველა სარედაქციო კომისიაში ჩართული იყო თითო ასპირანტი ან ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკი. მათ ევალებოდათ ძველი სალექსიკონო ფონდის მიხედვით განმარტებული სიტყვების შემოწმება ახალ ფონდებში, გამოვლენა და განმარტება ახალი სიტყვებისა, ახალი მნიშვნელობებისა, ახალი იდიომატური გამოთქმებისა. უნდა შეეცხოსთ ძველი და ახალი სიტყვები ახალი სადოკუმენტაციო მასალით. ამ საქმეს ფაქტობრივად სჭირდებოდა გამოცდილი ლექსიკოგრაფი, მაგრამ ჩვენს მასწავლებელს უყვარდა ახალგაზრდებისთვის საპასუხისმგებლო საქმის მინდობა, ამავე დროს, ფხიზლად ადევნებდა თვალს მათ საქმიანობას. ზოგჯერ ღამის თორმეტ საათამდე გვიწევდა ინსტიტუტში ყოფნა, რომ მეორე დღეს სარედაქციო კომისიისათვის მომზადებული მასალა მიგვეწოდებინა. დაგვირეკავდა ბატონი არნოლდი, გვკითხავდა რამეს, ეს ძალიან გვახარებდა.

მთავარმა რედაქტორმა მე პროფესორ ვუკოლ ბერიძის კომისიაში გამამწესა. კომისიაში მუშაობა ახალი დაწყებული მქონდა, რომ ბატონმა არნოლდმა დამიბარა და მისაყვედურა:

– თქვენ თურმე იქ ხმას არ იღებთ! მე ვერაფერი ვთქვი.

– თქვენ იქ ქართლს წარმოადგენთ! – მითხრა ჩვენმა მასწავლებელმა. ამან კიდევ უფრო შემაკრთო: თურმე მე, ოცდასამი წლის გოგოს, პირველი კურსის ასპირანტს, ქართლის სახელით უნდა მელაპარაკა ამ ცნობილ მეცნიერებთან, ვაჟკაცებთან.

მამინ გავიგე, სარედაქციო კომისიები ისე იყო შედგენილი, რომ წევრები სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები ყოფილიყვნენ. ჩვენს კომისიაში ბატონი ვუკოლი და ბატონი შოთა გაფრინდაშვილი იმერეთის სხვადასხვა მხრიდან ბრძანდებოდნენ, ბატონი ილია ცერცვაძე გურული გახლდათ. კომისიის წევრის განმარტებული მასალა არ განიხილებოდა იმ კომისიაში, რომელშიც ის მუშაობდა. არ მახსოვს, პროფ. ვუკოლ ბერიძის კომისიაში ერთხელ მაინც ემსჯელათ ბატონ შოთას ნამუშევარზე. განმარტებული მასალა სხვა, უცხო თვალს უნდა ენახა.

როდესაც რაიმე სამუშაოს დავასრულებდით (ჩვენ ჩვენს მონაკვეთს), მთელი მასალა გაერთიანდებოდა და ხელახლა განაწილდებოდა. რაც შეიძლება მეტის ხელში უნდა მოხვედრილიყო ყოველი მონაკვეთი, თავიდან ბოლომდე ერთ ხელს არ უნდა ეკეთებინა რაიმე საქმე, ყველას თავისი სიტყვა უნდა ეთქვა, ყველას თავისი ცოდნა უნდა ჩაექსოვა ლექსიკონში. სხვის ნაკეთებს ჩავიბარებდით, გადავხედავდით, თუ რაიმე კითხვა გაგვიჩნდებოდა, განყოფილების სხდომაზე განვიხილავდით.

ამავე მიზანს ემსახურებოდა მთავარი რედაქტორის კატეგორიული მოთხოვნა: „ჰკითხეთ ყველას სიტყვის მნიშვნელობა, ერთს რომ სულ არ გაუგონია, მეორისათვის ბუნებრივი სახმარია, ვიღაცამ კიდევ განსხვავებული მნიშვნელობით იცის“.

პოლიევქტ (კოტე) გაჩეჩილაძემ ერთ სიტყვაზე თქვა: „ჩემს იმერეთში არ იხმარებაო“. ბატონმა არნოლდმა დაუზუსტა: „შეიძლება იხმარება, მაგრამ თქვენ არ შეგხვედრიათ“.

თონის პურის თხელი ნაპირი, ყუის მოპირდაპირე, მიყვარდა, სახელი არ ვიცოდი. დოც. სტეფანე მენტეშაშვილი, ლექსიკოლოგიის განყოფილების გამგე, განმარტებითი ლექსიკონის ერთ-ერთი რედაქტორი, „ნაფიხს“ ხმარობდა ქიზიყურად. ჩავედი ძეგვში (დედაჩემის სამშობლო სოფელი მცხეთის რაიონში), სადაც თონის პურის ამ თხელ ნაპირს გეახლებოდით ყოველ ჩასვლაზე. ვკითხე:

– ამას რა ჰქვია? ერთხმად მიპასუხეს:

– წინწვერი, ფრჩხილი. გავოცდი, ყველამ იცოდა ეს ორი სიტყვა. მე არც გამეგონა.

განსამარტავი იყო სიტყვა „გვიმი“. არავინ არ ვიცოდით, რას ნიშნავდა. საბას განმარტება „ჯურღმულის თორნე წყალთათვის“ გაუგებარი იყო. რა შუაში იყო წყალთან „თორნე“. საბასავე განმარტებით, თორნე „პურის საცხობი“, „საჭმილი“. მეორე დღეს მოვიდა ბაბო წერეთელი, ლექსიკოლოგიის განყოფილების უხუცესი თანამშრომელი, განმარტებაზე მუშაობდა. ბაბომ გაოცებით გვკითხა:

– გვიმი არ იცით? ჭის ჯებირია, მოაჯირი, ზღუდე. შემდეგ გავიგეთ, რომ ეს სიტყვა ანა კალანდაძესაც სცოდნოდა.

ღასოზე მუშაობისას მეშვიდე ტომის ერთ-ერთ რედაქტორს, ენთიმენიერების ინსტიტუტის დირექტორს, პროფ. ქეთევან ლომთათიძეს ფონდში უნახავს გამოთქმა „ღრინწი დანა“, ნახმარია იუმორისტულ ხალხურ ლექსში:

„ორშაბათ დილა გათენდა,
ქვევით მიდის ქალის ჯარი,
ხელთკალათა ხელთ აცვიათ,
ღრინწი დანა მათი ხმალი“.

ქალბატონმა ქეთევანმა გვთხოვა, შეგვემოწმებინა. ვისაც ხმა მივაწვდინეთ, არავინ არ იცოდა. მივედი შინ, ვკითხე დედაჩემს.

– ღრინწი დანა წელმოწყვეტილი დასაკეცი დანაა, მოშვებული რომ აქვს საკეტი, თავისით რომ იკეცება და იშლება. დედაჩემისთვის ეს გამოთქმა ცოცხალი ყოფილა, მაგრამ არც ერთხელ არ უხსენებია, მე საიდან გავიგონებდი?

მითითება: „ჰკითხეთ ყველას!“ – სარედაქციო კომისიის თავმჯდომარეებსაც ეხებოდათ.

ერთხელ დიდმა ფონეტიკოსმა, განმარტებითი ლექსიკონის ერთ-ერთი სარედაქციო კომისიის თავმჯდომარემ, პროფ. გიორგი ახვლედიანმა გამომიძახა და მეკითხება:

– გამაძლარი თუ გამძლარი?

– ეგ არ ვიცი, მაგრამ ვამბობთ „მამლარი“ და არ ვამბობთ „მმლარი“, – და-
ფიქრების შემდეგ ვუპასუხე მე.

სარედაქციო კომისიის თავმჯდომარემ, დოც. სოლომონ იორდანიშვილ-
მა (გაკეთებული ჰქონდა „ვეფხისტყაოსნის“ პწკარედი რუსულ ენაზე) მიხმო:

– ჭალა რა არის?

– მდინარის პირის ტყე, – ვუპასუხე მე.

– ტყე აუცილებელია? საბას განმარტებით, ჭალა წყლის პირია ნაყოფიე-
რი, – მითხრა ბატონმა სოლომონმა.

– ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემაში ტყეა, – ვუპასუხე მე:

„მორბის არაგვი არაგვიანი,
თან მოსძახიან მთანი ტყიანი
და შეუპოვრად მოუთამაშებს
გარემო თვისსა ატეხილ ჭალებს“.

ეს ლექსი ბატონ სოლომონს ჩემზე ბევრით ადრე და ჩემზე ბევრად
უკეთ მოეხსენებოდა, მაგრამ უნდოდა შეემოწმებინა, რამდენად გავრცელებუ-
ლი იყო დღეს ეს მნიშვნელობა, საბასგან ასე განსხვავებულ.

მთავარი რედაქტორი ხშირად შემოდიოდა ლექსიკოლოგიის განყოფი-
ლების სამივე ოთახში. იმ ოთახს, რომელშიც განყოფილების გამგე მუშაობდა
და სხდომები ტარდებოდა, „დედა ოთახს“ ვუძახდით. ბატონი არნოლდი გვე-
საუბრებოდა ლექსიკონის საჭირობოროტო საკითხებზე, ყველას გვახსოვდა მი-
სი გამონათქვამები:

„ლექსიკონი არ მთავრდება, ლექსიკონს წერტილი უნდა დაუსვა!“

„ლექსიკონი იმის ლექსიკონია, რომ გადაშლი, უნდა ნახო საჭირო
სიტყვა, სხვა სიტყვაზე მითითება საქმეს აძნელებს, მაგრამ ზოგჯერ ამის აუ-
ცილებლობა არის“.

„ლექსიკონში სიტყვას დართული ფრაზა აზუსტებს მნიშვნელობას,
ფრაზა ნაწილია განმარტებისა“.

ერთხელ ერთი თანამშრომლის ნამუშევარში შეცდომა ენახა და გაუსწო-
რა, თანამშრომელმა მოუბოდიშა. ბატონმა არნოლდმა ანუგეშა: „მადლობა
ღმერთს, ჩვენს შეცდომაზე არც სახლი ინგრევა, არც ავადმყოფი კვდება!“

აქვე მინდა მოვიგონო მსოფლიოში ცნობილი სემიტოლოგის, „ქართუ-
ლი ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მეორე ტომის რედაქტორის, პროფ. გი-
ორგი წერეთლის სიტყვები: „მომეცით, რომელიც გნებავთ, ცნობილი ლექსი-
კონი და ყოველ სიტყვაზე შენიშვნას დავწერ!“

დიდმა მეცნიერმა, აკადემიკოსმა არნოლდ ჩიქობავამ თავისი ცხოვრე-
ბის საუკეთესო წლები „ქართულის ენის განმარტებით ლექსიკონს“ შეაღია
(1945-1964 წ.).

მთავარ რედაქტორს დიდ შრომასთან ერთად დიდი ბრძოლაც უხდებოდა.
ბევრი უპირისპირდებოდა, ზოგი – საქმის ერთგულებით, ზოგი – მტრობით.

პროფესორი აკაკი შანიძე წინააღმდეგი ბრძანდებოდა იმ პრინციპებისა,
რომლითაც პროფესორი არნოლდ ჩიქობავა ხელმძღვანელობდა განმარტები-
თი ლექსიკონის შედგენისას: ზმნა ლექსიკონში წარმოდგენილია აწმყო-მყო-

ფადის მესამე სუბიექტური პირის მხოლოდობითი რიცხვის ფორმით, ცალკე ლექსიკურ ერთეულებად არის გამოყოფილი გვარის, ქცევის, კონტაქტის ფორმები, მიმღეობები და მასდარი.

პროფ. აკაკი შანიძეს განმარტებითი ლექსიკონის შედგენის განსხვავებული თვალსაზრისი ჰქონდა: სალექსიკონო ერთეული უნდა ყოფილიყო ზმნის უპირო ფორმა – საწყისი ანუ მასდარი. თავის თვალსაზრისს ბატონი აკაკი ამტკიცებდა მეცნიერული საფუძვლებითა და პირდაპირობით, როგორც ეს ეკადრებოდა მის ადამიანურ და მეცნიერულ ღირსებას. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის ღია სხდომაზე ბატონმა აკაკიმ თავის მოხსენებაში ეს საფუძვლები წარმოადგინა, იქვე დაიმოწმა დიდი ლექსიკოგრაფი სულხან-საბა ორბელიანი. ბატონმა არნოლდმა ჰკითხა:

– თვითონ საბას როგორა აქვს ზმნები?

იყვენ ადამიანები, რომლებიც ყოველგვარი დასაბუთების, ახსნა-განმარტების გარეშე კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში ანონიმურ წერილს წერილზე გზავნიდნენ:

– ჩიქობავა ლექსიკონს აფუჭებს!

– მილიონები იხარჯება, არაფერი კეთდება!

იმ დროს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი – კანდიდ ჩარკვიანი იძულებული გახდა კონტროლი დაეწესებინა სალექსიკონო სამუშაოებზე და ფინანსური სახსრების ხარჯვაზე. განმარტებითი ლექსიკონის საერთო ხელმძღვანელი და მთავარი რედაქტორი აკად. არნოლდ ჩიქობავა ვალდებული იყო ყოველ ხუთშაბათს გამოცხადებულიყო ცენტრალურ კომიტეტში და ბიუროსათვის წარედგინა მოხსენებითი ბარათი, თუ რა გაკეთდა გასულ კვირას. ანგარიშს თან ერთვოდა მთელი კვირის ნამუშევარი. ლექსიკონის მასალა გადაწერილი იყო მხოლოდ სამი პირის: მედეა კანდელაკის, მაყვალა გალდავაძისა და ღია მდივნის ხელით. ეს წამება გაგრძელდა პირველი ტომის გამოსვლამდე. მაშინაც მკითხველთა ერთ ჯგუფს განგაში აეტეხა:

– ლექსიკონში ბატი გამორჩენიათო! (ვერ მოემეზნათ, სახელობითის ანბანთრიგში არ შედის). წარმოიდგინეთ, რა მძიმე მდგომარეობაში იქნებოდა აკად. არნოლდ ჩიქობავა: ცალკე ლექსიკონის რთული სამუშაოები, ცალკე მკაცრი კონტროლი, მაგრამ გაუძლო, გაუძლო მტკიცე ხასიათით, დიდი თავდადებათ, კარგად ორგანიზებული საქმითა და თავისივე გამოზრდილი მუშა კოლექტივით.

ჩვენს მასწავლებელს არ ავიწყდებოდა, რომ ვიყავით ადამიანები, ითვალისწინებდა ჩვენს ადამიანურ მოთხოვნილებებს და სისუსტეებს.

აკადემიის პრეზიდიუმის თანამშრომლებს ყოველთვიურად ურიგებდნენ თითო კილო შაქარს, ბრინჯს, მაკარონსა და პურის ფქვილს (მეორე მსოფლიო ომი ახალი დამთავრებული იყო და ჭირდა ცხოვრება). არ ვიცი, რამდენი ბრძოლა თუ თხოვნა დასჭირდა ჩვენს მასწავლებელს, რომ ეს შეღავათი ლექსიკოლოგიის განყოფილების თანამშრომლებსა და ასპირანტებსაც შეხებოდათ.

იყო უკეთილშობილესი ადამიანი, უანგარო, ქველმოქმედი. ცნობილია, რომ თავის სტუდენტებს, ასპირანტებს ფულს აძლევდა; ასეთების შესახებ უყვარდა თხრობა ალექსი ჭინჭარაულს. მინდა მოგახსენოთ კიდევ ერთი ასეთი ფაქტის შესახებ, რომელიც მიაბმო ალექსი (ლექსო) ლევიაშვილმა. ლექსო გახლდათ არაბული ენის სპეციალისტი, პროფესორ გიორგი წერეთლის მოწაფე, მუშაობდა ენათმეცნიერების ინსტიტუტის აღმოსავლეთმცოდნეობის განყოფილებაში, განმარტავდა სიტყვებს ქართული ენის ლექსიკონისთვის. ლექსო მოგვითხრობს:

„ომი იყო, შინ არც სითბო გვქონდა, არც სინათლე, მე და ერთი გოგონა სულ ენათმეცნიერების ინსტიტუტში ვიყავით, აქ სითბოც იყო და სინათლაც. მოვიდოდა ბატონი არნოლდი, ფულს გვაძლევდა. ჩვენ გვერიდებოდა, არ გვინდოდა გამორთმევა, ბატონი არნოლდი გვეუბნებოდა:

– სესხად გაძლევთ, მიიღეთ. წიგნები არ იყიდოთ, წიგნებს მე გათხოვებთ. პური იყიდეთ, საჭმელი იყიდეთ!“

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონზე“ მუშაობის მთელი წლები მთავარ რედაქტორს კაპიკი არ აუღია. ლექსიკოლოგიის განყოფილების თანამშრომელმა – ვენერა ხაინდრავამ მიაბმო:

– უწყისი რომ მივუტანე, ბატონმა არნოლდმა აიღო კალამი და სტრიქონს, რომელზეც მისი გვარი ეწერა, თავიდან ბოლომდე ხაზი გადაუსვა, თან გამაფრთხილა:

– ჰონორარი მეტი აღარ გამომიწეროთ!

ჰონორარის გარეშე იმუშავეს ცალკეული ტომის რედაქტორებმაც მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ უჭირდათ.

როდესაც „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ბეჭდვა დაიწყო, პროფ. არნ. ჩიქობავა ასოთამწყობებს თავისი ხელფასიდან ფულს აძლევდა. კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში დაიბარეს და განუმარტეს:

– მაგათ იმდენ ხელფასს ვაძლევთ, არავის დახმარება არ სჭირდებათ!

განმარტებითი ლექსიკონის გამოცემის შემდეგ მთავარი რედაქტორი – აკად. არნოლდ ჩიქობავა სახელმწიფო პრემიაზე წარადგინეს. ბატონმა არნოლდმა კატეგორიული უარი განაცხადა ჯილდოს მიღებაზე, მოითხოვა, პრემია თანაბრად განაწილებულიყო მთავარ რედაქტორსა და ტომის რედაქტორებზე. მას დიდი ბრძოლა დასჭირდა ამის მისაღწევად.

ლექსიკოლოგიის განყოფილების თანამშრომლებს „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონზე“ მუშაობისათვის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა ყველას პიროვნულად მადლობა გამოგვიცხადა წერილობით (ესეც, ალბათ, მთავარი რედაქტორის მოთხოვნით).

თავის თავზე ნაკლებად ზრუნავდა, ამ დიდ მეცნიერს ინსტიტუტში საკუთარი კაბინეტიც კი არ ჰქონია. ბოლოს პროფ. ქეთევან ლომთათიძემ, ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორმა, როგორც იქნა დაითანხმა და გამოუყო პატარა ვიწრო ოთახი. ძალიან მალე ჩვენმა მასწავლებელმა ამ ვითომ ოთახში შეისახლა თავისი მოწაფეები, ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლები: ირა ასათიანი, მერი მესხიშვილი, რუსუდან ჯანაშია და ირა ქერ-

ქამე. მათთვის სარკმლის წინ დაადგმევინა ოთხი შეერთებული მაგიდა, სხვანაირად ვერ დაეტეოდნენ, თვითონ დაჯდა კარებთან ზნელ კუთხეში ისე, რომ ოთახში ვიწრო შესასვლელია რჩებოდა.

ძალიან საინტერესო იყო თათბირები ერთტომეულზე მუშაობის დაწყების წინ (რეატიომეულის დამთავრების შემდეგ). მთელი კვირა ყოველდღე დილით ათ საათზე მოზრმანდებოდა მთავარი რედაქტორი და სადამოს 6-7 საათამდე (შუადღისას შეგვასვენებდა ხოლმე) ვსაუბრობდით, თუ როგორ გვექცია რვა ტომი ერთ ტომად, რას შევლედით, რა დაგვეთმო. რომელიმე თანამშრომელი გამოთქვამდა თავის მოსაზრებას, სხვები დაუპირისპირდებოდნენ. ჩვენი მასწავლებელი ერთი სიტყვითაც არ ჩარეულა ჩვენს კამათში, გვისმენდა ბედნიერი ღიმილით. კვირის ბოლოს, როდესაც გამოიკვეთა საკითხები, როდესაც გარკვეულად ჩამოგვიყალიბდა ჩვენ-ჩვენი თვალსაზრისი, მთავარმა რედაქტორმა გვიზრმანა, ყველას დაეწერა თავისი მოსაზრებანი და გადაეცა განყოფილების გამგის – მიხეილ ჭაბაშვილისთვის.

ერთ-ერთი შესვენების დროს, როგორც ყოველთვის, გავშალეთ სუფრა და ვსაუბრობდით. შემოგვისწრო ჩვენმა მასწავლებელმა და ჩვეული იუმორით გვითხრა:

– გამიგულეს და ღრეობენ!

სუფრაზე არ დაგვეწვია, რომ პურობისას რაიმე უხერხულობა არ გვეგრძნო.

ერთტომეულის სამზადისი ამით არ დამთავრებულა: განმარტებითი ლექსიკონის მთელი რეატიომეულის სიტყვანი ჩამოწერილი იყო თაბახის ფურცლებზე, ყოველი მონაკვეთი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად უნდა შემოწმებინა სამ თანამშრომელს და დაესვა პლუსი ან მინუსი. რომელ სიტყვასაც სამი პლუსი მოუგროვდებოდა, შეიძლება მოხვედრილიყო ერთტომეულში, რომელსაც სამი მინუსი ესვა, იმის საკითხი უარყოფითად იდგა. ეს კიდეც არ იყო საბოლოო სიტყვა, სიტყვანი კიდეც უნდა შემოწმებინათ ერთტომეულის მთავარ რედაქტორსა და რედაქტორს.

ერთტომეულის დამთავრების შემდეგ მუშაობა დავიწყეთ ისტორიულ-ეტიმოლოგიურ ლექსიკონზე. გამოქვეყნებული ძველი ქართული ტექსტებიდან სიტყვები ფრაზებით ამოწერეს ხელშეკრულებით მოწვეულმა პირებმა. ჯერი მიდგა ხელნაწერებზე. ჩვენმა მასწავლებელმა შეგვირჩია ოშკის ბიბლია – ხუცური ხელნაწერის ფოტოპირი (როგორც იმ დროს მიღებული იყო, წინადადება და საკუთარი სახელი იწყებოდა ასომთავრულით). ბატონმა არნოლდმა მიგვითითა, რომ შეცდომების თავიდან ასაცილებლად ტექსტი ხუცურიდან მხედრულად გადაგვეწერა ლექსიკოლოგიის განყოფილების თანამშრომლებს, ჩვენი გადაწერილი შეგვედარებინა დედნისთვის და შემდეგ ამოსაწერად მიგვეცა ხელშეკრულებით მომუშავე პირებისათვის.

ყველამ ერთად პირველად აქ ვიგრძენით, რომ ჩვენი მხედველობა დაზიანებული ხელნაწერის საკითხავად არ კმაროდა, ყველამ შევიძინეთ სათვალეები, ლუპები, დავადგმევინეთ მაგიდის ლამპები და შევუდექით საქმეს. „შუშაბანდში“ გამოჩნდა ბატონი არნოლდი, რომ დაგვინახა ასე „შეიარაღებული“, ხელი ჩაიქნია და გაბრუნდა. ვითომ გაგვებუტა, აღარ ვუნდოდით დაბერებულები, შემდეგ შემობრუნდა ღიმილით.

მოხუცებულობაში ბატონ არნოლდს მეუღლე თამარ ყიასაშვილი აღარ ჰყავდა გვერდით. ხშირად ნახულობდნენ მოწაფეები. მათ შორის მზრუნველობით გამოირჩეოდა ვაჟა შენგელია, დღეს აკად. არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე. სიცოცხლის ბოლოს საავადმყოფოში ვაჟა ადგა თავზე, ვაჟა პატრონობდა იმდენად, რომ ექიმებს უკითხავთ:

– თქვენი შვილია? ბატონ არნოლდს უპასუხია:

– არა, ჩემი კოლეგაა. ღმერთმა ყველა კარგ ადამიანს მისცეს ამისთანა შვილი!

ბატონი არნოლდის პატრონობაში ვაჟას მხარში ედგა აკად. გუჩა კვარაცხელია.

სულ მაწუხებდა ფიქრი, რომ ამ დიდმა პიროვნებამ უშურველად შეგვალია თავისი სამეცნიერო თუ ადამიანური სიმდიდრე, ჩვენ კი მადლობაც არ გვითქვამს მისთვის.

ერთხანს ენათმეცნიერების ინსტიტუტი მეცნიერებათა აკადემიის შენობიდან (ყოფ. ძერჟინსკის ქუჩა) აღმასკომის განთავისუფლებულ შენობაში ჯაფარიძის ქუჩაზე გადაიყვანეს. ლექსიკოლოგიის განყოფილება პირველ სართულზე განათავსეს, სადარბაზოს მარჯვნივ. კედლის იქიდან მესმოდა, როგორ შემოდოდა ჩვენი მასწავლებელი ჯოხის კაკუნით. მინდოდა, ჩემი პატივისცემა გამომეხატა, ბოდიშიც მომეხადა. ორჯერ გავედი კიდეც, ბატონმა არნოლდმა ორჯერვე შემომძახა:

– ოჰ, თამარ! – ჯოხი მარჯვნიდან მარცხენაში გადაიტანა, ხელი ჩამომართვა, მომიკითხა მთელი ოჯახი. სათქმელი ვერ მოვახერხე, მივხვდი, რომ ვერც მოვახერხებდი. ასე დამრჩა ბოდიში მოუხდელი და მადლობა გადაუხდელი. ჩემი გასაჭირი ლექსიკოლოგიის განყოფილების თანამშრომლებს გავუზიარე. შეწუხებული სახეებით მისმენდნენ. ეტყობა, მათაც აწუხებდა ეს განცდა.

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონის“ მეორე რედაქციაზე მუშაობა დაიწყო 2002 წელს, მთავარი რედაქტორი ბრძანდება აკად. ავთანდილ არაბული. ძველებიდან შემორჩენილია რამდენიმე თანამშრომელი, უმეტესობა ახალგაზრდები არიან. ისინი ვერ მოესწრნენ აკად. არნოლდ ჩიქობავას, მაგრამ დახვდნენ მისი მოწაფეები და მოწაფეთა მოწაფეები, დახვდათ ტრადიცია, საქმის დიდი სიყვარული და პასუხისმგებლობა. ბატონი არნოლდი განმარტებითი ლექსიკონის ახალ რედაქციაზე მომუშავე ჯგუფზეც სიამოვნებით იტყოდა: კარგი კოლექტივია!

დღეისთვის გამოსულია „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მეორე რედაქციის პირველი და მეორე ტომები. აკად. ავთანდილ არაბულმა მეორე რედაქციის პირველი ტომის წინასიტყვაობას უცვლელად მიადევნა პირველი რედაქციის წინასიტყვაობა. ამით მან დიდი პატივი მიაგო მათ, ვისაც „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ პირველ რედაქციაზე უმუშავია.

ტექნიკური რედაქტორი **ლ. ვაშაკიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა: **თ. გაბროშვილი**
რ. გრიგოლია
რ. რატიანი